ISSN 0132-6023

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცისკარი

10

1984

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სარკე

328
გამოცემის ოცდამეექვსე წელი

10

ოქტომბერი
1984
თბილისი
სსრ. კკ ცკ-ის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს სკკ ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი
ჯანსუღ ღვინჯილია

სარედაქციო კოლეგია:
გივი ალხაზიშვილი
თედო ბაქაიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
გურამ გეგეშიძე
გივი გეგეჭკორი
გიორგი გუგლია
თეიმურაზ დოლაშვილი
მერაბ ელიოზიშვილი
მედეა კახიძე
ჯემალ მარგველიძე
ფოთა ნიფანიანიძე
გურამ ფანჯიკიძე
მორის ფოცხიშვილი
ნუგზარ შატაიძე
ავთანდილ ჩხიკვიშვილი
(პასუხისმგებელი მდივანი)
სოსო ცინცაძე
გოგი ფერეთელი
ტარიელ ჭანტურია
ბადრი ჭოხონელიძე
მაკა ჯოხაძე

შ ი ნ ა ა რ ს ი

პოეზია და პროზა

3. გურამ დოჩანაშვილი — ცალ-ცალკე და ერთად. თანამედროვე ზღაპარი.
40. ხუტა გაგუა — ლექსები
42. მანანა კობაიძე — ლექსები
44. რამაზ მორო — სალტო-მორტალი. მოთხრობა
52. მაყვალა გონაშვილი — ლექსები
54. ალი გუგუციძე — ლექსები
56. ზურაბ თორია — გაუსაძლის დღითა დასასრული. მოთხრობა
61. ელდარ კერძევაძე — ლექსები
63. მირონ ხერგიანი — ლექსები
65. ავთანდილ ყურაშვილი — ცთომილთა დღესასწაული. რომანი. გაგრძელება

105. გამოსათხოვარი

მწერლის გახსენება

110. ყარამან კიკვიძე — ჩანაწერები

გრიგოლ აბაშიძე — 70

117. თამაზ ბიბილური — შემოქმედის სიმარგალე, ბესიკ ხარანაული — „ლექსის ლელოდი...“ მალოცვები

კუბლიციტისტიკა

125. კარლო გეგეჭაშვილი — ახალგაზრდას სურს გახდეს ექიმი

წერილები

134. იგორ ფბოკამანი — წყურვილი
144. ნაირა ბელაშვილი — ტრაგიკული ბრალდაცია

ახალგაზრდა მეცნიერი „ცისკარში“

149. ზურაბ ბაკბაკაძე — დაგით ალმაშენებლის ალსარება

რეცენზიები

156. ეგზეი ბართაია — მაკი

გურამ დოჩანაშვილი

ცალ-ცალკე და ერთად

(თანამედროვე ზღაპარი)

არის და არა არის რა, არიან სამნი ძმანი კეკერაძეები.

ერთი ერთგან იწევდა, მეორე — მეორეგან, მესამე სულ სხვა სათოკენლაც... მაგრამ ერთმანეთს რადგან მაინცა ჰგავდნენ, ერთხელაც, შეიკრიბნენ. დათქმულ ადგილას, მთაზე მდგარ ფუნიკულიორის ზედა სადგურთან ერთდროულად ავიდნენ, მიუხედავად იმისა, რომ გრიშა სამაგირო გზით ამაღლდა ლეგენდარული ზღვის დონიდან, ვასიკო — ტრამვაით, შალვა კი ფეხით. მათგან უფროსმა, შალვამ, თქვა:

— ისრების ამბავი ხომ გაგიგონიათ?

— რომელი ისრების?

— აი ცალ-ცალკე რომ გადატეხეს და ერთად კი ვერა. გამარჯობათ.

— გაგიმარჯოს.

— გაუმარჯოს.

— ხოდა, ჩვენც ერთად უნდა ვიყვნეთ.

პატარა ხნით დადუმდნენ, რადგან ლამაზმა ქალმა, ანუ როგორც გრიშა უწოდებდა, „კარგმა ადამიანმა“ ჩაიარა.

თვალსაჩინო ქალი მხედველობის არეს რომ გასცდა, ვასიკომ იკითხა:

— ერთად არა ვართ?

— ახლა, იცოცხლე, კი, მაგრამ მაინც ვერა ვართ ერთად.

— ეს როგორ... — იკითხა ვასიკომ და გაკვირვების ჩიტი ქვედა ტუჩზე დაასკუპდა.

— სამივენი, ცალ-ცალკე დავბოდიალობთ და ბევრად აჯობებს...

— მე არსადაც არ დავბოდიალობ, — შეაწყვეტინა ვასიკომ — სულ ატელიეში ვზიავარ.

— ბიჭოს, — ხელი მხარზე დაირტყა შალვამ, — შენ დაბოდიალობ თუ დაბოდიალობ.

— სწორი ხარ, — აღიარა ვასიკომ, რადგან მას ლიტერატურა ძლიერ უყვარდა, ისე კი მხატვრული ფოტოგრაფი იყო.

— იმას ვამბობდი... — თქვა შალვამ და შეჩერდა. თუმც ძმები იყვნენ, ერთმანეთში უჭირდათ ლაპარაკი. და აი, რატომ:

ცალ-ცალკე, გაგიხარიათ, იმათ შეეძლოთ სიტყვების ფრქვევა — სხვადასხვანაირ ადამიანებსა თუ საზოგადოებაში. მაგრამ ახლა, რადგან მშვენივრად მოეხსენებოდათ ერთიმეორის ვრცელი შესაძლებლობანი, თან, ამმხრივი პროფესიული თვალსაზრისით პატივსაც სცემდნენ ერთურთს,

ეროვნული

უნებურად ფრთხილობდნენ რაიმე უმნიშვნელო არ დასცდენოდათ; ეს ეგრეთ წოდებულ საწყის დაზვერვასა ჰგავდა, გამოჩენილ მოკრივეთა თუ ფეხბურთელთა გუნდების არ იყოს. მათგან ყველაზე მეტად სიტყვათმფრქვეველი, გრიშა, განსაკუთრებით დაძაბული იყო, ნებისმიერმა ძმამ კარგად იცოდა მმათა ფასი. მაგრამ ჰაერში, როგორც იტყვიან, დენთის სუნი ტრიალებდა. გეკამთვენინა კეკერაძეები და, ჰეიჰო, რას არ გადასწვდებოდნენ. მაგრამაც ახლა, მათთვის შეუსაბამო სიჩუმე იდგა, და, კიდევ კარგი, იმ თვალით შესანიშნავმა ქალმა ისევ ჩამოიარა, შორიახლოს შეჩერდა, გულდასმით აათვალიერა სამივე და, მიეფარა ისევ სადგურის ფრთას.

— კაცო, ეს ქალი მოგზავნილი ხომ არაა? — იკითხა შალვამ.

— არა, ჰა, — უარყო ძმის თვალსაზრისი გრიშამ.

— რატომ, მაინც.

— ასეთი ლამაზი და, მოგზავნილი? რა ძალა ადგა...

— რა, მატა ხარი ნაკლები იყო? — ჩაერთო ვასილი.

— სად გინახავს მაინც... — გაღიზიანდა გრიშა.

— გადმოცემით ვიცი.

— ვინ გადმოგცა მაინც...

— ჯაშუშებზეა წიგნი.

— მხატვრული, ჩიტო?

— კმარა, გეყოფათ, — გაშველების მანდილივით ჩაერიათ შალვა, — თუკი მომისმენთ, ერთ ღირებულ რამეს შეგიტანავებენ.

ორი ძმა ადგილზე სდუმდა, მესამე, შალვა, მოკლე ბოლთასა სცემდა, ორსამ ნაბიჯით მიმოდიოდა და, სდუმდა ასე.

ივნისი იდგა, ასადუღებელი ზაფხულის მეწინავე თვე.

შეჩერდა, შალვა:

— აი რაშია. მეგობრებო, საქმე. ჩვენ ჯამდე თუმც შეჩვეულნი ვიყავით ცალ-ცალკე წაწწალს, ახლა, კეთილი ,ნდა ვინებოთ და, შეეკრთეთ უნდა. ,ენ არ გეწყინოს, ჩვენო გრიშა და, შ ,ი დიდი დამსახურების მიუხედავად, რომ ძალიან გსურს შენი ხელშეწყობი.ი ადამიანები გახდნენ უკეთესები, ვიდრე არიან, ზოგიერთი ქარაფშუტად გთვლის... — არ გამაწყვეტინო! — აკი მეც ხომ მშვენივრად ვიცი, არაა ეს სწორი. შენ, ვასიკო-სხვა-რამისავ, რადგან ძირითადად წარმოდგენები ცხოვრობ, უტოპისტადაც კი მიაჩნიხარ ზოგს, მაგრამ არ დაიჯერო, კაცმა არ იცის, ვინ-ვინაა და სად, შემოგვიერთდე უნდა, რადგან საქმე საქმეზე თუ მიდგა, გამოცდილება გაქვს დაგროვილი ისეთი, მტერ-მოყვარესაც შეშურდება. რაც შემეხება თქვენს შალვას, მე, ისეთი რამის გაღვივებასა და დანთებას ვცდილობ, დაფარვა რომ სჭირდება, და აი, მოდით, ჩავჭიდოთ ერთმანეთს ძმურ-ძმური ხელი და რომელიმე სოფელს მივადგეთ, ოღონდ ისეთი შეუნიღბავები კი არა, არამედ ხელოვნების ერთ-ერთი კუთხით, ერთ-ერთი სახეობით უნდა აღვიჭურვოთ, დიდხანს ვიფიქრე და, ხელოვნებათაგან, ამოვირჩიე უმწიკვლოესი.

— რაა ასეთი... — იკითხა ხუნთქვაშეკრულმა გრიშამ, ვასიკოს ძლიერ გადაჰკრა ფერმა. ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო და, რაღაც გამჭვირვალე, თხელმა, სათუთად ვარდისფერმა ქსოვილმა — ზედ მამაც თავზე გადაუფრინეთ.

— ნუ მაწყვეტინე. შემოინახე, გრიშიკო, თავი, შენი ძალა და სიმამაცე ახლო მომავალში დიახაც რომ გამოგვადგება. ჩვენ, ძმანნი სამმნი, — აღზევდა შალვა, — საქართველოს ერთ-ერთ სოფელში წავალთ, და ეს იქნება გამოკვეთილად ნამდვილი ქართული სოფელი, ჩვენი — ოდესღაც კოლხთა და იბერთა. მომცრო სოფელი იქნება ეს, მაგრამ სხვადასხვანაირ მკვიდრთა წყალობით, იქაურთა წვრილ-დიდ-პატარა, ჭრელაჭრელა მიზანსწრაფვებისა და მოსაზრებების აღსავსეობისა გამო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

და განსხვავებულ აზრ-მსჯელობათა გამოისობით, მრავალმხრივად აბურდული და დაბურული სოფელი იქნება ეს ქართველების, — ჩვენი, და როგორც ყველგან, იქნებიან იქ კეთილნი სულნი და სულნიც ბოროტნი, სხვადასხვანაირტევადობიანი მატყუარები თუ პირში მთქმელები, კენტთავიანი დეკებიცა და მიწყიდე მუშაკნიც ეყოლებათ, აგრეთვე ანგელოსებივით ბავშვები და გაჭინკებული ჯიელები, ეგებ მინდვრად გარეულები მზეთუნახავებიც ერიოთ, და ერთადერთის, ჩვენი ხალხური ზღაპრებიდან, მზეჭაბუკისა მეეჭვება, მაგრამ რადგან მეცნიერულადაც კია დამტკიცებული, რომ ფეხმძიმე ქალბატონების დაუბადებელ ბავშვებს თურმე უკვე ესმით მუსიკისა და, საერთოდ, ხმები, ჩვენ, სამთავე ძმამ, ფეხმძიმე ქალებს მეტი ყურადღება უნდა მივაქციოთ...

— ვაჟ-სამანშვილისაგან განსხვავებით?

— ნუ მაწყვეტინებ, ვასილ. ჩვენ, სამთავე ძმამ, ვაჟ-სამანშვილისაგან განსხვავებით, ფეხმძიმე ქალებს მეტი ყურადღება უნდა მივაქციოთ, — ჩვენის მონდომებითა და რუდუნებით, მზეჭაბუკი ჩამოყალიბდეს და დაიბადოს ეგებ, —იქუხა, ცაზე, ღრუბლის ნაფლეთიც კი არსად ჩანდა, — რომელ ერს აწყენს და არ სჭირდება მზეჭაბუკი, გეთაყვანეთ, ჩვენ, ქართველებს რომ გვაწყენოს და არ გვჭირდებოდეს, მაგრამ ისე არ გამიგოთ, რომ მხოლოდ ფეხმძიმე ქალებს მივადგეთ და გამოვუჭედოთ ყურები — არა, გენაცვათ, მთელი სოფელი უნდა ავიყოლიოთ ჩვენ-ჩვენი თემობრივი ნედლეულით, ხოლო ხალხმა რომ მოგვისმინოს და აგვყვეს, როგორც აღვნიშნე, ხელოვნების ერთ-ერთი კუთხით უნდა მივუდგეთ და, ბევრი ვიფიქრე ხან დღით, ხან ღამით, ხანდახან — წვიდა, ამას არა აქვს მნიშვნელობა, და მოვიფიქრე! — ხელოვნებათგან, შევარჩიე უმწიკვლოესი, აუ, ეს რამდენი ვილაპარაკე.

კვლავაც მოახლოებულ-შეჩერებულმა თვალსაჩინო ქალმა კი ჰკითხა:

— ბოდიშით, რაიმე ხომ არ მოგეძევებათ?

არაბერძნულად იკითხა ესა, რადგან კეტერაძეები ქართველები იყვნენ.

ჯერ დაბნეულები შესცქეროდნენ, მერე გრიშამ იყოჩაღა, არაბერძნულადვე მიუგო:

— რაიმეს მეტი რა მოგვეძევება.

— მართლა? — გაეხარდა საიმისო ქალს; აშკარად მოეწონა გრიშა და იმისი პასუხი, — აი, ვთქვათ, მაგალითად, თუ მოგეძევებათ... მაინც რა და რა მოგვეძევებათ?

— რა და, გენაცვალე, — ერთგვარი გულცივობით ჩაერია შალვა, — აუარება რამ გაგვაჩნია — სულო და გულო, იმდენი რამ მოგვეძევება: ვაზი და ჩაი, სასარგებლო წიაღისეული, თქვენ ციტრუსები უფრო გიყვარი, მინერალური წყლები, დიფნის ფოთოლი იმდენი რომ, ყველას გვეყოფოდა გვირგვინისათვის, აგრეთვე დათოვლილი ქედები და იმისთანა ზღვაა...

— ჩვენთანაც კია ზღვა, — დარდიანად აღნუსხა ქალმა, — ოღონდ ბრრ...

— რა, ძლიერ ცივია? — დეკოლტისკენ დაეკითხა გრიშა.

— ცივი წყალია განსაკუთრებით ძალიან.

— კლიტემნესტრას ჰგავს, შეჩვენებული, — ქართულად აღნიშნა ვასილმა.

— ჰოდა თქვენც აიღეთ და თბილად ჩაიცვით, გენაცვალე, — ალალად ურჩია გრიშამ.

— და იაპონური ქოლგებიც ხომ არ გექნებათ?

ავი სიჩუმე ჩამოწვა.

— თქვენ მისამართი შეგეშალათ, — მკაცრად წარმოსთქვა მერე შალვამ.

— მართლა? — სულაც არ შემცბარა ქალი, — რა ვიცი, ასე დამარიგეს, თუკი უსაქმოდ დგანარ...

ბურამ დოჩანაშვილი
ცალ-ცალკე და ერთად

ძმებმა ერთმანეთს გადახედეს.

— თქვენ დარწმუნებული ხართ რომ, უსაქმოდ ვდგავართ? — სუსხიანად იკითხა შალვამ.

— აბა რა ვიცი, — და გაჭირვებით დაიყოლა, — გენაც-ვალე... მართლა, გენაცვალე არაქართულად როგორ იქნება?

— სულიქო. — გესლიანად მიახალა გრიშამ.

— მშვიდობით. — დაბაჭრით უთხრა შალვამ, ხოლო როდესაც ქალი გაეცალათ, ვასიკომ კვლავაც აღნიშნა: — კლიტემნესტრას ჰგავდა, შეჩვენებული.

— ჩვენ ვისღა მიგვამგვანა? — ნაღვლიანად იკითხა გრიშამ.

— გადამყიდველებს? ჰაიი, გიდი... — ხმა გაბზარვოდა მედგარ შალვას.

„ახლა თათბირი არა გვქონდეს, მე ვიცი შენთვის ერთი ისეთი ქოლგაა...“

— ქალს მიადევნა ფიქრი გრიშამ.

პატარა ხანს გულდათუთქულნი იდგნენ; მერმე გრიშამ ფხა გამოიჩინა:

— მერედა, თქვე კარგი დედ-მამიშვილები, რომ დავმდგარვართ აქ და დაგვიღია პირი, აქვე არაა რესტორანი? შევიდეთ, დავსხდეთ ადამიანურად და, ვილაპარაკოთ. ჰა, ვასიკო?

— მართლაცდა, არ აღგვენიშნა ჩვენი შეხვედრა ორიოდ ჭიქით?

— კარგი კი იქნებოდა, — შეფიქრიანდა შალვა და ერთბაშად გამოერკვა, — მაგრამ არა, არა, არავითარ შემთხვევაში! რესტორნის ფული სად გვაქვს...

— როგორ არა მაქვს, სარესტორნო თანხა, — თავი გამოიდო გრიშამ.

— მაქვს მეც, — ჯიბეზე ხელი გაიკრა ვასილმა.

— არაფერი შეგეშალოთ, — გამკაცრდა შალვა, — თქვენ რომ ფული გაქვთ, ის სამომავლო ფულია, რადგან ჩემი ღონისძიებისათვის ძალიან დაგჭირდება.

— მართლა?

— დიახ. მანამდე კი, სისულელეებში რომ არ დაგვეხარჯოს, უნდა ვიყოთ ძუნწები, ისეთები, ისეთები ისეთები, როგორც... აი...

— ჰობსეკი, პორთოსის საყვარლის ქმარი, პოშეზონელი დედაკაცი, ჭაბუკობისდროინდელი მეჯღლანუაშვილი... — შეაშველა ვასიკომ.

— დიახ. მაგრამ გამოსავალი მუდამ არსებობს, შეგვიძლია იაფად გადარჩენა.

— როგორ?

— როგორ და, აქვე, ანუ ცოტათი მოშორებით, კარგი ბუჩქები შევარჩოთ და გასტრონომში ნაყიდი პურმარილიანი ჩავჯდეთ.

— მერედა, სადაა აქ გასტრონომი?

— მე ჩავფრინდები და ამოვფრინდები ხელად, მფრინავი საკნით! — წამოიძახა გრიშამ, ზღაპარ იყო... — არც რიგია და არც არაფერი.

— ძალიან კარგი. დრო რომ არ დაკარგოთ, მე წავალ და ბუჩქებს შევარჩევ. ვასიკო აქ დარჩება, შტაბივით, —სხარტად, საქმიანად ალაპარაკდა შალვა, — მერე ვასიკოსთან შევიკრიბოთ. ორმოცი წუთი გეყოფა?

— კი კაცო.

— კოსერვის გასახსნელი ჯაყვა ზედ მაქვს. რესტორნის ფული დაგვეზოგება. პურ-მარილში ღვინო არ დაგავიწყდეს.

— რა დამავიწყეს, — გაიბადრა გრიშა, — ღვინო პურ-მარილში მთავარია.

— ჰო, — აღნიშნა ვასიკომაც,—პურ-მარილი მარტო პური და მარილი კი არაა. გადატანითი მნიშვნელობის გამოთქმამია, რადგან...

— ღვინო რომელი ამოვიტანო.

— ერთი ნაგავია ყველა. მაგრამ ტიბაანი ამოიტანე.

— თუ იქნა. აბა, წავედი, აქა ვარ დროზე, ზუსტად ორმოც წუთში გრინვიჩის დროით.

როგორც დათქვეს, ისე მოიქცნენ. გრიშა მფრინავი საკნით დროზე ამოფრინდა კარგა გაძიძგინებულ ხურჯინიანა, შალვამ ისეთი ბუჩქები შეარჩია, ავ თვალს არ დაენახვებოდა, ვას-

იკომ თვალის დახამხამებაში იქაურობა მიაწკრიალა, ისეთი გაზეთ-სუფრა გაიშალა, ჩიტის რძეც კი არ აკლდათ — ძეხვი, კონსერვი, ვაფლი და რაღა... ღმერთს ჩვენთვის კარგი ბედი ურგუნებიაო, გაიფიქრეს, დახსნეს ბოთლები, დახვდათ შიგ ღვინო, დაგლიჯეს პური, ხელმწიფის ქალის გამომცხვარსა ჰგავდა, გრიშას მარილი დავიწყნოდა, „შენ კი რა გითხარიო," მოსჩრა ვასიკომ თავი, მაგრამ შალვამ რაღაც ბალახ-ბუალახი იპოვა, მიუსვამოუსვა და გააცოცხლა: „რა მოზდა მერე, მარილმა აკი დავიწყება იცისო," მადიანად შეექცნენ ნატვრის სუფრას, ისეთი კონსერვები იყო, რომ ზღვასა და ხმელეთზე იმგვარი არსად იქნებოდა, მზე მაღლა იდგა, ისე მძლავრი და ისეთი ლამაზი, რომ კაცი თვალს ვერ გაუსწორებდა, ქართულ ბუჩქებში ჩამსხდარიყვნენ, მაგ. თამადად შალვა დააყენეს, თუ დასჯირდებოდა, იმას სმა შეეძლო? — სხვა რომ ჭიქობით თვრებოდა, ის ორჯიქობით ვერა თვრებოდა, კარქა გაუძღვაო: უმძრახი პურიუპამა ჩვენში აბა სად გაგონილა, და რაც ამ ძმებმა ილაპარაკეს? აიმდენ სიტყვებს ზღვაში ქვიშად ვერ იპოვნიდი, ქართული სიტყვები ჰხარჯეს, ჰხარჯეს და ვერ დახარჯეს, ილაპარაკეს, სვეს, სვეს, ილაპარაკეს, იბაასეს, უმცროსი ძმა, გრიშა, მღელვარებისგან, შარავლს მუხლთან ხელისგულით ცრეცდა, დაალაგეს გეგმა, მოდით და, ძმებო, ასე და ასეო, ძირითად საკითხებში შეთანხმდნენ, მხოლოდ ერთ საკითხს ძვრა ვერ უყვეს, მაინც კარგ ხასიათზე დადგნენ, გულზე მოეშვათ, და ერთხელაც რომ ასწიეს ხუთკაპიკიანი წყლის ავტომატიდან უბოროტოდ აწაპნილი ჭიქა, და ესრეთ ყოფაში რომ იყვნენ, ძრიალ უხაროდათ, მაგრამ ორი ცალთავა დევი ზეწამოადგათ და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისათვის იქაურ მაღლივ სადევეში წააბრძანეს, ცოტათი უფროს ორვარსკვლავიან დევს მიჰგვარეს იქა. გზად, გაქცევა არც ერთს არ უცდია, წიქარა სადღეგრძელოშორს ბალახობდა, იქ კი ორვარსკვლავიანმა ისეთი რამეები მიახალათ?!— ჰაი იმან პირადობის მოწმობებიო, ჰაი იმან სახლთმმართველობის დევის დახასიათებებიო, ჰაი იმან ვინ სადა ჰფლანგავთ დროსაო, ჰაი იმან ბუჩქებში ჰლოთობთ და რესპუბლიკას არცხვენთო, ჰაი იმან თხუთმეტი სუტკა უკან დაგრჩებათო და, მოკლედ, იმან იმდენი ჰაი, და სამნი ძმანი იქამდე აყურყუტეს, სანამ ორ რესტორნობანას რომ ეყოფოდა, იმდენი ვერცხლი არ დააყრევინეს.

„ჩვენ-ჩვენი ბედი რა ვთქვი... — ყველას სახელით გაიფიქრა გრიშამ. მანამდე კი, გაშლილ პურ-მარილთან, აი, რა როგორ იყო:

2

— ხელოვნება ერთმხრივ სახიფათო რამაცაა, — მეოთხე სადღეგრძელოს შემდეგ წამოიწყო ძირითადი სათქმელი შალვამ. — დიდად უცნაურია, მაგრამ კარგ გერმანელებს ხელოვნებაში ის ძალიან დიდი მიღწევები რომ არ ჰქონოდათ, ცუდი გერმანელები ვერც წამოიწყებდნენ ყველაზე საშინელ ომს. ისიცაა გასაკვირი, და თან არც არის, რომ გერმანელებში სწორედ ყველაზე უღირსებმა სხვებზე მაღლა წარმოიდგინეს ოხერი თავი, დიდ წინაპართა დამსახურებებით გაიბღინძნენ, როგორია, ჰა, ბახისა და ბეთჰოვენის მემკვიდრეებად, გებელსი და ჰიტლერი? შობელძაღლები, ვაგნერის მარშებზე ვიითმ საზეიმოდ დაატარებდნენ ყეყეჩ ჯარისკაცთ, ხოლო ეს რომ თავის დროზე სცოდნოდა, ბატის ფრთა ეგებ არც აეღო საბრალო რიზარდს. კაცჰამიები!

— აბა?! — თქვა გრიშამ და ძეხვი ხელიდან გაადგა.

გურამ დოჩანაშვილი
ცალ-ცალკე და ერთად

— დიახ. პრესტიჟისათვის, შეუმახანაგდნენ ხელოვნებაში საერთოდ დიდად წარმოჩინებულ იტალიელებს, მაგრამ იქაურ მხოლოდ ცუდებს, თორემ ჩვენი ფორე მოსულიშვილი, ყვითელკანიანთა გვერდით კი არ იბრძოდა, იმას ვამბობდი, დიდმა ხელოვნებამ სწორედ უღირსები გააყოყოჩამეთქი, დისციპლინაც არ აკლდათ, ნაგვებს, და ის კი არ იცოდნენ, ხელოვნება და სამზედროული დისციპლინა რომ შეუთავსებელია, რადგან...

— მე მხოლოდ თვითდისციპლინა მწამს, აი, თუნდაც ისეთი, ფლობერს გამოკვეთილად რომ ჰქონდა...

— აბა რა, სხვისგან თავსმოხვეული დისციპლინა შენს მტერს, მთავარია, საკუთარი ინტონაცია...

— დიახ. იმას ვამბობდი, დიდ ხელოვანთა ნაწარმოებნი თავიანთ კუთვნილება-დამსახურებად მიიჩნიეს, და, ამის გამოც მსოფლიოს კანონიერ მფლობელებად შეირაცხეს ოხრული ჭკუით გამოტენილი თავი — ადამიანის მხრების გარდა, სხვაგან საიდან ამოვა ასეთი რეგვენული კვანი, და თუმც დიდ პატივსა ვცემთ — აბბა, ვის!

— ბახს და გოეთეს, ბეთჰოვენსა და კრანახს, შილერს, დიუერს... შუბერტი, ბატონო, მოცარტიც გერმანულად ლაპარაკობდა, კანტი...

— საკმარისია. ოღონდ ფილოსოფოსები არ გამაგონო. ჩასხდებიან ხოლმე თავ-თავისთვის, სადმე ბნელში და, აკვარახჭინებენ — ეს ასე უნდა იყოს, ის ისე უნდა იყოს, ან — ეს ასე არ უნდა იყოს, ის ისე არ უნდა იყოს, არამედ უნდა იყოს ასთე და ისთე, არ მომკლა ამდენმა უნდა-მ?, გამანებე, ვიღაცა ხარ, თავი...

— ჰო, წადი რა, შენ გზაზე გაიარე...

— ხორცთშესხმა აკლიათ... ცუდი საკითხავები არიან...

— ისე, ეგენიც ადამიანთა შორის უკეთესი ურთიერთობისათვის ცდილობენ.

— მოაზროვნე ხალხია.

— მაინც ნუღარ გამაგონებთ, მე საქმის ხალხი მირჩევნია. ჩამოასხი ერთიც.

ბოთლის ჭინკებმა ჯერ ჭიქაში გადაინაცვლეს, მერე ძმათა სხეულში, და წინ კიდევ გრძელი, ადვილი და გამოსაფიტი გზა ედოთ.

— აუცილებლად უნდა აღვნიშნო, რომ მე წინაპართა დამსახურების ოხრულად გამოყენებაზე მოგახსენებთ მხოლოდ, თორემ იგივე ბეთჰოვენი დაპყრობილ ქვეყანაში მოღვაწეობდა...

— მეც არ გამიკვირდა? — ხელისგული ამოატრიალა ვასილმა, — თორემ თურქებს აბა რომელი გენიოსები ჰყავდათ. მაგრამ... სულ მაინც ხმალზე ედოთ უანბანო ხელი...

—ერთი პოეტი გვყავდაო, მაგრამ ისიც სხვა ენაზე წერდა...

— აბა მაშინ იმათ რაღა ძალა ადგათ...

— კარგია, კმარა, — გააწყვეტინათ შალვამ, რადგან თემას არასასურველად გადაუბვიეს, — იმას მოგახსენებდით — ადამიანის სული რომ შესძრა, ხელოვნების ერთ-ერთი კუთხით უნდა მიუდგე, და ძალიან მაწვალებდა არჩევანი — მაინც რომელი კუთხით? აკი გითხარით, მუსიკა, პოეზია და ამისთანანი, დალოცვილები, საშიშია, რაიმეთი ცუდად რომ არ დაგვირგვინდეს... ბევრი ვიფიქრე, თანაც, ცოტათი მრცხვენოდა, სხვის რა ჯკუა უნდა ასწავლო, უცოდველი ხომ არავინა ვართ-მეთქი.

— ცოტათი მე ვარ, — წამოსცდა ვასიკოს.

— ცოტათი რა...

— უცოდველი, — თქვა ვასიკომ და იქვე გაწითლდა.

— კი, კი, აბა, — დაემანჭა გრიშა, — ღმერთმაბით შენი ატელიეა თუ რაღაცაა იმის გასაღებს რომ მაძლევ, არაა დარღვევა ეს?

— აქეთ მამადლი? — ჯერ გაოცდა და გაბრაზდა მერე ვასილი. — აქეთ მამადლი ანგარებას? უსინდისო შენ!.

— უსვინდისო ვარ, ამ შემთხვევა-

ში, — ადვილად აღიარა გრიშამ და გაუღიმა, — მოდი, გაკოცო.

— წვრილ-წვრილი ცოდვა ყველასა გვაქვს, — შეაჯამა მშვიდობიანად დამთავრებული მცირე შეხლა-შემოხლა კეკელაძე შალვამ, — მაგრამ ბოროტები ნამდვილად არ ვართ.

— ეგდა გვაკლია...

— აჰ, აჰ, ღმერთმა დაგვიფაროს.

— ჰოდა, ხელოვნებათაგან, მეც ავიღე და, ავირჩიე უმწიკლოესი.

— მაინც... რომელი... — მღელვარედ იკითხა გრიშამ.

— რომელი... მაინც... — კიდევ მეტად აღელდა ვასიკო.

— არ გადანცვიფრდეთ, ნელ-ნელა გეტყვით, — თქვა შალვამ და ზეზე წამოდგა, — ეერთი... ორი დაა... რა და საცირკო ხელოვნება!

ერთი ცოლ-ქმარი იყო, ღარიბად ცხოვრობდნენ. ეს ცოლი მუდამ იმას უჩიჩინებდა, წადი, კაცო, მიდექ-მოდექი და რაღაცა გასამრჯელო მოიტანეო... წავიდა კიკოლი, მიდგა, მოდგა და გასამრჯელო მოიტანა. ცოლს თვალში ისე ეცოტავა, ქოში უკუღმა ჰყარა, მიჰყო იმ თავის ქმარსა პირი და მთელი ქვეყნის ტალახი თავზე ჩამოასხა. რაღა ქნას ამ კიკოლომ, ცუდადაა საქმე. ერთი ნატვრის თვალი კი ჰქონდა, მაგრამ მსხვილმანი — იმის ნატვრისთვალს მეფური საჭმელების მოგვრისა არა გაეგებოდა რა. სამაგიეროდ, ცაზედ მზე ამოჰყავდა და მიწიდან წყალი. გაუღდა გზას კიკოლი და, აკი იმ ნატვრისთვალმაც არ უმტყუნა? აი, ხომ კარგი დარი ინატრა, მაგრამ გაავდრდა, გაავდრდა რომ — ხონთქრის ქალის კაპასობასა ჰგავდა. მიდის კიკოლი, ღამეა, წვიმს, სწყურია, ჰშია, სცივა. შემოხვდა გზად ერთი უპატრონო საფლავი და ჩამოჯდა იქვე, აწვიმს, აწვიმს რომ, აეს კიკოლიც ღრუბელივითაა, ჭირსაც წაუღია ჩემი თავი, რაც მომივა, მომივიდესო, გაიფიქრა, აღარა დგება, წვიმს. მაგრამ ქვემოდან ამოუძახეს — ეეჰ, კიკოლი, მანდ რაგინდ დიდი ავდარი იდგეს, იკოდე, მაინც კარგიაო. გამხნევდა ეს ჩვენი კიკოლი, გაუღდა ისევ თავის ბნელ გზას, ეგებ ჩემს ბედს მეც ვეწიოო, აღარა სცივა, არა ჰშია, არცა სწყურია. გაიხედა და — რაღაცა ბჟუტავს.

— გაგიკვირდათ, ხომ? — დიდად აღფრთოვანდა შალვა, ბედნიერების ნთელი ადგა, — ასეა, ასე, ყოველი ღირებული საქმე გაკვირვებით უნდა დაიწყოს და, პირველმა ნაბიჯმა რომ გამიმართლა, აეს უკვე რაღაცას ნიშნავს.

აღმაფრენისაგან თავრეტდასხმულსა ჰგავდა, მაგრამ გრიშამ თქვა:

— ის ბოლო ჭიქა არ უნდა დაგელია.

შალვამ გულიანად გაიცინა:

— შენ რა გითხარი... — და უცებ გისოსივით გამკაცრდა: — ეგრევე იჯექით! გაისუსეთ! თქვენი შერხევა არა ვნახო! — და მაინც, მერე, რაღაც გაეხახუნა გისოსურ სიმტკიცეზე, ქლიბისდამაგავარი, რადგანაც თქვა: — დამიჯერეთ და არ წავაგებთ, ძმებო.

წავიდა, წავიდა კიკოლი, მიუახლოვდა, დაიკქერდა და, რასა ხედავს: ერთი კიკოლიზედ პატარა, იმაზედ საცოდავი, იმაზედ უბედური, რაღაცა ერთი ბეწო ციცინათელა წაქცეული ხის ფუღეროში შეყუდული და იქიდან კვნესასავით დროდადრო ბჟუტავს. რა იყო, შე ბეჩავო, რა დაგმართნიაო, კიკოლომ. იმანაც, რაო და, მცივა, მშიან და მწყურია, ეგება რამე მიშველო და მერე მეც იქნებ გამოგადგეო. აბა, ჩემნაირ გაჭირვებულს რა შეუძლიანო, კიკოლომ. იმან კი, სული ხომ მაინც გიდგიაო. სულიო, კიო. ჰოდა, შთამბერეო. მერედა, სულიც რომ შენ შთაგბერო, მე რაღა დამრჩესო. სულს რომ შთამბერავ, შენც უფრო შეივსებიო. ეგ როგორღაო, კიკოლომ. როგორ და, მეც გავთბები და შენც გაგთბობო, იმან.

— სიტყვა ცირკი ლათინური წარმოშობისაა და წრესა ნიშნავს, — როგ-

---

გურამ დოჩანაშვილი
ცალ-ცალკე და ერთად

ორც წესი და რიგია, ძირფესვიანად წამოიწყო ახსნა-განმარტება შალვამ, — დიდი მრავალმხრივი დარგი კია, რაც მართალია, მართალია. რაღ-ას არ შეიცავს — ეს აკრობატიკაო, პანტომიმაო, კლოუნადაო, გიმნასტიკა, ცხენზედ თამაში, ეკვილიბრისტიკაო, ჟონგლიორობაო, მუსიკალური ექსცენტრიკა, ილუზიონიზმი და, ვინ მოთვლის, კიდევ რა. ეს — ახლა. მაგრამ ჯერ კიდევ უძველეს კრეტა-მიკენშიც, გამოქანებულ ხარს რქებში სტაცებდნენ ხელს და მალაყით გადაეკლებოდნენ თურმე, მერე, ძველ რომში, მოგეხსენებათ, გლადიატორთა ბრძოლებსა და ავ ნადირთან შეჰიდებასაც ცირკი რომ ერქვა. თანდათანობით კი, როგორც ხდება, ძველი სახეობა-სანახაობანი მოიშალა და ახლებურები დამკვიდრდა, რომლებიც უკვე ჩამოვთვალე, მაგრამ ჩვენ, ძმებმა, ცირკისეული განშტოებებიდან ურთუ-ლესი, უმწიკლოესი და ამამაღლებელი უნდა ამოვირჩიოთ, თორემ მიდი და ახტუნავე აქეთ-იქით რაღაც მაიმუნი ძაღლი, აბა, ამაში რა ყრია?

— არაფერი, აჰ.

— ნუ მაწყვეტინებ, გრიგოლ. საცირ...

— შენ თვითონ არ დასვი შეკითხვა? ვერ გამიგია ამ...

— კარგი, გაჩერდი. იმას ვამბობდი, საცირკო ხელოვნების განშტოებათა-გან კი, მეც ავიღე და, პირადად ჩვენთვის, შევარჩიე უპირველესი... უპირველესი... უპირ.. გამაწყვეტინეთ!

— რა!

— რა და, ვასიკო — არ შეგეშინდეთ — რა და, ძმებოჯან, — არსად გამექცეთ! — რა-ა? — კლოუნადა!!

სახტად დარჩენილი ორივე ძმა პირგაკვირვება-კატანაცემი ასცქეროდა მესამეს, იმან კი, უცად არ გამოფხიზლდნენ, და მასხრად არ ამიგდონო, კვლავაც აკადემიურ ახსნა-საუბარს მიმართა:

— სიტყვა კლოუნი თურმე ინგლისური წარმოშობისაა და ინგლისურ ხალხურ თეატრში, ძველად, ანუ ელიზაბეთ კოროლევნის ხანაში, ეწოდებოდა მოგვიანებით, ასე, მეთოთხმეტე საუკუნეში, იმ პიესებშიც შეიპარა დარგობრივად მორალიტე რომ ერქვა. გსიამოვნებს ეს სახელწოდება, გრიგოლ?

— კი. იტალიურია?

— მაგრამ ფრანგული. — აუხსნა შალვამ. — მერწმუნეთ, ძმებო, ბედნიერებას მოგანიჭებთ აი ეს დარგი.

— ბედნიერება სადღა არის...

— როგორ არ არის, გრიგოლ!

— არა, კი არის, როგორ არ არის. მაგრამ ქუჩაში კი არ ყრია.

— ეგ კი, ეგ კი. მაგრამ საერთოდ ხომ მაინც არის, მაგრამ სადღაცას მაინც ხომ ხდება...

ერთი საწყალი გლეხი იყო, ისე ღარიბად ცხოვრობდა, შემწვარ-მოხრაკულის სუნი რა არი, ისიც არ იცოდა. აბა იმისი ცოლი და პატარა ქალი რაზიღა იქნებოდნენ — ღარიბებივე იყვნენ, წელებზე იდგამდნენ ფეხს. ის პატარა ქალი ისე ჩამოკონკილი დაიარებოდა, მეტსახელად კონკიაყღარუნა დაარქვეს. გავიდა რამდენიმე ხანი, მოუკვდა იმ გლეხს ცოლი, ეხლა უფრო გაჭირვებაში ჩავარდა. ადგა და მეორე ცოლი მოიყვანა. იმას გერი დაჰხვდა, ძალიან ეწყინა. ის იყო და ის, დედინაცვალი კონკიაყღარუნას მტრად გადაეკიდა. სულ იმას ცდილობდა, როგორმე იმისი გული მოეკლა. გამოუხვევდა ყოველდღე კალთაში კუტს, გააყოლებდა სხვის ძროხას და თან ასე დაუბარებდა: ან ეს ერთი კუტი გქონდეს — ამვლელსაც აჭამე, ჩამვლელსაც აჭამე, შენცა ჭამე და შინაც მთელი მოიტანეო. წვიდოდა კონკიაყღარუნაც და იყო ერთი დაღონებაში. ერთხელაც ესე გულმოკლული იჯდა მინდორში და მწარედ სტიროდა. ჩამოიარა ხელმწიფის შვილმა, მოუვიდა თვალში, ჩაუვარდა გულში, შემოისვა ცხენზე, წაიყვანა სრა-სასახლეში და ისეთი ქორწილი ჰქნეს, ისეთი ქორწილი, რომ ქუდები სულ ჭერსა ჰკრეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ერთი რამ კარგად უნდა გამიგოთ, — განაგრძო შალვამ, — კლოუნადა, ეს, თავიდათავი — თავისუფლებაა, ლექსიკონშიც წერია. რომ, ეეშმარიტი კლოუნის გამონათქვამები სწორედ იმპროვიზებულად უნდა ფეთქდებოდეს, ხოლო ეს სიტყვა, გრიშა-ჩემო, მოგილოცავ და ისე გეტყვი, იტალიურია — იმპროვიზარე — და გაუთვალისწინებელს, სახელდახელოს, უეცარს ნიშნავს, ამა სიტყვაში ისე იქნები, როგორც თევზი წყალში, ასეა, აბა, გრიშა, რა უნდა იყოს ამაზე კარგი?! — როდესაც ჭრელი ხალხის წინ მხოლოდ საკუთარი ნიჭის ანაბარი რჩები...

„მე რაღაც ჩრდილში გამოვდივარ... — გულდაწყვეტით გაიფიქრა ვასიკომ, — ეგებ მართლა გარიყული და უტობისტი ვარ...“

— ჩამოვასხათ თითოც, ვასიკო-ჩემო, ჩემო ძვირფასო, — თითქოს მიუხვდა შალვა, — შენი ცოდნით და გამოცდილებით, დარწმუნებული ვარ ორივეს მშვენივრად გვაჯობებ, ეს ჩვენ გაგვიმარჯოს, ჩვენ-ჩვენს ბუნდოვან მომავალს, ხომ არ გგონიათ, ამ ცნობებს რომ გაწვდით, დიდადა ვარ ამ საკითხებში განსწავლული? არა, უბრალოდ, ორიოდ ლექსიკონი გადავთვალიერე, მომაწოდე ეგ პური, და ბულმა მიგრძნო, რომ ამ საქმისათვის გამოვდგებით, მაგრამ იმ პირობით, თუკი ერთად ვიქნებით, ერთობაშია ჩვენი ძალა, ისრების ამბიდან ტყუილად კი არ წამოვიწყე ჩვენი შეხვედრა, ჩვენ სოფელ-სოფელ ვიაროთ უნდა, და არემარეს უნდა მოვედოთ, რადგან რომელი ცამეტი მეტრი, ანუ თანამედროვე ცირკის კლასიკური დიამეტრი გვეყოფა სასსპარეზოდ ჩვენ, სამ ძმა კეკერაძეთ, გავიფართოვთ უნდა წრეზაზი, წრე, და აღვიჭურვოთ ისეთისეთი დამხმარე იარაღითაც კი, როგორიცაა ბუფონადა, ფარსი, და კომედია დელ არტეს — იტალიურია ესეც, გრიშა! — მოქმედ პირებად გადავიქცეთ უნდა, და სხვადასხვაგვარი კლოუნობის საფარველქვეშ, ჩვენ-ჩვენ მისწრაფებები კომედია დელ არტეს ხერხებითა და საშუალებებით მოვაბეროთ ხალხს! ცუდს ვუზამთ ამით, თუ რა...

— კი მაგრამ, ვინ დაგვიჯერებს...

— რატომ... მაინც ზღაპრისათვის გაგვამწესეს და... — ჩაილაპარაკა გულდათუთქულმა ვასიკომ.

— დაგვიჯერებენ, მთელ ჩვენს ძალ-ღონეს თუ ამა საქმეში ჩავდებთ... რა, არა გჯერათ? გინდაც არ გჯეროდეთ, ძმა არ ვარ თქვენი? — აიღეთ და დამიმეთ ერთი ღერი თვე, დიდი ამბავი... მე ის უფრო მადარდებს, სიტყვა კლოუნს ქართული შესატყვისი რომ ვერ მოვუძებნე, რაზე არ შევჩერდი — მასხარა, ჯამბაზი, ოინბაზი, ბერიკა — მაგრამ ჯერჯერობით ვერაფერი მივუსადაგე, დროებით ისევ საერთაშორისო ტერმინი — კლოუნი ვიხმაროთ. სიტყვა ძალიან გამიგრძელდა და, მთავარ რაღაცეებს ორიოდ სიტყვით გეტყვით, ალფაბეტურად გადმოგილაგებთ, ანი! — კლოუნი ძირითადად ოთხნაირია, მაგრამ მუსიკალურ კლოუნებად ვერ გამოვდგებით, ეეჰ, დედაჩვენო და მამაჩვენო, რად არ გვატარეთ მუსიკაზე ყურით, თუმცა სად გქონდათ ამის შესაძლებლობა და თავი... მომთვინიერებლობას ვერ ვიტანთ ვერაფერში, რაღა დროს ჩვენი აკრობატიკაა და ნუგეშად გვრჩება მეოთხეგვარი, ანუ პირველი და მთავარი — მოლაპარაკე კლოუნობა, სწორედ ამ დარგისა ვიქნებით დიახაც და ფრიადდ, ბანი! — მხოლოდ ჩვენი ლაყაფისთვის არ შეგვიგროვდებიან და, გრიშა, ხომ გეგულება ვინმე ცირკის მსახიობი მეგობარი ქალი?

— რამდენიც გინდა, ეხლა სწორედ შვებულება აქვთ.

— ძალიან კარგი. და მთგან თოკზე მოსიარულეც ხომ არ გყავს?

— კი, კაცო.

ბურაბ დოჩანაშვილი
ცალ-ცალკე და ერთად

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ოო, შესანიშნავია, შესანიშნავი. ხომ წამოგყვება?

— სახალინზედაც.

— არა, შე კაცო, აქვე ავიყვანთ, სადმე, ზემო იმერეთში, ჩემო ბატონო. და ერთი ჟონგლიორი და-ქალიც წამოაყვანინე.

— არის.

— კარგი ხარ, გრიშა, შილიფად გამოწყობილი ქალები ხალხს მოგვიზიდავენ და ჩვენც ვისარგებლებთ ამით, განი! — მოსამზადებლად მთელი თვე გვაქვს და, რამდენსაც კი შევძლებთ, იმდენი თანხა დავაგროვოთ უნდა.

—რაც თბილისსა და იმის შემოგარენში აშლილი და დანჯღრეული როიალ-პიანინოებია, ყველას საათივით ავაწყობ.

— აუარება სკოლა-უმაღლესდამთავრებულთა ჯგუფურ და სოლო-ფოტოებს დავბეჭდავ.

— ძალიან კარგი. მეც, სადმე კერძო მუშად ვიმუშავებ და ვიშრომებ, დონი!..

და აი სწორედ აქ, ამ ყოფაში რომ იყვნენ, წამოადგათ თავთ ორი მოულოდნელი დევი და, სამთავე, ბოთლებდამამტკიცებელ-საბუთიანნი, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისათვის, სადაც ჯერ არს, ესე იგი, იქაურ მაღლივ სადევრში მიაბრძანეს. ეჰ...

3.

საშუალო ბუხჰალტერ-ინტელიგენტი გაიოზ ჯაში, წელიწადი-თერთმეტი თვე საქართველოს დედაქალაქ თბილისში ცხოვრობდა, ხოლო შვებულებას ატარებდა სოფლად.

აი, ხომ თითქოს ჩვეულებრივად უნდა მიდენილიყო მისი ცხოვრება — ზომიერი სმა-ჭამა, ძილი, გაღვიძება, ავტობუსი, ანგარიში, ოჯახი, დაძინება, რამე, მაგრამ გაიოზ ჯაშს ერთი უცნაური რამ ფრინველი სჭირდა. არავინ იცოდა იმა ფრთოსნის ასავალ-დასავალი, როდის რა მოეგუნებებოდა, ამისა ვერავინ უწყოდა რა. დაუბარებლად გამოგიცხადდებოდა: აი, ხს, ვთქვათ, მთელი დღის ანგარიშით თვალებაჭრელებული გაიოზ ჯაში ტელევიზორთან და სასარგებლო გადაცემას უყურებს; ან, ვთქვათ, არანაკლებ სასარგებლო გაზეთს კითხულობს, არა? — უეცრად, დაადფრინდებოდა ზედ ქეჩოზე ის წყეული, აღარც კითხვას ანებებდა, აღარც ცქერას, თავიდან ნელინელ, ჩუმჩუმელურად ჰკორტნიდა, აღარ და აღარ მოეშვებოდა, ხან ტაშიტუშს დასძახოდა, ხანაც ვაიმე-ვუიმეს, თავის ოთახში შეიპარებოდა გაიოზ ჯაში, მორცხვად ლუღლუღებდა დამეხსენ, დამეხსენ, ქალაღლის მადლმა, აბა რომელი ჩემი საქმე შენა ხარო, იხვეწებოდა. აბაა... გაგიგონია?.. ხვეწნა კი არა, ხმლით და მუგუზლით ვერ მოიშორებდი — უხილავი და აბეზარი იყო. თანაც, თვალთმაქცი — ჩასჩიჩინებდა: აი, აი დამიჯერე და აი ნახავ, თუ არ მოიგებ, მიჯექ, მიჯექ მაგ მაგიდასთან, ეგრე, მიდი-მიდი მოიმარჯვე ეგ ბატის ფრთა, ჩააწე, ბიჭო, სამელნეში, რა გეშინია, კი არ ეიკბენს, მიდი ჰა, ეგრე, და აი ნახავ, თუ არ მოიგებ, და თუ არ მოიგებ, მაინც ხომ არას წააგებო... ვაჰ, წაგება არ იყო განა ის მიგდებული გაზეთი? ანდა, წაგება არ იყო, სხვებს რომ ტახტრევანზე არხეინად უნდა ეკოტრიალნათ, გაიოზ ჯაში მაგიდასთან უნდა მჯდარიყო და სულ გიჟმაჟური სიტყვები ეძებნა... წაგება იყო, მა რა ჯანდაბა, სხვები რომ დომინოს ატყაპუნებდნენ და კარტობდნენ, ამას იმ ანც-მანც სიტყვების ძებნაში სულ თავ-პირი უნდა ემტვრია... ისე, ეს, ცოტათი თვითონაც უნდოდა... შემოიჩვია, რაღა.

ლექსი იყო, ჰო, —:

ქორს შეუყვარდა ქოროლი,
უთხრა, ჩემი ხარ, ტოროლი...

აი, ხო ვითომ ვერაფერია, არა? აი, ხომ ვითომ დიდი ვერაფერიშვილია, არა? ვნახოოთ.

ერთხელაც, აბა;

ქორს შეუყვარდა ქოროლი,
უთხრა, ჩემი ხარ, ტოროლი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

აი. ხო ისევ ვერაფერია, არა? რაღაცა მაინც არი. რა და, ცოტათი შორიდან მოვუაროთ, კარგი დედ-მამის შვილებო:

აგერ, ქვეყანა ხომ დიდია, ქვეყანაზედ კი ადამიანები დადიან — ერთი, ორი, ერთი, ორი, ჰაიდაა, მიდიი... მაგრამ ვის საით გაუწევია, ან რას აპირებს, ერთიმეორისა ნაკლებად უწყიან. მით უმეტეს რომ, ზოგმა თავადაც არ იცის, საით მიჩინდრიკობს. მაგრამ სუყველას რაღაცა გვინდა... აი, ზოგზოგებს რომ რაღაცები გვინდა, აის ცუდია, ზოგიერთებს რომ გვსურს — ის კიდე, კარგი. მაგრამ რა რაა და ვინ როგორი, მიდი, გაიგე... ლამის ძნელია. რაღაც-რუფაცებს რადგან ძლიერ ესწრაფვიან, კარგი ჭგონიათ და შიგადაშიგ ისე არიან ფუჭ-კუდიანის ხელით დაქოქილ-გაფაციცებულნი, ქვეყნის საცქერლად დრო აღარ რჩებათ, მაშ. ქვეყანა კი სავსეა, კარგი. სულ შენთვინა დგას, სხვები არას გიშლიან, ყველამ უცქირეთ რამდენიც გინდათ, ვერ აიტანს თუ რა. აბა, საქმეა — უშენოდ თენდება, უშენოდ ბინდდება, არაფერ შუაში ხარ; სულაც არ იცი და მამალი ჰყიღის, წვიმა სველია, სხვა არაფერი, აეს, საქმეა? ზოგნი არიან, არც დაიჯერებთ, სხვისა კარგი ჰშურთ და, სულ იმისი დარდი არ ექნებათ, როგორ ამოდის მარიხ-ვარსკვლავი? ან, მე რომ ვქაქანებ, განა მე ვიცი... ეგეთები ვაართ. ისე კი, ბევეკუთვნის თუ არა, მაინც რო სუ ხვავი და ბარაქა გვინდა? ენატრობთ, ენატრობთ და ვისურვილებთ კიდეც: ჭირი იქა, ლხინი აქა, ქატო იქა — ნეტავი სად იქა — ფქვილი აქა, მთას ურემი ავაგორე, წამოვიდა გორებითა, აქ სიცოცხლით გამოძეხით, საიქიოს — ცხონებითა, ვიშ! ტაშია!! ფანდური!!! რამე... მერედა, ამას რით ვიმსახურებთ — წავიდა, მოვიდა, მოიტანა-თი? მაშინ მეც წავალ, მოვალ და მეც მოვიტან, თხა თხაზე ნაკლება რა ვთქვი, ის თუ წავიდა, მობრუნდა და მოიტანა, მე ვეღარ წავალ და ვერ მოვიტან? მაგრამ რას... აეგ ხანდახან არ ვიცით ხოლმე.

ჰოდა, მივდივართ, და სად მივდივართ, მოგვაქვს, მაგრამ რა, გვინდა, გვაქვს კიდეც და აბა სად არი; ერთი თაგვი იყო, ბევრი ოქრო ჰქონდა, ძლიერ მალავდა, ათასში ერთხელ ჩუმ-ჩუმად თუ ამოამზეურებდა, ბრჭყვიალზედ შიშინა სტკბებოდა, მიწაში ღრმად, შიგნი-შიგან დამალავდა ისევ, ბოლოს სხვასავით მოკვდა და ოხრად დარჩა, მე თუკი მკითხავთ, სიცოცხლეში სულ ტყუილ-უბრალოდ ღელავდა ისა, ვწვალობთ, ვჯახირობთ, ნეტა, სწორნი ვართ? ეგეც თავს სულ მეტ-მეტობით ვიტკივებთ და, არ დაგვაღონოს ამდენმა ფიქრმა; გამოსავალი? — საბრალო დედაბრისასაც კი, დიპლიპიტო. ადგილობრივები ვაართა. სხვა რაღა უნდა გვინდოდეს ნეტავი, ჰა?: თრახ! — ირგვლივ კედლები, ჭიშკარზედ შიგნიდან მსუყე ბოქლომი, მოხერხებულ თავზედ ჭერი, მუცელზედ ღიპი და თრახ! — ჯიბეზედ თანხა, კაცოო, კაცოვ, ეს მაინც რამდენს გადავახტით ნაკლულ თავზე, მაგრამ ერთი ეჭვი მაინც, მაინცა გვაქვს — რაგინდ გავდიდდეთ, გავიბერეოთ და გავიბღინძოთ, ეგებ ზემოდან ცოტათი უფრო პატარები მოვჩანვართ, ჰაა? რა იცი, აბა, ქვეყნად რაები აღარა ხდება...

მაგრამ ხანდახან ისეთი სუსხი შეგვიპყრობს ხოლმე, განსაკუთრებით, სხვების მიმართ — რას დაჩალიჩობთ, აბა რას მიედ-მოედებით, ანდა რაში ჰფლანგავთ სულ სხვა რამისთვის ბოძებული გონებასა და დროს, ღირებულს რასმეს — სულაც არ უფრთხილდებით, სისულელეებს — დაჰკანკალებთ, არც სიზმრისა გწამთ და არც ცხადის, და რაგინდ არ უნდა ელოლიაოთ და გამოიკვეთოთ ამტანმუცლიანი სხეული, ბოლოს, იცოდეთ, მაინც გვიმტყუნებს, რადგან ვცვეთთ და ვცვეთთ... ვთქვი მეც ახალი რამე, რა-

გურამ ფოჩანაშვილი
ცალ-ცალკე და ერთად

ღა... მაგრამ რა ვუყოთ, ეს შეხსენება ყველას გვჭირდება და, ბარაქალა შენ არცთუ ძალიან იშვიათო, მაგრამ მაინც გამონაკლისო, გაიოზ ჯაშო!

აგისხნი, რატომც ბარაქალა შენ. —

გაიოზ ჯაშო,

სხვა რომ ოხრობას ჩაიფიქრებს და იყინება, შენ იმ დროს უცნაური შუქით გითბება კუმშვადი გული, თქვენ ლექსებსა ჰსწერთ. თანაც, მალვით,

პატივცემულო გაიოზ,

ვგონებ, არა აქვს გადამწყვეტი მნიშნელობა იმას, თქვენი ლექსები ძლიერ კარგია, ნამეტურ სუსტი თუ მეტისმეტად საშუალო. მთავარი მაინც ისაა, ადამიანი სამელნეს რომ შეავსებს, ახლოს მიიჩოჩებს და მოძიებულ ბატის ფრთასაც წამოავლებს ოდნავ, ცოტათი ათრთოლებულ ხელს, უკვე კარგია. რაღაცა ხდება! არცთუ ისე ჩვეულებრივი,

გაიოზ ბატონო,

ეგ არაფერი, ბატის ფრთებით ჯუჯა დიდკაცებს ათასნაირ დადგენილებაოხრულ-წესდებაზედ რომ მოუწერნიათ რეგვენი ხელი, ეგ თქვენი საქმე და ბატის ფრთა ძალიან სხვაა, თქვენ სხვანაირი ფრთოსანი გიწიწკნით ლტოლვით შეძრულ სულს,

დიდად პატივცემულო გაიოზ,

თქვენივე სული გაჯანჯღარებთ და არ გასვენებთ, თქვენ სულის ქლიბით იცრეცთ და ებრძვით გისონურ ნაღველს, საშველს დაეძებთ. ლექსის კაცი ხართ, მაგრამ ეგიც სულაც არ იცით, თავისუფლება რომ ძლიერ გიყვართ, მაგრამ სადაა ასეთი ლექსი, თქვენ კიკოლივით ღამე-ბნელში დაბოდიალობთ, და ცადაწვდილი კოცონის ნაცვლად მისუსტებულ ციცინათელას თუ წაყწყდებით სადმე, ხომ მაინც კარგი,

ღრმად პატივსაცემო გაიოზ.

იმ ძიებაში თქვენი სულიდან ვიღაცა თითქოს ხის კოვზით ხაპავს ყოველნაირ უწმინდურებას, ნათლით ივსებით; კაცი რომ ლექსებს წერს: რაღაცა უყვარს, ანდა ვიღაცა, ორთავ — კარგია,

ბატონო გაიოზ,

თქვენ სხვებსეიფ ეშმაკისაკენ ვერ გაგიქცევათ შეყვარებული თვალი, რადგან კეთილი ტარტაროზი დაგუფლებიათ, იმ თქვენს სამშეში ტარტაროზიც კი შეიძლება კეთილი იყოს, ლექსის წერისას რაღა არ ხდება, და, სიყვარულის გამოისობით, თავად ბრძანდებით —

მცირე უფალი გაიოზ,

რა მოხდა მერე, სუსტ ლექსებს რომ წერთ, მთავარი მაინც ისაა, უცხო ნაკვერჩხლები რომ გიღვივით გულში, სულშთასაბერი; ისიც არაფერი, ხანდახან ჩუმად თავი რომ მოგაქვთ, დიდი ამბავი, ცოტ-ცოტას ყველანი ვიპრანჭებით, ეს პოეზიის და-ქალია — შიგადაშიგა არტისტიზმი, სამაგიეროდ ეჭვებიც ხომ გლრღნით, ეჭვებზე — შემდგომ, საქართველოში ძალზედ ძნელია ლექსების წერა, და მაინც, მაგრამ, რა უჭირს მერე, ხანდისხანობით,

ქორს შეუყვარდა ქოროლი,

უოხრა, ჩემი ხარ ტოროლი... — ს.

გაიოზ ჯაში ფარულ ლექსებს ქურდულად წერდა.

4

გათენდა. მშვიდობის დილაა.

საქართველოს ერთ-ერთ რაიცენტრ საჩხერეში ჩამოდგა მატარებელი, ბულის გამხარებელი და, სხვათა შორის, ჩამოიყვანა სამი ძმა კეკერაძე — შალვა, ვასილი და გრიგოლ.

სხვათა შორის, ცუდად არ დახვედრილან: ჩაპბერეს ვაზხირებმა ღოროტოტოებს და გამოიფინნენ ძმათა საპატივცემულოდ შირაზის ვარდებით მორთულ ბაქანზედ და შეეგებნენ ძვირფას სტუმრებს დიდი ხონთქარი თავისი ქალით და ჩრდილოთ ხელმწიფე, ზღვათა მეუფე თავისი სამთითათი და პლატინის თევზი, საგანგებოდ გაკრეჭილ-გაპარსული ცხრათავიანი ბაყბაყდევი მუხლთან დაკრული ლეიკოპლასტირით, მოთვინიერებული თოვლის ადამიანებიც რიდით წარუდგნენ, იქვე გასუსულიყვნენ ნახევარქათამა და ხან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დახანუმაშვილი ოლეგ კოწიას ძე, ბოთ-ლიდან პატიოსანი სიტყვით ხანმოკ-ლედ გამოშვებული კვამლ-დევთბიძა და ქონდრისსაკაცების ზორბათ-ბელადი, ერთი კუდიანი და ერთიც უკუდო დე-დაკაცი ფერხთით სულ ოქრო-ოქრო-ებს უყრიდნენ, ვასიკოს გამორჩეულ-ად მიართვეს დიდი ვერცხლის ლან-გრით თვით სტენდალისაგან (ანრი ბე-ილი) გამოგზავნილი წითელი და შავი ხიზილალა, დამხვდურთა შორის გა-ფანტულიყვნენ თვით ფადიშაჰი და იმ-ისი მზეთეხახვები, მუქი სათვალე ეკეთათ, ჩუღურეთელი დიპლიპიტო და იმისი დასტა, გუნდი და გუნდი კინოვარსკვლავთა, ძველ რომაელთა საპატიო ყარაულ-კოჰორტები და... და... აბა რას მივედ-მოვედებით, იმათ არავინაც არ დაჰხვედრიათ, ისე ჩავ-იდნენ; აბა ვინ უნდა დახვედროდათ აიმძმებს იქა? ერთი ყმაწვილი წაკუ-ზულიყო და ფეხსაცმელზე თასმას იკ-რავდა, და ვიღაც ქალი ოხრახუშს ჰყიდდა, ეს იყო და ეს; მაგრამ არც უშვიენია, არც უქუხნია და მზე მაღლა იდგა — როგორცა ჩანდა, იქაურობამ მიიღო ძმები.

და თითქოს ამის სამადლობლად, მთგან საშუალომ თუმც უნებურად, მაგრამ მაინც მსხვერპლი შესწირა — დაიხედა ვასიკომ და, ერთ-ერთი ღილი აღარა ჰქონდა. ოღონდ პიჯაკზე.

მაგრამ ან იარ ვასილ ჯაბანი, „ერთი ღილის ოხერი ფოლაქის დედაც ვატ-ირეო,“ გაიფიქრა.

კარ-გია საქართველო, რა თქმა უნ-და, სიჩხერეც. მიმოიხედ-აიხედეს და დაინახეს მთები, მთის დანახვას რა უნ-და საქართველოში, არაფერი, თვალი, თუმც თვალი როგორ თუ არაფერი, თან მთები აქ რაღაცნაირად სხვა იყო, ზემოომერული სითბოთი გამსჭვალუ-ლი, აქ რბილი იყო თითქოს ყოველივე, დამყოლი თავაზით გაჟღენთილი, ადა-მიანები, ცაც, და ერთი სული კი ჰქონ-დათ, დამდგარიყვნენ და ეცქირნთ, მაგ-რამ ურჩი სხეული რადგან თავისას ით-ხოვდა, გაიკითხეს და პირველსავე „ქაფე-თესე“-ში შევიდნენ და ისაუ-მეს და გადარჩენენ, არც დაწამლულან და არაფერი, მართლა ისე კი არაა საქმე, ძიძის რძესა და მამის ჩაივით შეერგოთ გულიაში და ქაბაბი.

მაგრამ ხელოვნება თუ რაღაც ამგვარიც რომ თავისას ითხოვს? იმა-თაც, სხვა რომ ვერაფერი შეირჩიეს, აიღეს და კულტურისა და დასვენების პარკში შევიდნენ, ვეება ზურგჩანთები ახლოა მოიხსნეს, წინ დაილაგეს, მერ-ხზე ჩამოსხდნენ, და თავიდან კეთილ-განწყობით კი ათვალიერებდნენ მოცა-ემული ბაღის ფლორას, მაგრამ გრიშამ ბოლოს მაინც ვეღარ მოითმინა:

— გამაგებინა ერთი, რატომ ქვია ამ პარკია თუ რაღაცას კულტურულიც, გამაგებინა და მომკლა შავი ხმლით მერე.

— აბა? — მსწრაფლ დაეთანხმა შალ-ვა, — დასვენების რომაა, კი ბატონო, ვზიავართ, მაგრამ კულტურა რა შუ-აშია...

— კულტურა სულ სხვა რამე არ-ის, — მოიწყინა ვასიკომ.

— ჭადრაკს ვთამაშობთ, ბატონო, აქ, ისე კი არაა ის...

მიმოიხედეს, არავინ ჩანდა.

— პარკის ადგილის დედა იყო, — მეყსეულად მიხვდა შალვა.

— რამ გამადევდავ, ბატონო — თქვა ციდან ჩამოვარდნილმა იქაურ-რკინიგზელმა. იმავე მერხზე იჯდა და უკიდურესობამდე გადაშლილ გაზეთს დაკვირვებით ჩაჩერებოდა, არც აუწე-ვია თავი, — აგერას, გაზეთსაც კი ვკი-თხულობთ. მშვენიერი და კარგად.

— რომელი კულტურა ჭადრაკის თამაშია, რაში გაგყავთ, თუ იცით, ძვირფასი დრო? — ზომიერად აღელდა ვასიკო.

— აბა, არ ვარგანა ჭადრაკი? — კვლავაც თავაუღებლად იკითხა რკინ-იგზელმა, და თავადვე იპასუხა: — მოშაშებმაც კი შემოიარეს მსოფლიო

ბუბა ფოჩანაშვილი
ცალ-ცალკე და ერთად

ეროვნული ბიბლიოთეკა

და იჯექით აგერ ამ ბაღში თქვენ... — და ამბეს შიგ კაკალ გულში მოარტყა: — მაინც უფასოდაა და...

„ამისი წარმოსახვა რა ვთქვი... — მწარედ გაიფიქრა ვასიკომ, — ასეთებია, ლიტერატურას თავისი ჭკუით წყალს რომ ფუნებენ... ნაღდი ურჩევნიათ, გენაცვალე, ნაღდი...“

— თუ შეიძლებოდეს, თავაზიანად ილაპარაკეთ, — გაუმკაცრდა რკინიგზელს გრიშა.

— რა ვთქვი ახლა მე მაინცდამაინც ისეთი, — არ დაიხია კაცმა. ანდა სად უნდა დაეხია, ზურგიან მერხზე იჯდა, — კულტურაზე ჩამოვარდა ლაპარაკი და, მოგახსენეთ მეც ჩემი აზრი. კრიტიკა ადვილია, ბატონო, რას ჩაავლედით ამ ოხერ ძვირფას ჭადრაკს.. ამა და თუ კი და მაგარი ბიჭები ხართ, გაზეთი რატომ ვერ ახსენეთ აუგად? — შეიცადა, — გეტყვით, — მაღლა ასწია თითი, — კულტურული ცხოვრების ქორნაკებიცაა შით, და იმიტომ.

— განვედ. ო, განვედ, — ჩაიილაპარაკა შალვამ, მაგრამ კაცი არა ჰსცხრებოდა: — ჯადრაკი არ ვარგაო, უიმე, უიმე, სულელი ყოფილა ამა ფედერაცია, ფიდემ რომ გაიგოს ეს, გადაირევა მთლად, ჩემთან კიდევ არა უშავს და, უცხოსთან არ წამოგცდეთ ეს თორემ მოგვეჭრება და ისაა ქართველებს მსოფლიოში თავი, კულტურა არ ვარგებულაო, რა გაიგონა ჩემმა ყურებმა, რა გავიგონე, რა გავიგონე ეს, — და გაქრა.

ზღაპარ იყო...

ამოისუნთქეს, და რადგან შეცბუნების ნალეკი არ უნელდებოდათ, სიხალისის მოპოვება სცადეს:

— როდის ჩამოვლენ ის ქალები?

— ზეგ, ზეგ ჩემი შალვა, — გამოცოცხლდა გრიშა, — მანამდე ალბათ დავბნაკდებით, მივიხედოთ იმ სოფლად, მოვიხედოთ, მოვეწყოთ კოხტად, აბა მანამდე ტყუილად რატომ უნდა გავაწვალოთ ქალები.

— აჰ, ქალების ტყუილად წვალება არ შეიძლება, — თქვა რკინიგზელმა, ისევ იქ არ იჯდა, ოხერი?! — ქალი რომ ტყვილა გააწვალო, ისეთს გაწვალდები აქეთ...

— კაცო, შენ მოგზავნილი ხომ არ ხარ? — სუსხიანად დაეკითხა შალვა.

— აბა რა ვარ, — გაიკვირვა კაცმა, — თქვენ მარტო თქვენი თავი გგონიათ საჭირო? — და, შეაპარა: — როგორ, ბატონო, თქვენი ამბისათვის სულ არ გჭირდებათ გაკვრითი პერსონაჟი?

„უყურე ამას, რაღაცები ამასაც სცოდნია,“ — კმაყოფილადაც კი გაიფიქრა ვასიკომ. მაგრამ რკინიგზელი ისევ ზედმეტად გაუშინაურდათ — მერე რა, რომ ზღაპარ იყო, ნამეტანი არც იქ ვარგა არაფერი:

— კაი ქალებია ის თქვენი ქალები?

აღშფოთებული გრიშა სანამ რაიმეს შეუძახებდა, მერხის მეორე კიდიდან შემოესმათ:

— კაი იქნებიან, აბა რატომ არ იქნებიან ვითომ კაი ქალები ამათი ქალები, ტანი ამათ არ აკლიათ და ფეხი.

გაკვირვებულებმა მიიხედეს: მერხის იქითურა კიდეზე ადგილბრივი ძალებიდან ვიღაც მეორე იჯდა, საყელოში ცხვირსახოცი ჩაეფინა, ფეხი არხეინად გადაეკვანტილებინა ფეხზე, გვარიან მუცელზე ითამაშებდა ცალი ხელის თითებს, მეორე — კეფაზე შემოედო, იყურებოდა წინ.

„გარემოცვაში ვართ,“ — გაიფიქრა გრიშამ.

— ნუ იცი შენ მასე ყველაფრის გადაჭრით თქმა, კოლია, — არ შეეპუა რკინიგზელი და ძმებმა ახლა იმისკენ იქცივს პირი, — ვითომ ჯერ არ მომხდარიყოს ისეც, მშვენიერი კარგი დედმამაშვილს გლახა ქალებთან რომ დაეჭიროს საქმე?

— სად გაგიგია მაინც...

— კიკოლიმ რომ ქალი მოიყვანა — მოგწონს?

— რა უჭირს ვითომ...

— არაფერი უჭირს, არა? — დაანამესა რკინიგზელმა, — შემომხედე თვალში.

ძმები ისე მალიმალ აბრუნებდნენ თავს, გეგონებოდათ, ის მერხი თანამედროვე ჩოგბურთის კორტებზე იდგა.

— მდი მერე და უთხარი პირში.

— მამასხარავებ, კოლია?

— რა გამასხარავება შენ გინდა, მასხარი ხარ ისეც...

— რაო? რააიო...

— რაო და რომ დაყვები ქვეყნის რკინიგზას ზემოთ, ქვემოთ და იქით...

და გრიშამ უცებ იაზრა — დაამრო ჯიბიდან სავარცხელი, გადატეხა შუაზე, ერთი ნახევარი ერთისკენ მიაგდო და მეორე — ეგრეთ წოდებულ კოლიასკენ; ამოიზარდა მაგრამ რას ამოიზარდა მშვენიერი მთები... ჩამოეფარნენ ადგილობრივ ძალებს.

ახლა, ყოველთვის ნუ მათქმევინებთ, რომ ზღაპარ იყო...

— ბარაქალა, გრიშა, — მოუწონა საქციელი უფროსმა ძმამ, შალვამ, — ძალიან კარგი ვქენით, რომ მოვითმინეთ და არ ავყეკით.

— ხომ მოვილაპარაკეთ და, — ისე თქვა გრიშამ, ვითომც დიდი სიტყვის კაცი იყო, — აკი დავთქვით რომ, მთელ ღონეს იმ სოფლისათვის შემოვინახავდით და რატომ უნდა ავყოლოდით ვიღაც...

— ვიგინდარებს?! — სადღაც შორიდან მოისმა რკინიგზელის ხმა.

— ძნელი ხალხია, ძალიან ძნელი, — აღნიშნა შალვამ, — მაგრამ ვენაცვალე.

ძალიან პატარა სახედარმა კარგა მოზრდილი, სურსათის ტომრებით სავსე ურიკა ჩამოატარა. საკვირველი ის იყო, არავინ მიერეკებოდა, ალბათ უპატრონოდაც მოეწესენებოდა თავისი საქმე და გზა-კვალი. ისეთი პატარა იყო, ერთის შეხედვით ჩოჩორი გეგონებოდათ, მაგრამ თვალებში ისეთი სევდა ედგა, მკფიოდ ეტყობოდა, ცხოვრების აქამდეც კრძელი და მოსაწყენი ბილიკები რომ ჰქონდა განვლილი. მოსახვევი კი აბა რისი მოსახვევია, მიეფარა თვალს.

— ჯამბაზებს შემოვევლე და ვენაცვალე, უხხ, — მთელის ეშხით აღნიშნა შალვამ, — ეგენი იყენენ ჩვენთვის სანუკვარი კომედია დელ არტეს წინამორბედნი და საძირკველის ჩამყრელნი, და ახლა ჩვენც კი გვიდგას და გვათბობს იმათი შორეული სულის ნაწილი, ხოლო ერთი რამ ყოველთვის, მუდამ უნდა გვახსოვდეს!

— რა...

— რომ ჯამბაზები თავისუფლები იყვნენ.

— ნამდვილად იცი? — მორიდებით დაეკვდა გრიშა, — თავისუფლება არცთუ ისე ხშირი ჩიტია...

— როგორ თუ ნამდვილად, — გაიკვირვა შალვამ, — აბა ტყუილად ვიკითხე იმოდენა დამხმარე ლიტერატურა? სუყველაფერი წარმომიდგა და, მოდით, აბა თქვენც, შეძლებისამებრ დაიძაბეთ და მეთერთმეტე საუკუნის იტალია წარმოიდგინეთ... ცხოვრება მხოლოდ ახლა კი არა, მაშინაც დუღდა, ხოლო ქალაქის ფერადი გული მთავარ მოედანზე ღონივრად ფეთქავდა, ფეთქდა, რადგან სწორედ იქ ტარდებოდა დიდი ბაზრობა, და იქვე იყო ათასნაირი ქარგასლა-სახელოსნო, საიდანაც რომ კაკუნს, ქლიბვა-ხერხვისა და შრიალის ხმა მრავალფეროვნად გამოდიოდა, იდგა ზანზალაკების ერთი წკარუნი, დიდი ზარებიც — ჟღერდნენ, მაღალშადრევნიანი აუზის ირგვლივ დაიარებოდნენ მოქალაქენი, სოფლელები და სასულიერო პირნი, გლეხები თავიანთი ჩარდახიან ურმებთან იდგნენ და ცინცხალ ჭირნახულს სთავაზობდნენ გამვლელ-გამომვლელთ, ჯერჯერობით სხვის, ჯერაც გაუყიდავ პირუტყვს მოჩვენებითი გულგრილობით უტრიალებდნენ მამაკაცები, ქალებიცა და ქალწულებიც ერთნაირად სახეანთებულნი ჭვრეტდნენ ზღვისიქითიდან ჩამოზიდულ სამკაულსა და ტანსაცმელს, კოხტა, მსუბუქი თასები პირთამდე ივსებოდა და მძიმდებოდა ყოველად უშაქრო ღვინ-

გურამ დოჩანაშვილი
ცალ-ცალკე და ერთად

ით, სატკაცუნებლები იქაურობას იკლებდნენ, სახეს ცივი წყლით იბანდა გალახული დამწყვი ჯიბგირი, ვერ იყო კარგ გუნებაზე, დიდგვაროვანის მორიგ მითითებას სულ ტყუილ-უბრალოდ გაჰყვიროდა გულგრილად აღგზნებული ხელფასიანი მაცნე, აჰ, რიარია და ორომტრიალი იდგა ისეთი, გადასარევი, მაგრამ ერთგან, სადმე ჩრდილიანში, ყველაზე მეტი ხალხი ეუჩდებოდა, და სწორედ იქიდან მოისმოდა გულიანი სიცილი და ბედნიერი შეძახილები, იქ, მოყვარული ხალხის წინაშე, თავისუფალი მაწანწალა — თვით ჯამბაზი, გამოდიოდა.

შემაღლებულზე უყვარდა დგომა.. ჯერ ეს ერთი რომ, უკეთ მოჩანდა, დაა, მეორეც, ხელოვანთაგან გულის სიღრმეში ალბათ ყველამ იცის ღირსია ამაღლებისა თუ არა, ჩვენი ჯამბაზიც კასრს, ან ცარიელა ყუთს რასმე შეირჩევდა ა, კოხტად შედგებოდა ზედ; ხალხის წინაშე ლაღი სიტყვისა და ქცევის კაცი — შვებად მოარული ჯამბაზი იდგა, შემხდენილ სხეულზე მჭიდროდ შემოტმასნოდა ჭყიტელა სამოსი, ქუდში უცხო ფრინველთა მბზინავი ფრთები გაერჭო, ზურგზე გიტარა ირიბად ჩამოეკიდნა, მხარზედ კი პაწია მაიმუნი ეჯდა, რომელიც დიდის მონდომებით ემანჭებოდა ხალხს. ჭეშმარიტ ჯამბაზს რთული მალაყებისა და ხტუნვა-თამაშის გარდა, სიმღერა, ცეკვა და დაკვრაც აუცილებლად უნდა სცოდნოდა — მაშინ ჯერ კიდევ სრულიად მარტოკინა იყო — და, რაც მთავარია — სიტყვა-პასუხი. იდგა იქ, კასრზე და ყოველნაირ მოულოდნელობას სხარტად, მახვილგონივრულად პასუხობდა, გაუჭირდებოდა თუ რა — თავისით ნიჭიერი იყო. სევდაც იცოდა: ბოლოს გიტარას გადმოიღებდა, მაიმუნს ფეზზე მიიბამდა — მხარზე რაღა ემაიმუნებოდა, რადგან გიტარის თანხლებით დამწუხრებული მღეროდა, თუ როგორ მოკვდა გმირი ჰექტორი.

— ვიინ? ჰექტორი?! — ძლიერ გამოცოცხლდა ვასიკო.

— აბა?! დამხმარე ლიტერატურაში წაგიკითხე, რომ ერთი ჯამბაზი ნიმღერით როგორც კი მიადგებოდა იმ ადგილს, სადაც ჰექტორი იმქუსლიანმა უნდა მოჰკლას, თურმე ერთი ვენეციელი თითო ოქროს უზდიდა ჯამბაზს მხოლოდ იმისთვის, რომ შეეწყვიტა სიმღერა.

— ეს ვითომ, რატომ?

— რატომ დაა, გრიშა, ერთი დღით კიდევ რომ გაეხანგრძლივებინა ჰექტორის სიცოცხლე... აი, ასე მძაფრად სჯერდათ ჯამბაზის მონათხრობისა.

— შენ ბედავ, კაცო? მერე...

— მერედა, იქამდე, იხადი თურმე ფული, სანამ მთლად ჯიბეგამოფხეკილი არ დარჩა. აბაა, ჩემო ვასიკო...

— და ჰექტორიც... მოკვდა?

— კიდევ იტყვით, თანხა საპირო არაა? — წამოიძახა გრიშამ.

— მაგას ვინ ამბობს... — უთხრა შალვამ და ისევ ვასილს მიუბრუნდა, —რაღაცა მკითხე?

— და ჰექტორიც-მეთქი... მოკვდა?

— იმ ვენეციელისთვის, კი.

— ვენაცვალე, ვენაცვალე! — ძლივს თავისებურად არ აღფრთოვანდა ვასიკო? — მკითხველი, აი მესმის! — ბედნიერებას ვეღარ მალავდა: — სულ ჩემი გემოვნებისა არ ყოფილა, კაცო? მთელ ჰომეროსში ჰექტორი ჩემი ყველაზედ მეტად საყვარელი გმირია, რადგან ოდისევსი კარგა გაქნილი და ცბიერი იყო, თავის დამცირებაც კოხტად შეეძლო საჭიროების შემთხვევაში.. აქილევსის გმირობებითაც არ ვარ მაინცდამაინც გადარეული — შე კაი კაცო, თუ მშვენივრად იცი, რომ ქუსლის გარდა სხვაგან არსად არაფერი წაგეკარება, გადაეშვები გულადურად, აბა რა იქნება, შუაგულ ომში... ახლა, მე რომ მითხრან, გადახტი, ვასიკო, გენაცვალე, თერთმეტსართულიანიდან და ნამდვილად არაფერი დაგიშავდება, საღსალმათი, ნარნარად დაეშვებიო, და თუა ის მთქმელი ნაღდი სიტყვის კაცია, გადავხტები აბა რას ვიზამ და, ხოხო, რა ვაჟკაცი ვიქნები, ბიჭო?!.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერედა, იმ ცალ ქუსლსაც რომ ვერ მოუარა, ეს იყო საქმე? მაგრამ ჰექტორის ცოდვამ უწია... თანაც გაქანებულ ომში ვიღაც ქალის გულისთვის აიღო და გაიბუტა, წამოწვა სადღაც მხარეთქოზე არხეინად, განზე. მაინცდამაინც პატროკლე უნდა მოეკლათ, რომ განრისებულიყო? იფ... პატროკლესათვის წვიდა თავიდან ომში? არა, აჰ... თუ იბრძვი, გენაცვალე, იბრძოლე, რას მიჩერებიხარ და ინაწილებ არჩევანარადანზე სხვადასხვანაირი მონაცემების ქალებს... აი, ჰექტორი, კი, ჰექტორი, — სიამაყით გაიბადრა კიდეც ვასიკო, — კანონიერი მეუღლის სანახავადაც კი ვერ იცლიდა, ნამდვილი გმირი თუკი ვინმე იყო მთელ ტროას ომში, ვინ და, ვენაცვალე, ჰექტორი! ქარაფშუტა ძმის ვნებიანობისა გამო მუდამ პატროკლეს, აქილევსის, ოდისევსის, აგამემნონის კოტიკას სამართებელივით ალესილი ხმლის ქვეშ...

— კოტიკა ვიღაა... — დუნედ იკითხა გრიშამ.

— პარიკმახერია ჩემს გვერდით ერთი. იმას ვამბობდი, იმ ვეშაპების ხმლის ქვეშ ჰქონდა ნიადაგ თავი, და ერთხელ, როგორც იქნა და მოიცალა და ცოლ-შვილს დახედა, ისე იყო გადაღლილი, გატანჯული, სისხლსა და ტალახში ამოთხვრილი, ეს მოხდენილი ვაჟკაცი ადამიანს აღარა ჰგავდა, და შვილი ხელში რომ აიტაცა, იმისმა შემხედვარემ, შეძრწუნებისაგან იტირა ბავშვმა! რა ხასიათზე დადგებოდა?.. და ყველაფერი ეს — სხვისი გულისთვის!

— ესეა არის ბიჭო, ძმა? — გაიკვირვა გრიშამ და მერე სიცელქემ დარია ხელი, — ახლა, მე რომ ქალი მოვიტაცო და დიდი შეხლა-შემოხლა ატყდეს, ჩემთვის არ გამოიღებ ხელს?

— შენ ქალს არასოდეს მოიტაცებ, — ცივად წარმოსთქვა ვასიკომ; ნაწყენი იყო, აღფრთოვანება რომ გაწყვეტინეს, — ქალი ისეთი სულელია, შენისთანას თავისით გამოყვება.

ახლა გრიშა გაბრაზდა:

— როგორ თუ ჩემისთანას! როგორ გავიგოთ ეს...

— როგორც გენებოს, ისე გაიგე.

გრიშა აღელვებისაგან სულს ძლივს ითქვამდა:

— რა ძალიან მოგაქვს რომ მოგაქვს თავი! დიდი ამბავი, მკითხველი თუ ხარ... შენ რომ ასე ძალიან იპრანჭები, მწერალმა რაღა ქნას! ის თუ ვეფხვია, შენ კატა, კატა!

— ჯერ ეს ეგ ერთი, არ ვიპრანჭები, — მოულოდნელად დინჯად მიუგო ვასილმა, — მეორეც ის რომ, მწერალი ძალიან ბევრნაირად სხვადასხვანაირია, და, მესამეც რომ, მკითხველთა წრიდანაა მუდამ გამოსული კარგი მწერალი, და რაგინდ დიდი ვეფხვი დადგეს, ვეფხვზე მაინც ამბობენ, კატის ოჯახიდანაო, დიახ. — შეიცადა, და: — ხოლო ტროას ყველაზე ცნობილი გმირებიდან, აგამემნონიც, რბილად რომ ვთქვათ, ვერ იყო უბიწო კაცი.

გრიშა დაიბნა, და მერე ისიც შორეული აქილევსივით გაიბუტა ქალის გულისთვის.

— შენი ჭირიმე, ვასიკო, — გაბადრულიყო შალვა, — სწორედ შენთვისაა ზედგამოჭრილი კომედია დელ არტეს ოთხი მთავარი როლიდან ერთ-ერთი ყველაზე ძნელი. რომელი და, — სწავლული, ანუ დოქტორი. მართალია, შენც იმისავით სასაცილოდ უნდა აურიო ერთმანეთში ძირითადად ჰუმანიტარული ცოდნის ნაფლეთები, და ათასგვარი სიშტერეებიც უნდა იძახო, მაგრამ ამას მაინც კარგი განათლება უნდა, სწორედ ისეთი, შენ რომ თავისუფლად მოგეძეგება. თამამად ვამბობ: გამოდგები, კი, და შენიც დიდადა მჯერა, ჩემო გრიგოლ, მაგრამ გამაჩერეთ, გამაჩერეთ, ისედაც ძალიან შევტოპე ახლა, კარგია, კმარა, აკი დაგპირდით რომ, იმ სოფლამდე ჩვენს

გურამ დოჩანაშვილი
ცალ-ცალკე და ერთად

მომავალ საქმიანობაზე კრინტს არ დავძრავდი, დღევანდელი დღე აქ გავატაროთ როგორმე, ხვალ კი უთენია დავდგებით გზას, გათენებისას უნდა შევდეთ იმ სოფლად, რომელიც მოგვეწონება და იქ დავბანაკდეთ, ხოლო წარმოდგენები მეზობელ სოფლად უნდა გავმართოთ, რადგან — მაყურებელთა გვერდით თუ დაიძინებ, გაიღვიძებ და სმა-ჭამას მოჰყვები, შეგიშინაურდება და შენსას აღარაფერს, განსაკუთრებით კი ხელოვნებას აღარ დაგიჯერებენ, რა ვქნა, ასეა ხალხი მოწყობილი, გენაცვალე. ჯერჯერობით კი ნებისყოფიანად ჩავიკმინდოთ ხმა, ვისხდეთ წყნარად აქ და ამ საწყისი მიდამოთი დავტკბეთ და აკლიმატიზაცია რა ქართულია, შეგუება გავიაროთ.

...ავიღოთ საქართველო, კერძოდ, მისი საჩხერე, მოდი-ვნახოთ იქაური ბაღი, ჩავდგათ მერხი შიგ, დავსვათ ზედ სამივე ძმა კეტერაძე და ვიყოთ პატარა ხანს ასე.

აი, ხომ წყნარად ყოფნა დათქვეს, არა? მაგრამ კაცი ბეჭობდა, ღმერთს ეღიმებოდაო... დაუდგრომელი გრიშას გამოისობით, შემდეგნაირი ამბავი ჩატარდა და მოხდა:

ხომ არც ერთი არ იყო დიდი დალაგებული, მაგრამ გრიშა მაინც, უფრო კვიმატი გახლდათ. თან, ვითარებაცა და შემთხვევითობაც რომ უნებლიე დანაშაულისკენ უბიძგებდა და ხელს უწყობდა? დაიხედა და, რას ხედავს — შურდული, კაცო. ეგერ ე, იქვე, ფეხებთან არ გდია? გაეხარდა გრიშას, ბალღობა გაახსენდა, აუჩქროლდა გული, დასწვდა შურდულს, შეათვალიერა — წესრიგზე იყო. მიმოიხედა, კონსერვის ცარიელი ქილას რა გამოლევს კულტურის პარკში, ხელად მოიძია გრიშამ ერთ-ერთი, კერძოდ — ნაშპრტალი და დადო კიდეც სამიზნედ ღობეზე. ძივს გაღმით ცარიელი ქილა, დგას გამოღმით გრიშა, შუაში არც მდინარე ჩაუდიათ და არც არაფერი, მხოლოდ სუფთა ჰაერია გაჯერა გრიშამ შურდული, მოარტყა კოხტად მიზანს, აისრესა საწადელი, ღობის იქით გაადენინა ცარიელი ქილას ბლუმპ-ი. გაეხარდა გრიშას წარმატება, გათამამდა, მოიძია ახლა უფრო რთული სამიზნე — პენიცილინის პაწაწკინტელა ბოთლი, დადგა ისიც ღობეზე, გაჭკრა შურდული მეორედ და, არ აიცილა? ეწყინა გრიშას წარუმატებლობა, მაგრამ რისი გრიშა იყო, იხტიბარი არ გაიტეხა, კენჭის მცირეწონიანობას გადააბრალა ყველაფერი, შეირჩია თავისი მოსაწონი ქვა, მოათავსა კუთვნილ ალაგას, ძმებიც გაფაციცებით შესცქეროდნენ, გაჭკრა ღონივრად გრიშამ მესამედაც შურდული და, აცდენას ვიღა დაეძებდა — არ ჩამტვრია რომელიღაც დაწინაურებული დევის ორსართულიანი სახლის ბროლის შუშა?

აი, ხო ერთმა ძმამ დაიშავა, არა? მაგრამ სამივენი ისე გარბოდნენ როო? — ქუსლებს სულ ზურგჩანთაზე იბრაგუნებდნენ. მსწრაფლ გადაიობინეს საჩხერის მიმზიდველი სანახები, გადაასწრეს ჭიათურისკენ კუსავით მფრინავ სარაიცენტრთაშორისა ტროლეიბუსს, დროდადრო შიშით იხედებოდნენ, ვაითუ დევი მოგვდევსო; დევიც ემზადებოდა, რაღა: ჩაიცვა კარგი სპორტული ფეხსაცმელები, ჩაისხა შიგ ბენზინი, ერთში ცოტათი მეტი, რადგან იმ ფეხით ცოტათი ჰკოჭლობდა; დაზვეტა, რაც კი რამ ჯარიმის ქვითრები და სასტიკი გამათრახების ორდერები ჰქონდა; ახალი ნასაუზმევი გახლდათ და ბარე ეზარებოდა კიდეც დევნა, მაგრამ დევი აბა რიღასი დევია, რა შვილი იყო ვინმესთვის რამე შეერჩინა? თანაც იურიდიულად მართალი გახლდათ, შეისუნთქა ღიპი, ძლივს მოიკაკვა და გამოაჩოჩა ტახტქვეშ საიდუმლოდ შენახული მფრინავი ხალიჩა, წვალებით გაიმართა და სიზარმაცემ დარია ხელი, მაგრამ დამსხვრეული შუშა რომ დაინახა დევუ-რად გაბრაზდა ისევ, გაიწია ღონივრად, გამოაღო წითელი როიალის

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავსახურავებით აწყობილი ჭერამდე კარი, მაგრამ შემოველო თავთ ძმების მფარველი ანგელოზი, აბა რომელი მოსაფარებელი ის დევი გვყავდა მაგრამ მოეფერა, დაუყვავა: აბა რათ გინდა, გენაცვალე, რო დაედევნო, გაუშვი, გენაცვალე, წავიდნენ თავიანთ გზაზე, ამ რაღაცა ერთი შუშის გულისთვის უნდა შეპსწუხდეო? ხომ დამიჭერეს, ჩემი ბიჭი, დაეხსენ მაგ საქმეს, ბენზინის ფული უფრო მეტი დაგიჯდებაო. ის მე ვიცი, რაც დამიჯდებაო, გაიფიქრა დევმა, იმათ ყველაფერს ერთი-ათად ვაზღვევენებო, თქმით კი ასე თქვა: მაშ რად დამჩაგრეს, რათა, უსამართლობას ვერ ვიტან, მაკრიალებს, სამართლიანი ვაარო. სამართლიანი კი არა, ქოფაკზედ ავი და ძუნწზე წუწკი იყო, დაავლო კეტს ხელი, დახვავდა იმ თავის ხალიჩაზე და აბაა, ჰაო — კინაღამ დასძახა კიდეც და ვაი და ვუი პატარა ხანში იმ ჩვენი ძმების ბრალი, მაგრამ, ბედად, ცა მოიღრუბლა, წარბი შეიკრა, შავი ღრუბლების ზეწარი გადაიფარა, დაიქუხა, დაიგრიალა, გააგრიალ-გამოაგრიალა თავისი რკინის ბურთები ცაზე და, კოკისპირულად დაუშვა წვიმაა. მოიქექა კინკრიხო დევმა, დაეზარა ფრენა იმ თავსხმაში, ვერ იყო მაინცდამაინც საფრენოსნო ამინდი, მოქნარებაც მოუვიდა, დაუზარელი კი ვაარ, მაგრამ ერთ შუშას ხომ ვერ გადავყვები, ერთი შუშის ოხერი პატრონი ჩემი მტრის სუყველაფერიცაო, აბდაუბდად გაიფიქრა, თქმით კი ასე თქვა: კეთილი ვაარო; შებრუნდა უცხოდ ძვირფას, მაგრამ თავისი გემოვნებით მორთულ კაბინეტში, გაგორდა ეს ქართული დევი რუმინულ ტახტზე და მაშინვე ისეთი ხვრინვა ამოუშვა, რომ თავთით დადებული საამაყო წიგნი — ცრურაინდ ვაშალომიას მეოთხე ტომი პირველსავე მიხვრინვით №439 გვერდზე გადაშალა.

ძმებმა კი ამეებისა არა უწყოდნენ რა, კისრისტეხით დაეშვნენ დაღმართში, ეს შედარებით ადვილი იყო — დიდი ზურგჩანთა ბეჭებზე აწვებოდათ და მიარბენინებდათ, გაივაკეს მერე, გადაუსწრეს თავსხმაში ჩაფიქრებულად მომავალ ბეჩავ კიკოლის, დადსერეს მეორე რაიაკენტრი — მრეწველობისათვის სასარგებლო წიაღისეულით ცნობილი ჭიათურა და გააკვირვეს ქეჩა-ქეჩად აივნებქვეშ წვიმას თავშეფარებული რამდენიმე ათეული ჭიათურელი, აედევნენ მერე ნავარძეთის-კენ ამავალ მტრისას იმისთანა აღმართს, ქოშინ-ქოშინით ააღწიეს მაღლა, მაგრამ აღმართი არა ცხრებოდა, კაცხისკენ ისევ გამძაფრდა, თანაც ტალახში უწიათ სრბოლამ, რადგან დიდი გაბრაზებული ბრონტოზავრი სულ ხრიალ-ხრიალით თხრიდა მიწას და გზაზე ანნევდა, მაგრამ რა შეაჩერებდა ძმებს, ექსკავატორის სათვალიერებლად კი არა, კაცხის სეეტის ხილვისთვისაც არ ეცალათ, თვით შალვამაც კი მხოლოდ გაკვრით ააყოლა თვალი, გადაუხვიეს მერე მარჯვნივ, სწორზე სირბილით პატარაით მოიიქვეს სული, და, ისევ აღმართი არ წამოიწყო? მაგრამ შეუპოვარი იყო შალვა და პირადი მაგალითით ძალას მატებდა ხვითოსავით ძმებს, შეისუნთქეს ერთიც და ჩამოიტოვეს აღმართში სულ ცახ-ცახ-ხროტინით ამავალი სველი ავტობუსი, კვლავაც და კვლავაც აიჭრნენ მაღლა და უბრალო, განბანილი, წვიმაში მორჩილად მდგარი მშობლიურივით სოფლის დანახვაზე მოეცათ გული, და რატომღაც პირველსავე არა და, მეორე მოსახლის ჭიშკარში შეცვივდნენ, სწრაფი ნაკვალევი დატოვეს ჯაწია მოლზე, კიბეზე აცვივდნენ და აუტეხეს წიფლის კარს ერთი რახარუხი.

გამოიხედა მასპინძელმა, კარგა დაბნეული ჩანდა, ბატის ფრთა შერჩენოდა მარჯვენა ხელში. სალამ-გამარჯობის თქმაც კი დაავიწყდა ორსავე მხარეს, რა იყო, რა მოხდაო, იმან. ჰარიქა, დევი მოგვდევს და ვერ შეგვიფა-

---

ᲖᲣᲠᲐᲑ ᲓᲝᲩᲜᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲪᲐᲚ-ᲪᲐᲚᲙᲔ ᲓᲐ ᲔᲠᲗᲐᲓ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებო? — ამათ. ვინაო? — იმან. დეგი, დეგიო, ამათ. კი ბატონო, მობრძანდით, მაგრამ დეგს რა უნდა ჩვენს დროში, მეოცე საუკუნის ბოლო მეოთხედშიო, გაკვირვებულმა, იმან. ოო, ეგრე ვიძახოთ და რომ ამოგვეჭამენ მთლად, მერე დავრწმუნდებით ყველანიო, შალვამ. მობრძანდით ბატონო, მოითქვით სულიო, იმან. ამ ჩვენმა ძმებმაც აიღეს და შევიდნენ, დადგნენ ოთახის შუაგულში, შემოივლეს ირგლივ გუბეები, შეათვალიერეს კარფანჯარა, კედლები, ჭერი, სწორედ საიმათო ჩანდა სახლი — ხისა, უბრალო, დალოცვილი, ძველი. ამასობაში მასპინძელმაც თავისი ქნა — მაგიდაზე გაშლილი რაღაც ნაწერები შეაქუჩა, გაზეთი სწრაფად გადაიფარა და ბატის ფრთაც ქვეშით მოაყოლა.

მერეღა გაახსენდა წესი და ადათი:

— გამარჯობათ, ჩემო ბატონო, — წარმოსთქვა შალვამ. — ხომ ვერ გაგვათევინებდით აქ?

— გაგიმარჯოთ, მაგრამ მარტო ვარ მე აქ და...

— ძალიანაც კარგი. რამდენოთახიანია, პატივცემულო, ეს თქვენი ბინა?

— ორიანია.

— მთლად უკეთესი. მაშინ, მოგვაქირავეთ ერთი ოთახი, ძალიანა გთხოვთ, რა იქნება?!.

— ქირა რად მინდა, პატივცემულო, მაგრამ ერთი ხელი ლოგინი მაქვს ჩემთვის მარტო, დროებითა ვარ.

— მაგისი დარდი ნუ გექნებათ, ზეწრებიანი საძილე ტომრებით ვართ წამოსულ.

— მობრძანდით, ბატონო.

შალვამ ზურგჩანთა მძიმედ ჩამოდო და თქვა:

— კეთილი იყოს ჩვენი ფეხი.

— იახშიოლ... ეე, — მადლობთ.

— ახლა, ნამეტანი კი მოგვდის, მაგრამ, ჩვენც ჩვენდათავად ორ სტუმარს ველით, და იმათ დავაბინავებთ თქვენგან ასე კეთილად ბოძებულ ოთახში და, ჩვენ აივანზეც კი მოვთავსდებით კარგად.

— რა საკადრისია, ყველანაირ — მოვთავსდებით როგორმე.

— არა, გენაცვალე, ქალები არიან, რადგან თვალის სეირისათვის კომედია დეღ არტეს მიმზიდველობაც უნდა ახლდეს და თანაც ერთი მანდილოსანი კარგად დადის თოკზე.

მასპინძელმა თუმცა ვერაფერი გაიგო, ზრდილობისათვის მაინც თქვა:

— აა.

გაეცნენ მერე ერთურთს, ჩამოყაჯეს თავ-თავიანთი მონაცემები.

„ქორს შეუყვარდა ქოროლი,
უთხრა, ჩემი ხარ ტოროლი... —

გახსოვთ?

იმათი მასპინძელი გვარად თურმე ჯაში იყო და გაიოზ ერქვა.

მოუვიდა დასვენების რიგი, სწორედ იმნაირ შვებულებობდა იგი.

5

ზედიზედ გათენდა კიდევ სამი მშვიდობის დილა.

რაღაცები მოხდა:

ჯერ ის იყო და, მხოლოდ ერთი ქალი ჩამოუვიდათ; გრიშა ადრე ადგომასთან თუმც ძალიან უკაცრავად იყო, სხვა რა გზა ჰქონდა — კეთილინება და უთენია დახვდა რაიცენტრ ჭიათურის ქებულ სადგურზე, იმან კი დაქალისგან არაბერძნულად აი ასეთი ცუდი უსტარი გადასცა: „სიმაღლის შიში გამიჩნდა, თოკზე ვეღარ ვიმუშავებ, არტისტობის მერე ვერც გამყიდველად და დამლაგებლად ვიმუშავებ, შენ მაინც არ იყავი ჩემი შემრთველი, არამედ ავიღე და ფულიანს გავყევი, სიყვარული არ არის, კ--ი--ა.“ თავმოყვარეობაშელახულმა გრიშამ მეორე ქალიც გაუშვა — მარტოს აქ რა გინდა, ცოდო ხარო; ერთ-ერთ მიჯნურდაკარგულს, ჯერ ისე ეგონა, ცას და ქვეყანას მიმოდალეწდა, მაგრამ ავტობუსში, ნავარძეთთან, უკვე „მოზეგის ქალო თინაო“-ს ღიღინებდა. ცოტათი შალვას რიდი ჰქონდა, დანაპირები რომ ვერ შეუსრულა, მაგრამ შალ-

ვამ — ძალიანაც კარგი, ქალებით შეღავათი სულაც არ გვჭირდებაო. ასე ტყუილ-უბრალოდ და დაუნანებლად აწოწოლილს მატარებლით დედაქალაქიდან რაიცენტრამდე ის ერთი ერთგული ქალი.

ეეეს — ერთი.

მეორეც ის რომ, იმ ორღობეში ხშირად აივლ-ჩაივლიდა კიკოლი,' ოღონდ იერს ძლიერ იცვლიდა. სხეედან, ვთქვათ, ეს ჩვენი ძმები აივანზე გაიოზ ჯაშიანა, და შალვა თან ჰყვება და თან მოძრაობით ანსახიერებს, თუ როგორი იყო კომედია დელ არტეს ერთ-ერთი მთავარი გმირის — პანტალონეს იერსახე და ნიშანდოლიობანი — თურმე ქვრივი პანტალონე მეთექვსმეტე საუკუნის იტალიელია, ხანშიშესული ძუნწი ვაჭარი, ვენეციურ კილოკაზზე საუბრობს; წყალშეყენებულია: კოჭლობს, ხვნეშის, ,ურდოიანია, ახვილება, აეცმინებს, ბუზღუნაა, წუწუნაა, წელკავიანი, მაგრამ ქალების მუსუსი გახლავთ, იზაბელლებს, კოლომბინებსა და ჯერალდინებს სულ კუდში დასდევს, და საკორწინოდ ემზადება. დიდად ყოფილა თავდაჯერებული, მაგრამ ყოველთვის ბითურდებოდა. ძირითადად, ქალებისა გამო, რადგან იმას ძალიან კი მოსწონდა ქალები, მაგრამ ქალებს არ მოსწონდათ იგი, მაგრამ პანტალონე თავისას არ იშლიდა, მაგრამ ბოლოს გაქნილი მსახურები შშრალზე დასვამდნენ ხოლმე, მაგრამ პანტალონე მაინც ვითომ დარდიმანდობდა — წითელი პერანგი ეცვა, ჩაჩიც წითელი ეხურა, წითელივე პანტალონებიანი, დაგრეხილი ფეხები ყვითელ დიდბალთიან ფოსტლებში წაეყო, და შავი მოსასხამი ვითომ ყოჩაღად მოეგდო მხარზე... ჰყვება ამას შალვა და, გიიხედავენ, რასა ხედავენ:

მოდის ორღობეში ჩვენი კიკოლი, ძლიერ დაღვრემილია, ძლიერ. გადაუდგებოდნენ კეთილ-ყაჩაღებივით ეს ჩვენი ძმები გზაზედ, რა იყო, კიკოლი, რად დაღონებულხარო, ამათ. ის დრო სჯობდაო, კიკოლომ, მიწაში იცქირებოდა. რომელი დროო, ამათ. რომელი და ერთხელ ჩვენს სოფელში დიდი შიმშილობა ჩამოვარდა, არც პური მოვიდა, არც ვაზმა მოიბა მარცვალი და არც ხეს გამოუღია ყვავილიო, იმან. მერედა, ის დრო რითა სჯობდაო, ამათ. რითა და, მაშინ ერთმანეთი გვეცოდებოდაო, იმან. ხოლო ახლოო? — ამათ. ახლაო, კიკოლომ, ერთიმეორისა გვშუურსო. თქვა ასე კიკოლომ და განაგრძო ორღობეში თავისი ნაღვლიანი სვლა, ჩაფიქრებულნი დასტოვა ძმები.

მაგრამ შალვას რა შეაჩერებდა. იგი ჰყვებოდა, თუ როგორი იყო კომედია დელ არტეს კიდევ ერთ-ერთი გმირი, სწავლულ-იურისტი დოქტორი გراციანო.

რაღა თქმა უნდა, ბოლონიელი გახლდათ, რადგან ბოლონიური უნივერსიტეტი უძველესი იყო ევროპაში, ხოლო იქაურ იურისტებს საქვეყნოდ გაუგდიათ სახელი იმით, რომ ძველი რომაული კანონმდებლობანი მოხერხებულად გადაუკეთებიათ და შეუხამებიათ შუა საუკუნეებისათვის. მაგრამ მერე, როგორც ხდება ხოლმე, დრო და ვითარება შეცვლილა და ამ იურისტებს თანდათან დაუკარგავთ ცხოვრებასთან კავშირი, გასწყვეტიათ სასიცოცხლო ძაფი, გამოუსადეგარნი გამხდარან და მეთექვსმეტე საუკუნეში ძველი დიდების ქერთალი ნატამალიღა შერჩენიათ, მაგრამ იხტიბარს მაინც არ იტეხდნენ და მოაზროვნეებად დაიბიჯებდნენ ხალხში. ხალხიც, იტანდათ, ხალხი რაღას არ იტანს, მაგრამ ჩუმ-ჩუმად ეცინებოდათ, რადგან ხელმოცარული დოქტორები წამდაუწუმ სისულელეებს აფრქვევდნენ თავზე, ყლურწვაც ჰყვარებიათ და თუმცა რაღაცები ბლომად იცოდნენ, ყოველად უთავბოლოდ აკაკანებდნენ მოეწესრიგებელ ცნებებსა და სიბრძნეებს. მოდის, ვთქვათ ბოლონიელი

გურამ დოჩანაშვილი

დოქტორი ვენეციაში და მჯახე, ბოლონიური კილოკავით ამდაგვარ ცოდნას ამეღვანებს: „ფლორენცია დედაქალაქია ტოსკანისა, ტოსკანაში შეიქმნა მჭევრმეტყველება, ხოლო მჭევრმეტყველების მეფე ციცერონი იყო, ციცერონი რომში სენატორობდა, რომს თორმეტი კეისარი ჰყავდა, თორმეტივე თვეა წელიწადში, წელიწადი კი, თავის მხრივ, ოთხად იყოფა, ოთხივ აგრეთვე ბუნების სტიქია: ჰაერი, წყალი, ცეცხლი და მიწა, რომელსაც ხარების მეშვეობით ხნავენ, ხარებს აქვთ აგრეთვე ტყავი, ტყავისაგან კი ფეხსაცმელები იკერება, რომელთაც ფეხზე ვიცვამთ, ფეხები სიარულისთვისაა საჭირო, სიარულისას წავფორხილდი და მოვედი აქ, რათა მოგესალმოთ, — გამარჯობათ.“

ჰეი-ჰეე, გრაციანო... დოქტორი თურმე მხოლოდ ერთ კაცთან ამხანაგობდა, თუკი ამას ამხანაგობა ერქვა: ისა და პანტალონე ერთიმეორეს ვითომ ქალების შოვნაში ეხმარებოდნენ, მაგრამ ჩუმ-ჩუმად ერთმანეთს ატყუებდნენ და ბოლოს სხვათა, ძირითადად საკუთარი მსახურების წყალობით, ორთავენი მშრალზე, ანუ პუპლუცზე რჩებოდნენ. მაგრამ დოქტორი გრაციანო იხტიბარს მაინც არ იტეხდა, ისევ დაიარებოდა მოკირწყლულ ქუჩა-ქუჩად, შავად სჩვეოდა ჩაცმა: შავი კურტაკი ეცვა, შავივე მაღალყელიანი წინდები, შავივ პანტალონები, იმდროინდელი უზარმაზარი, ჭვარტლისფერი ქუდი ჩამოეკოსებინა და, რაც მთავარია, სწავლულის კუპრისფერი მანტიით მოჰქონდა თავი; ახლახან გამითურებული, მაინც მხნედ გამოვიდოდა ქუჩაში, ამაყად შეიკვლიდა სადმე, გადაჰკრავდა ერთ-ორ შუშას და, ცხვირაწეულებული ჰკუბოდა: „ჰეკალულსი რომ არა, ტყუილია, ისე ვერაფრით აიღებდნენ ტროას, ტროაში ხეოფსის პირამიდებს აგებდნენ ხისცხენიანი მაჰალაჯები, ხოლო იმით კი ფადიშაჰად კეისარი ეჯდათ, ხოლო როდესაც კეისარი დაუნდობლად განგმირეს, მისი უკანასკნელი სიტყვები იყო: შენც, თეზევს?“ უამბობს ძმებს და გაიინჭა ჯაშს ამაებს შალვა და, გაიხედავენ, რასა ხედავენ:

მოდის ბეჩავი კიკოლი ორღობეში, საბრალოს, გული ამოსჯდომია და ტირის, ტირის, ისეა გულამოსკვნილ-ცრემლთაღვრით დაოსებული, შიგადაშიგ დუნედ თუ წაიშენს თავ-პირაში ხელს. გადაუდგენენ ეს ჩვენი ძმები გზაზედ, რა იყო, შე ბეჩავო, რა მოგსვლიაო, ამათ. მეტი რაღა უნდა მომსვლოდა, თავი დავკარგეო, იმან. აბა, შე კარგი დედ-მამის შვილო, მხრებზე რომ გადევს, ის რადააო, ამათ. ესაო, მარტო ჩარჩოაო, იმან. შეებრალათ ძმებს, გადაუსვეს ჩარჩოზე ხელი, იტირე შე ბეჩავო, ეგება გულზედ მოგეშვესო. დგას ესრერიგად კიკოლი და ტირის. აუჩუყდათ ამ ჩვენ ძმებსაც კეთილი გული, მოაწვათ იმათაც მარგალიტივით ცრემლი, გაუდექ, გაუდექ ისევ გზას, კიკოლი, ეგებ შენს ბედს შენც ეწიოო. ვითომო? — იმან, მოიწმინდა მჯიღით ცრემლები, დაადგა თავქვეს.

ამასობაში დროგამოჩხრეკილი გაიოზ ჯაში აივანზედ ძალიან თავაწეული იდგა და ბულბულა სიტყვებს ერთიმეორეს უტოლებდა. ჩამოჯდებოდა საწყლად მერე, რადგანაც შალვა აღფრთოვანებული განაგრძობდა, რომ მსახურები — ეს კომედია დელ არტეს სული და გული. ორივენი სოფლიდან იყვნენ, კერძოდ, პროვინცია ბერგამოდან და, საშოვარზე ჩამოსულებს, ვენეციელები დიდის ათვალწუნებით უყურებდნენ, რადგან, ქალაქელის აზრით, სოფლელი თუ სულელია, ხომ მთლად ყეყეჩია და თუ ჭკვიანი, მაშინ — ქურდი, თაღლითი და გაიძვერა. „ჩვენში დარჩეს და, — ხმას დაუწია და ისე გაიწყვეტინა კეთილმა გრიშამ, — ცოტათი ალმათ მართლა ასე... მაშინაც იყო,“ შალვა კი განაგრძობდა, რომ, თურმე, საკვირველია, მაგრამ მთიდან ჩამოსული ბერგამოელები საზრიანები ყოფილან,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბარელები კი — მთლად ჩურჩუტები, მაშინ, როდესაც მთელ რიგ ქვეყნებში აშკარად პირიქითაა, ხმ. და უეცრად ღიმილმოფენილმა განაცხადა, რომ მთიელ ბერგამოელს თურმე სახელად ბრიგელა ერქვა. დიდი მსხვილმანი ონავარი და ფრიად გაქნილი ყოფილა დიდად — ბრიგელი თავს მუდამ ისე მიიჩნევს, თითქოს საბრძოლო ავანპოსტზე მთავარსარდლად იმყოფებოდეს, მიაჩნია რომ, უმისოდ არაფერი არ უნდა მოხდეს — ყველგან ცხვირსა ჰყოფს, ძალიან გრძელი ენა აბია, თავის გატლეკილობას იმით ხსნის, ვითომ მამამისი მუნჯი იყო და მას უანდერძა თავისი გამოუყენებელი შესაძლებლობანი; დიდის დამნაშავეობის გრძნობით და ვითომც გულწრფელი მონანიებით აიტანს გაწკეპვლას, მაგრამ ამას სამუდამოდ ჩაიმარხავს გულში, და არ შეიძლება, სამაგიეროს გადახდა რამენაირად არ მოახერხოს; თუკი ჭორების დაყრა, ან არეულ-დარეულობისა და რია-რიას ატეხა საჭირო, ამას ბრიგელაზე უკეთ ვერავინ ახერხებს; პატრონს ფცქენის, ქალებთან — არხეინი ყბედია, მოხუცებთან — თავხედი, მშიშარას თუ წაადუდება, არავინაა ბრიგელასავით გულადი, მამაცს კი ფეხქვეშ ეგება და თავის სამსახურს სთავაზობს. თავი ყოველნაირი სიანცითა აქვს გამოტენილი, არც ღმერთისა სწამს და არც სატანის, რაღა თქმა უნდა, უყვარს ოქრო, ღვინო, ქალები და, ოხერს, გიტარაზე დაკვრაც ემარჯვება. განსაკუთრებით ბაზრობაზე უყვარს წანწალი, ხამი ტილოს თეთრ შარვალ-პერანგში გამოეწყობა, ქამარზე ქისა ჰკიდია, და ნებისმიერ გამყიდველს სულერთია-რა საქონელზე ყოველად უმიზნოდ ევაჭრება, ემასლაათება, ნელინელ უფრო და უფრო ამასხარავებს და გულში ხითხითებს — ეგაზრება, რაღა, და მეორენაირ მსახურს, ბრიყვ ალეკინსაც თან დააპროწიალებს, რადგან სადმე კოვზი ნაცარში თუ ჩაუვარდება, თუ გაამყოვანებენენ და მის ირგვლივ მრისხანე აურზაური ატყდება, მაშინვე თავის ნაცვლად საბრალო ალეკინს ჩაჩურთავს აყალმაყალსა და დაკა-დაკაში, თვითონ კი განზე გადგება და შორიდან იცინის, იცინის, კვდება სიცილით ის ფინთი. მოწყენილობას ვერ იტანს, თუ სხვა საქმე და თავშესაქცევი არა აქვს რა, იპოვის სადმე ოოქტორს და, თვალთმაქცურად აღელვებული ეკითხება ქვეყნისა თუ ბუნების იდუმალების არსზე, აღაფრთოვანებს, აამჟევრმეტყველებს და თვითონ კი წამოწვება მხარ-თეძოზე და თავისთვის კისკისებს. თუ პანტალონეს მსახურია, ხან ჩაჩს დაუმალავს, ხანაც სათვალეს, ხან ლოგინს უსვეღებს, ხანაც ნამცხვარში წიწაკას შეუპარებს და, მოკლედ, მტრისას და მაწყევარისას ასეთი მსახური. გაკვირვებული გაიოზ ჯაში, რომელსაც რომ სულ სხვა სფეროებში აქვს საქმე, პირდაღებული მისჩერება ღიმილმორეულ ძმებს, ვერაფერს ხედავს აქ სასაცილოს, და თავისი დაბნეულობა რომ დაამარცხოს, ხალიბის რვალოვით შეკირულ სიტყვებს იხსენებს და, შიგ გულში ჩუმად, მაგრამ მტკიცედ იმეორებს:

ქორს შეუყვარდა ქოროლი,
უთხრა, ჩემი ხარ ტოროლი...

და გამარჯვებული გადახედავს ძმებს, მაგრამ ამჯერად ისინი დაბნეულან, ახლა ისინი იყურებიან პირდაბჩენილნი სადღაც; თვალდაჭყეტილთა მზერას დაბინდულ თვალს გააყოლებს გაიოზ ჯაში, შეკრთება და, ოთხივენი, რასა ჰხედავენ: მოდის ეს ჩვენი ყოფილი ბეჭავი კიკოლ ზედ სოფლის შუა გზაზედა, წოდება აზის მხარზედა, გაზულუქებულია, გაზულუქებული რომ, ავ თვალსაც კი დაენახვება, ძრიალ უცნაურად აცვია: ჩოხა-ახალუზზედ ევროპული ფრაკი თუ რაღაცა ჰქვია, ის წამოუსხამს, თავზედ მბზინავი ცილინდრი ადევს, თითებზედ ბეჭდები წამოუცვამს ისეთი, შუადღის მარს-

გურამ ფოჩანაშვილი
ცალ-ცალკე და ერთად

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვლავები გეგონება, ყოველი ამაყი ნაბიჯის გადმოდგმისას ჯიბეში ოქროები უფღარუნებენ, მარგალიტებით მოოჭვილი ხელჯოხი სულ ტყუილად უპირავს, არცა ჭკუჭლობს და არც არაფერი; ფეხებზედ აზიაცკები ულაპლაპებს, მუცელზედ ღიპი უთიმთიმებს, ყელზედ — ღაბაბი, მოსდევენ მარდი მსახურები, მოაქვთ ავეჯი, ვერცხლეული, ნატვრის სუფრა, აგარაკი, ბროლი, რამე, საქონელს მოდენიან; გადმოხედა კიკოლმა ამ ჩვენს ძმებს, და ცნობით ალბათ იცნო, რადგან ოდნავ ასწივ-დასწია ჯმუხი წარბები, მაგრამ ეს ეგება რაღაც სხვა ნიშანიც იყო — საიდანღაც მაშინვე მოურბენინეს ცქვიტმა მსახურებმა ოქროს ბარძიმით რაღაცა თეთრი, აეგ, რააო, კიკოლმა. ეგაო, დიდო ბატონო, ჩიტის რძეაო, ამათ. მოსცა კიკოლმა, აიხედა, გაიხედა, გამოიხედა, დიდი ვერაფერიშვილი ყოფილა, სულ ტყუილად უქნათო. მერე — დავიღალეო, კიკოლმა. მოართვეს რახსი, ხიზილალებისფერი ცხენი, ასწიეს ეს დამძიმებული კიკოლ და დაუბირეს უნაგირზედ შესმა ისე ყოჩაღად, ისე-ისე ყოჩაღად, ცოტათი მეტიც მოუვიდათ და ცხენის იქითა მხარეს გაადინა კიკოლმა ზღარბთანი. ავარდა მტვერიი... აღარაფერი სჩანს. მტვერი ისევ რო ჩამომიწდა, აიღო კიკოლმა ცილინდრგადადგადნილი თავი, აი, თქვე ასეთებო და ისეთებოო, სულ უწმაწური სიტყვები იძახა, ასეთ-ისეთებო და კიდევ უფრო, უფროო, კიდევ კარგი რომ, ხმა ჩახლეჩილი ჰქონდა, მაგრამ თვალებს აბრიალებდა ოოო? — ცის და ოოროობის ელვასა ჰგვანდა. დაუფაცურდნენ მსახურები, წამოაყენეს, ამოგანგლულ ზურგ-საჯდომზე სულ ფარშავანგის ფრთები უსვეს, გაუწმინდეს ფრაკი, წელდაღებულად აულაპლაპეს ცილინდრი, სუნთქვაშეკრულებმა შესცვეს ისევ იმ რახს ცხენზე, დაუყენენ თავ-ქვეეს.

მხოლოდ ერთი მსახური დარჩა, გამოთიშულიყოსავით, ჯდა მოწყენით ორღობისა პირსა; ხელმათრახიანი, ნაბეტურ დაღვრემილი იყო.

მიუახლოვდნენ ძმები.

— რატომ ხარ, მაინც ასე მოწყენილი?! — დაინტერესდა ცნობისწადილიანი გრიშა.

— მიყვარს. — თქვა იმან. მათრახი არ გახსენებია.

— ვინ გიყვარს.

— მოხევის ქალი თინა.

ახედეს, დახედეს.

— ძალიან გიყვარს?

— კი, — ჰ!

— იმას უყვარხარ?

— რავი.

ალალი გრიშა დაეჭვდა:

— ქალი ძალიან როცა უყვართ, მარტო დაღვრემილობით ვერ იოხებენ გულს, ტირიან კიდეც.

— ვიტირო რა, — აგდებულად ამოხედა იმან, — ტარიელი კი არა მქვია.

— აბა რა გქვია.

— ავთო.

უფრო ახედ-დახედეს.

„ეგება მარილა უტობიტი ვარ, — გაიფიქრა ჯიგარჩამწვარმა ვასიკომ, ოთხი კედლიდან გამოსული, საუბარშიაც კი ვერ ვერევი.

— ეჰ, სიყვარული აღარ არის, — სიტყვიერად დანაღვლიანდა მერე გრიშაც, — ეჰ, სიყვარულზედ აღარ სტირიან.

— როგორ თუ არ არის, — გამოცოცხლდა მოწყენით მჯდარი და გული მოიღეღა, — მაშ აბა ეს რა არის.

გულზედ გარედან ეწერა — თინა.

— ეგ სულ ტყუილად გიქნია, სულ, — შეიბმუხნა გრიშა, — რადგან ისე გატყობ რომ, მაინცდამაინც არ გიყვარს ეგ ქალი და სხვა ვინმე რომ დაისვა ცოლად, ვთქვათ, ახმეტური პატარძალი, ანდა წყაროს გზის ზედმიწევნით მცოდნე თებრონე, ანდა კარკუჩით თუ გადმოიყვან ქალსა მაიკოს ლამაზთმიანსა, ვეღარ მაიწლის მაიკო შავი თვალების ბრიალსა, რადგან ეგ სვირინგი წამდაუწუმ ცუდ

მოსაზრებებს აღუძრავს და სიცოცხლეს გაგიმწარებს.

— თქვენ თქვენ საქმეს მიხედეთ, კაცო, — თქვა საეჭვოდ შეუვარებულმა და ღილები შეიბნია.

— უი-ჰო, მართლა ჩვენი საქმე, — დაფიცურდა შალვა, — აივნისაკე-ენ... იართ!

აივანზედ კი გაიოზ ჯაში დახვდათ; გაიოზ ჯაში ჩუმად იყო, ხმას არ იღებდა, მოგვიცდინეს, კი, ხოლო შალვა ჰყვებოდა რომ, რომ არლეკინი სულელი კი არა, ბრიყვი კი არა, არც ხეპრე, არც რეგვენი, არცა ბოთე და ტუტრუცანა, არც შტერი და დოყლაპია, არც გამოთაყვანებული, არცა ბენტერა და ცეტი, არც ობდალი და ბითური, წარმოიდგინეთ, ჩერჩეტიც კი არ, — არამედ ყველაფერი ეს ერთად — ჩურჩუტი იყო. რაღა თქმა უნდა, ბრიგელასხელა არც ჭკუა ჰქონდა, არც საზრიანობა და სიმარჯვე, მაგრამ მაყურებლებს მაინც ძლიერ უყვარდათ იგი, რადგან მხიარული და გულუბრყვილო გახლდათ. და როგორც ჭეშმარიტ ბავშვს, ყოველთვის რომელიმე კოლომბინა უყვარდა. ამა ქვეყანას თითქოს არც ეკუთვნოდა, მუდამ ღრუბლებში ჰქონდა აყოფილი თავი. ბრიგელასაგან განსხვავებით, არასოდეს დაგეგმავდა, როგორ უნდა გადაეგდა პირველი ნაბიჯი, ეგრეევე მეოთხე ნაბიჯს გადადგამდა ხოლმე და, რასაკვირველია, თამამ განზრახვებში ჩაფლავდებოდა ხოლმე. არადა, უკვირდა — წინა ნაბიჯები ხომ ისე მშვენიერად წარსდგა ოცნებაში... სინამდვილე — ეს თავი და თავი მტერი იყო არლეკინისა, როდი შეეძლო რამესი აწონ-დაწონა, არამედ პირდაპირ, თრახ, მიდი, — და დღენიადაგ აქოთაქებდნენ. მაგრამ იმისი უმწეობაც, რადაცნაირად, მომხიბვლელი იყო. ძალიან ცუდი მსმენელი გახლდათ, მუდამ თავისას ფიქრობდა; და იმ სასარგებლო რაღაც-რუღაცებიდან, ბრიგელას რომ არაფრისდიდებით გამოეპარებოდა, ეს არლეკინი ვერ აფერს იღებდა, სარგებლიანობისა ვერა უწყოდა, მოგებას ვერსად ნახულობდა, გამორჩენაო, გამოტყუებაო — ამებისა არა იცოდა რა. მაგრამ ყოველივესი ერთგული იყო: ერთი ბატონი სურდა; ოცნებებში თითო ცოლი დედოფლად ესვა, თუმც სადედოფლოებს იმათივე უარყოფისა გამო ზშირად იცვლიდა — რა უნდა ამას ოცნებაში; არავის მოტყუებას განიზრახავდა, კეთილი იყო, მიმნდობი, და ცუღლუტ ბრიგელას წაბმული ჰყავდა, იმისა გამო წუხელ გალახულ არლეკინს, მარტივ სიცრუეთა წყალობით ისევ კეთილგანაწყობდა, მერე ბრიგელა ბაზრობისკენ დაადევდა თავს და არლეკინსაც კუდში აიდევნებდა, საღამოობით კი სხვადასხვა გზით ბრუნდებოდნენ, ბრიგელა — ქისადამძიმებული, არლეკინი კი — უპეებამოლურჯებული. დაღვრემილი ჩამოჯდებოდა პანტალონესა თუ დოქტორის სახლის კიბეზე და, უცებ, მოლად ბავშვს, მოლად ბედნიერს, თავის თავზე გულიანი სიცილი აუტყდებოდა და, როგორ უყვარდა მაყურებელს... არლეკინისთვის მთელი ქვეყანა ცისფერებითა და ვარდისფერებით იყო შემობურვილი, გამოხვეული, სიკეთისა და სიმართლის თუმცა მარტივად, მაგრამ ძალიან ღრმადა სწამდა, მაგრამ ბნელ ღამეობით, ძალგამტყდარი, არ შეიძლებოდა სადმე ცივ ქვაზე არ ჩამომჯდარიყო და, თუ იმ დღეს განსაკუთრებით მძიმე ხელი მოხვდებოდა, დანაღვლიანებული, ალბათ ფიქრობდა რომ, რომ რატომაა ესე ქვეყანა ასე მოწყობილი, სხვებისთვის ხომ მუდამ მხოლოდ კარგი უნდოდა, ისინი — სცემდნენ, ქალი უყვარდა ისე ძლიერ რომ, იმისთვის არაფერი ეშურებოდა, მაგრამ დასცინოდა ის, ნეტავ რადაა ძალიან ასე... ანდა, სხეულზე წამოსკუპებული აეს

ბუბანა დოჩანაშვილი
ცალ-ცალკე და ერთად

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი ადამიანის ნეტა რა ისეთი განსხვავებული ნაწილია, რომ იმის წყალობით ზოგიერთნი ფუფუნებაში ცხოვრობენ, მას კი, არლეკინს, ძალიან ხშირად ხმელი პური და ხახვი ენატრება... ანდა, რატომაა რომ...

ჰყვება ამას შალვა და, გაიხედავენ, რასა ჰხედავენ:

მოდის ეს ჩვენი ბეჩავი კიკოლი, ძველი დიდების ნიშანწყალიც არ შერჩენია, ამალის ნაცვლად ძაღლების ყეფაღა მოსდევს, ტიტლიკანა სხეულზე პირდაპირ ჯვალოს ტომარა შემოუხვევია, ოქრო და ვერცხლი და თვალმარგალიტი კი არა, გახვრეტილი გროშიც აღარ მოეძევება ალბათ, რადგან ტომარას აბა სადა აქვს ჯიბეები; დიდი საცოდავი შესახედი კიო: საბრალოს, სიცივე აკანკალებს, მოკუნტულა, შეტრუსულია, ცალ ფეხზე ბათინკა აცვია, მეორეზე — კალოში, თავზე ქუდად ჩიტის ბუდე ადევს; რა იყო, კიკოლი, შე ბეჩავო, რა მოგსვლიაო ამაო. ეეჰო, იმან. რა იყო, რა ვერ გამოზომემო, ამათ. ეეეჰ, ეჰო, ვერც გამოვზომე და დეემაც წაბართვაო, იმან. ახედეს, დახედეს, ხომ არა გშიანო? — ამათ. მშიან და, ეგრეო? — იმან. გამოუტანეს პური, ღვინო, კვერცხი, მარილი, დიდი მადლობაო, კიკოლომ, ჰოდა, წავიდა.

გააყოლეს ნაღვლიანი მზერა, მაგრამ კიკოლი გადაავიწყდათ, როდესაც შალვამ კვლავ განაგრძო კომედია დელ არტეს ამჯერად მეორეხარისხოვან გმირთა დახასიათება. ესენი იყვნენ: კოლომბინა — მხიარული და პატიოსანი შინამოსამსახურე ქალი, ვისი სახელიც მტრედიდან იყო წარმომდგარი, კოვიელო, პულჩინელა, ტრუფალდინო — მსახურთა ნაირსახეობანი, დიდად სასაცილო კაპიტანი სპავენტო, რაც თავზარდამცემ, შეძრწუნებათა კაპიტანს ნიშნავს. მეორენაირადაც იწოდებოდა — მატამოროსი — მავრთა მჭლეტავი, თავის თავს „ცეცხლსა და სისხლს“ ეძახდა, ხოლო მშობლებად მიწისძვრასა და ელვას მიიჩნევდა; ტარტარენ ტარასკონელის ეს შორეული წინაპარი, ცალი ნელით დოინჯშემოყრილი, მეორეთი კი ულვაშის მსწორებელი, დაბოხებული ხმით ჰყვებოდა, რომ დედამიწის ზურგზე რაკი არ მოიძებნებოდა ისეთი დათვი, რომელთანაც შებმას იკადრებდა იგი — დიდად მძვინვარე კაპიტანი სპავენტო, ამიტომ ადიოდა ხოლმე მეშვიდე ცაზე, და იქ შვიდი ვარსკვლავისაგან შედგენილ დიდ დათვზე წარმატებით ნადირობდა, შემდეგ კი დედამიწაზე, თვით შუა კონსტანტინეპოლში დატყორცნილი, დიდ სულთანს თვის სახელგავარდნილ პიროვნებას როცა ამაყად გაუმძღავნებდა, დიადი სულთანი კარგი ცხენიდან მსწრაფლ ჩამოქვეითდებოდა და კაპიტანს სულ ფეხებს უკოცნიდა, ამასვე სჩადიოდა ავკარგიან მთავარ ვაზირთა დასტა, და თავმოყვარე იანიჩართა სანაქებო მხედრიონი, კონსტანტინეპოლში სამუდამოდ დარჩენას სულ ყელის გამოწოწკვნით ეევდრებოდნენ, მაგრამ კაპიტანი მხოლოდ იქაურად რჩებოდა, სანამ დიდი სულთანის ოთხასივე თავაზიანი ცოლის სიყვარულს აბრეშუმებითა და დიბატლასით გაწყობილ ტახტრევანზე არ იგემებდა, და მერეღა ბრუნდებოდა ვენეციაში; მუდამ შეუჯდებოდით კომედიაში შეყვარებულებს — პანტალონეს ვაჟს, ორაციოსს და დოქტორის ქალიშვილს, იზაბელლას, მაგრამ ძუნწ პანტალონეს რძლად უფრო მდიდარი, უფრო მზითვიანი ქალი ნებავდა, ყოველნაირად ხელს უშლიდა ვაჟიშვილს, ათასგვარ დაბრკოლებას უქმნიდა, საბრალო შეყვარებულება, მაგრამ ბრიგელი იქვე არ იყო?.. თავად პანტალონეს კი ახალგაზრდა ფლამინია მოსწონდა, რომელსაც, ადრე დაობლებულს, ვითომც ალალად მეურვეობდა და სინამდვილეში კი ამისი ცოლად შერთვა ძალიან სწადდა, არავის აუჯანებდა მის სიახლოვეს, ფლამინიას კი ვიწრო სარკმლიდან კაპიტან სპავენტოსაკენ მიუთრთოდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

აჩქროლებული გული, რადგან მავრთამყლეტის გმირობებისა უყოყმანოდ სწამდა, და პანტალონეს რაგინდ ფხიზლად სჭეროდა თვალი, იგივ ბრიგელა იქავ არ იყო?.. ამასობაში, არლეკინი დიდად ოხრავდა ოლიეტტაზე, და ღამღამობით მთვარეს კი უმზერდა, მაგრამ თითქოს მზეს აპყურებდა, ცრემლები ისე სწვეთდა თვალთაგან...

ჰყვება ამაგის შალვა და, მოესმათ უცებ სახლის უკნიდან რაღაცა კვნესა, ოხვრა, ტყაპანი, მიწას სულ ბაგაბუგი გაეკვნა... ჩადიან ფრთხილად კიბეზე, შემკრთალან ოთხივენი, სუნთქვაშეკრულნი აისუსებიან კედელთან, გაიხედავენ, რასა ჰხედავენ: დაუბერია სამთავიან დევს ეს ჩვენი კიკოლი და, რაღაცისთვის, რაღაცდარატომ, ბუბნის და ჰბუბნის, სულ ტკაცატკუცი გაეკვეთ ბეჩავი კიკოლის ძვლებსა. მობეზრდება მერე დევს ამაო გარჯა, რადგან კიკოლი ვეღარაფერსა გრძნობს, ხაშხაშნაკამავით გდია, შეშურდება დევს იმისი ყოფა, წამოწვება არხეინად, ხვრინავს, ეს კიკოლი კი ჯერ ისეთია, მკვდარი გეგონება, მაგრამ მოუვა მერე ცოტაოდენი ფერი, წაისვამს თურმანიძეების მალამოს, დაიდებს კარსანიძეებისა და გიორგაძეების არტაშანებს, ჩაიწვეთებს ცოტა ღვინოს პირში, მოღონიერდება თითქოს, მიუახლოვდება იმ ახვრინებულ დევს და, არ სტკიცავს უცებ კარგა ჯახუნა სილას შიგ შუა ყბაში? გამოეღვიძება დევსა, გაბრაზდება ძრიალ, დაიჭერს ისევ ამ ჩვენს კიკოლის, დაუწყებს ბუბნვას, ხან ისე აუწევს ყურებს, ზედ კინკრიხოზუ შეუტაკუპებს, ხან ისეთ წკიპურტს დაჭკრავს, იმ ადგილიდან კიკოლის სულ ნაპერწკლები სცვივა, ააგდებს მაღლა, აღარ დაიჭერს, დასწვდება ისევ, ჩაადგებს მერე ხაროში, მიწას დააყრის აბურდულ თმაზე, წამოწვება მერე, დაიძინებს, ახვრინდება. როდისროის, მოეგება ისევ გონს კიკოლი, წაისვამს მალამოს, დაიდებს არტაშანებს, ცოტათი მოჩიტდება, მიივლ-მოივლის ხაროს, იპოვის რაღაც ღვინიანს დოქს, მიიყუდებს, ხასიათზე მოვა, სულ ჰარიარალეს დასძახის, მიმოიხედავს, ხაროს პირობაზე კარგა მოზრდილი ალაგი ჩანს, მიდგება, მოდგება კიკოლი, მივა ღორთან, ყვავთან, კრუხთან, თაგვთან, კატასთან, ძროხასთან, იცოდვილებს, იცოდვილებს და გამოართმევს ბოლოს ღორსა ჯაგარსა, დაგრეხს თოკსა ბაწარსა, მოაბამს კაუჭს, ისევრის ზევით, დამაგრდება კაუჭი, აჰყვება ცოცვა-ცოცვით კიკოლი თოკსა, ხედავს, დევს სძინავს, და არ მიუახლოვდება ისევ? ისევ არ შემართავს ხელსა? ისევ არ მოუქნევს და იმ ჩვენს დევსა, აკი ისევ — ტყლაშ? გამოეღვიძება დევს, შალვა კი ჰყვებოდა, რომ კომედია დელ არტემ თავის მხრივ მშვენიერი როლი შეასრულა ისეთ დიდ შემოქმედთა ნაწერმოებებში, როგორებიც ღყვნენ... და სახეგაბრწყინებულმა ჩამოთვალა ჯერ მხატვრები — კალლო და ვატო, მერე — ჩიმაროზა, მოცარტი, როსინი, მაგრამ აქ აღფრთოვანებულმა გრიშამ, პიანინოების ამწყობმა, წაართვა სიტყვა, ლამის დასჭექა, რომ ჩვენს წყალობად არსებობენ ისეთი დიდი ოპერები, როგორიცაა „ფიგაროს ქორწინება,“ „სევილიელი დალაქი,“ და რომ იქ ასახული ბრიგელას მსგავსი მსახურები და პანტალონეს კოპიო მეურვეები ნაღდად, ნამდვილად კომედია დელ არტედანაა... აქ კი ვასიკომ, ლიტერატურისმოყვარე და მცოდნე კაცმა, გაიწყვეტინა, თავის მხრივ იმანაც სახეგაბადრულმა ჩამოთვალა შექსპირისეული ლაღად და ორაზროვნად ალაპარაკებული მსახურები, ახსენა გოლდონი, ლოპე დე ვეგა, მოლიერი, დოდე, რასპე, და კიდევ ბევრს ვისმე ჩამოთვლიდა, მაგრამ ახლა ისევ შალვამ დაიბრუნა სიტყვა და, ჰოიი, რა თქვა: რომ იტალიურ კომედიას მოვლილი ჰქონდა ევროპის ბევრი ქვეყა-

ბუბუნა დოლიანაშვილი
ცალ-ცალკე და ერთად

ნა, და რომ კაპიტან სპავენტოს ისეთი მსახური ჰყავდა, ჯერაც დაუბადებელ სანჩო პანსასავით მორჩილად რომ იტანდა პატრონის მთელ რიგ დაუჯერებელ გამონთქვამებს, და ეგებ სანჩოსაც კი შეახებოდა ოდნავი სიო კომედია დელ არტეს მსახურთა მოუხეშავ-ეშმაკური სიბრძნეებისა; და ასეთი თამამი აზრის გამგონენი, შეშინებულები მიეუჭდნენ, მერე კი უცებ ერთხმად დაასკვნეს, რომ ამ ორიოდ დღის განმავლობაში აუცილებელია გონებისა და სხეულის განუწყვეტელი დაძაბვა და ვარჯიში, რათა აქ, ზემო იმერეთშიც როგორმე დამჯერებლად დაიდგას კომედია დელ არტეს ნაირსახეობა, და რომ ეს უნდა მოხდეს სულ რაღაც სამი კაკალი დღის შემდეგ, როდესაც მათთვის, ძმებ-ქეეერაძეებისათვის, მოვა და გათენდება მშვიდობის მთავარი დილაა...

6

გათენდა მშვიდორის მთავარი დილაა...

ოთხიდან, სამნი, ძალიან ღელავდნენ, ერთადერთი შალვა იჯდა დაფიქრებული და ხანდახან ნაღვლიან მზერას გააპარებდა იმ სოფლისაკენ, საღამოხანს რომ უნდა ასულიყვნენ და იქაურ მღვიმე ხერგულა-კლდეში დაედგათ თავიანთი კომედია. გაიოზ ჯაში მერე ვეღარც კი ღელავდა, გაოგნებული იყო — მაინც როგორ უნდა წარსმდგარიყო ხალხის წინაშე ხმამაღალი სიტყვებით იგი, შენიღბული პოეტი, და, გამოუცდელობით, ამა ნეტა რის თქმას მოახერხებდა... დიდად ღელავდა ვასილიც, რადგან, მისი ღრმა რწმენით, დღეს, სწორედ დღეს უნდა დამტკიცებულიყო, გახლდათ თუ არა უტოპისტი... განსაკუთრებით კი, ღელავდა და შფოთავდა გრიშა, ადგილს ვერ პოულობდა, წრიალებდა, მაგრამ თურმე კომედიაში მონაწილეობა კი არ ადარდებდა, არამედ სულ სხვა რამ, რადგან ნასადილევს ვეღარ მოითმინა და, თქვა:

— იმ შეჩვენებულმა, აქაც არ მოგვაგნოს.

— ვინ შეჩვენებულმა... — შეკრთა გაიოზ ჯაში.

— შენ ჯერ არ იცნობ... ერთი ტიპია, ჩვენზე დაწერა.

— რა...

— რა და, რაღაცა სისულელეები...

— პოემად?

— პოემა არაა... პოემას, გენაცვალე, ოსტატობა უნდა, ისე კი არაა ის. აბა, თუნდაც ჯონ-გრეის შემთხზველია ეეგ?... უპასუხისმგებლო!

გაიოზ ჯაში ისევ გაირიყა, ისევ დაეჭვდა გრიშა:

— აქაც რომ მოგვაგნოს, ნამდვილად გადავირეკი. დავხვევ!

— ნუ გეშინია, გრიშა-ჩემო, — დაიმედა შალვამ, — ზღაპარში აბა როგორ მოგვაგნებს...

— ზღაპარიც პროზის არაა?! — დუნედ გაიკვირვა ვასიკომ.

— შენ რა გენაღვლება, რა! — გაცხარდა გრიშა, — შენ დიდ განათლებულად და ენამოსწრებულად გამოგიყვანა, მე რას მერჩოდა, შტერივით რომ დამაბზრიალა რაღაც სულელურ ხალხში! გაიცინა მოცელლები, ხომ? რომელი სასაცილოები ჩვენა გვნახა!

— არა, უბრალოდ, ეგ ერთ-ერთი ხერხია ლიტერატურაში, — სცადა გრიშას დამშვიდება ვასიკომ. — თანაც, ძალიან ძველი — დიდი ხნის წინათაც კი, საბერძნეთში, კინიკოსი მწერლები მხიარულ, ზღაპრულ სამოსელში ახვევდნენ თავიანთ არცთუ მხიარულ ნააზრევს, რათა მკითხველებისთვის ამ გზით უფრო ადვილად მიეწოდებინათ ნაწარმოები.

— რა�о? ზღაპრულ სამოსშიო?! ისე გამოდის, აქაც უნდა მოგვაგნოს, ხომ!

— დაწყნარდი, კარგი...

— შენ შენი თავი დაიწყნარე! — აქ უფროს ძმასაც შეუწყარა გრიშა, — და, მეორეც რომ, ხომ არ გგონია,

შენი საქმე რომ კარგადაა — შენც კი აუტენტრუკებული გამოგიყვანა, ნუ გეშინია შენ! გამოექომაგე, გამოექომაგე! ეგრე გინდა შენ, ვენაცვალე ხელებში!

— ხელებში რა — შეშას კი არ ამობს, ცალი ხელით წერს, ცალი ხელი უნდა გეთქვა, — ვეღარ მოითმინა ვასიკომ.

— ჯანდაბა იმის ხელსაც და თავსაც, რას აგვეკიდა, რას აგვეპროწიალა, ვეპატიჟებოდით თუ?

— ჩვენ გვეპატიჟებოდა ეს კაცი? — გაიოზ ჯაშისკენ გადააქნია თავი შალვამ, — მაგრამ მიგვიღო.

გრიშა გაჩუმდა, ხოლო გაიოზ ჯაშს არაფერი გაუგია, გათიშული იჯდა.

მერე გრიშამ მაინც იძალა:

— ჩვენ ამ კაცს ჩვენით მივადექით და, იმას რაღა ესაქმებოდა?

— ეგებ იმასაც მივადექით, რა ქნას იმანაც, გრიშა-ჩემო...

აქ გრიშა კინაღამ გადაირია, ყოველდ დაუკავშირებელ წინადადებებს იძახდა:

— მივადექი რა, პიანინო აეშალა თუ რა?... უპასუხისმგებლო ეგ!.. ერთხელ სოლოლაკში ანტიფაზიზელი ვნახე!.. გამომივიდა სიტყვის ოსტატი!.. ხომ ამოვიდნენ იმის ოხტში!.. რა იცის მაგან მატარებელში სად გავიღვიძე!.. კანდიდატებზე ზემოთ ეგ ვეღარ ავა... სიმაღლეში რა ჭკუა ყრია!.. მე ვენაცვალე პატარ-პატარა პროფესორებს...

პარასკევი დღე იყო.

— კარგია, კმარა, — ხმას აუწია მედგარმა შალვამ, — დღეს მხოლოდ ჩვენი საქმით უნდა ვიყოთ...

— კი მაგრამ, ნამდვილად მოვა თუ იცი ხალხი? — იკითხა ერთბაშად გადასხვაფერებულმა გრიშამ.

— აბა რა... ნაცნობი მყავს ერთი იმ სოფლად, სევერიონე, კარგი კაცია სხვათა შორის ძალიან, ის შეგვიგროვებს ხალხს.

მართლაც, მოგროვდნენ, მაგრამ რას მოგროვდნენ... ჩამოდიოდნენ დამრეც ფერდობზე ხერგულა-კლდისკენ დაბეთები, ბესარიონები, შალიკოები, გიორგ-ჟორები, სანიაები, სიმონიაკები, კონსტანტინეები, მიშა, ვახტანგები, გივები, ფირუზები და მარგალიტები, ქეთევანები, რუსუდანები, ვერიკოები, თინათინები, ვალია, დარეჯანები, მაყვალები და ეკალბარდებში მიიკვლევდნენ მღვიმისაკენ გზას, პატარათი გაივაკებდნენ, მერე კი აღმართს ამოუყვებოდნენ და, ამოდიოდნენ ორბაქნიან ხერგულა-კლდეში... მაგრამ მეორე ზედა ბაქანი — ნურას უკაცრავად, აღარა ჩანდა, ლურჯად მგზინავი ფარდა რომ იყო გაჭიმული მღვიმის შუაში კიდით კიდემდე, ფარდის წინ კი იდგა მეთაური ძმა — შალვა, და ხალხს თავგზინად ეგებებოდა სულ „მობრძანდით“-თი, სულ „გეთაყვა“-თი, ხერგულა-კლდეში იქაურთაგან ვინ არ ყოფილა, მაგრამ ახლა, შებინდებისას, ჩირაღდნების სათუო შუქზე, რაღაც სხვაგვარად, ახლებურად აღიქვამდნენ მღვიმეს, და თუ იმასაც ჩავთვლით, რომ დიდი ხნის წინათ, ძალიან ადრე, ხერგულა-კლდეში პირველყოფილი ადამიანი ბინადრობდა და იმდროინდელი, კაჟის მასალა და ნანადირევთა ძვლები არქეოლოგების მიერ აქ უხვად იყო აღმოჩენილი, იდუმალების მორუხო ხიბლი ემატებოდა იქაურობას, და ყოველივეს აძლიერებდა ჩვენთვის ყველასთვის ნეტარი — „აჰ, წარმოდგენა უნდა ვნახოთ,“ ქართველებიდან, რომელს არ გვიყვარს წარმოდგენა, წარმოსადგენის მეტი რა გვაქვს, კი; და, ვგროვდებოდით, გაიგსო მღვიმის ქვედა ბაქანი, ერთი პირდაპირ ყანიდანაც კი ამოვიდა, დგგვიანების შიშით კალოშების გამოცვლაც კი ვერ მოესწრო, და იმის გვერდით უცნაური სანახავი იყო მაღალ ქუსლებზე შემდგარი მსუქანი ბუხჰალტერი ქალი, მამიდაშვილ-ბიძაშვილები იყვნენ.

გურამ ფოჩიანაშვილი
ცალ-ცალკე და ერთად

ჯერ კარგა მორიდებულად იდგნენ, მაგრამ მერე და მერე, ცდაში, ამოძრავდნენ და ალაპარაკდნენ, ერთმა მეორეს თამბაქო სთხოვა, რატომ არ ამოხვედი წუხელიო, გასძახა მესამემ მეშვიდეს, აქეთ — მიიკითხ-მოიკითხეს ერთმანეთი, ჩემი ჭუკები გარეკა ნეტა ბიჭმაო? — მეთვრამეტემ და, ყაყანში რომ არ გადაზრდილიყო იმათი მომლოდინე ყოფა, — ალბათ შეგროვდნენ უკვე ყველანი, ვინც მოსასვლელი იყო, უკვე მოვიდოდაო და, ხელისგული შემართა შალვამ:

— ძლიერ პატივცემულო ზემოიმერლებო!

დიდი მღვიმური სიჩუმე ჩამოვარდა, მეტი ფასი დაედოთ ჩირაღდნებს.

— თქვენ გაგიმარჯოთ, — აღნიშნა შალვამ.

— გაგიმარჯოთ, ჩემო ბატონო... სალამი და გამარჯვება... სალამი და გამარჯვება მოგვიხსენებია...

— და ჩვენ სწორედ იმიტომ ამოვედით აქ, რადგან ზემო იმერეთი, ჩემის ღრმა რწმენით, ყველაზე მეტად საქართველოა, ჩვენი, — თავი ამაყად შემართა შალვამ, — რადგან აქ, ქარაფლის ამოყოლებაზე, მშვენივრად ერწყმის ერთმანეთს ჩვენ-ჩვენი აღმოსავლური და დასავლური... იმას ვამბობდი, ჩვენ, სამთა ძმათა და პატივცემულმა გაიოზ ჯაშმა, გადავწყვიტეთ რომ, სწორედ თქვენთვის გვეჩვენებინა ის კომედია, რომელიც ჯერ კიდევ თქვენი პაპის პაპათა პაპების და კიდევ უფრო, დაბადებამდე, იდგმებოდა და ახლაც იდგმება მთელ რიგ შორეულ ქვეყნებში და, რა დავამცდეთ ჩვენ, ახლომახლო ქართველებმა — ჩვენც კი უნდა ვიგემოთ, თუ რა ხილია...

— აგაშენა ღმერთმა, — გულით წამოიძახა ერთ-ერთმა ბესარიონმა.

— ნუ აწყვეტინებ...

— პირიქით, პირიქით, ჩემო სევერიონ, — გაიბადრა შალვა, — როცა კი მოისურვებთ, მაშინვე შეგიძლიათ ჩაერთოთ კომედიაში, ან შეგვისწოროთ ის, რაც ჭკუაში არ დაგიჯდებათ, ყოველად თავისუფალი წარმოდგენა იქნება ეს... გულიან სიცილსაც ამბა ვინ აგიკრძალავთ, დუშმანები კი არ ვართ, მაგრამ ეოთი რამ უნდა გვამატოთო — რადგან ამ წარმოდგენაში ათამდე მოქმედი გმირია, ხოლო ჩვენ კი მხოლოდ ოთხნი ვართ, ხანდახან ერთ კაცს სამი როლის შესრულება მოგვიწევს და...

— რა უჭირს მერე!..

— ხომ ნებასა გვრთავთ? — გაიხარა შალვამ, — ძალიან კარგი. მით უმეტეს რომ, ნიღბებსა და ტანსაცმელს შევიცვლით ხოლმე და, და გაგიადგილდებთ მიხვედრა, ვინ რომელი ვართ. მსახიობები სულ კაცები გახლავართ, მაგრამ ზოგიერთები, ბატონო, — გაუღიმა ხალხს შალვამ, - ქალებსაც კი განვასახიერებთ. ხომ დაგვიჯერებთ?

— კი დაგიჯერებთ, ბატონო, მაგრამ, — შეეპასუხა პატარა დუმილის შემდეგ ერთ-ერთი დათიკო, — გესიამოვნებათ მერე მაგი თქვენ?

შალვამ გულიანად გაიცინა და:

— ძალიან კარგი! — დიდად კმაყოფილმა წამოიძახა, — აი, სწორედ ასე მშვენივრად უნდა ჩაერთოთ ხოლმე, — და მაღლა შემართა მარჯვენა ხელი, — აბბა, ვიწყებთ!

ოჰო, ზემოიმერულ კოხტა მღვიმეში წარმოსაადგენი კომედია დელ არტე... გაიხსნა ფარდა!

...ზემო ბაქანზე ვასილ კეტერაძე იდგა, წითელცხვირიანი ნიღბით სახედაფარული, შავი მოსასხამით შემობურვილი; სხვები ჯერ არ ჩანდნენ, რადგან ბოლომდე გაუხსნელ ფარდას ამოსდგომოდნენ და შალვასაც იქით მიეშურებინა; ფერხთით განელადგებინათ სხვადასხვანაირი ნივთები და ტანსაცმელი.

გამოჩენილი ვასიკო კი იდგა, დუმდა, ღელავდა.

— მიდი, ვასიკო, მიდი შენ გენაცვალე, — ხმადაბალი მღელვარებით შეუძახა შალვამ, — მიდი დაიწყე, ძმაო ვასილ! ერთი, ორი და სამი...

და ვასიკომაც, წამოიწყო:

— მე ვარ ბოლონიელი დოქტორი გრაციანო, ხოლო ფლორენცია დედაქალაქია ტოსკანისა, ტოსკანაში შეიქმნა მეცივრმეტყველება, ხოლო მეცივრმეტყველების მეფე ციცერონი იყო, ციცერონი რომში სენატორობდა, რომს თორმეტი კეისარი ჰყავდა, თორმეტივე თვეა წელიწადში, წელიწადი კი, თავის მხრივ, ოთხად იყოფა, ოთხია აგრეთვე ბუნების სტიქია: ჰაერი, წყალი, ცეცხლი და მიწა, რომელსაც ხარების მეშვეობით ხნავენ, ხარებს აქვთ აგრეთვე ტყავი, ტყავისგან კი ფეხსაცმელები იკერება, რომელთაც ფეხებზე ვიცვამთ, ფეხები სიარულისთვისაა საჭირო, სიარულისას წავფორხილდი და მოვედი აქ, რათა მოგესალმოთ, — გამარჯობათ.

სამარისებური სიჩუმე იდგა.

„რას ბოდიალობს აგი კაცი," — გაიფიქრა ერთ-ერთმა საშიამ, მაგრამ ხმამაღლა არ უთქვამს ეს — იმერლები ხომ, ძირითადად ზრდილობიანი ხალხია.

„ცუდადაა საქმე," — გაიფიქრა შალვამ, რომელიც ნატყვიარი ფარდიდან იან გიფაციცებით უქვრიტიებდა ხალხს და თან პანტალონეს სამოსს ალაბედზე ირგებდა, მაგრამ მაინც არ შედრკა, ისევ ხმადაბლა გასძახა: — არ დაიხიო, ვასილ, არ გაგიტყდეს გული, შეუტიე, მიდი!..

— ჰერკულესი რომ არა, — განაგრძო ხალხის დდუმარებით შეშინებულმა ვასიკომ, — ტყუილია, ისე ვერასდროდებით ვერ აჯობდნენ შვიდკარიან ტროას, ტროაში ხეოფსის პირამიდებს აგებდნენ ხისცხენიანი მაჰარაჯები, ხოლო იმათ კი ფადიშაჰად კეისარი ეჯდათ, ხოლო როცა კეისარი დაუნდობლად განგმირეს, იმისი უკანასკნელი სიტყვები იყო — შენც, თეზევს?

„რეებს ბეუტურობს აგი კაცი," — გაიფიქრა ერთ-ერთმა ყორიამ, მაგრამ არც იმას უთქვამს ხმამღლა ეს — იმერლები ხომ, სტუმრისადმი ძირითადად მომთმენი ხალხია.

მაგრამ წინდახედულმა სევერიონმა, რომელიც ძმათა მსასპინძლად თვლიდა ამ სოფელში თავს, ყოველი შემთხვევისათვის ხალხს მოკლედ შეუძახა:

— სსუთ!

„უტოპისტი, ვაარ?" — მწარედ გაიფიქრა ვასილმა, ამ რაღაც ქვეშ სიჩუმისგან ძლიერ დაიბნა, ალარ იცოდა რაღა ეთქვა, რაღა ექნა, და მაინც იპოვა გამოსავალი: — ოოო, ჩემი ძვირფასი მეგობარი, პანტალონეც, აგერ არ მოდის?

„ვაიმე!" — ერთი კი გაიფიქრა შალვამ და, ორად მოხრილი, კოჭლობა-კოჭლობით გამოვიდა ავანბაქანზე.

„რამ დააკოჭლა ამ ორ წუთში," — გაიფიქრა ერთ-ერთმა კონსტანტინემ, უკვე მტრულად განწყობილიყო.

შალვამ ავანბაქანზე ახველა, აცემინა, აცემინა, ახველა, თითქოს რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ ხველებისა გამო ვითომც ვერ ახერხებდა, და ბოლოს მაინც თქვა:

— მე ვარ ვაჭარი პანტალონე, და ფლამინია მიყვარს, გამარჯობათ. ااا-ფჩხიჰკ!

მდვიმური კი არა და, აკლდამური სიჩუმე იდგა.

„უტოპისტი ვარ! — შეძრწუნებით გაიფიქრა ვასიკომ, — უტოპისტები ვართ ჩემი ძმებიც, მეც!"

— კაპიტანზე გადადი... — უჩურჩულა შალვამ.

მაგრამ ვასიკო ველარ იყო იმ ძველ გუნებაზე, და ესოდა მოახერხა:

— მოდი, ბრიგელა!

პატარა ხანს არაფერი ისმოდა, მერე გრიშამ გამოსძახათ:

— ახლავე მოვალ, სენიორ, ჯერ პირს დავიბან და...

ცუდად იყო საქმე... გარეთ ბნელოდა.

— კაპიტანზე გადი-მეთქი, — ისევ უჩურჩულა შალვამ, — კაპიტანი ნამდვილად გასჭრის...

გურამ დოჩანაშვილი
ცალ-ცალკე და ერთად

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვა რა გზა იყო; ვასიკომ მოსასხამი დაადგო, ნიღაბიც მოიცილა, სქელი ულვაში დაიკრა, პლასტმასის ხმალი იშიშვლა და:

— მე ვარ კაპიტანი სპავენტო! — რამდენადაც შეეძლო, ომახიანად წამოიწყო ვასიკომ, — მიწისძვრისა და ელვის პირმშო, მავრთამქლეტელი, მაგრამ რადგანაც არ მოიძვება დედამიწის ზურგზე ისეთი დათვი, რომელთანაც შებმას ვიკადრებ თვით მე, შეძრწუნებათა კაპიტანი, კაპიტანი სპავენტო — ცეცხლი და სისხლი, ამიტომ სანადიროდ ავდივარ მეშვიდე ცაზე, რათა იქ მოვკლა ვარსკვლავებისგან შედგენილი დიდი დათვი და წარმატებით ვნადირობ იქ, ახლა კი მოვედი თქვენთან, გამარჯობათ.

— გაგიგეთ, ბატონო, გაგიგეთ, გაგიმარჯოთ, გამარჯობათ, გაგიმარჯოთ, სალამი, გამარჯობათ, — ვეღარ მოითმინა ერთ-ერთმა დათიკომ, — გამარჯობათ! მერე?..

და იმსოფლელთაგან ყველაზე მეტად გულფიცხს, ვახტანგიას ის-ის იყო უნდა წამოეძახა: „თქვენ-თქვენი თავი აიგდეთ მასხრად, ბატონო,“ რომ...

— მე ვარ მაიორი გრატიაშვილი, — თქვა უცად ვასიკომ და შალვას უცნაური რეჩხი უყო გულმა, — ვარ არტილერისტთა ქვეგანყოფილების სიმამაცე, და ზარბაზნით მძლაუძს გაფრენილი ბეღურის ჩამოგდება, იქნება ეს ბეღურა დედალი თუ მამალი, ჩემთვის სულ ერთია, და ამიტომაც, — ულვაშზე ამაყად გადაისვა ხელი. — და ამიტომაც მოვწონვარ ქალებს.

— დეიღუპე შენ, — უბოროტოდ წამოსცდა კალოშებიან მაყურებელს.

— მე, სრულიადმა მაიორმა გრატიაშვილმა, ჩემში შეყვარებულ მრავალ ქალთაგან ამოვარჩიე ერთი, ვისი მშვენიერებისა და სიტურფის დიდი ამბავიც გავარდნილია ჭიათურიდან კაცხ-ზესტაფონის გავლით ადვილდვინან სოფელ სვირამდე, და ამის გამო უამრავ ქალს დავწყვიტე უმანკო გული, დავწყვიტე კი არა, იმათ გულებში რომ დაენთო, ფეროს ქარხანაში დანთებულა იმდენი ცეცხლი.

— აუფფ! — კმაყოფილად შეუძახა ერთ-ერთმა დათიკომ.

— მაგრამ ერთი ოხერი ძალიან მიშლის ხელს, — და შალვას მიუბრუნდა, — ხოლო იმ ქალწულს რადგან თქვენ მეურვეობთ, მასზედ ქორწინების ნებართვას ვითხოვ თქვენგან, ჩემო... პანტელეიმონ!

— ვინ არი შენი ჩემი პანტელეიმონ! — ვითომც განრისხდა გახარებული შალვა, — როგორ მიბედავ... აზნაურიშვილი ვარ მე და, ვიღანა ხარ შენ!

— მე კიდე — თავადი ვარ, — გაიჯგიმა ვასიკო.

— გრატიაშვილი და თავადი, არ გამიგია მე.

— ვერც გაიგებდი, — არ დაიხია ვასიკომ, — რადგან გრატიაშვილი ჩვენი ნათესაობის ფსევდონიმია, ფსევდონიმი კი იმიტომ ავიღეთ, რომ პაპაჩემის ბიძამ, ალმასხან ორბელიანმა, ბატონი მოკლა ჭრელი ღორივით და ფსევდონიმი შევირქვით, რათა ვერავის ვეცნეთ.

აქ პანტელეიმონი დაფიქრდა, მერე გაუნათდა სახე:

— თქვენი ბატონი რა გვარის კაცი იყო, ბოდიში? ორბელიანებმა ბატონი თუ მოკალით, თქვენი ბატონი თვით მეფე-ბაგრატიონი უნდა ყოფილიყო და რაღაც არ მახსოვს ისტორიიდან ეგ მე.

ატყდა სიცილი, ატყდა „სწორია, სწორია...“

მაგრამ ვასიკომ არ დაიხია:

— ალმასხან ორბელიანი მაშინ პრაქტიკაზე იყო შორეულ ახალ ზელანდიაში.

— და იქაური მეფე მოკლა?

— აბა?! — დაეთანხმა გრატიაშვილი, — ცალი ტეტეთი.

პანტელეიმონი დაფიქრდა და:

— სად იყო, ბიჭო, მაშინ ტეტე?

—სად იქნებოდა, — ხელში.

ხალხმა რატომღაც მატყუარა ვას-

იკოს მხარე დაიჭირა: — კარგი ხარ, კარგი... ხოლო შალვასკენ ზედიზედ გაისმა: — ჩაჯინება არ იყოს... ჩაჯინება არ იყოს...

— არაფერი არ ვიცი მე! — გაგულისდა პანტელეიმონი, — ფლამინისა... ეე, მარგალიტას აღზრდა-განათლება ოცი ათასი დამიჯდა მე ახალი ფულით და, თუ გადამიხდი, წაიყვანე და შენი იყოს. მშვიდობით.

— საიდან ვიშოვნო ოცი ათასი? — მწუხარედ წარმოსთქვა ვასიკომ.

— დაუხატე, დაუხატე! — ურჩია რომელიღაც სიმონმა და ატყდა ისევ სიცილი.

— როგორ დავუხატო, — დანაღვლიანდა ვასილ გრატიაშვილი — ფანქრის ფულიც რომ აღარა მაქვს... სულ დამეხარჯა...

— რატომ, ჭირიმე... — დაინტერესდა კენტი მიშა.

— შემოქმედხარჯა გლახა ქალებში.

— ვერ დაჯდებოდი შენთვის მერე? — შემოუძახა კალოშებიანმა.

— ვერ დავჯდებოდი, — სევდიანად აღნიშნა ვასიკომ.

— რატომ, შე კაცო...

— მიყვარს ქალები და, რა ვქნა.

— დეიღუპე შენ! — წამოიძახა მსუქანმა ბუხჰალტერ-ქალმა და ჩაბეჭირდა, დიდი ფოსოები ჩაეკეცა წოთელ ლოყებზე.

„ბგონი არა ვარ უტოპისტი! — გაიფიქრა ბედნიერმა ვასილმა, — მგონი, არა ვარ...“

ამ დროს, სად იყო და სად არა, გაჩოვდა ეს ჩვენი გრიშა, და, ოხერმა, მაშინვე მოიგო ხალხის გული — ვითომ უცაბედად წაიქცა და სულ ყირამალაზე გადაკოტრიალდა. ატყდა სიცილი, მაგრამ რას ატყდა, რადგანაც, ისე, საერთოდ, კეთილები კი ვაართ, მაგრამ რა ვქნათ, მაინც გვიხარია კაცის წაქცევა, — ქართველები ვაართ, ქართველ-ლები ვაარ-თა

აჩერა ამეტყველებული პოეტი — ვარდისფრად შეხამებულ სიტყვათა კონის მონა გაიოზ ჯაში, აიღო და უპწკინა, ესეც ძალიან გაგვეხარდა ყველას, ხოლო პანტელეიმონმა ხელები მაღლა აღაპყრო, და გაიოზ ჯაშის ათრთოლებულ ტალღაზე დადგა, ასე შესძახა: „ისეთი ტანჯვის შესძელ მოგონვა, რომ სულ ცრემლსა ვღვრი, ჩემო გოგონა,“ და ამჯერად მისმა დაცემინებამაც მშვენივრად გასჭრა — თხის კუდი, შე შეჩვენებულო, დაუძახეს. მერე გამოვიდა ჩურჩუტი მსახური, გრიშა, სამკუთხა ნაკუწებით აჭრელებული არლეკინის სამოსი ეცვა, მიადგა ფარდას და, ჯერ წესიერად ბერტყავდა, მაგრამ როდესაც ნარნარად ჩაიარა კაბადაგაცმულმა შალვამ, ზურგზე ცარცისმიერი წარწერით — „ტასია,“ გრიშამ თვალი გაყოლა და, აღელვებულად შეფიქრიანებულმა, იქვე მდგარ თავის სენიორს, ისევ წამოსასხამში გამოხვეულ დოქტორ ვასიკოს უთავაზა ჯოხი. ეგრე არ უნდაო, ვასილმა და, დასცხო და დასცხო უსულგულო კეტი, სულ ბდღვერი ადინა. გაედევნა მერე ტასიას, დარჩა არლეკინი მარტო, ძლივს აითრია წელი, შეჭმუხვნილიყო, ფრთხილად მოისვა თითები ბეჭებზე, თავზე, გატრუნულიყო ხალხი, აკი გითხარით, კეთილებიც რომ ვაართა, მერე კი ზედ ავანბაჟანის კიდეზე ჩამოჯდა, ფეხები სპარსულად ძლივს მოირთხა, ნაღვლიანად შეაცქერდა ხალხს და, აუტყდა უცებ თავის თავზე ლაღი სიცილი!.. აჰყვა ხალხი და, მაგრამ რას აჰყვა, მაგრამ ეს რაღაც სხვაგვარი შვება იყო, უფრო კეთილი, უფრო ალალი, და რომ გეკითხათ, შეიძლება ვერც ეპასუხათ თუ რა იყო იმათი მხიარულების მიზეზი, მაგრამ რა ვუყოთ, კარგიცაა ალბათ, ხანდახან ისე ძალიან რომ მოგვინდება ხოლმე სიცილი... და ხარხარი კი მაშინ უნდა გენახათ, როცა გაქნილ მსახურად გადაქცეული შალვა დოქტორ ვასიკოსაც და იმის გრიშასაც ცალცალკე რომ დაპირდა ტასიას „მოვნას, ოღონდ იმ პირობით, თუ დოქტორი ქალად გამოეწყობოდა, რადგან ტასია მოერიდებოდა სპაემნო სახლში მამაკაცის კვალდაკვალ შესვლას, გრიშა კი დაარწმუნა, რომ იმ სახლში მხოლოდ ქალად გადაცმულს შეუშვებდნენ, იქ კი ტასია დახვდებოდა ტახტზე წამოწოლილ-გამზადებული, დასცინცქლა ორთავ ბატონ-მსახურს ფული, და აი, აივან-ბაქანზე თავის თავთან აღგზნებული ლაპარაკ-ლაპარაკით გამოვიდა და წამოწვა დოქტორი ვასილ, მერე კი ფრთხილად შემოიძურწა ასევ-კაბიანი მსახური გრიშა, ხერგულა-კლდეში ბინდბუნდი გახლდათ, მიუახლოდა აჩქროლებული მსახური აჩქროლებულსავე ბატონს, და ძლიერ გაინაზეს ერთურთისაკენ გაწვდილი ხელები და, ის-ის იყო, ერთიმეორეს უნდა ჩახვეოდნენ, და არ შერჩათ უცებ ერთმანეთი? და ვხარხარებდით ჩვენ, ნეტარი მაყურებლები, ვვიცახცახებდა უკან გადაგდებული თავი და ბედნიერებისგან მოგვმუშტვოდა თითები, ცრემლებს დაოსებულნი ვიწმენდდით და მუცელზე ვიტაცებთ ზოგ-ზოგებმა ხელი — „ვაიმე, დედა,“ ჩვენი ხარხარით ზანზარებდა გამოქვაბული, და ჩირაღდნებიც თითქოს ახტუნავდნენ, მაგრამ უეცრად ყველაფერი გადაფარა რაღაც სახტიმა, საშინელმა, თავზარდამცემმა დაღრიალებამ:

— თქვე ქართველებოოო!!!

გაბრუებულნი, გაოგნებულნი ასცქეროდნენ ზედა ბაქანზე გადმომდგარ შალვას, და აღარავინ ხარხარებდა კი არა, არც იღიმებოდნენ კი არა, — თავრეტდასხმულნი, პირდაღებულნი მისჩერებოდნენ მრისხანე შალვას, და თუმც გაქვავებულები იდგნენ, შალვამ ისეთივე შემაძრწუნებელი სიძლიერით დასძახა:

— ქართველებოოო, სდექ!!!

სად წავიდოდნენ, გახევებულნი იდგნენ, ოღონდ ძალიან მიპკვროდნენ ერთურთს; ამ პირველყოფილ მღვიმ-

ეში, ჩირაღდნების მაცდურსა — და ფრიალა შუქზე, განრისხებული შალვათი დაშინებულებს, ძლიერ მოუნდათ ერთმანეთი და ის ორი დამდურებულიც კი, აგერ უკვე ათი წელი ერთმანეთს ხმას რომ არ სცემდა, ისე შემჭიდროებულიყვნენ, თუმც ზღაპარ იყო, მაგრამ მაინც, საკვირველებავ, ერთ კაცად იქცნენ...

— სასაცილოდ გაქვთ, არა, საქმე? — გრგვინავდა შალვა, — ჩვენ, სამმა ღვიძლმა ძმამ, და კიდევ ერთმა, მომხიარულო წვითა და დაგვით ამოგიტანეთ აქ, ამ სოფელში, შორს ამოსული თავისუფლების უცხო ყვავილი, თავად სილაღე, იტალიური კომედია დელ არტე, და რომ გაგეგოთ იმისი მადლი, სახელდახელოდ გადმოგიქართულეთ კიდეც და, მაგრამ, ბოდიში! — სიცილ-კისკისის მეტს ვერაფერს მიგაღწევენთ, იმ სილაღეში, სახარხაროს გარდა, სხვა ვერაფერი შენიშნეთ, არა? — შეგირცხვათ თავი!!

ზღაპარ იყო, კი, და ერთმეორეს ეყლინოებოდნენ ვითომც სასეირო ამოსული მაყურებლები, ახლა — შემცბარი და გასაპარავად აძურწული ხალხი, მაგრამ ვინ გაუშვებდა, ვინ მოაცვლევინებდათ ფეხს, და ერთმანეთს უნებურად ძლიერ რომ ეკვროდნენ, ალბათ არც ეს იყო სწორი — ისედაც მცირერიცხოვანნი, ცოტავდებოდნენ, სულ რამდენიმე კაცილა დარჩა, ისინიც ერთმანეთისკენ ჯერ მიჩოჩდნენ და შეხუტდნენ მერე.

— ვინ აგიკრძალავთ ღიმილს და სიცილს! — დაჰფრიალებდა იმ რამდენიმეთ აღელვებული შალვა, — მაგრამ, უნდა იცოდეთ, რაზე იცინოთ და რაზედ — არა, ნუთუ ვერ შეგვნიშნეთ ის სილაღე და თავისუფლება, ყოველი თქვენგანისათვის საოცნებო რომ უნდა იყოს... არა, ცალფა სილაღე როგორ არა გაქვთ, მაგრამ ვგიჟდები — საიდან, როგორ!!

ორი კაცილა დარჩენილიყო, და იმათაც მიაშურეს ერთურთს.

— კოლხ-იბერებო! — დასჭექა შალვამ, — აბა, დაძაბეთ სმენა, თვალები...

ერთი კაცილა დარჩენილიყო, ისიც მობუზული, თავჩაქინდრული; ისე საცოდავად იდგა, შალვა ცოტათი მოლბა, ქვედა ბაქანზე ჩახტა, ამფსონებიც ჩაჰყვნენ, მივიდა შალვა აიმ კაცთან, ამოსდო ნიკაპში ორი თითი, ააწევინა თავი, კარგა შეხედეს და, რასა ჰხედავენ: ჩვენი კიკოლია.

კიკოსავით დგას, ირგვლივ სხვა აღარავინ მოჩანს, მხოლოდ ცალი ყალოშიდა გდია.

რა იყო, კიკოლი, რამ დაგაღონანო, შალვამ. რავიო, იმან. არა, არა, მაინც რამ დაგაღონანო, შალვამ. კომედიაზედ, ვიცინოდი და აი ამან დამაღონანო, იმან. ბიჭოო, შალვამ, არ გირჩევნია, სხვებს რომ არ მოგვაჩერდე, შენით იპოვო გამოსავალიო, შალვამ. ჩემით როგორღა ვიპოვოო, კიკოლიმ. როგორ და, წადი და მიიარე, მოიარე, ეგეგ შენს ბედს შენც ეწიოო, შალვამ.

დააპირა შებრუნება კიკოლიმ, მაგრამ ჯერ დაიცაო, შალვამ. გახედა მერე იმ თავის კომედიელებს, აათვალიერა, ჩაათვალიერა, სულ ერთი წუთით მოაცილა კიკოლის თვალი, მაგრამ რომ მიუბრუნდა, რასა ჰხედავს: გადაყოლართულა არხეინად ეს ჩვენი კიკოლი მხარ-თეძოზე და, მოსვენებაშია.

გაბრაზდაა, შალვა: ადექ, ადექ შე მცონარაო, უთხრა, რამ წამოგაწვინა ასე უცბადაო, უთხრა, ასე რამ გაგაზარმაცაო, უთხრა, როგორ არა გრცხვენიაო, უთხრა, რად წამოწექიო, ბოლოს ჰკითხა.

ესეა და ესე ჩემი საქმე, ზარმაცი ვაარო, იმან.

დაფიქრდა შალვა, კარგა დაფიქრდა, და, აიღო უცებ და, დაავლო ამ ჩვენს გრიშასა ხელი და, გამეტებით მიანარცხა კიკოლის. ეს ჩვენი გრიშა — ფაფუუ, მაგრამ სხვანაირად დააჭყიტა კიკოლიმ თვალები, ძალი და

გურამ დოჩანაშვილი
ცალ-ცალკე და ერთად

ღონე მიეცა, დაიწყო უცებ ცეკვა-თამაში, ისე ცეკვავს და ისე თამაშობს, სულ ფეხის წვერზე დგებაო... იმის ცეკვაზედ უკეთესს, რასა ნახავდა თვალი, მაგრამ გრიშას აკი სმენაც ხომ კარგი ჰქონდა და, დააღო კიკოლიმ პირი, ამოსდის და ამოსდის ცალი ხახიდან სულ ორ, სამ, და კიდევ უფრო მეტხმიანი სიმღერები, „ზამთარია“ გინდა, „ოდოია,“ „კრიმანჭული,“ „ბერი კაცი ვარ,“ „ლილე,“ რა გინდა, მოკლედ, სულო და გულო... მღერის და მღერის ჩვენი კიკოლი, ნაიან, როგორ ამ კიკოლისა ამდენის თავი და ხახა...

კარგი ყოფილაო? — შალვამ. კიკოლი კი მღერას ვეღარა სწყვეტდა, თავიღა დაუქნია.

ეგრე არ უნდა თავის კანტურაო, შალვამ, და აიღო ეს ჩვენი... რა გვარი იყო, სულ დამავიწყდა, აი, ტვიშვილი გვარი რომ ჰქონდა... ჰო, აიღო შალვამ ეს ჩვენი გაიოზ ჯაში და შესტყორცნ-შეჰღინთა კიკოლის, მოკუმა იმანაც პირი, გაელმებული მზერა სადღაც შორს მიაპყრო, რაღაცას ეძებს, წვალებაშია, იცდის.

მიდი-მიდიო, შალვამ.

— ზღაპარ-იყო, ზღაპარ იყო, — სევდიანად წამოიწყო კიკოლიმ, — ჭალას ჩიტი მომკვდარიყო, დიდ ქვაბში ვერ ეტეოდა, პატარაში კარგად იყო...

— შენზეა, აი, — უთხრა შალვამ.

მაგრამ კიკოლი ვეღარ უსმენდა:

— ლეკსო, ამოგთქომ, ოხერო, თორე იქნება ვკვდებოდე... — და შეაცქერდა: — კიდევ ვიტყვი, რაა?

— მიდი.

და კიკოლიც მივიდა:

— ბინდის ფერია სოფელი, უფრო და უფრო ბინდდება...

ვეღარ აგრძელებს, დადარდიანებულა, მხრები ჩამოუყრია...,.

ცოტა ამაყი რამეც კი შეგიძლია თქვაო, შალვამ.

მართლაო? — გაიხარა კიკოლიმ, ვიტყვი, რატო არ ვიტყვიო... და თქვა:

შენ, ჩემო დიდო ამიდო,
კოშკო, ნაგებო კირითა,
ჩემო ცელო და ნამგალო,
ამღერებულნო დილითა,
ტყეში მოჭრილო ისარო,
ქალაქს ნაღებო ინითა,
ცისფერო მოვის პერანგო,
შვიდგან შეკრულო ღილითა,
უკვდავებისა წყაროო,
ნადენო ოქროს მილითა,
თქვენთანამც ყოფნით გამაძღო,
სიფხიზლითა და ძილითა...

გაამაყდა, წელში გაიმართა კიკოლი, ბეჭები გაშალა, დაიხედა მერე თითებზე, გაახსენდა:

— ტაძრის შენება და იმისი კედლების მოხატვაც შემიძლია. გაჩვენო, გინდა?

— მჯერა, კიკოლი.

ისევ სიტყვებმა წამოუარეს ამ ჩვენ კიკოლის, კიდევ უნდა რაღაც-რაღაცების თქმა, დაეძებს რაღაცებსა, ერთხელ ხელმწიფის შვილი სანადიროდ გამობრძანდა, ნახა ერთ უდაბურ ტყეში ერთი მშვენიერი სასახლე, და იმ სრა-სასახლეში ერთი მზეთუნახავი ქალი, ხელმწიფის შვილს ერთის ნახვითვე გული შეჰვარდა ამ ქალზე, უყურა, უყურა და ბოლოს შორით ყურებაც ვეღარ მოითმინა, ჰკრა ფრთებიან ცხენს დეზი, ახლო მივიდა, ახლოდან უფრო მეტად მოეწონა და უფრო მეტად გულში ჩაეკრა. გადმოხტა ცხენიდან... იქით კი ერთი ობოლი დედა მწარედ სტიროდა: ხელმწიფესთან რო მეშურებოდნენ, დამ უღალატა — ეს რა კარგი ვაშლიაო, უთხრა, მე გიზურგულებ, ადი ამ ვაშლზე, დაკრიფეო... აიღო ობოლმაც და, შვილი დას მისცა, იმან უზურგულა, ავიდა ობოლი დედა ვაშლზე და, არ მიატოვეს? ვეღარ ჩამოდის... დედა ვაშლზე რომ დარჩა, იმდენი იტირა, იმდენი იტირა, სულ ცრემლად და სისხლად ჩამოიღვარა მიწაზე. სადაც იმისი სისხლი და ცრემლი მოხვდა, ისეთი ლერწამი ამოვიდა, როგორც ტყე. ათასნაირი ყვავილი და ბალახი გაიშალა. დაფიქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებულა ჩვენი კიკოლი, რამდენი ძნელი რამა აქვს მოსაკრეფი... თქვა:

> იარაბოდა დედა
> ტირილით თვალცრემლიანი:
> „ჩემს შვილს გზად ვეფხვი შეჰყრია
> გაჯავრებული...“

მოაწვა კიკოლის თვალებზედ ცრემლი, დალაგებულად ვეღარ აგრძელებს, სულ ნაწყვეტ-ნაწყვეტ იძახის: არც ვეფხვი იყო ჯაბანი, არც ჩემ შვილ შახვდა ჭკვიანი... შვილო, არ მახკვდი, შენ გძინავ, დაქანცული ხარ ჯაფითა... ერთი შვილ მაინც გავზარდე ვეფხვებთან მეომარია... ხან იფიქრებდა, უდედოდ გაზრდა ვინა თქვა შვილისა, იქნება ვეფხვის დედი ჩემებრ დღედაღამ სტირისა...

დასჩუმდა კიკოლი, ცრემლები მოსდის... შალვასაც, სულ დაბურძგლა, მაგრამ:

— მაგრამ სხვაც რომ უნდა იცოდე?

— რა... — შეკრთა კიკოლი.

— რა და, — ვასილს ჩასჩიდა ხელი შალვამ, — აიი, ესა...

და ისიც შესტყორცნა.

კიკოლიმ ჩაახველა და, თქვა:

— შესაძლოა კი არა, ალბათ უფრო დიდი მწერლები არიან სერვანტესი და ტოლსტოი, გეთაყვათ, მაგრამ ფლობერი ერთადერთი კაცია, ვინც ორი ჭეშმარიტად დიდი, უნაკლო რომანი დაწერა. თანაც, ერთი — თავის თანამედროვეებზე, მეორე კი — კართაგენში დაატრიალა. არა, მაინც ღვთის წყალობაა, ხალხნო, — აღფრთოვანდა კიკოლი, — ერთხელ და სამუდამოდ რომ დაიბადნენ დანტე, სტენდალი, მერიმე, პუშკინი, ფოლკნერი...

და აქ შალვამ მაჯაში ჩასჩიდა ხელი...

— მაგრამ ჩემი შოთა, ჩემი ილია, ბარათაშვილი და გურამიშვილი, აკაკი და ვაჟა, ვაჟა, — თავს მირჩევნია! — წამოიძახა აღელვებულმა კიკოლიმ, — ეს იმიტომ რომ, ძლიერ ჩემია... ძლიერ ჩემია! და ერთი რამის სიყვარულიც ხომ... — და შალვას მიუბრუნდა, მაგრამ, გაიხედა და, რასა ჰხედავს — სულმთლად მარტოა, აკი ის შალვაც არ შეჰყოლენთია?

რა ვუყო ახლა, ახლა რაღა ვქნაო, კიკოლიმ. გაიხედა გარეთ — ბნელაა, რას ბნელაა... თავიდან კი შეკრთა, მაგრამ რაღაც-რაღაცები შემატებოდა, არ გაიტეხა გული, გაიტეხა კი არა და, გამხნევდა, ეგეგ ჩემს ბედს მეც ვეწიოო, დაადგა გზასა, წამოვიდა და დასცხო წვიმამ, მიდის კიკოლი მაინც, სწყურია, ჰშია, სცივა, მაგრამ გაიხედა და, რაღაცა ბეუუტამს...

და, შემოგვეხარჯა აგერ ამბავი, მაგრამ თუ ზღაპარია, ზღაპარი იყოს, ზღაპრისებურად დავამთავროთ, კი:

> ლხინიც აქა, ჭირიც აქა,
> ფქვილიც აქა, ქატოც აქა... —

ტაშ?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხუტა გაგუა

ორგვარი გრძნობა

მოვიდა. დაჯდა.
დახედა ცერად
ასანთის კოლოფს, სიგარეტს დასწვდა.
სადაც ლექსების ელაგა დასტა,
უცებ იქითკენ
გაექცა მზერა.

წამაკითხეო,
ახალი თუა,
დაგიწერია რამდენი ლექსი!
ამოვარჩიე ხუთი თუ ექვსი —
მეგობარს როგორ
ვკადრებდი უარს...

ის კითხულობდა
ხმადაბოხებით,
სულმოუთქმელად და მე მომწონდა.
თითქოს ტყის პირას იჯდა კოცონთან,
ეფაკლებოდა
ისე ლოყები.

როს აღტაცების
გაკრთა ღიმილი
და მლოცველივით აღაპყრო ხელი,
საფეთქელს ზემოთ თმის თეთრი ღერი—
მე მომეჩვენა —
თრთოდა სიმივით.

მარტივ სიტყვებშიც —
კოფე და თესე! —
იმდენ სულიერ სიობოს აქსოვდა, —
არც საკუთარი თავი ახსოვდა,
არც მე ვახსოვდი.
მომწონდა ესეც.

მორჩა.. მოვხვიე
ხელი ძმასავით —
ანაზდად შეკრთა და გამერიდა.
ამოვიკითხე თვალთა ფსკერიდან
რაღაც შიშის და
შურის ნაზავი.

თითქოს ძლივს, ბედად,
ნაპოვნი განძი,
რომელსაც წლების ფერფლი ფარავდა,
დაჰკარგა. — ისე დაპატარავდა
და დაჩიავდა
დევივით კაცი.

წუთის წინ ვინაც
თავს მაყვარებდა,
შეცვლილი, როგორც ამინდი მარტის,
დამსგავსებოდა ტრაგიკულ არტისტს,
ყოფნა-არყოფნის
რომ დგას კარებთან...

იმ დღიდან გრძნობა
ორგვარი, რთული
ჰყვავის ვარდებად, ჭკნება ვარდებად:
გამახსენდება — გამეხარდება,
გამეხარდება —
დამწყდება გული.

●

ჩვენ რომ გადავამტებთ,
სხვა რომელი ქვეყნის
ურჯულს დაესიზმრება,
სხვა ვინ დაიკვეხნის!

ვერა, ვერ წარმოიდგენს
სანაპიროც სენის,
რანაირი სენი გვჭირს,
უცნაური სენი.

პირში ვისაც ვადიდებთ,
დავადევნებთ რისხვას.
სხვას არც დაესიზმრება
ჩვენზე მაგარი სხვა.

ვაი ჩვენი სიბეცე!
გვიან შეგვიტყვია —
რიკოშეტით გვიბრუნდება
გასროლილი ტყვია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსთაველზე გავივლი,
ფარს შევიძენ ბარე.
არა, მკერდზე კი არა,
ზურგზე ავიფარებ.

ვერა, ვერ წარმოიდგენს
სანაპიროც სენის,
რანაირი სენი გვჭირს,
გადამდები სენი.

ისე ვკარგავთ ერთმანეთს
და ვიმეტებთ,
თითქოს
უკვე აღარ ვჭირდებოდეთ
კრწანისსა და დიდგორს.

ნუ გასწირავთ, ბიჭებო,
შოთას, სულხანს, დავითს,
უფრო გამოადგებიან
ერს ცოცხალი თავით...

●

არ ცხრება გული: — ფხიზელო
თავო, თანხმობას თუ ელი, —
თანხმობა არავითარი —
დუელი, მხოლოდ დუელი!

ანაზდად — მეხის გავარდნა,
შეკრთომის ხმა უეცარი!
და: თავქვეშ — ცივი ბალიში,
გულსზემოთ — თეთრი ზეწარი.

ნანა, ნანაია...

რა შეედრება იმ ცის საფირონს,
გოლუაფირო, მეკვრის სული.
დნება ღრუბელი, გოლუაფირო,
მზე ამოსულა ეგრისული.

ალბათ ვახსოვარ ჩემს ანაკლიას,
ალბათ ენგურის ღრუბლით წვეთავს,
სულს რომ სწყურია, გულს რომ აკლია,
იმ ეგრისული უფლის სევდა.

ნანა, ნანაია,
ნანა, ენგურ-წყალის
დანაბარებია
განა ეგ კურცხალი.
გესმის, მახარია,
ცრემლით დანამული,
კვნესის რახანია
ჩემი სალამური.

მე ამ მხარეში უსისატურად
რა მაცხოვრებდა, მახარია, —
მთვარის შუქივით სულში ფათურობს—
კოლხურია და — მაღალია.

კოლხური ლექსიც სულ სხვა ლექსია,
ჯადო ლექსია, გაგანია;
დუტუს ლექსივით უმაღლესია,
დუტუს ლექსივით მაგარია.

ნანა, ნანაია,
ნანა, ენგურ-წყალის
დანაბარებია
განა ეგ კურცხალი.
გესმის, მახარია,
ცრემლით დანამული,
კვნესის რახანია
ჩემი სალამური.

ფუთიოფელი

გმადლობ! ყოველი ძარღვით ვიგრძენი
მომსვლელ-წამსვლელის ბოლო.
მარადიული ხარ მასპინძელი,
მე სტუმარი ვარ მხოლოდ.

როდესაც ერთხელ, გვიან თუ ადრე,
ავიკრავ გუდა-ნაბადს,
დედა მშობელი დამინთებს სანთლებს,
ცოლიც დამინთებს ალბათ, —

ისე არ წახდე, გვედრი, სოფელო,
გვედრი ღამით და დღისით,
ღმერთმა ნუ ქნას და — სამადლობელო
სიტყვის არ გახდე ღირსი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მანანა კობაიძე

●

შაბათს გავტეხეთ პური,
და ერთად ვჭამეთ.
ერთად ვსვით ღვინო,
და ერთ ვიყავით.
კვირას გვიკვირდა
განკერძოება
კართა ეკლესიისათა,
ორშაბათს შავი
თმა გავიშალეთ.
ჭრელი მინდვრების
ნამზევი ყვავილები
ჩაავლივა, ჩაალიგლივა
შავმა მდინარემ.
ჭალაში ჩაიარეს მაღალმა ქალებმა,
მსუბუქი ტანი ერწეოდათ,
სცვიოდათ ია.
დავფინეთ ბინდი,
ოთხშაბათი საწოლად
დავიდგით,
ნარინჯისფერი
და მარჯნისფერი
გამარჯვებებით
დავიწვით სხეული.
და პარასკევს ავედით მთაზე,
საიდანაც ქვეყანა ჩანდა,
აღვმართეთ ჯვარი ჩვენი ვნების და
მწყურვალების,
და მდუმარედ გარდავიცვალეთ.
გამორიყა ზღვამ ქვიშაზე
სველი ღრუბლები,
და ქვისფერი მკვდარი თევზები.
ხოლო ჩვენი მზით დამწვარი
ნაფეხურები
ააავსო წყალმა,
გულგრილმა და გაუტეხელმა.

●

სად უნდა წახვიდე,
როცა სიკვდილის ნახვა გწადია.
უნდა დასჯდე გზის პირზე და
დაელოდო,
როდის ამოძვრება შენი სხეულიდან,
ტერფიდან თუ თმის ღერებიდან,
წინ დაგიდგება,
და გეტყვის: აჰა,
უნდა დაგტოვო
შენი თავის და შენი კარგი უფლის
ამარა.
შენი თვალები — ცას,
შენი თმა — წყალს,
ხორცი — მიწას,
კბილები — კლდეებს,
შენი ძვლები — გამოქვაბულებს,
მე კი შენს ფრჩხილებში
დავსახლდები,
რადგან გულზე — სისხლის პარკუჭზე,
წილს იყრიან ანგელოზები
და ფილტვებზე ავნი ქარნი
განიხარებენ.

პოეტი

ვით დამშვიდდება მოგზაური,
სიცხიანი სიზმარცხადით ზმანებით
გონწართმეული,
წამთა და წამწამთ სიცოცხლისთვის
შიშით მლოცველი,
ადევნებული წარმავალ ტალღას,
მცნობელი სოფლის მგლოვარი გულის,
და ყანებში ჩამდგარი ნაღვლის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რეპანისფერი ღრუბლების უფალს,
სხივით ავსილი რა თასი უდგას
მნათ თვალთა გუგად,
როგორ ჩაუვლის მას მწირი უბრად,
როს მზის ხრიოკში ჩამწვარს
გაჰხედავს
მერცხლების ბუდეს,
შემოდგომის დამცხრალ ნათელში
ნაშთებად მდუმარს,
და ამ დღის მადლი, მშვიდობად
ღვრილი,
ეყოფვის პურად.

მხოლოდ იდუმალს
და მანთობელ სამკაულს იკრებს
ცის წმინდა გული.
და გამხმარ მინდვრად გარინდების
მთვლემარ ჰაერში
ბავშვის კაეშნით
კრთის წითელი შემოდგომურა.
გულმტკივნეული იხილავს მგზავრი
ხვალ ქარით წარღვნილს
მინდვრების სტუმართ,
და წასულ მდგმურთა
ნაბინავარზე
სხვა ვარდთა სუნთქვა
ნაღვლით აავსებს
სისხლისღვრით დაღლილ
საღამოს ულრანს.

რეპანისფერი ღრუბლების უფალს
სხივით ავსილი რა თასი უდგას
ღრმა თვალთა გუგად,
ვით არ უგალობს,
როგორ ჩაუვლის მას მწირი უბრად,
მწირი უბრალო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სალტო – მორტალე

— მამი, ადე, დაგაგვიანდება.

ლევანმა ცალი თვალით ახედა, მერე პირი იბრუნა და ბალიში დაიფარა თავზე.

— ჰოო, ავდგები, — ჩაიბურტყუნა მთქნარებით, უნდილად.

ასე იწვა ერთხანს. ადგომა და წასვლა კი არ ეზარებოდა მაინცადამაინც, არამედ უსიამოვნო პროცედურა: რედაქციაში ფულზე ჯაჯღანი. ცოლ-შვილი უნდა გაეშვა ზღვაზე დასასვენებლად. იწვა და ფიქრობდა, საიდან მოვევლო ახლა ბუღალტრისათვის, მთავარი რედაქტორისათვის, რათა ესოდენ გაჯანჯლებული კუთვნილი ავანსი როგორმე საჩქაროდ გაეგდებინებია. ოღონდაც რომ დღეს ან ხვალ მაინც უნდა გაუშვას ოჯახი, მოიშოროს თავიდან, თორემ ხომ შეჭამეს ცოცხლად. თუ დღესაც არ მისცეს ავანსი, მეტი რა გზა აქვს, უნდა ისესხოს სადმე.

— ადექი, კაცო, გვიანდება, — შეეხმიანა ცოლიც, — ფულს ლოგინში კი არ მოგართმევენ პოდნოსით.

— ეგ მე უნდა მოგართვათ თქვენ პოდნოსით, — ამოიღრინა კაცმა. მერე, რახან საშველი არ იყო, ერთი ამოიხვნეშა და ლოგინზე წამოჯდა.

— გამოთიშე ეს ოხერი მაგნიტოფონი! წაიღეს დილადანვე ყური. მეც კაი ვირი ვარ, ჩემ საწამებლად რომ ვუყიდე ამ ქაჯებს!

ფლოსტებში ფეხი წაყო, წამოდგა, გაიზმორა და საცვლების ამარა გავიდა ოთახიდან. სააბაზანოში კბილები გამოიხეხა, მაგრამ გუშინ დალეული დასპირტული ღვინის უსიამოვნო გემო და სუნი მაინც ჩარჩა პირში. გამოსაცოცხლებლად გრილი შხაპი მიიღო, გამოვიდა და ჩაცმას შეუდგა.

— რა არის ეს! ხომ გითხარი, ჩემსა და თაზოს წინდებს ნუ აურევ-მეთქი. მაინცდამაინც გინდა ბიჭსაც სოკოვანი დაავადება გადავდო?! — დაუმატა შესაშინებლად შეთხზული. ეზზღებოდა სხვისი წინდების ჩაცმა.

სარკესთან თმა დაიარცხნა. თვალების ირგვლივ ჩამუქებულ შრეებს დააკვირდა, ალკოჰოლით გაღიზიანებულ თირკმლებს რომ ბრალდებოდა და სამზარეულოში შევიდა წასახემსებლად.

ჩაი გამოწურული იყო. ახლა ამაზე აბუზღუნდა. ამ სახლში ყველა დიდი მოყვარული იყო ჩაისა, დაყენებაზე კი მის მეტი არავინ იწუხებდა თავს. ტონუსის ასაწევად მაგარ ჩაის ცოტაოდენი ლიმონჩაწურული კონიაკიც მიაყოლა: არ მუშაობდა გუშინდელი ღვინის სმით ამღვრეული, ნაბახუსევი თავი.

რედაქციის შენობასთან ჩაიქუფრა და ღრმად შეისუნთქა ჰაერი, როგორც მოუნდავემ მეტოქესთან შეხვედრის წინ. ბოლოს და ბოლოს სადამდე შეიძლება მოცდა, მათი დღესა და ხვალეს მოსმენა! თავისი უნდა, რაც კანონით და სამართლით ერგება, სხვისი ხომ არა! ამათ კი რა ენაღვლებათ! განძრევა ეზარებათ. არიან გაუთავებელ ყავის სმაში, სიგარეტის ქაჩვასა და ლაყბობა-ჭორაობაში. ფეხებზეც არ ჰკიდიათ მისი გასაჭირი! კმარა, ყოველ მიზეზგარეშე დღესვე უნდა აიღოს ფული. ყელში ამოუვიდა ეს დაუდეგარი უგულისყურობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოლოდინის საწინააღმდეგოდ, დღეს საქმე არ გაჯანჯღებულა. ავანსი, როგორც იქნა, დაახვედრეს და ისე თავაზიანად მოუბოდიშეს, რომ მოლბა და გამოცდილი რომ არ ყოფილიყო ამ წვალებაში, ალბათ დაენანებოდა კიდეც, ეს რა ტყუილად ვიყავი გაბრაზებული ამ გულისხმიერ ადამიანებზეო.

ცოლს დაურეკა, ფულის აღება აუწყა და მატარებლის ბილეთის აღების თარიღს დაეკითხა. ასე რამ გამოგაშტერა, არ იცი საგზური ხვალიდან რომ იხსნებაო, — აღშფოთდა ქალი. არა, არ ახსოვდა. თავი ჰქონდა გამოლაყებული ამდენი ცხოვრებისეული დავიდარაბით, თუმცა ვის აინტერესებდა ეს!..

სალაროებთან ისეთი ჭაპანწყვეტა იყო, აზრი არ ჰქონდა რიგში ჩადგომას. სხვა რა გზა ჰქონდა, თავისი ბავშვობის ამხანაგი უნდა შეეწუხებინა, სადგურის მილიციის უფროსის მოადგილედ რომ მუშაობდა.

— ოჰ, სახელოვან ადამიანს ვახლავარ, — გაშალა ხელები მისმა ძველმა ნაცნობმა, — შენს წიგნს ვკითხულობდი სწორედ. შესანიშნავია, ყოჩაღ, ზორბადაა დაწერილი. ყველას ვეუბნები, ამის ავტორი ჩემი ბავშვობის ამხანაგია-მეთქი, მაგრამ, ვინ დაგიჯერებს, — რატომ არ გაქვს აბა მაგის ავტოგრაფიანი წიგნიო. ლამისაა შენს მაგივრად მევე წავუწეროო ჩემ თავს. არ გრცხვენია? არ მეკუთვნის ერთი წიგნი შენგან?

— გამოვასწორებთ მაგას.

— ვითომ?.. არა, ვერ დაგიჯერებ. არა ხარ შენ სიტყვის კაცი. აგერ, ბატონო, ზედმეტად რომ არ დაიხარჯო, შენი წიგნი, აგერ კალამიც...

ლევანს ეამა ეს გაუთლელი კაცი მის შემოქმედებას, მასთან ნაცნობობას ასე რომ აფასებდა. თუმცა გინება ხომ არ არის, ქება ვინმეს ეწყინოს..

სასწრაფოდ გავარდა სახლში, რათა წასვლისწინა საყიდლებისთვის ფული მიეცა ცოლისთვის და თავის ქალაქიდან წაჰყოლოდა სპორტსაქონლის მაღაზიაში ნაცნობ გამგესთან. იქნებ ეს ოხერი ბოტასები, იმპორტული საბანაო კოსტიუმები თუ სხვა რამ დეფიციტური ეშოვა.

მაღაზიის საწყობში მათსავით შემოსულნი ირეოდნენ. გაფაციცებულნი, ხარბად ათვალიერებდნენ იმპორტულ საქონელს. გამგე ხელების ქნევით ვიღაცას რაღაცას ეუბნებოდა ეუხერხულა აქ მოსვლა და ამ კაცის შეწუხება, რომელსაც ალბათ ყელში ეყოლებოდა ამოსული ამდენი მთხოვნელი. თუმცა რა, — ხომ არ ჩუქნიდა, გაზრდილ ფასებში ყიდდა. მაინც ეუხერხულებოდა, მაგრამ უკან ხომ ვერ გაბრუნდებოდა ახლა...

— გამარჯობა შენი, ბენო! როგორა ხარ, კაცო?

— ოჰ, გამარჯობა, გამარჯობა, — მოუცლელი კაცის სიჩქარით მიაგება გამგემ. მოკითხვაზე არც უპასუხნია, სად ჰქონდა ამის თავი. ან და რა მის მოსაკითხად იქნებოდა მოსული ეს კაცი აქ! — რაზე შეწუხებულხარ?

მაღაზიიდან ნავაჭრით, ასე თუ ისე, კმაყოფილნი გამოვიდნენ ბავშვები.

„ესენიც ბავშვები არიან რაღა, — გაივლო გულში თავისი ბიჭის შემხედვარემ, აგერ-აგერ მას რომ გაასწრებდა სიმაღლეში.

მორჩა, დღეს ამათ გაცილებამდე მეტი საქმე არა აქვს. წავა, ცოტას წაიძინებს, თვალს მოატყუებს გუშინდელი ღამენატეხი-ნამთვრალევი.

თავიანთი ქუჩის დასაწყისში შვილები მარტო გაისტუმრა. იქვე, გასტრონომში სერვილადი გამოეტანათ და ხომ უნდა დაეპირა თადარიგი მარტოდ დარჩენისათვის. მერე პურიც იყიდა და ნელა შეუყვა ასახვევს, მისი სახლისაკენ რომ მიიწოლაზნებოდა.

კმაყოფილი იყო დღევანდელი დღით, იმით, რომ კუთვნილი ფული, როგორც

რამაზ მორო
სალტო-მორტალი

იქნა, აიღო, შვილებისთვის რომ დეფიციტური რაღაც-რუღაცები იყიდა, მატარებლის ბილეთის აღება რომ მოახერხა და აგერ, სერვილადიც რომ დაითრია რიგში გაჭიანურებული დგომის გარეშე.

— ეჰ, — ჩაიქნია ხელი. — რა ცოტა უნდა ადამიანს!..

თუმცა... ეს ვინღაა..: ღმერთო ჩემო, ის არაა?.. ისაა, ის. იგრძნო როგორ გადაურბინეს ჭიანჭველებმა. ფეხი აებლანდა ნასვამივით. ტანკენარი ქალიშვილი კი მოდიოდა, მოარღვევდა მათ შორის ჩაწოლილ სივრცეს და თითქოს მთელი სანუკვარი, საოცნებო სამყარო, რაც ამ კაცის, ლევანის მიღმა იყო დარჩენილი, მოჰქონდა, მოჰყვებოდა თან.

მოდიოდა ხელთუქმნელი მშვენიერება თავისი მომჯადოებელი ღიმილით (ჩაწკიწკიებული კბილები მარგალიტებად რომ ჩნდებოდნენ), ნაბიჯს აყოლილი ხორბლისფერი ნაწნავის რხევით, გასხივოსნებული ,ზურმუხტისფერი თვალებით. მისი შემხედვარე კაცი კი, ლევანი, თანდათან ილეოდა, პატარავდებოდა, უხორცო და უწონო ხდებოდა, ,ბასზე უკვე აღარ მოქმედებდა ამ ცოდვილი მიწის მიზიდულობის კანონი.

— გამარჯობათ, ბატონო ლევან, — თბილი ღიმილი შეანათა ხორცშესხმულმა ზმანებამ იმ ადგილს, სადაც უნდა მდგარიყო ლევანი.

— გამარჯობა, ლელა! — საიდანღაც შემოესმა თავისი მომჭრალი ხმა. მერე ანგარიშმიუცემლად მოტრიალდა და გაყოლა თვალი. მიდიოდა ლელა ხორბლისფერი ნაწნავის რხევით და მიდიოდა, შორდებოდა მასთან ერთად ყველაფერი ის პიროვნული, მხოლოდ მისი, რაც კი ოდესმე უნატრია.

როგორც იქნა, გამოერკვა და საჩქაროდ მობრუნდა, თვითონაც შეაქცია ზურგი. რა აზრი ჰქონდა მის კვალად მზერას!..

სახლში საჭმელი მოემზადებინათ და მთელი ოჯახი შეექცა სამხრობის ,ქვეშ. სადილს.

— აბა ბილეთები მაჩვენე. ორი ადგილი ქვედაა?

პირგამოტენილმა ქმარმა ქუშად ახედა ცოლს.

— რა დროს ბილეთია! ჭამა მაცალე, ქალო, აღარ გასვენებს ღმერთი?!

შარვლის უკანა ჯიბიდან ხვნეშით ამოაცოცა საფულე, ბილეთები ამოიღო და მაგიდაზე დაადგა.

— ისეც ვიცოდი. ორი ადგილი ზედაა. კარგი, თაზო ზევით დაწვება, ქვევით კი ვინ, მე თუ ცისანა? — ეჰ, — ჩაიქნია ხელი; — ამაზეც გმადლობ. აბა შენი გაკეთებული რა იქნება!

— წადი, შენი ჭკუაც რა ვთქვი, — ბრაზისაგან ლუკმა ყელში გაეჩხირა ლევანს, — მართლაც სულელი ვარ, თქვენს გამო რომ ვჯახირობ, ერთი შენ უნდა გამეშვი. ენახავდი, რა ბილეთსაც იშოვიდი.

— კარგი ეხლა. წასვლის დღეს რას ტეხავთ ალიაქოთს, — ჩაერია თაზო.

— დიდი გმირობაა სწორედ, მატარებლის ბილეთი აიღო ცოლ-შვილისათვის, — ხელები გაასავსავა ცოლმა.

ლევანს არ უპასუხია. მტრისას, ქალის აყოლა! თეფში უხმოდ მოასუფთავა და ადგა.

— მე ცოტას წავუძინებ. ჩაალგეთ თქვენი ხარახურა და მერე გამაღვიძეთ.

— კეთილი, მამიკო, — კოკეტური ალერსიანობით გამოეხმიანა ქალიშვილი.

— „კეთილი მამიკო“ კი არა, რვაზე ადრე არ გაბედოთ გაღვიძება, — თითი დაიქნია, გავიდა და საწოლი ოთახის კარი მიჯახუნა.

საოჯახო საქმიანობაში დრომ შეუმჩნევლად გაირბინა. საათს რომ ახედა ქალმა, უკვე რვას ოცი წუთი აკლდა. საწოლ ოთახში შევიდა, თავისი ხელჩანთიდან სიგარეტი ამოიღო და მოუკიდა. მერე საფერფლეს დაავლო ხელი და ლოგინზე, ქმრის გვერდით გაიშო-

ტა. აი, მოსწევს და გააღვიძებს, საცაა წასვლის დროც მოვა.

ლევანს კი ეძინა და საოცარ სიზმარს ხედავდა, თანაც ისე გარკვევით, რომ ძეხორციელი ვერ გაარჩევდა ცხადისაგან. ასევე ცხადად, ქმედითად აღიქვამდა მას ლევანიც მთელი თავისი არსებით.

...ტროპიკები. უკიდეგანო ოკეანე გაწყვეტილი მძივებივით მიმოფანტული ზურგუხტოვანი კუნძულებით...

აგერ ლევანი და ლელა თავდავიწყებული ატაცებით გარბიან ოკეანის სანაპიროს სილაზე, ბორძიკობენ ტალღებში... ბოლოს ლევანი ეწევა და ნაწნავში ავლებს ხელს. ქალიშვილიც არ უძალიანდება, ყუჩდება. ლევანი ნელა უშლის თმას, მერე ხელში აჰყავს და ქოქოსის კაკლების კორომისკენ მიემართება.

...ქალი იწვა მძინარე ქმრის გვერდით, მისჩერებოდა მას, თითქოს პირველად ხედავსო და გარინდებული აუჩქარებლად აბოლებდა სიგარეტს. ბავშვები სადღაც გასულიყვნენ. უკვე სადაცაა წასვლის დროც მოაწევდა.

ქმარი ძილში შეიშმუშნა და ქალმა შეიგრძნო, რომ ალერსი უნდოდა, თუნდაც ხანმოკლე, გამოსამშვიდობებელი ალერსი. ქმარი ეს დღეები ისე იყო ქეიფში გართული, სად ჰქონდა ამის თავი. დღეს კი ქალი წავა ზღვაზე. დასვენების მაგვრად იქაც უნდა მოუაროს შვილებს, სდიოს, აჭამოს, გაურეცხოს. სად ექნება თავის მისახედი დრო! ან კი როდის ჰქონია იგი მას მერე, რაც ოჯახურ უღელში გაჰყო თავი სრულიად ახალგაზრდამ. და ჰა, წავიდა ახალგაზრდობა! ასევე მიილევა მთელი ცხოვრებაც, თვალის დახამხამებასაც ვერ მოასწრებს. ქალს უეცრად მარტოობის შეგვაე განცდა დაეუფლა. გული შეეკუმშა. მოუნდა ქმარი მოფერებოდა მაინც. მაშინ ხომ არ იგრძნობდა თავს ასე ეულად.

ლევანის სიზმარეული ოდისეა კი გრძელდებოდა.

აგერ ქალიშვილს ლოგინზე აწვენს. მისი ხელი ლელას ფაფუკ თმაშიც ეცურდა. მათი ტუჩები ერთურთს ეწებებიან. კოცნის ლელას თვალებს, მკლავებს, აკოკრებულ მკერდს, აჩქარებით რომ აუდ-ჩაუდის... ღმერთო, ღმერთო ძლიერო, რა სილამაზეა! და ეს უბიწო მშვენიერება მხოლოდ მისია, მისი უნდა გახდეს...

— ეი, გაიღვიძე, — შეაჯანჯღარა ცოლმა, — ადგომის დროა.

— ა, — ფეთინინეთ წამოვარდა ნამძინარევი, — რა არის, რა იყო!

— არაფერი, — დამარცვლით მიუგო ცოლმა, თან ნდომამორეულად მიუტყაპუნა მკერდზე ხელი.

ქმარი ცოლს მიშტერებოდა ძილისაგან ამღვრეული თვალებით. გულმოსულად მოიცილა მისი ხელი.

— რა ოხრობა გინდა! არ მაცლი ერთი წუთით ძილს!

— რა იყო, რა ბზიკმა გიკბინა, — შეცბუნდა ქალი. — აგერ წავალთ, ბატონო, და, იძინე რამდენიც გნებავს.

— წადი ერთი... — გუნებაამღვრეულმა კაცმა ხელი აუქნია, წამოხტა და საბაზანოში შეავარდა.

სახეზე ცივი წყალი შეისხა. გამოსაფხიზლებლად თავიც შეუშვირა ონკანს. მერე სიგარეტი აიღო და გაბოლა. კარს იქიდან ცოლის გაანჩხლებული ხმა მოისმა, შვილებს ტუქსავდა რაღაცაზე. ოჯახური კაკაფონია მოაწვა საბაზანოს ჩაკეტილ კარს, შეაღო და მტკივნეულად დაუღრიჯა კაცს სახე, ყურებზე ხელები ააფარებინა.

კრიჭაშეკრული გამოვიდა საბაზანოდან. ცდილობდა გაღიზიანებას არ აჰყოლოდა, არ ეჩხუბა.

მატარებელი, როგორც იყო, დაიძრა. ლევანმა გაუღიმა თავისიანებს და ხელიც დაუქნია: აბა თქვენ იცით, როგორ იქნებიო, აქაურობის დარდი ნუ გექნებათ, ყველაფერს მივხედავო.

მარტოდ დარჩენილმა ყბადაღებული სიცარიელე შეიგრძნო თავის არსება-

---

რამაზ მორრ
სალტო-მორტალე

ში. იდგა ასე გახევებულივით სადგურზე მყოფ ხალხში და ნაბიჯის გადადგმა ეძნელებოდა, არ იცოდა, საით წასულიყო. მებარგულის ყვირილმა — აბა გზა, გზაო, გამოარკვია. ვინმეს ნახვა, გულის გადაყოლება იყო საჭირო. თანაც, კარგია, — ჯიბეში ფულიც უქუაოდა.

ტელეფონის ნომერი აკრიფა. იცნო ამხანაგის ხმა.

— ალო, უშანგი, სახლში ხარ? — თვითონვე გაეღიმა თავის სულელურ კითხვაზე.

გასტრონომში შევიდა და ღვინო იყიდა.

— მაშ ვსვამთ ალკოჰოლს, მწვავეს, როგორც თვით სიცოცხლეა?! — შეეგება ხელგაშლილი უშანგი.

შემდეგ სხვებიც შემოემატნენ და გახურდა სმა.

შუაღამე გადასული იყო. მთვრალ თანამეინახეთა ყაყანში დაიკარგა სუფრის ინტიმი. ლევანმა იგრძნო, რომ კარგა მაგრად მოეკიდა ღვინო. აღარ შეეძლო გაჩერება ამ ჩარიანში და გაიპარა. ქუჩაში ცდილობდა არ ებარბაცა.

არა, სად მიდიოდა მაინც?.. სახლში?! რად უნდა ცარიელი კედლები... ან რა ბედენაა ეს სახლი!..

ლევანმა იქვე, ბაღში შეუხვია, მოფარებულში სკამზე ჩამოჯდა. ებლიტებოდა თვალები, თითქოს ქუთუთოებზე სიმძიმეები დაჰკიდესო. იჯდა ასე და თავის რაობაზე ფიქრობდა თვალდახუჭული. თავისთავად, საოცრად ძალუმად, ნათლად ამუშავდა მისი გონება, თითქოს მეორე სუნთქვა გაეხსნაო.

რა არის იგი სინამდვილეში?.. ჰმ, მწერალი, თანაც საკმაოდ ცნობილი, რომლის ნაწერებსაც არა მარტო მოკავშირე რესპუბლიკების ენებზე, არამედ ბულგარულად და უნგრულადაც თარგმნიან. ჰყავს საკმაოდ ლამაზი ცოლი, კარგი მეოჯახე და ოჯახიშვილი, მშვენიერი ქალ-ვაჟი, გავლენიანი ნათესავები, აქვს ნორმალური სამუშაო, რომელიც სულაც არ ართმევს დიდი დროს, ხალვათი ბინა. აგერ საშუშოდ-გომოდ მანქანის გამოყვანასაც აპირებს... ერთი სიტყვით, საზოგადოებრივი აზრით, თითქმის თითით საჩვენებელია, რაღა.

და მაინც, ეს არაა სინამდვილე, მისი სინამდვილე. არც არასოდეს ჰქონია იგი, რადგანაც არ მიუღია, ეშინოდა, კარს უკეტავდა. არასოდეს ჰქონია სისხლსავსე, დამოუკიდებელი ცხოვრება. არასოდეს განუცდია ნაღდი სიყვარული, არც სიძულვილი. არც ნამდვილი მეგობარი ყოფილა ვინმესი და არც მტრობა უგემნია. ეს გრძნობებიც ერთთა თანამეინახეობითა და მეორეთა ათვალწუნებით იყო შეცვლილი. არასოდეს განუცდია დიდი უბედობა, არც დიდი ცხოვრებისეული სიხარული, უზადო და ხალასი. მისი მოქმედების არე ძირითადად გამომცემლობებით, რედაქციებითა და რესტორნებით, მსუბუქი სასიყვარულო ინტრიგებით, თავისნაირებთან სიტყვიერი რახარუხით თუ სხვა ამდაგვარი რამეებით შემოიფარგლებოდა.

და ასეთი კაცი წერს, ქადაგებს ამაღლებულ, სისხლსავსე ცხოვრებაზე, რაიც არასდროს განუცდია თვითონ. მერე რა, რომ ხშირად, გულის სიღრმეში არ მოსწონს თავისი დაწერილი, სიყალბის გრძნობა ეუფლება. სამაგიეროდ ვიღაც-ვიღაცები ხომ აქებენ, კრიტიკა ხომ ძირითადად მაინც დადებითად აფასებს!.. ოჰ, რა საზიზღარი ცრუპენტელაა, ნაღდი, ამაღლებული გრძნობები მხოლოდ რომანისა და კინოს მონოპოლიად რომ მიაჩნია. ო, როგორ ეშინია სინამდვილის, ვერ უსწორებს თვალს!.. ეს რომ არ იყოს, მაშინ ვაჟკაცობაზე, მეგობრობაზე, თავდადებასა და სიყვარულზე კი არა, ამაზე, თავის სიბითურეზე დაწერდა და შეიძლება კიდევ ვინმესთვის აეხილა თვალი, დაეფიქრებინა მაინც... მაგრამ ასე წერა ხომ თვით მისთვის საკუთარი ადამიანური ბანკროტობის მტკივნეული აღიარება იქნებოდა და რისთვის გაეკე-

თებინა ეს?.. ვისთვის?.. სიმართლისთვის?.. საკუთარ სინდისთან სისწორისათვის?.. ამას ხომ ნამდვილი ვაჟკაცობა, გამბედაობა სჭირდება! სადღა აქვს ეს... ან ჰქონდა კი? გაახსენდა, საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ უნივერსიტეტში საბუთების შეტანის მაგიერ, ამ საბუთებითურთ ბათუმში რომ ამოჰყო თავი, შორეული ცურვის შტურმანთა სასწავლებელში გამოცდების ჩასაბარებლად. მაგრამ მშობლებმა გაუგეს და ცოცხალ უკანვე ჩამოაბრძანეს. ეს იყო და ეს. აქ დაესვა წერტილი ოცნებისაკენ აქტიურ სწრაფვას და გატკეპნილ გზას გაუყვა. ჰოდა, კიდეც მიდის, მიბაკუნობს ამ გზაზე გამაძღარი თვითკმაყოფილებით. აი, უკვე ოთხ ათეულ წელს გააბიჯა და რა არის, — წავიდა ცხოვრება!.. ო, როგორ სწყურია ახალგაზრდა იყოს, გახდეს მეზღვაური და აგერ ამ ქალიშვილს, ლელას უყვარდეს...

არა. კმარა. ასე არ შეიძლება გაგრძელდეს. როდემდის!.. ბოლოს და ბოლოს კაცია თუ კაცის პროვოკაცია! ეყო. რაც იყო-იყო. რადგან ყოველივე ამას ხვდება, ეტყობა, მთლად დაღუპული არაა. უბრალოდ, ძლიერი ბიძგი იყო საჭირო და ჰა, ეს ბიძგიც მისცეს, ლელამ მისცა. აი, ადგება და ხვალვე მივა ლელასთან, მოჰკიდებს ხელს და წაიყვანს. მერე რა, რომ ედემის ბაღში არ იქნებიან და დავიდარაბაც ბევრი ექნება. ამან უნდა შეაშინოს?! აბა ხუმრობა ხომ არაა ძველისთვის ხელის კვრა, დანგრევა, ახალი, ხალას სიყვარულზე დაფუძნებული ოჯახის შექმნა, საერთოდ, ცხოვრების ხელახლა დაწყება!.. არავითარი მიკარგული კუნძული არ სჭირდება, — ფანტაზიაა ეს, პასიური, უტოპიური ფანტაზია. თვითონვე შექმნის ყოველივეს რეალურად აქ, ამ თავის მშობლიურ ქალაქში, რომელთანაც ასე სისხლხორცეულად არის დაკავშირებული, სადაც ლელას — თავის განხორციელებულ ოცნებას შეხვდა და დაწერს ახალ, ალალ ნაწარმოებებს, — შეძლებს თავის კაცურ თავმოყვარეობას გამართულად შეხედოს. ლელა!.. რას იზამს?.. აი, მივა და ყველაფერს აუხსნის. არ შეიძლება იმან არ გაუგოს... არა, რაც უნდა მოხდეს, ქვეყანაც რომ დაიქცეს, უკან მობრუნება არ შეიძლება, რუბიკონი გადალახულია. მან ახალი ცხოვრება უნდა დაიწყოს, მართალი, უკომპრომისო, კაცური ცხოვრება. და ასეთი ცხოვრების პირდაპირი შედეგი იქნება ძალუმად აღორძებული მისი ახალი ნაწარმოებები. განა თავად ადამიანი არ არის, ამა სოფლის გვირგვინი?! კაცი, რომელსაც ცხოვრება კი არ დაწნეხავს პიროვნულად, არამედ რომელიც თავის კეთილშობილურ რაობას ლელოსავით გაიტანს და თავისი ადამიანური სიდიადით ღმერთებსაც კი გაუტოლდება რენესანსის ტიტანებივით. ჰო, აღორძინება... თვითონაც უნდა აღორძინდეს... ხვალიდანვე.

ამ გადაწყვეტილებამ ლევანი ერთგვარად დაამშვიდა და ძილმა თავისი გაიტანა.

როდესაც აზრზე მოვიდა და გარემო შეათვალიერა, მიხვდა, გამოსაფხიზლებელში იმყოფებოდა. საკანში სიჩუმე იყო. ეტყობა, სხვებს ეძინათ ან მასავით იყვნენ გაჩუმებულნი. ერთი ციდა ბალიშის მაგვარზე დადებული კეფა სტკიოდა. იწვა წყნარად, ნირწამხდარი და აქეთ-იქით აცეცებდა თვალებს. ულოჯო სიმწარე შემოწყნა: რა უნდა აქ, ამ სადგურის ბოგანობასა და მაწანწალებს შორის!.. იმის გამო კი იყო მშვიდად, რომ დიდი არაფერი დაუშავებია. წინაალმდეგ შემთხვევაში რაღაც მაინც ეხსომებოდა. ეჰ, რას იზამს! რაც არის — არის; გათენებას უნდა დაელოდოს. მაჯა მოისინჯა, საათს, ყველა სხვა ნივთთან ერთად, აართმევდნენ აქ მოყვანისას. ნეტა რა დროა ეხლა?.. გალაკტიონი მოაგონდა: „რომელი საათია, რომელი საა-

---

რამაზ მორო
სალტო-მორტალე

ეროვნული ბიბლიოთეკა

თია?“ და თვითონვე უპასუხა: მწარე და მურდალი გამოფხიზლების საათია გამოსაფხიზლებელში...

გისოსიანი კარის მიღმა, დერეფანში ვიღაც შემოათრიეს.

— ჯიბილო, — ყვიროდა განწირული ხმით. — სადა ხარ, ჯიბილო! დამაცათ, გიტირებთ ჯიბილო ნიქაბაძე ჩემი დაჭერისათვის ყოფის დღეს!

— ერთი შენი და შენი ჯიბილოსიც, — ნერვები მოეშალა ერთ-ერთ მილიციელს.

— ვინ შეაგინა ჯიბილოს!

— მე, ჰო, მე შევაგინე.

— შენა? იცი რას გიზამს ჯიბილო ნიქაბაძე? გაგხეთქავს ნაკერავზე, პაგონებს დაგახევს! უი! — მოხვდა ყურის ძირში. — ვაი, მკლავენ, მკლავენ ეს ოხრები, — აბღავლდა დასაკლავი საქონელივით. კოლოზე ეტყობოდა საქართველობა. ბოლოს კარი გაიღო და შემოაგდეს საცვლების ამარა. მის ბედში მყოფთა მასზე მოჩერებული თვალები რომ დაინახა, ერთბაშად გაყუჩდა, დაიმორცხვა, თავისუფალი საწოლისკენ გაემართა.

— ხომ არ იცი, რომელი საათია, — შეეკითხა ლევანი. ეზარებოდა ადგომა და საკნის გისოსიდან ამის კითხვა მილიციელებისათვის.

— რა ვი საათი, — აიქნია შემოსულმა ხელი.

— ეგ ჯიბილო ვინღაა რომ ყვიროდი? — შეეკითხა მის გვერდით მწოლარე.

— როგორ არ იცი, კაცო! ძიუდოისტი რომ იყო, ისა. ახლა მილიციის მუშაკია.

— შენი ძმაკაცი?

— ხო... ერთად დაგვილევია.

დაინტერესებულ არამკითხეს ზურგი შეაქცია, საბანი თავზე წაიფარა და გაიტრუნა.

რამდენიმე ხნის მერე საკანში ექიმი ქალი შემოვიდა მილიციელის თანხლებით.

— ხომ არაფერი გაწუხებთ, — ავტომატურად ეკითხებოდა ნაბახუსევ დაკავებულებს, — რამეს ხომ არ უჩივით, — და სანამ ხერხიანად უპასუხებდნენ, უკვე სხვასთან იყო.

— რომელი საათია, ექიმო? — წამოსწია თავი ლევანმა.

— ოთხს ოცი უკლია, — უპასუხა ექიმის მაგივრად მილიციელმა.

— ხომ არაფერი გაწუხებთ, რამე ხომ არ გტკივათ, — როგორც იყო, მოუტრიალდა ექიმი ლევანის საწოლს.

— გმადლობთ მოკითხვისათვის. რა ყურადღებიანი ბრძანდებით, ქალბატონო!..

ექიმს მისი სარკაზმისათვის არ ეცალა. უკვე სხვა საწოლთან იდგა.

— როგორა ხარ, ჯიბილო! — დაასწრო თანმხლებმა მილიციელმა ექიმს.

— ჯიბილო არა კიდევ, — გაბუტული დემონსტრატულად შებრუნდა და ბალიშში ჩარგო თავი.

— ამას არაფერი უჭირს, ექიმო, — მის მაგივრად უპასუხა მილიციელმა ექიმს.

ბოლოს და ბოლოს გათენდა.

როგორც იქნა, დაუბრუნეს ნივთები.

მერე ვულისგამაწვრილებელი ლოდინი სანამ საცხოვრებელი ადგილების მიხედვით მილიციის განყოფილებებში წაიყვანდნენ.

თავისი უილაჯო, დამცირებული მდგომარეობის შეგრძნებით გამოწვეული სულიერი სტრესი.

— არ გრცხვენია, მწერალი კაცი ასე „ბასიაკივით“ რომ ილეშები? — უთხრა მილიციის უფროსმა საბუთების დაბრუნებისას.

რა უნდა ეპასუხა ლევანს!.. იდგა ატუზული, თავჩაქინდრული, დამნაშავე მოსწავლესავით. ოღონდაც კი მილიციის უფროსი მომბალიყო, არ გაეგზავნა მის სამსახურში თავმოსაჩრელი ცნობა.

— კარგი. რადგან პირველი შემთხვევაა, როგორც მწერალ კაცს პატივს გცემთ, არ შევატყობინებთ ეხლა თქვენს სამსახურს. ოღონდ იცოდეთ, სხვა დროს არ მოხვდეთ, თორემ მერე ვერაფერი გიშველით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აგაშენათ ღმერთმა!

როგორც იქნა, ეღირსა თავის დაღწევა. ჩქარა, მალე მივიდეს სახლში, შხაპი მიიღოს, საცვლები გამოიცვალოს, რათა გამოსაფხიზლებელის უსიამოვნო სუნი მოიცილოს.

სიგარეტი იყიდა და ერთი გემოზე გააბოლა. რაც არ უნდა იყოს კარგია თავისუფლად რომ დადიხარ ქუჩებში, სუფთა ჰაერს რომ ისუნთქავ... ეჰ, რა ცოტა უნდა ადამიანს!.

და ამ დროს, — ფუი ეშმაკს, — ისევ იმას, ლელას არ მოჰკრა თვალი!.. სასწრაფოდ გვერდზე გაუხვია. ნათქვამია, შორიდან მოუარე და შინ მშვიდობით მიდიო.

შხაპი მიიღო, საცვლები გამოიცვალა და გაქათქათებულ ლოგინში ჩაწვა. ერთი გემრიელად გაიზმორა და დაქანცულს მალე ძილმა წაართვა თავი.

როდესაც გამოიღვიძა, მზე უკვე გადაწვერილიყო. ადგა. გული ვერ ჰქონდა რიგზე. ვალიდოლი მოიძია.

ტელეფონმა დაიწკრიალა გაბმულად. ცოლი ურეკავდა ბიჭვინთიდან. კარგად მოვეწყვეთო. ლევანს გულს მოეფონა, გაუხარდა ახლობელი ადამიანის შეხმიანება. მომენატრეო, — უთხრა ცოლს.

— რა ვიცი, წასვლის წინ ისე დაგვცოფე და ეხლა... შენ ეშმაკიც ვერ გაგიგებს.

— შენ მაინც უნდა გამიგო ხოლმე, ნუციკო.

— ჰოო?! ეგ შენზეა, ჩემო კარგო, დამოკიდებული...

ცოლთან ლაპარაკმა ხასიათი გამოუკეთა. მოაგონდა მთელი დღე რომ ლუკმა არ ჩასვლოდა და რადგან სახლში თვითმმესახურება შეეზარა, გარეთ გავიდა. საჭმელმა და ცოტაოდენმა ღვინომ კარგ გუნებაზე დააყენა: აჰ, რა დიდებული ჩანს დღეკვანდელი დღე გუშინდელი კოშმარული ღამის ფონზე!.. შეაყრეოო გამოსაფხიზლებლის გახსენებაზე.

— უჰ, რა კარგია, რომ შეგხვდი, — მხარზე დაჰკრეს ხელი. შალვა იყო.

— არ გაუშვი ცოლ-შვილი დასასვენებლად?

— მერე შენ რა?

— მარტო ხარ, ხომ? ორი გოგო მყავს ისეთი, შენ რომ მოგეწონება. რას იტყვი ამაზე?

— ვნახოთ. გაგონილს ნანახი სჯობიაო.

— გაიცანით, ჩვენი ცნობილი მწერალი, — წარუდგინა ლევანი ქალებს. — გაგონილი გექნებათ აუცილებლად...

ეს ქალები იცნობდნენ მის შემოქმედებას, მოსწონდათ და ლევანის გაცნობით აღტაცებულნი ჩანდნენ.

ლევანმა ეს აღიარება შესაფერისი პატივით მიიღო. გულში ნასიამოვნები დარჩა, ასეთ ნაკითხ, ერუდირებულ ქალებთან რომ ექნებოდა ნაცნობობა.

შემოღამებულზე ერთბაშად დაუშვა წვიმამ.

თავსხმაში დასველებულმა, მობუზულმა ლელამ ჩაურბინა ლევანის ფანჯრებს.

თუმცა ლევანი ამას ვერ დაინახავდა. ჭექა-ქუხილის ხმაზე იგი მოიკუნტა და გვერდით მწოლ ქალს ჩაეხვია. იწვნენ ასე, გასუსულები, ერთურთს ტკბილად ჩახუტებულნი. ორივეს ბავშვობიდანვე ეშინოდა ელვისა და ჭექა-ქუხილის.

— რა კარგია, აი ასე, სიმყუდროვეში, უმტკივნეულო სიკვდილი... არა, ძვირფასო?

— აბა, რა, — კვერი დაუკრა ლევანმაც. — კარგი იქნებოდა მართლაც.

საერთო ჯამში იგი ბუნებით კეთილი ადამიანი იყო: ხათრიანი, დამყოლი და თვინიერი.

„რა დასანანია, როცა ადამიანი, ერთი შეხედვით ასეთ რიგიან შთაბეჭდილებას ტოვებს, როგორც შემოქმედი სუსტი და უნიათო აღმოჩნდება, — ფიქრობდა თავისი სახლის ფანჯრიდან ღვართქაფისა და ელვის მომზირალი ლელა ლევანზე, რომელმაც ასე მშვიდობიანად დააღწია თავი მის სახიფათო ზმანებას, — თუმცაღა, — აიჩეჩა ქალიშვილმა მხრები, — ბევრი აქებს მის ნაწერებს...“

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამი დოგბილი

მე მიმატოვეს, მუდამ მტოვებდნენ,
კი არ მტოვებდნენ, ნადირის გეშით
ადრევე ვგრძნობდი დაკარგვის
საფრთხეს
და თვით ვტოვებდი ერთი დღით ადრე,
მანამდე, სანამ მიმატოვებდნენ.
რა იყო, შიში თუ სიამაყე?
ეს კი იწვევდა გაოცებას სხვათა და
სხვათა,
ზოგმა ისიც თქვა, გულგრილია,
დაუნდობელი,
მათ კი მიჰქონდათ ჩემი გული
ნაწილ-ნაწილად,
ვით საქორწილო თეფშის ნამტვრევი
გაუთხოვრებს და შინაბერებს.
მე კი ვრჩებოდი და ვიზრდებოდი
თითო ნაოჭით, თითო ცრემლით,
თითო სიშორით...
აბა თქვენ სცადეთ, ადვილია,
მოჭუტეთ თვალი,
ვითომ ქარისგან აგიცრემლდათ და
გაიღიმეთ,
გულში იტირეთ ჩუმად, უცრემლოდ,
უსიტყვოდ, ასე,
ჰო, აბა სცადეთ.
არ მედარდება ვითომ არცა რა,
არ მეშინია ვითომ არაფრის.
არვინ გაბედოთ შებრალება, არვინ
გაბედოთ.
არვინ გაბედოთ შებრალება, ბედნიერი
ვარ.
მე ვარ ნაძვის ხე, საშობაო მე ვარ
ნაძვის ხე
და მორთული მაქვს ტანი ფერად
სამკაულებით.
ვარ მარად მწვანე, არ მსურს რომ
ვინმემ,
იხილოს ჩემი სევდა-სიშიშვლე.
მე ვარ ნაძვის ხე, გარს მივლიან,
შემომნატრიან
და ვერვინ ხედავს, რომ მუხლებში ვარ
გადაჭრილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და წავიქცევი კვირაძალზე, რა მელის
მერე?!
მე ვარ ნაძვის ხე და ვერვინ მამჩნევს
როგორ მაყრია ტანზე ეკალი.
სამაგიეროდ ბედნიერი ვარ:
მე, სიამაყე, სიმარტოვე, სამი დობილი.

მონატრება

ახლა ჩემი სოფლის მთებზე
ყვითლად ყვავის შინდები,
სიზმრად მაინც თუ ვერ ვნახე,
ისე ვერ დავმშვიდდები,
მესიზმრება, მეგებება
პაპა, სახლის კარებთან,
რა შეგცოდე ასე, ღმერთო,
ახლოს არ მეკარება.
საკოცნელად მივეჭრები,
ის პირს სევდით მარიდებს,
გავწვიმდები, დავედრები
მარტისეულ ამინდებს.
ეშინია, ძილში კოცნა
ცხადში ცუდად ამიხდეს,
ან არ გავხდე ავად მე და
ან ვაზი არ გაგვიხმეს.
პაპი, მაგ შენს ლოდთან ჩემი
ცრემლი სანთლად ელავდეს.
გინათებდეს სულეთის გზებს,
სანამ მოვალ შენამდე.

ოცნებავ, ჩემო

ხომ მოგატყუეს, ჩემო ოცნებავ,
ხომ მოგაცილეს ცას და მზიანეთს
და ჩემი ვნებაც, ფარული დიდხანს
ხომ სულ სხვა ქარებს გავუზიარეთ.
ხომ სულ სხვას ვწერდით, ხოლო ჩემს
ნერგებს,
სულ სხვანაირი რტოები ჰქონდა,
ციცინათელას მზედ გვაჩვენებდნენ
ალვის ხეებად — ბალბას და ქონდას.
ვქსოვდით მამულის ჩალისფერ
დროშებს,
ღმერთქალის სახეს გვარგებდნენ
ნიღბად,
რაც გვიმართლებდა, თავს
ვაბრალებდით,
რაც გვიმტყუნებდა ბედსა და იღბალს.
ფეხთ გვეგებოდნენ ქონდრის კაცები
და გვთავაზობდნენ კაკლების ჩეროს.
ამ მოგონილი ბედნიერებით
ხომ გაიხარე, ოცნებავ, ჩემო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გედი

ხილვა ბევრჯერ დაიფარა მოლოდინის მკრთალი ბინდით.
თქვენთან დავრჩი, ნაპირებო (სულ ალუბლის სუნი გიდით).

არ განათდა მაინც თქვენი სიყვარულით ჩემი ბედი,
ვერაფერი ვერ ვიპოვნე აუხსნელი თრთოლვის მეტი.

რა კითხვაა: რატომ ვდუმვარ და ფარულად რატომ ვიწვი,
რატომ ვმღერი ერთადერთხელ, ისიც, მხოლოდ სიკვდილის
წინ...

ირგვლივ ბინდი... ბინდისფერში შემძრა გულმა გატეხილმა.
რა უნდა ჰქნა, სიკვდილამდე თუ არ მოვა ნათელხილვა.

აი, გტოვებ უკვე, ტბაო. დაიხსომო იქნებ ეგ დრო.
მე კი მიმაქვს ხსოვნად: თრთოდი.
ისიც: თეთრი ფერი გედო.

●

თავზე დატეხილ ფათერაკის, დაუდგრომლობის,
ათასი შფოთის,
ვაი-ვიშის
და ბორგვის ხშირის,
ჭირის, ვარამის,
მოწამებრივ ტანჯვის, ობლობის
ბედისწერაა ერთადერთი მოქმედი გმირი?..

უნუგეშობის,
მარტოობის,
ჭორის და ცილის
განმგებელია მხოლოდ ბედის უცხო ზმორება?
...მაშ, ჩემს უნიღბო არსებობას არ უდევს წილი, —
ჩემივე გულის ფარულალა ქოხში ცხოვრებას?..

●

იმედის მხმობი, უხილავის მომძლავრდა ხილვა...
რად მომეახლა შორეთიდან კრძალული ბინდით
არსობის გზების მოძლიპავი სუსხი და ყინვა...

ცის მიღმა მღუარ თვალშეუდგამ გაზაფხულისგან
მხოლოდ ვარსკვლავებს შერჩათ ჩემთვის ნაცნობი შუქი
(მასაც მრავალჯერ გადაჰკრა ნისლმა).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უსასრულობით პირშებურვილს, შორიდან მზირველს
როგორ დავხვდები ხვალინდელ ცას არაფრისმქონეს
და ფრთამოტეხილ, ნაერთგულარ, ნაცისკრევ სხივებს...

●

სად შევეჩეხე გაჩაღებულს შენს ცბიერ მზერას
და უსიამო სიშორეში გამომტყვრალ ფიქრებს...
იდუმალების რეტდამსხმელო ბურუსის ფერო
ერთმანეთისკენ მიმავალ გზას დავადგეთ იქნებ.

ხომ არ გადუვლის სინამდვილეს ღელვის მირაჟი,
რომ ძალისხმევა დაუკარგოს უამურ ხილვებს...
ამ გნიასში და განუკითხავ ორომტრიალში
გასაკვირველი ხომ არ არის ვახსოვდე ვინმეს...

ᲖᲕᲘᲚᲘ

სათნოყოფილი მოლოდინი ყრმის უმრწემესის
ვარსკვლავთაქნეთა სივრცეებში მონათდა ყოფნად
და ცის ზარებში იმედების მაუწყებელში
ბედნიერების სიმღერის ხმის იქუხა თოფმა.

გრგვინვა, რომელიც გამოიღო მღელვარე ტალღამ
შენარცხებულმა დაბადების ელვარე ქიმებს,
იძლევა ცეცხლის წარმოდგენას და კიდევ რაღაც
ჯერ გაურკვეველ ამაღლების ღვთისნიერ იმედს.

...იძრა ყოველი. უწინარეს დაღონდა მტერი.
ხარ ყურთასმენამიპყრობილი სივრცეთა ხივილს.
შენს მოკვდავ ყოფნას გამოუჩნდა ნუგეშის მთქმელი:
კეთილმოსურნე,
მართლმორწმუნე სინათლის სხივი.

●

ვინდომე შენი აღტაცება აღვსილმა ზეცით:
სულის სიღრმეში გაჩეკილი სიცარიელის
დამცინავ ღიმილს გამოვტაცე ფაფული ცეცხლი

კეთილგანწყობილ მოლოდინის მოცისფრო ზოლის.
ამაღლდა კიდეც ღვთაებრივად მღიმარი აზრი,
როგორც ახალწლის საზეიმოდ მოსული თოვლი.

საღამოჟამის კარიბჭესთან ლოცვანასწავლი
არ ვუკრთი თვალთმაქც წუთისოფელს, უმთავრესს რაკი —
სიზმრად მოქცეულ ლურჯი ზეცის ფრთებს — მომასწარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაუსაძლის დღეთა დასასრული

ოთხი თვე იწურებოდა, რაც ბიჭი ლაგინად იყო ჩავარდნილი. მთელი დღე მოუსვენრობდა, წრიალებდა, შემდეგ, ერთიანად მისავთებული, ბედს დამორჩილებულივით ფიცრებით შეჭედილ ჭერს მიაჩერდებოდა.

უკანა ოთახიდან ბავშვების გადამდები სიცილი მოისმოდა. ზოგჯერ ამ ხმებს კაცის ბოხი ხმა მოთოკავდა, მაგრამ ცოტა ხანში ისევ აყივყივდებოდნენ.

ბიჭს ყოველი მათგანის სახე თვალწინ ედგა. უფროსი და, ქერათმიანი, უსაშველოდ გამხდარი გოგო, დიდი ქალივით უჯდა მაგიდას, წიგნს დასჩერებოდა და თავისთვის ბუტბუტებდა. შიგადაშიგ, ღუმელზე შემოდგმულ შეუბანდს მოურევდა, ან ოთახის მეორე კუთხეში მოთამაშე ძმებს დატუქსავდა, ავადმყოფს ნუ აწუხებთო, მათთან ხომ არც დაყავებდა გადიოდა და არც დაცაცხანება. კაცი ვიღაც ნათესავს ადარებდა მათ, რაღა იმ შერეკილივით ხორხოცობთ, ჩუმად, თორემ, ეზოში გაგყრითო, ექადნებოდა და ისინიც უმალვე ჩუმდებოდნენ.

ბიჭს დის ბუტბუტი გარკვევით ესმოდა. რაც თავი ახსოვდა, გოგონას წიგნი ეჭირა და ასე ბუტბუტებდა, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა. სკოლის კარამდეც არ მიჰყვებოდა ხოლმე მთელი დღის ნასწავლ-ნაზუთხი.

ბიჭი ფიქრობდა, ალბათ ეს იმის გამოა, რომ ყურადღება სანახევროდ ღუმელისკენა აქვს მიპყრობილი, ძმებისკენ, ან ჩემკენო. ხშირად ისეც ხდებოდა, რომ ერთი გვერდის წაკითხვას ნახევარი დღე უნდებოდა.

უთავბოლო კითხვის შემდეგ, იგი ბიჭთან შემოდიოდა. მზრუნველად ამოუკეცავდა საბანს, ჭიქებითა და წამლის შუშებით გადატვირთულ ბამბუკის ტუმბოს მიულაგებდა, ფერხთით, დაბალ სკამზე ჩამოჯდებოდა და თაფლისფერ, დიდრონ თვალებს მიაპყრობდა.

დას შეეძლო საათობით მჯდარიყო და ასე ეცქირა მისთვის. უფროსებისათვის დამახასიათებელი სიბრალულის გრძნობას ვერ ამჩნევდა ბიჭი, არც მათსავით ზედმეტი ზრუნვითა და უადგილო შეკითხვებით აბეზრებდა თავს, ნიშანზე წამოდგებოდა, საბანს გადასწევდა, ზურგქვეშ ხელებს შეუცურებდა და გვერდს შეუცვლიდა. ბიჭს ერთ ადგილზე ხანგრძლივად წოლა იმდენად ღლიდა, ეგონა, რომ წყლულები უჩნდებოდა.

ბიჭი მადლიერების გრძნობით შეჰყურებდა დას, რომელიც თავის ადგილს დაუბრუნდებოდა, გაიტრუნებოდა და თაფლისფერ, კრიალა თვალებს მიაპყრობდა ისევ.

ბიჭს უყვარდა და ასე ჩუმად რომ იჯდა მასთან. დედასაც უნდოდა ხოლმე მისთვის მეტი დრო დაეთმო, მაგრამ იგი დილიდან შებინდებამდე ფეხზე ტრიალებდა, მერე, დაქანცული შემოვიდოდა, გვერდით მიუჯდებოდა, კითხვებით აავსებდა: როგორა ხარ, რას ფიქრობ, რად დუმხარ, უკეთესობას გრძნობ თუ არაო და ლაპარაკში ჩამოეძინებოდა.

ბიჭი აკვირდებოდა ზეზეულად მძინარი დედის სახეს. დედას ჰგავსო, მასზე რომ იტყოდნენ, გაიტრუნებოდა. მაშინვე წარმოიდგენდა აკვანზე დაბრილს, ნაზი ღიმილით გაცისკროვნებულსა და მოღიღინეს. ერჩივნა, მამას მგვანებოდა.

ავადმყოფობამდე მეზობლების ბიჭებისგან არაფრით გამოირჩეოდა. ეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო, როცა მისი ტოლები ბურთს დასდევდნენ, იგი დედას საოჯახო საქმეებში ეხმარებოდა. ამის გამო დასცინოდნენ კიდეც, მაგრამ ასეთ რამეებს აინუნშიაც არ აგდებდა.

მერე ის იყო, გეოგრაფიის მასწავლებელმა მათი კლასი სოლოდან გამოქვაბულის დასათვალიერებლად წაიყვანა. გზა შორი და მომქანცველი იყო. ბავშვებს ერთი სული ჰქონდათ, როდის მიაღწევენ მასწავლებლის მიერ აღწერილ ზღაპრულ გამოქვაბულს და როცა ნოემბრის მოქუფრულ შუადღეს სტალაქტიდებითა და სტალაგმიტებით მოჩუქურთმებულ დარბაზში მოხვდნენ, მიუხედავად იმისა, რომ უჩვეულო სანახაობის მოწმენი გახდნენ, დიდად არ აღტაცებულან. ბიჭმა კი ეს გამოქვაბული სიშორისა და მიუვალობის გამო „ბედნავსად“ მონათლა და აკი აუხდა კიდეც.

სახლში რომ დაბრუნდა, ფეხზე ძლივს იდგა, გაუხდელადვე მიეგდო საწოლზე, ხოლო როცა ვახშამზე მიიხმეს, ვერ წამოდგა. მამამ ხუმრობით აიტაცა საწოლიდან და სასადილო ოთახისკენ დაიპირა მისი წაყვანა, მაგრამ ბიჭის კვნესამ შეაჩერა, ისევ საწოლზე დაუშვა და შარვალი გახადა, ერთხანად გაშეშებული იდგა, შემდეგ, შეშფოთებულმა დედას უხმო. მათი შიშის გასაფანტავად და მდგომარეობის შესამსუბუქებლად, ვითომც არაფერი მჭირსო, ფეხის განძრევა სცადა ბიჭმა, მაგრამ აღარ ემორჩილებოდა და როცა მიხვდა, რომ მისი ცდა ამაო იყო, ყრუ გმინვა აღმოხდა.

ოთახის კართან ძმები და უფროსი და მიჭუჭკულიყვნენ. მამა რამდენსაც არ ეცადა, ფეხი ვერ მოაცლევინა, ხოლო როცა ექიმი მოვიდა, ბიჭმა იმათ სახეებზე სევდა ამოიკითხა.

ჰისმა ავადმყოფობამ თითქოს დაადარბაისელა ბავშვები. მთელი დღეები მოწყენილად დადიოდნენ სახლში. უფროსს დას წარამარა ეკითხებოდნენ, როგორ მარილა ვერასოდეს ვერ გაივლისო? და მაი, ტუქსავდა, შიშნეულად იცქირებოდა მისი საწოლისკენ, ყური ხომ ბიჭისკენ მოუკრავსო. ბიჭს ყველაფერი ესმოდა, მაგრამ თავს იკატუნებდა, ვითომ არაფერი გამიგიაო და ოჯახის ახლობელი ახალგაზრდა ექიმის ყოველ მოსვლას მოუთმენლად ელოდა; გრძნობდა, ამ კაცზე ბევრი რამ იყო დამოკიდებული.

ექიმს ზომაზე დიდი ცხვირი, ჩავარდნილი ლოყები და ნაადრევად მოტიტვლებული თავი ჰქონდა. სანამ ავად გახდებოდა, მის დანახვაზე ეკინებოდა ხოლმე ბიჭს, მაგრამ პირველივე მოსვლაზე საწოლის კიდეზე რომ ჩამოუჯდა, უურადღებით გასინჯა და ტოლივით ელაპარაკა, სრულებით შეეცვალა მასზე წარმოდგენა. ის კი არა, მოეწონა კიდეც.

ექიმს სიმართლე არ დაუშალავს. უთხრა, რომ დიდ ხანს მოუწევდა წოლა, მაგრამ ეცდებოდა და უეჭველად ფეხზე დააყენებდა, თუ მის რჩევა-დარიგებებს ყურად იღებდა.

ძმებს მალე მიაეწყდათ მისი ავადმყოფობა. ძველებურად ხორხოცობდნენ, ხმაურით იკლებდნენ სახლს. ბიჭს მათი მხიარული ხმები ავიწყებდა მომქანცველ ერთფეროვნებას, ფანჯრიდან ერთი და იგივე, განძარცული ხეების ყურებას და უძრაობას. იგი ისე ერთობოდა, ზოგჯერ ავიწყდებოდა, რომ ლოგინად იყო ჩავარდნილი, წამოდგომას და მათ კვალზე სირბილს მოიწადინებდა, მაგრამ წამოიწევდა თუ არა, უძლურება შეახსენებდა თავს, წამონთებული თვალები ჩაუკრებოდა და სახეს ბალიშში ჩარგავდა.

მეზობლები, რამე გადამდები ავადმყოფობა არ ჰქონდესო და მათსას ბავშვებს არ უშვებდნენ. ბიჭი ამას რომ მიხვდა, დადარდიანდა. ერთხელ სკოლიდან თანაკლასელებმა მოაკითხეს, ბრახუნით შემოლადნენ ოთახში, კართან ჩამომწკრივდნენ და დამფრთხალები თვალს არიდებდნენ. დედამ მათ რამდენჯერმე შესთავაზა დასხედითო, მაგრამ ისინი უარობდნენ, არადა, წასვლასაც არ ჩქარობდნენ.

ერთმა გოგონამ გულის ამაჩუყებელი სიტყვით მიმართა: მოუთმენლად

ეროვნული ბიბლიოთეკა

გელოდებით, მთელი სკოლა მხოლოდ და მხოლოდ შენზე ფიქრობსო, „მეტი საქმე არა აქვთ“. — თავისთვის გაიფიქრა ბიშმა. გოგომ სიტყვა მოულოდნელად დაამთავრა, ფერად ქაღალდში გახვეული რაღაც ნივთი მიაჩეჩა ხელში, დაიხია, კართან დადგა და ამხანაგებს გამარჯვებული იერით გადახედა.

ბიშმა საჩუქარი ბამბუკის ტუმბოზე დადო, კართან ატუზული კლასელები შეათვალიერა და გაოცდა, რომ მისი ავადმყოფობის მანძილზე ისინი სრულებით არ შეცვლილიყვნენ, თითქოს ერთ წერტილზე იყვნენ გაყინნულნი. ბოლ კი ეგონა, სანამ თვითონ სნეულებას უმკლავდებოდა, ისინი იზრდებოდნენ, რაღაც ახალს იძენდნენ, ფერ-ხორცით ივსებოდნენ. ბოლო-ბოლო, ისინი ყოველივე იმას, რასაც ბიშ მხოლოდ წარმოსახვაში ინახავდა, დღეში ასჯერ მაინც შეავლებდნენ თვალს და ამით მაინც უნდა ყოფილიყვნენ ბედნიერნი, მაგრამ ბიშ მიხვდა, რომ შეიძლებოდა მათ ასეთ რამეზე ჯერ არც ეფიქრათ, რადგან არ დასჭირვებოდათ, ან მოთხოვნილება არ გასჩენოდათ. მხოლოდ ყოველდღიურობით იყვნენ დაკავებულნი და თვითონაც ასეთივე დარჩებოდა ალბათ სნეულება რომ არ შეჭყრიდა.

ზედვე ეტყობოდათ, ისინი ჯერ კიდევ ბავშვები იყვნენ. მათ გონებრივ და ფიზიკურ ჩამოყალიბებას დიდი დრო დასჭირდებოდა. დრო, რომელიც დაასრულებდა მათი სხეულის კიდურებს, მოიტანდა გონებრივი სიმწიფის ნიშნებს და ეს ყველაფერი მათში თანმიმდევრულად განვითარდებოდა. თვითონ კი, მიუხედავად იმისა, რომ ფიზიკურად დაიჩაგრა, ნაადრევად ჩასწვდა ცხოვრებისეულ სიბრძნეს — სიკვდილისა და სიცოცხლის ფასს.

ერთი ხანობა მოუწია კიდეც ამ ზღვარზე ყოფნამ. თავისი პატარა სხეულით ებრძოდა იმ უცნობ, შიშისმომგვრელ ზღურბლთან მიახლოებას, ებრძოდა მთელი ძალით, მთელი გონების დაძაბვით, რადგან ქვეცნობიერად გრძნობდა, რომ იმ ზღურბლს გადაბიჯებდა თუ არა, წაიშლებოდა ფიერები ხმები, საყვარელი სახეები და სამუდამოდ ჩაინთქმებოდა წყვდიადში. ოღონდ ვერაფრით ვერ ხსნიდა, საიდან იცოდა ეს ყველაფერი, მასთან ხომ ამგვარ რამეებზე არასოდეს უსაუბრია ვინმეს, მიუხედავად ამისა, მთელი თავისი სიგრძე-სიგანით გრძნობდა ამას, გრძნობდა და ებღაუჭებოდა იმედს. ეს იმედი კი ის ახალგაზრდა კაცი იყო, რომელსაც ექიმი ერქვა.

უმძიმეს წუთებში ბიშ თვალს ადევნებდა მისი სახის გამომეტყველებას და როცა მის თვალებში სევდისმაგვარი რაღაც გაჭრებოდა, ხვდებოდა, რომ საქმე გაუჭობესებისკენ იხრებოდა, მათ ორივემ იმ წყვდიადს გამოსტაცეს რამდენიმე წუთი, საათი, დღე, ხოლო, როცა ექიმი ხუმრობას და ხმამაღლა სიცილს მოჰყვებოდა, ბიშის ირგვლივ ყველაფერი საოცარი ნათელით იმოსებოდა. გულჩახრობილი მამა მხიარულად ებაასებოდა, დედა ქარივით დაქროდა ოთახებში, იშლებოდა სუფრა, ისმოდა ჭიქების წკარუნი. უფროსი და მასთან იჯდა და გაბრწყინებული სახით შეჰყურებდა.

ასეთმა დღეებმა და წუთებმა მის თვალში ყველაფერს თავისებური ელფერი და შინაარსი შესძინა. მოვლენებს თავისებურად აფასებდა, საკუთარი მოსაზრებით სჯიდა, ოღონდ ნაფიქრალს იშვიათად უზიარებდა ვინმეს და თუ მაინცდამაინც საშველი არ იყო, უფროს დას უმხელდა, რომელიც ასეთი მძაფრი შეგრძნებებისგან შორს იდგა და თავისი კრიალა, ფართოდ გახელილი თვალებით იძულებულს ხდიდა, გაჩუმებულიყო...

კლასელებთან საუბარში იმასაც მიხვდა, რომ მისთვის სხვების მიერ მრავალჯერ შემჩნეული ჭარბი მგრძნობიარობაც სადღაც გამქრალიყო. მას უკვე არ აღელვებდა ისეთი მოვლენები, რომლებზეც, ვინ იცის, რამდენჯერ უღვრია ჩუმად ცრემლი და ამაში საბოლოოდ მაშინ დარწმუნდა, როცა ერთ საღამოს უფროს დას დედის თანდასწ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებით ნათესავი ქალის სიკვდილის ამბავი წამოსცდა, რომელსაც საგანგებოდ უმალვადნენ თურმე და დედა მის დამშვიდებას მოჰყვა.

ის ქალი მარტოდ ცხოვრობდა ქალაქგარეთ, უზარმაზარ სახლში. ზაფხულობით თავისთან მიჰყავდა ხოლმე ბიჭი. ქალი მისთვის არაფერს იშურებდა, მთელ დღეებს ერთად ატარებდნენ. უცნაური ზღაპრების მოყოლა იცოდა და ამინებდა კიდეც ამით მაგრამ მერე ხელში იიტაცებდა, ჩაიხუტებდა და გაუთავებლად ეფერებოდა.

დედის გასაოცრად, ბიჭი წუხილს არ მოჰყოლია, დუმდა და ფიქრობდა ნათესავ ქალზე. თავისთვის განსაჯა, რომ იგი საკმაოდ ხანდაზმული იყო, ხშირად ჩიოდა, სხეული მამძიმებსო, მარტოობისგან თავი ჰქონდა მოძულებული და დასაკვნა, მისთვის სიკვდილი შვება იქნებოდაო. რამდენიმე ხნის შემდეგ ეს ხმამაღლა წამოსცდა კიდეც. დედამ შეიცხადა და ჩაიცინდა, გინდა თუ არა, ღმერთო შეგცოდე, ღმერთო მაპატიე თქვი და პირჯვარი გადაისახეო. ბიჭი გაჯიუტდა. რატომ, რა საჭიროა, ის ქალი სიკვდილს ნატრობდა, ამდენი ხანი იცოცხლა, ისიც ჩემსავით მოზარდი ხომ არ ყოფილა, რომ ვინმესთვის თავისი წასვლით გული დაეწყვიტაო. დედამ ამის გაგონებაზე, კარს მომდგარი ბავშვები უკანა ოთახში გარეკა და კარგა ხანს არ გამოჩენილა.

დედა ოთახიდან რომ გავიდა, ბიჭმა ნათესავი ქალის სახე წარმოიდგინა. უნდოდა ერთი ორი კურცხალი მაინც გადმოეგდო, რომ პატივი მიეგო მისი ხსოვნისთვის, მაგრამ სიტყვიერი თანაგრძნობის გარდა, ასეთი ყოფილა მისი ბედიო, ვერაფერს გახდა. რამდენიმე ხნის შემდეგ მისი ფიქრები სხვა მოვლენებს გადასწვდა, ხოლო იმაზე არც უფიქრია, ეს „ასეთი ყოფილა მისი ბედი“ კანონზომიერებას რომ ნიშნავდა. ასეთ რამეებზე მას ჯერ წარმოდგენაც არ ჰქონდა.

ხოლო, როცა იმ ქალის სახელი მოგვიანებით ისევ ახსენეს, ის ფრაზა გაახსენდა და მწარედ ჩაფიქრდა, რადგან ადვილი შესაძლებელი იყო, მისი ბედნიერებაც მართითაც თქმულიყო ოგივე.

დაუსრულებელი ფიქრებისგან ძილი გაუტყდა, ნუთუ მეც იმ ქალივით უნდა მოვკვდეო, მაგრამ ის ფრაზა საკუთარი თავის მიმართ დაუშვებლად, დანაშაულადაც კი მიიჩნია.

იმ დღიდან, როგორც კი თავს მარტო დაიგულებდა, ნელ-ნელა წამოჯდებოდა. თავიდან მალე ილეზობდა. მაგრამ დღითიდღე მეტ და მეტ დროს ახმარდა ვარჯიშებს, რის შემდეგაც, თავს საოცრად მხნედ გრძნობდა.

ექიმი, გაოცებას ვერ ფარავდა. წამლები საოცარ ცვლილებებს ახდენენ, ავადმყოფს დღითიდღე გამოუმჯობესება ეტყობაო, ამბობდა, თან ეშმაკურად ეღიმებოდა, მაგრამ არც ერთხელ არ უკითხია, ფეხის ამოძრავებას ცდილობდა თუ არა. ასე რომ გაგრძელდეს, ორ, სამ თვეში შეიძლება კიდეც წამოდგესო, უთხრა მშობლებს. მის სიტყვებზე მთელი ოჯახი ზეიმობდა. გეგმებს ადგენდნენ, როგორ წამოაყენებდნენ, როგორ გაარონინებდნენ ოთახებში ხელჯავით, როგორ გაიყვანდნენ ეზოში, შემდეგ ქუჩაში...

ბიჭი ღიმილით უგდებდა მათ ყურს და არ ამხელდა, რომ საწოლიდან რამდენჯერმე წამოსწია ფეხი. თავს ძალას ატანდა და ყოველდღიურად მეტ დროს უთმობდა ვარჯიშებს, რადგან იმაზე ფიქრი ზარავდა, რომ კიდევ ორი, სამი თვე უნდა წოლილიყო.

ერთ დილას დედამ იატაკზე გართხმული იპოვა. ბიჭი არაფრით არ გატყდა, რომ სიარულის მცდელობისას ძალამ უმტყუნა. ძილში გადმოვვარდიო, დაარწმუნა დედა, ხოლო შემდეგში, სიფრთხილეს იჩენდა. როგორც კი სახლში ვინმეს დაიგულებდა, ჩაწვებოდა და გულგრილი სახით მოჰყვებოდა ფანჯარაში ყურებას. ერთხელ, უფროსმა დამ უჩვეულო დაღლილობა შეატყო. ბიჭი გაღიზიანა მისმა ცნობისმოყვარეობამ. იგი არ ეშვებოდა, ასე მძიმედ რად ქოშინებ, თავს ცუდად ხომ არ გრძნობო. ბიჭი არწმუნებდა, არაფერი მიშავსო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ საღამოს დედ-მამაც არ მოასვენეს და ექიმთან გაიქცნენ.

ექიმმა ბიჭი გულდასმით გასინჯა და მშობლები დაამშვიდა, ხოლო მასთან მარტო რომ დარჩა, ჰკითხა, ასეთი ჩქარი გულისცემა რად გაქვსო. ვვარჯიშობო, არ დაუმალა ბიჭმა. ექიმი არ ჩასძიებია, ტუმბოზე ჩამოწყობილი წიგნები დაათვალიერა, კარგ რაღაცებს კითხულობ, შენი ხნის რომ ვიყავი, ამ წიგნების არსებობა არც კი ვიცოდი, ყოჩაღი ბიჭი ხარო, შეაქო და წავიდა.

მომდევნო დღეებში ბიჭი საწოლის ირგვლივ დადიოდა. რამდენჯერმე განიზრახა, მისულიყო ფანჯარასთან, გამოელო და ეზოში გადაეხედა, მაგრამ წაქცევის შეეშინდა და ვერ გაბედა.

საწოლის ირგვლივ სიარული მალე მოეზეზრდა. ოთახის მეორე კუთხეში მდგარი განჯინისკენ მიემართებოდა. ყოველ დღე უფრო და უფრო თამამად დგამდა ნაბიჯებს და სიხარული სიფრთხილეს ავიწყებდა.

იმ დილით ბიჭმა გადაწყვიტა, მშობლებისთვის ვარჯიშის ამბავი გაემხილა. უკვე მოომნენება ღალატობდა და ნანობდა, ამდენი ხნის მანძილზე გაჩუმებული რომ იყო და იმაზე ფიქრობდა, როგორ ეთქვა ეს ამბავი. სჯობდა, ექიმის მოსვლას დალოდებოდა, თუ პირველსავე გამოჩენაზე გამოსტყდომოდა დედას.

დედა არა და არ შემოდიოდა. უფროსი და სკოლაში იყო, ხოლო ძმებს ერთი ღრიანცელი გაჰქონდათ უკანა ოთახში. დედა ეტყობოდა, საქმეს შერჩენოდა ეზოში, თორემ ამდენი ხნით მათ არასოდეს მარტო არ სტოვებდა.

ბავშვები ბიჭის ოთახშიაც შემოცვივდნენ. ხელში მუთაქები ეჭირათ და ერთმანეთს უტყაპუნებდნენ. ბამბაზიის გრძელი საღამურები ეცვათ. მუთაქა ხელიდან რომ გაუვარდებოდათ, საღამურის კალთაზე სტაცებდნენ ერთმანეთს ხელს, ძიძგილაობდნენ, კარი ღიად დაეგდეს და ისევ უკანა ოთახში შეცვივდნენ.

ბიჭმა ერთი ორჯერ დაუცაცხანა მათ, ერთი პირობა მიყუჩდნენ. მერე, ერთ-ერთის ლაპარაკი შემოესმა, ღუმელში ცეცხლი ჩაქრა, დედას გასძახე, შეშა შემოიტანოსო. შუათანამ, შეშა ბოლომდე არ დამწვარა, აგერ ბოლოში ბევრი დგას, შეასხი და მოეკიდებაო, ურჩია.

ბიჭმა აქეთ გამოიხედა, დაუძახა. ისინი მიყუჩდნენ. ბიჭმა ისევ უხმო ძმებს. ისინი დუმდნენ.

უეცრად, სამივე ბავშვმა ერთხმად შეჰკივლა. ბიჭი მათ შეკივლებაზე წამოჯდა, საწოლზე გადააწყო ფეხები, დადგა და რწევა-რწევით დაიძრა უკანა ოთახისკენ. კარამდე არ იყო მისული, რომ საღამურის წინა კალთაზე ცეცხლ-აბრიალებული შუათანა ძმა შემოეფეთა. ბავშვი ბიჭის დანახვაზე შეცბა, შეტრიალდა, უკანა ოთახი გადაჭრა, გასასვლელ კარს ეცა, გააღო, დედას უხმო განწირული ხმით და აივანზე გაიჭრა. ეზოდან დედის შეშფოთებული ხმა შემოესმა ბიჭს და დაიბნა, მაგრამ მაშინვე გონს მოეგო. მიიხედ-მოიხედა, კართან დაგებულ ფარდაგის ნაჭერს დასწვდა, საღამურზე ცეცხლმოკიდებულ, აივნის მოაჯირის გასწვრივ მოწრიალე ძმას გამოეკიდა, კუთხეში მიამწყვდია და თავისუფალი ხელით სწვდა.

ცეცხლი რამდენიმე დარტყმით ჩააქრო. ბავშვი იატაკზე დაეცა. ბიჭმა ფარდაგის ნაჭერი გადააგდო, ბავშვს დასწვდა და წამოსწია.

დედა კიბილით ამოიჭრა აივანზე, ბიჭს მივარდა, ბავშვი ხელიდან გამოსტაცა, სხეული მოუსინჯა, აბოლებულ საღამურიანად გულზე მიიკრა, აკოცა, იკივლა, აკოცა, ისევ იკივლა, სახელი დაუძახა. ბავშვმა თვალი გაახელა. დედა რომ დაინახა, ტირილი ამოუშვა. ქალმა შვებით ამოისუნთქა, მერე უანგარიშოდ იკითხა: რა მოხდა, რა მოუვიდა!

„ღუმელში ნავთი შეასხეს“. — უპასუხა იქვე მდგომმა ბიჭმა, რომელმაც ფეხებში საშინელი სისუსტე იგრძნო და რომ არ წაქცეულიყო, აივნის მოაჯირს ხელი ჩასჭიდა.

ქალი შეტრიალდა. აივნის მოაჯირს ჩაჭიდებულ ბიჭს თვალი შეავლო, „ღმერთო ჩემო, შენ აქ როგორ გაჩნდი!“ — წამოიძახა, ხელში ატატებული ბავშვი იატაკზე დაუშვა, ორი ნაბიჯით გაჩნდა ბიჭთან და ახლა ის ჩაიკრა გულში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელდარ კერძევაძე

მეგობარს

მომენატრები ზოგჯერ ძალიან
იმ ჩვენი ნაღდი ძმობის უფლებით,
იქნებ გავფანტო, ჩემო ძმია,
მოჯარებული სულში ღრუბლები...
მაღიზიანებს ყოფნა მავანთა,
მათი სიცრუე ყელმოღერილი...
სიმართლის ძებნამ გამასავათა,
ლულიდან მომზერს ტყვია გველივით.
არ მიძებნია ქვეყნად იოლი
არც სიხარული, არც მწუხარება,
სადაც მივედი, ან გავიარე, —
ყველგან დახშული დამხვდა კარები.

დღეები მაინც როგორ ბრუნავენ,
ველარ გავდევნე სევდა ბებერი,
ცრემლით, წუხილით და სამდურავით
მელის სასახლე ასაგებელი.
ჩამოიძენძა გულის ძარღვები,
ქარმა გაჰფანტა კერის ნაცარი,
უღვთოდ გასუქდნენ სახლში ძაღლები,
ჩემი ჯილაგი ტყეში წანწალებს.
მომენატრები ზოგჯერ ძალიან
შენთან კრავივით მოვბაკუნდები,
იქნებ გავფანტო, ჩემო ძმია
მოჯარებული შავი ღრუბლები.

გვიანი სუფრა

ვაჟა და გივი...
ღღეს კი ზურაბი
წევს დაღლილი და
ფრთებდამსხვრეული,
ცრემლით ივსება სევდის ყულაბა,
მჭისე სისინი მესმის წყეულის.
მომენატრებით, მაგრამ ვერასდროს
აწ თქვენი ნახვით ვერ გავიხარებ,

ზოგი დიღომში...
ზოგი ვერაჯე...
სუფრასთან თავი ვერ მოგიყარეთ.
აღარც უმცროსი... აღარც უფროსი...
ღვინოს ებრძვიან ღვინის ყოჩები,
არ უნდა ვიჯდე მე ამ სუფრასთან,
მაცალეთ ცოტა... და მეც მოვრჩები.

●

მეტი რაღა უნდა გითხრა,
მეტი რაღა უნდა გკადრო,
ვერ ვჩერდები შენთან დიდხანს,
გეუბნები:
— შევხვდეთ სხვა დროს.
სხვა დროს...

ნაგრამ აღარც სხვა დროს...
არც ცოტა ხნით,
აღარც დიდხანს...
მეტი რაღა უნდა გკადრო,
მეტი რაღა უნდა გითხრა.

წერილი დედას მოსკოვიდან

მანდ ახლა ხენი თვალებს ახელენ
და მზით ივსება ეზო-ქუჩები,
მე მომენატრა ჩვენი ბაღები,
ჩვენი ატმები და ალუჩები.
აქაც გაზაფხულს მოელის ხალხი,

რომ ამოხეთქოს მიწა ვარდებად,
წუხელ ისეთი სიზმარი ვნახე, —
ჩამოვალ,
გეტყვი,
გაგიხარდება...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნატვრა-ანაკრონიზმი

ნეტავი, ვიყო გვარის და ჯიშის
სადმე ჯუნგლებში მიყუჟულ ტომის,
და არ მზარავდეს ცხადად თუ ძილში
არც ნეიტრონი და არც ატომი...
ნეტავ, არ იყოს აღმოჩენილი
არც ამერიკა,
არც ინდოეთი,
ტყეში უეცრად ცეცხლის გაჩენა
მეგონოს რისხვა მრისხანე ღმერთის.
ნეტავ, ტანმაღალ ხეების ჩრდილში
ვცეკვავდე ლაღად მთვარიან ღამეს,
არ მკლავდეს მიწის გაქრობის შიში,
და კიდევ ბევრი ათასი რამე...

აღარ მესმოდეს ვაი და ვაში
მსოფლიო ღელვის...
მსოფლიო ძრწოლის...
ჩემს ტომთან ერთად ასე თუ ისე
თავს გავიტანდი მარტივი ბრძოლით.
არა, არ არის ეს ფიქრი ფუჟე
და ნატვრაც ჩემი, — შესაბამისად,
ცუდი სიზმრები ვიხილე წუხელ
და გამეღვიძა შუალამისას.
ღამე სანამდე უნდა ვათიოთ
აჩქარებული მაჯით და სუნთქვით,
თუ რამეს გცოდავ, გთხოვ, მაპატიო,
რამეთუ, ღმერთო, შენ უკეთ უწყი.

●

ასეთ ხასიათზე თუ დაგიხვდი
წარბსაც ვერ შემიხრი,
სიკვდილო.

იგი

ახლა მოუშვა ულვაში
(ვითომ კაცობის ნიშანი)
წალმა-უკუღმა ბრუნვაში
თანამდებობაც იშოვა.
რა ხმები ესმის ჩემს ყურებს...
ნუთუ ამდენ ხანს მეძინა,
მერჩია ამის შემყურეს
აყალო მიწა მეზილა.
მე ვეცოდები,
მე მისი
საცოდაობით დავიწვი,
რას იტყვის ნეტა მერმისი?
რას იტყვის?
აბა, რა ვიცი...

მოლანდება

თმები გაშალა,
ჩაიკისკისა,
იმ დღეთა შუქით ამაფოფინა,
მე შენ მეგონე,
ეჰ, შენ კი არა
თურმე...
მაისის წვიმა ყოფილა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მირონ ხერგიანი

ჩვენ და ისინი

„რომ შემქმნა ადამიანად,
რატომ არ მოვედ წვიმადა?“

ვაჟა-ფშაველა

ნაცნობი გზებით მოიქცევიან
წეროები —
გასულს რომ დაკვალეს,
მარადულია მათი ფრენა,
და უდარდელი —
წავლენ და ისევ
მობრუნდებიან,
მოვლენ და ისევ
გაბრუნდებიან...

იქ როს ბალახი გახუნდება,
წყალი დაშრტება,
მყინვართ სიგრილეს მოაშურებენ,
წლის მიწურულს კი
აქლემებივით —
ზამთრის მარაგით დატვირთულები
კვლავ გაიწევენ უდაბნოისკენ...

და ყატყატებენ წეროები,
ყიჟინებენ წეროები,
ბედნიერი წეროები,
მაღალი წეროები!

ასევე გახლავთ
ფთილა ღრუბელიც —
არაფერი სჭირს სადარდელი
და სავალალო.
წავა და მოვა,
მოვა და წავა —
ამაში უდევს სიცოცხლის აზრი,
მთას ჩამავალი მნათის სხივებზე
აკოკრებული და ქამისმძლევი
ნაღვერდალივით წითლად იცინის.

უშრეტი არის ზღვათა ღელვანიც,
ხეს ჩალეწილი ზვავი მერმისს
მთას უბრუნდება

და ქანდარაზე შემომჯდარი
ყვინჩილასავით
ყურისწამლებად გადასძახის
ჭალებს, ჭიუხებს.

მხოლოდ ჩვენ ვდგავართ
ყველაფრისგან
შორსა და ცალკე —
აისბერგები და მეჩეჩები,
ვით კუდიანი ვარსკვლავები
ცად მორიალე
და ქარებისგან გამოხრული
სვეტები მარჯნის.
ერთხელაც ცივად ჩაიმზღვლევა
მიწა ტიალი
და მამა-პაპათ ძვალთსალაგებს
მოვავლებთ მზერას,
კვლავ ვერასოდეს ვეღირსებით
ნათელს სოფლისას,
ყველა გზა უკან მოსაქცევი
ჩაგვეხერგება,
თეთრ ჭუჭრუტანებს
დაგვიქოლავენ!..

ნეტავი, თქვენ, წეროებო!
მდინარეებო,
ფთილა ღრუბლებო,
მორიალენო!
ზვავნო,
გრუხუნით ჩამოლეწილნო!..

შორს, ცალკე ვდგავართ —
აისბერგები
და მეჩეჩები!
ვით კუდიანი ვარსკვლავები
ცად მკრთომარენი
და ქარებისგან გამოხრული
სვეტები მარჯნის!..

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მამაჩემის ხსოვნას

ოთხმოცი წელი მოარღვევდი
მწუხრის ბილიკებს,
საწუთროს გზებზე
იწვა ნისლი
ნიაღვრისფერი...
ვითარც წარაფზე
ჯიხვთა ჯოგი,
ჩაიჯირითებს —
ოთხმოცი წელი...
სევდიანი და ულმობელი.

ოთხმოცი წელი —
შავი დენთი გადაირია,
ფუსდის კუნაპეტს სევდიანი
ჰანგები ფარავს.
მერმე მუხთალი განჩინება
და რია-რია
და წაბრძანება
სულეთის კარად!..

ერთი კირჩხიბიც ჩაესვენა,
აწ საუკუნემ
გულსამშვენისად
ჩემთვის უნდა
თალოს ლოდები.
მე არ მეშინის,
არხეინად ჩავცქერ უკუნეთს,
მამა-შვილობა ჩვენი იქაც
განეორდება.

ოთხმოცი წელი მოარღვევდი
მწუხრის ბილიკებს,
საწუთროს მყეფარს
ჰგერიობდი
ბარით და ცელით...
სამგლოვიარო ზართა გუგუნს
მთები ირეკლავს
და გიხსენებენ
ლამარია,
ნათლისმცემელი...

ცთომილთა დღესასწაული

რომანი

მეორე დღეს მთელმა სოფელმა იცოდა მოსალოდნელი უამინდობის ამბავი — გაამაგრეს ჯებირები, მდინარეებისაგან შორს გაარიდეს პირუტყვი, ამოასუფთავეს და გაფართოვეს ღვარსადენები... ერთი სიტყვით, მიწა მომზადებული ეგებებოდა ცის შემოთვლილ უსაფუძვლო მუქარას.

„აჰა, ვარსკვლავების ეს კუდით კუდზე გადასკვნა, წყალრღვნით მოსულა ქვეყანაზე მაშინ, ახლა რითღა მოვა, რა უდევს გუნებაში ცის მოუზღუდავ ნებას, რით უნდა დაგვატყდეს თავზე — ქარით თუ ქარიშხლით, გვალვით თუ ნგრევით, მეწყერით თუ ცეცხლით, მიწის ძვრითა თუ მიწაში დანთქმით“. — გული უწუხდა უფროს დარუხანს, ცისკენ მიმართულ სადარუხანოს მზირალ თვალს წამითაც არ შორდებოდა, ზომავდა და აზუსტებდა ვარსკვლავების დახრის კუთხეებს მზესთან, დედამიწასთან, მთვარესთან, ყველა ხილულ პლანეტასთან შეფარდებით. გადაჰქონდა ცხრილში, ადარებდა იმ უძველეს ტაბულებს, ირკვევდა და ვარაუდობდა განმეორების შესაძლო თარიღებს.

რა დაუჯერებლადაც არ უნდა მოგვჩვენოთ, ლევანს საკუთარი თვალით უწახავს ის გამოხუნებული ფოლიანტი, სადაც თეთრით შავზე ეწერა თურმე: „ვარსკვლავთა, ანუ ცთომილთა დღესასწაული, საკვირველი თვალისეირი, ბიბინა ლაჟვარდ ცაზე ოქროსფერი მყივარი ფრინველების გუნდის და გუნდის გადაფრენის სახილველზე უფრო ზეაღმტაცი სახილველი, კაცის თვალით ეშვიათად დანახული, ცათა შიგან მდგომთა ზარისა და ზეიმის გამომხატველი, ქვეყანაზე მობრუნვდების წელიწადსა ათას რვაას ორმოცდახუთსა და წელიწადსა ათას ცხრაას ოთხმოცდაორსა, იქნება წარღვნით, იქნება ცეცხლითა და ცეცხლის ტალახით, იქნება გვალვითა და მიწის ვარდნებით...“ „მიწის ვარდნებით“-ს წინ სიტყვა „იქნება“ იყო თუ არა, აღარ მახსოვსო, ირწმუნებოდა ლევანა. ზოგს შეიძლება არსებითად არც მოეჩვენოს, და არაფრად ჩაადგოს ამ სიტყვის ქონა არქონების საკითხი, მე კი ძალიან არსებითიც მგონია. ამიტომაც, თუკი ოდესმე დამჭირდა ამ ნაწყვეტის განმეორება, უეჭველად ჩავამატებ „იქნებას“, რის გამოც, ძალიან გთხოვთ, შეცდომაზე წასწრებულივით ნუ მომეკაროთ.

ის ერთი დილაც გათენდა. ცამ პირი მოიღრუბლა და მთლად ჯიჯიხანას დაემგვანა, — თვალსაწიერის ოთხივე მხრიდან ამოიშალნენ შავ-შავად მოქურეშებული ღრუბლები და ზეცის შუაგულისკენ ერთდროულად ამოქანდნენ. ყოველივე ისე სწრაფად მოხდა, ეს ოთხი უზარმაზარი შავღრუბელა დევი სწორედ ზესკნელის იმ ყველაზე შემაღლებულ ადგილას შეასკდნენ ერთმანეთს თავებით და ტარაბუადასხმულებივით, ტრიალ-ტრიალით წამოვიდნენ მიწისკენ, ჩამოშავეს და ჩამოემხნენ სოფელს, ელვის მათრახები იშიშვლეს და ტკაცატკუცი აუყენეს ქვეყ-

---

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ცისკარი“ № 8,9.

ნის სახურავს, — ხან სად გასკდებოდა მეხი და ხან სად.

„კაკუჩი ეშმაკს“, — გვიძახოდა სამი წლის დარუხან-უმცროსი და ციხე-კოშკის ბანზე სიცილ-კისკისით დარბოდა და დარბოდა ფეხტიტველი. ლაფაროში შემდგარი შუათანა დარუხანი ზურგით კედელს მიყრდნობოდა და სოფლის მხარეზე იყურებოდა: დაბლა, გალავნის სწორად, თითქოს უკიდეგანო ჭაობიაო, ლურჯ-მწვანედ ჩამდგარიყო თვალგაუვალი სქელი ღრუბლები.

შუათანა დარუხანმა სპილენძის ტაშტი გამოიტანა ბანზე, სახურავიდან ჩამომავალი წვიმის წყლით აავსო და შიგ სელის ძაფით ნაქსოვი, თავსარქმელიანი მოსასხამი დაალბო. ცოტა ხანმა გამოიარა, ამოიღო, გაწურა თავსა და ტანზე წამოიხურა, ვითომ ლანდი იყო, ისე შეეფია გალავანსქვემოთ შერღვეულ სიმრუმეში...

ქუჩა, ბილიკი, ორღობე, ბანი, ყანა, მინდორი, ტყე თუ პიტალო ყველაფერი წყალს ისროდა და აფრქვევდა, თითქოს სოფელში კი არა, იმ ასთავიანი ურჩხულის სხეულზე მიაბიჯებდა, ასევე თავ-პირიდან წყლისა და ცეცხლსმფრქვეველი ენები რომ წამოეყარა და სადღაც იქით, ქვეყნის კიდე-სასრულისაკენ ერეკებოდა ყველაფერს, რაც კი წინ გადაუდგებოდა: ქვა, ხე, პირუტყვი, ფრინველი, ადამიანი თუ მხეცი...

მარჯვედ და თამამად უქცევდა დარუხან შუათანა [გადმოვარდნილ ღელებს და ნიაღვრებს] გვერდს — სად გადაასწრებდა, სად მთელ ძალ-ღონეს მოიკრებდა, გამოექანებოდა და ზემოდან გადაეღლებოდა სულ ახლახან გაჩენილ, ნიაღვრისაგან გამოხერხილ უშველებელ ხეს. ერთი ასეთი ახლად მოვარდნილი ღვარცოფი კიდევ ჩამოტოვა უკან, რომ რაღაც ყრუ გუგუნგრიალი გაიგონა და შემდეგ აღარაფერი ახსოვს...

გონს რომ მოვიდა და თვალები გაახილა, თვითი გაბუმბულებულ ქვის იატაკზე იწვა. ქოხის ჭერი ლამის ცხვირზე ედებოდა, ნათელი დღე რომ იდგა, ადვილად მიხვდა, რადგანაც [illegible] ობებიდან და ღრიჭოებიდან შემოჭრილი მზის სხივები ისეთი სახიერი იყო, როგორც დაბურულ და უღრან ტყეში იცის ხოლმე, ღერწმის ოქროსფერი ღერბივით ირიბ-ილინკურად წამოქცევა, ფანდურის ლარებივით გადაწყვეტამდე დაჭიმულად გაწოლა. გულში სიანცემ გაჰკრა, — მარჯვენა ხელი ასწია, ადვილად აიტანა, საჩვენებელი და ცერა თითების ბოლოები, ერთმანეთს მიადო, წრე გააკეთა და სხივს გაეთამაშა, — ხან მოავიწროებდა წრეს და ისე გაავჭრენდა, ხან შემუშტავდა ხელს და გზას გადაუკეტავდა, ასეთ დროს ლიმონის თხელი ნაჭერივით მრგვალდებოდა მის ხელზე სხივი; უცებ გახსნიდა წრეს და არ ამოძიებნება ადამიანის გონებაში თვალით ნანახი ისეთი რაიმე, მზის სხივის სისწრაფეს რომ შეედაროს — ახლა საპირისპირო კედელზე გახდებოდა ტყეპა ლიმონის იმ ნაჭერს. ცოტა ხანი გავიდა და მეორე ხელი აღმართა ზევით...

„ხელებს თავისუფლად ვამოძრავებ, ჩანს, წელზემოთ არა მიჭირს რა, — გაიფიქრა დარუხან შუათანამ და ახლა წელქვემოთ ჩაინაცვლა. შიშით, მაგრამ ნელ-ნელა, ჯერ ერთი ფეხი წამოსწია, დაემორჩილა; მერე — მეორე, ისიც დაჰყვა ნებას. „კარგად ყოფილა საქმე“. წელი შეარხია, წელიც ჩვეულებრივად უჯერებდა. „მაშ, რის გამო მოვხვდი აქ?“ თავის წამოწევა სცადა და ლამის ცრემლები წამოსცვივდა, სიმწრის კვნესა აღმოხდა.

მალე ქოხის კარი გაიღო და ისეთი ბებრუხანა შემოვიდა, დარუხანს ლამის გაეპარა სული — კუზიანი, წელში მოხრილი, თმაჩეჩილ-ჩამოჩეჩილი, ისეთი პირის კანი ჰქონდა, თითქოს ნახშირით მოუთხუპნითო, აქეთ-იქიდან, მგონი, ღოჯებიც კი უჩანდა. კაცმა უცებ პირი იბრუნა და თვალები წაუტაა, ნეტავ მოჩვენება იქნებოდესო. დედაბერმა ნათლად დაინახა კაცის თითქოსდა შეუმჩნეველი მოძრაობა; თავის გულში ოდნავ ჩაიღიმა, ხმამაღლა კი თქვა:

— მადლობა უფალს, ცოცხალს გხედავ, მოგიხედია, ბატონო ჩემო! აგერ ჯამით თხის რძე მოგართვი, სულ ახლახან ჩამოვწველე, სანამ თბილია, უნდა დალიო, თხის რძე უებარი წამალია, მალე მოიხედავ და ფეხზე წამოდგები.

უსმენდა კაცი ამ დედაბერს და გაკვირვებას იყო, ისეთი ხმა ჰქონდა, ეგონა, ახლად ტანაყრილი გოგო ლაპარაკობსო, არადა, ხომ ნახა, რა გაფურჩქნილი ვარდიც ეს ეშმაკის პირისახისა და ქაჯის ტან-მკერდის პატრონი ქალი იყო.

„ამის მოწველილ თხის რძეს რა დამალევინებს, — გააზრიალა ტანში, — თუმცა, რას ვერჩი ამ საცოდავს, გადამარჩინა და რაც შეუძლია, მპატრონობს კიდეც...“

— აბა, გამომართვი!

კაცს თვალი არ გაუხელია, ისე გაწოდა ჯამისკენ მარჯვენა. ქალს იმგვარი ნაზი, რბილი და თბილი ხელები ჰქონდა, კაცმა უნებლიედ თვალი გაახილა და საკუთარ თვალებს პირველად ვერც დაუჯერა, ქალის ასე ლამაზი ხელები მის დღეში არსად უნახავს.

„ღმერთო, ჩემო! სხვა ხომ არავინ შემოვიდა“, კაცმა თვალები ოდნავ შეხსნა და ქალის პირისახისაკენ გააპარა, საშინელებისაგან, ცოტა დაკლდა, კინაღამ იყვირა, ქუთუთოები უცებ დაუშვა და ჯამი ნელ-ნელა გამოართვა, — ხელები ხელებს ვერ ელეოდა...

—ყოჩაღად, აბა, ბატონო, თავი წამოწიე, ნუ გეშინია, ჩემს ხელებს დაენდე! — უთხრა დედაბერმა, ხელები ქინჩს ქვემოთ ამოსდო და მისი თავი მუხლებზე მიისვენა...

კაცი ოდნავ მოწრუპავდა რძეს, შეისვენებდა; კიდევ ოდნავ მოწრუპავდა, ამჯერადაც შეისვენებდა, თანდათანობით დაცალა თხის ჯამი. გრძნობდა, ის ორი ხელი, როგორც ერთი მზის ორი ნაჭერი, ისე რომ ადგა ყელ-ყვრიმალზე...

— მალე გამოკეთდებით, ჩემო ბატონო, აი ახლა არაყში გათქვეფილ-დინდგელის საფენებს დაგადებთ მხარ-ბეჭსა და ყელ-კისერზე...

„ხმაც როგორი არადედაბრული აქვს... ხმა და ხელები...“

— ნუ დამამადლი, გადაბრუნდი, ბატონო ჩემო! — დარუხან შუთანთა გადაბრუნდა, ცხვირ-პირით თივაში ჩაემხო. ნესტოებში სასიამოდ უღიტინებდა ახლად აღებული თივის სურნელი.

—აჰა, მოვრჩი, თუ გირჩევნიათ, ისევ ზურგზე გადაწექით, ბატონო ჩემო!

დარუხან შუთანა არც განძრეულა, არც მადლობა უთქვამს, არც არაფერი უკითხავს დედაბერისთვის. ქალი ქოხიდან გავიდა და კარი გაიხურა.

კაცი სინდისმა შეაწუხა — „რას ვერჩი და რას ვემადლები ამ დედაბერს, მპატრონობს და მოვლის, მე კი მტერივით ვექცევი, უსათუოდ გამოველაპარაკები, ამბავს გამოვკითხავ, მადლობასაც გადავუხდი!“ — გაენდო თავის გულს კაცი და ახლა გარეთ გახედა მოუნდა: „რა დარჩა სოფლისგან, როგორ გაუძლო ამ... — შესაფერისი სახელი ვერ მოიგონა, — ამ უბედურებას“ — ძლივს გამართა აბორძიკებული ენა. მერე ის ვარსკვლავიანი ლამაზი ცა დაუდგა თვალწინ, სად იყო და სად არა, იმ ვარსკვლავებს ეს კუდიანი დედაბერი ამოუდგა ვვერდში, — სწორედ ასე გაიფიქრა: „კუდიანი დედაბერი“. ორივე ხელში დარუხანის თავი ეჭირა და ის ხელები აშუქებდნენ?! ვარსკვლავებმა აღარ იცოდნენ, სად გამძვრალიყვნენ სირცხვილით; მერე მისი ხმა გაისმა „მიირთვი ბატონო ჩემო, რძე!“ ხმა კი არა, რაღაც ამდაგვარი ტკბილი და შემთბარი წყალივით სასიამო არაფერი ახსოვს, თუ არ ჩავთვლით დედის ნანინასა და წაბლნარის ბოლოს, იმ პატარა ტბის ყელზე ვარსკვლავიანმა ღამემ რომ იცის სახელდაურქმეველი ჩურჩული... სწორედ იქაური ღამის ხმასა ჰგავს,

---

ავთანდილ ყურაშვილი
ცითელგილთა დღესასწაული

სწორედ იქაური ღამისას, კარგად გაიხსენა, მაგრამ — „დედაბერი და ამგვარი რამე, ღმერთო, ნუ შემშლი...“

ქალი მზის ჩასვლისას დაბრუნდა ქოხში. მანამდე გულში დაიჩემა კაცმა, რომ მომკლან, მაინც არ გავიხედავო მისკენ, მაგრამ კარი შემოაღო თუ არა, თვალი მაშინვე გაექცა. ერთი კი შეიძლო, მხოლოდ ფეხებში მიაჩერდა: ქალს ხის ქოშებში წაედგა ვარდის ფურცლებივით თხელი შიშველი ტერფები. იმ ხელებივით ლამაზი, თითქოს სულ ... ... სანთელივით ჩამოწყვეტილი ფეხები ჰქონდა. უკვე მზერას ვეღარ სწყვეტდა, „ნამდვილად გადავრეევი!“ — გაიფიქრა კაცმა.

ქალმა კარი შემოიხურა, კერიასთან მივიდა, ნაცარში გახვეული ღადარი გამოჩხრიკა, ზედ ხმელი ფიჩხი დააყარა და სულ მალე ცეცხლი წამობრიალდა. მერე კვარი მოძებნა, აანთო და კედელში გაარჭო. ქოხი ერთმანეთში შემღვრეულმა ბნელ-სინათლემ ამოავსო.

— თავს როგორა გრძნობთ, ბატონო ჩემო! ხომ არ მოიწყინეთ!

„ღმერთო, ნეტავ არ გაჩუმდებოდეს“, — ნატრობდა კაცი, — ხმას არა მცემთ, მემდურთინ, ხომ, ახლავე შემოგრიგებთ, თბილი რძე მოგართვით, ერთი ცეცხლკვერაც გამოგიცხვეთ, ხომ მიირთმევთ, უარს ხომ არ მეტყვით! — ტიტინებდა ქალი და კაცს ლამის გული ამოუვარდა, თვალებიდან ცრემლები წასკდა.

— ნუ, ნუ! — ზემოდან დასჩერებოდა ქალი. — აბა ეს ჯამი გამომართვი, ეს ცეცხლკვერაც დიაჭი, ჰო, ეგრე, ყოჩაღად! წამოსწიე თავი, აი, მუხლებზე დამაღე!..

კაცმა ჯამი გამოართვა, ის ცეცხლკვერაც ჩაალბო რძეში, თავიც კალთაში ჩაუდო. ქალმა კი იმ ორი ხელით, როგორც ერთი მზის ორი ნაჭრით, თვალები ამოუმშრალა.

— იყოს, ცოტა ხანს ნუ მომაშორებთ, რა! — შეევედრა კაცი.

— თქვენი ნებაა, ბატონო ჩემო, როგორც თქვენ მეტყვით! — ღიღინებდა ქალი.

— რა მშვენიერი ხელები გაქვს, თუთი!

— საიდან იცი ჩემი სახელი! — გაუკვირდა ქალს.

— მერცხალმა ჩამომჭიკჭიკა. აი, იმ ღრიჭოდან შემოფრინდა და ჩამომჭიკჭიკა.

— რა კარგია! — გაიხარა ქალმა. — შენ აქაური არ უნდა იყვე, ჩვენმა კაცებმა ეგეთები არ იციან.

— აქაური ვარ, თუთი! აქაური, მაგრამ შენ რომ ვარსკვლავივით ხელ-ფეხი გაქვს, ჯერ არავის უთქვამს?!

— ვარსკვლავივით? — გაიკვირვა ქალმა. — არა! ვარსკვლავები ცაშიაო, ასე გამიგია, ჩვენი კაცები კი ცაში არ იყურებიან, ვარსკვლავები არც იციან... — სინანული დაეტყო ქალს, — აკი გითხარი, აქაური არ უნდა იყო-მეთქი!

— თუთი, თუთი! მაშ სად ეშმაკში იყურებიან ის თქვენი კაცები...

— მიწაში!

კაცს გაეცინა.

— რას იცინი, სულ მუდამ მიწას ჩაშტერებიან, მაღლა ახედვისთვის ვის სცალია, თუმცა, რომც აიხედონ, მზისა და მთვარის მეტი, რა უნდა დაინახონ, ისინი ხომ თვითონაც გვაკითხავენ, — ერთი დღისით ჩამოდის, მეორე — ღამ-ღამობით.

—მაშ ვერც შენ ხედავ ვარსკვლავებს?!

— როგორებს ლაპარაკობ, სტუმარო! — აკისკისდა ქალი. — აკი გითხარი, მზისა და მთვარის მეტს ვერაფერს ვხედავთ-მეთქი მაღლა.

— აი, იმ ციხე-კოშკსა, სოფლის შუაგულში რომ არის აღმართული?!

— რომელ ციხე-კოშკსა!

— იქ, იმ ამაღლებულ მთაზე, ოთხივე მხრიდან თეთრ-თეთრი კიბე რომ ასდევს!

— ხომ კი გითხარი, ჩვენი სოფლისა არა ხარ-მეთქი, შუაგულ სოფელში რა უნდა ციხე-კოშკსა, ეგეთი რამე საჩვე-

ნოში ჯერ არავის გაუგონია! — ოდნავი შეკრთომა დაეტყო ქალს, ამიტომ სხვა მხარეზე გაუტია კაცმა:

— ისა სთქვი, მაღლა არ იყურებიანო ჩვენი კაცები!..

— ჰო, ქალის წელზევით ვეღარ აუდით თვალი, ამიტომაც მხოლოდ ფეხები და ხელები გვაქვს ლამაზი ქალებს, — სეგდიან-დამცინავი კილო შეეპარა ხმაში ქალს, — აი, პირზეც რომ გვიმზერდნენ, მაშინ პირისახეც ლამაზი გვექნებოდა, — თითქოს ნაღველი გაურია ნათქვამში, ყოველ შემთხვევაში, ასე მოეჩვენა დარუხან შუათანას. „იქნებ, მართალს ამბობს ეს ქალი!“ — გულუბრყვილოდ შეეეჭვდა დარუხანი, მაგრამ თვალის გახელა მაინც ვერ გაბედა.

ქალის ხელები ისევ პირისახეზე ედო კაცს. ჯამი ძირს ჩადგა და თუთიას ხელებს თავისი ხელები ჩასჭიდა...

იმ უცნაურმა ერჭოლამ, კაცს გულიდან რომ გაჰკრა და ფეხის ფრჩხილებამდე ელვის ტეხილი ხაზივით გაუარა, გაალღო და ჩუჩრუხით გიტან-გამოიტანა მისი სისხლი ძარღვებში.

— თუთი, თუთი! — თვალდახუჭული ჩურჩულებდა კაცი, ეტყობა, დავიწყდა კისრის ძარღვების ტკივილი, — თუთი, თუთი... — ისევ განაგრძობდა ჩურჩულს და ქალიც ნელ-ნელა ჩამოჰყვა კაცის ხელებს და მის გაუთავებელ ჩერჩულს — „ თუთი, თუთი, თუთი...“

ხელებით გრძნობდა, ქალს კუზი საერთოდ გაჰქრობოდა, ლერწამივით სრიალა ხერხემალი ასდევდა წელის ხაზიდან ყელ-კისრის მალამდე, გულს კოვზს აქეთ და იქით ისეთი ღუნღულა ბაჭიები უსხდნენ... არა, არც ღოჯები აჩნდა პირზე, ისიც ხელის ფათურით შეამოწმა, მაგრამ თვალის გახელას მაინც ვერ ბედავდა, ეშინოდა იმ წუთის განმეორებისა...

— შენ ნამდვილად ცის კაცი ხარ! — უთხრა ღილას ქალმა.

— არა, მე აქაური ვარ, თუთი! ჩემი სახლი იქ, ციხე-კოშკშია, თუთი.

— მე ვერა ვხედავ ციხე-კოშკს, ამიტომაც ცის კაცი ხარ შენ! — ირწმუნებოდა თუთია.

— არა, მე აქაური ვარ, ნამდვილად აქაური! — უარობდა ცის კაცობას თუთიას ცისკაცი.

მზემ კედელი შემოაცხაცა და ქოხში თავისი სხივთითები აიფათურა.

— ძალიან დავაგვიანე, შენ არ მიიწყინო! — დაიბარა თუთიამ, კარი გაიხურა, ქართას ჭიშკარი შეხსნა და თხები წინ გაირეკა.

„ნუთუ მართალს ამბობს ეს ქალი, — ლაპარაკობდა თავის გულში დარუხან შუათანა. — ნუთუ მიწას ჩაშტერებულმა კაცმა თავი ვერასდროს ვერ უნდა ასწიოს ზევით და ცის სილამაზე ვერ უნდა იგრძნოს? ნუთუ მათი სამზერი მართლა ქალის სარტყელს ვეღარ სცილდება ზემოთ და მათთვის ყველაფერი საბოლოოდ იქ იყრის თავს, საიდანაც აღმასვლა იწყება მხოლოდ? ნუთუ ასე უკვალო, ამაოა დარუხანების თავაღებული შრომა და ცის წიგნთან გაუთავებელი ფურფუტი? ნუთუ ადამიანმა სამუდამოდ დაკარგა და ვეღარასოდეს დაიბრუნებს მშვენიერების განცდის იმ პირველყოფილ გრძნობას? ნუთუ ცის ბრუნვა და მნათობების ბრწყინვა-ციალი სულ ტყუილი და უქმია? ნუთუ ასე უგრძნობელია ვარსკვლავებით მოჭედილი და ლაჟვარდით მოლეკილი ცა, ამაოდ რომ დაჰხარის სოფლის დღეღამურ ბრუნვას და ტრიალს? ნუთუ შენი პირისახე, თუთი... კაცის მზერა რომ ამოგწვდენოდა, ისევე მშვენიერი და ლამაზი იქნებოდა, როგორც შენი ხელ-ფეხი, ნუთუ?!.“

ცის კაცმა კიდევ კარგა ხანს იწრიალა თვის საწოლზე, მერე ფიქრმა დაჰქანცა თუ რა იყო, თვალზე ძილი გადაეფარა, ამ დროს რომელიღაც უენო

ავთანდილ ყურაშვილი
ცოტოვილთა ფლესანაული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარსკვლავი ძირს ჩამოფრინდა, ხელი ჩაავლო, წინ გაიგდო, ცხრა მთა, ცხრა ზღვა გადაატარა და ერთ ტრიალ მინდორზე მშიერ-მწყურვალი და არაქათგამოცლილი მიატოვა. გათენებამდე იქ იჯდა. რა გათენდა, გაიხედა და კარგი ოსტატის ნახელავი ორი-სამი შენობა დაინახა. იფიქრა, აქ ღვთიან-მადლიანი იქნება იყოს ვინმე, პური მაჭამოს ან გზა მიმასწავლოსო. ადგა, ძალ-ღონე მოიკრიბა და ერთ შენობამდე მიატანა. სახლის კართან გაჩერდა, შესვლა ვერა ბედავდა. ფიქრობდა, ვინმე გამომხედავს და პურს მოვთხოვო. იცადა, იცადა, რომ არავინ გამოვიდა, სასოც გადაუწყდა, კარს მუხლი ჰკრა და სახლში შევიდა. მიიარ-მოიარა, ოთახებში არავინ ჩანდა, შემდეგ მეორე სახლში გადავიდა, არც იქ იდგა ვინმე, მესამეშიც კაცის ჭაჭანება არ იყო. არადა, სახლები ისეთია, რომ სავსეა ყველაფრით, რა უნდა მოეთხოვა სულსა და გულს, იქ არ ყოფილიყო: ნაირ-ნაირი საჭმელ-სასმელი და თვალისწამრთმევი მორთულობა. რაკი ვერავინ ნახა მეპატრონე, რა უნდა ექნა, დაჯდა, სუფრა გაშლილი იყო და გემოზე შეექცა.

გამოხდა ხანი. მარტოობამ სული ამოართვა. ადგა, სახლების მიღმა ისეთი მაღალი ტყე იყო, ახედავდი, ქუდი უკან გადაგივარდებოდა, იშვირა ფეხი და იქით წავიდა. ტყეს რომ გასცდა, უცებ გაშლილი ზღვა გამოჩნდა, მოირთხა ნაპირზე და დაღონებული დიდხანს გასცქეროდა ლურჯად მოციმციმე დედამიწის ცრემლს...

თითქოს მოსცმ თავისი კვეთხი დაჰკრაო, წყალი გაიპო და მშვენიერი ქალი გამოვიდა, მაგრამ დაინახა თუ არა კაცი, მაშინვე ზღვას ეცა და მიიმალა. ყოველდღე გამოდის ქალი და არც კაცი ეშვება, იგიც დაინახავს კაცს თუ არა, ისევ შევარდება ზღვაში. ნაპირზე ერთი ვეებერთელა ქვა ეგდო, კაცმა ჭკუა იხმარა, ამოეფარა და ისე დაელოდა ქალის გამოჩენას. გამოვიდა ის ზღვის ქალი და კაცმაც წაავლო ხელი, სახლში წამოიყვანა. დაათბუნა ქალი და რა მოათავა ცხრა თვე, ზღვაში გაუჩინარდა.

შეუუხდა კაცი. ცალკე ლოგინის თელვამ მოკლა, ცალკე ნაცარქექეიობამ — უქმად მიათრევდა წუთისოფელს, იდგა და მთელი დღე კოდალას უსტვენდა. ერთხელაც კარზე გამოვიდა და რას ხედავს, თავი აუღერია და ვიღაც ჭოლიკა კაცი პირდაპირ აქეთ მოდის. მოაღწია, მიესალმა დამხვდურს და მაშინვე პური ითხოვა, ისე მშია, ლამის ქამარი დამეკარგოსო. დამხვდურმა პური აჭამა და ვინაობა გამოჰკითხა, ისაც იგივე ამბავი გადახდომოდა, რაც ამ პირველს. უკან გასაბრუნებელი გზა არც ჭოლიკამ იცოდა: „არ ვიცი, რა გზით მოვედი, არც ის ვიცი, რა გზით უნდა წავიდე, ან საერთოდ, სად მივდივარო!

მეორე და მესამე დღეს კიდევ ერთი ყვითელი და ერთიც შავი კაცი შემომემატათ. არც იმათ იცოდნენ გზის ასავალ-დასავალი, ისინიც გზაკვალარეულნი ყოფილიყვნენ. ოთხივე ძმად გაიფიცა, ენას არ აჩერებდნენ, მთელი დღე სარსარიკობდნენ, ბოლოს პიროობა დადეს, თუ გზისას რაიმეს გაიგებდნენ, უეჭველად ერთად დაადგებოდ--ნენ სავალს.

დაღამდა. დაწვნენ და დაიძინეს. მეორე დღეს თვალი რომ გაახილეს, სულ ახლახან მოსულო კაცი აღარსად ჩანდა. ბევრი იბორიტეს დარჩენილებმა, გზა სცოდნია და იმიტომ გაპარულაო.

ის დღეც დაღამდა. დაწვნენ სამნი და დაიძინეს, გამოეღვიძა სულ პირველს და გულზე შემოეყარა, — მიიხედ-მოიხედა, აღარც ყვითელი კაცი იყო. ერთი დღეც გამოხდა და ის ჭოლიკა კაციც გაქრა. იფიქრა ამან, სწორედ რომ გზა სცოდნიათ, წავიდნენ და მე კი გამირიდესო, ერთ ადგილზე ვერ ჩერდება, დარდობს და ქოშმაშობს. ყოველ გაფაჩუნებაზე, ხომ არ მობრუნდნენო, ადგება აცეტებული, დაჯდება დამწუხრებული, ნაღველტიალამ ლამის სულ გაუთეთრა თავი. ახლომახლო

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადი-გამოდის, თითქოს მიწას ალიანდაგებს, ჩარხივით ბრუნავს და ტრიალებს; სეკვლის დანა გამოუვარდა და საბოლოოდ დაადგა გულზე, თვალები წყლით აუვსო და მოუნისლა. ერთი კიდევ გაიხედა გარეთ, ხელახლა უნდოდა დაეთვალიერებინა იქაურობა; აქვე სადმე არიან და მეანცებიანო იქნებ. შეხედა და, ტანზე ეკალი აისხა; იმ დიდ სასახლეზე გადაწოლილი ერთი უშველებელი გველეშაპი. კაცი შინ გულგახეთქილი შებრუნდა. ამ ამბავმა ყველა განვლილი ტანჯვა-ვაება გადაავიწყა. „იმა რომ იმას გაეყრება, რა დიდ ძნას ისინი დადგამენ მერე! — ფიქრობდა ნაღველ-ჭირმორეული კაცი, — თუ გავიქეცი, სად წავალ, თუ აქ დავრჩი, ადრე იქნება თუ გვიან, მაინც შემჭამს!“ ამ ყოფაში იყო, რომ ერთი პატარა ბიჭი შემოცუნცულდა, ასე, ცამეტ-თოთხმეტი წლისას თუ იტყოდი. „ნუ ნაღვლობ, ამ ხიფათისაგან მე გამოგიხსნი!“ — ნუგეში მისცა.

შენ როგორაო! — ძალიან გაიკვირვა ამ უბედურმა.

„აბა, მიყურე, ოღონდ ხელი რომ დაგიჭირო, მაშინვე სახლში შედი და იმ ვეშაპისაკენ არ გაიხედო!“ — დაადებინა პირობა.

ხედავს კაცი, მიირბენს ზღვასთან ბიჭი, რაღაც სილა-ქვიშის მაგვარ ფხვნილს გამოიტანს და იმ სახლში შეაქვს, სადაც ურჩხული წევს და არხეინად ფშვინავს. კაცს სათვალავი აერია, რამდენჯერ მივიდა და წამოვიდა ზღვის ნაპირიდან ბიჭი, ეს კი იყო, კალთათი სულ ის მორუხო-მოშავო ფხვნილი მიჰქონდა და სახლისაკენ მიარბენინებდა. ბოლოს ანთებული მუგუზალი მიიტანა. კაცს ხელი აუქნია, ანიშნა, შინ შედიო...

კაცი ოთახში შევიდა, არ გასულა დიდი დრო, ერთი საშინელი იქექ-იქეხა, ირგვლივ ყველაფერი ჩამობნელდა, ცოტაც და, გაიკრიბა მტვერ-ღრუბელი. კაცი გარეთ გამოვიდა, აღარსად ის სახლი, აღარც ვეშაპი, მხოლოდ ნანგრევებში მოჩანდა ურჩხულის ხორცის ნაგლეჯები, იქვე ეყარა მისი ... ხანაგების თავებიც. აკი ურჩხულს არ დაუპარავს და ჩაუყლაპავს სამთავენი?!

„ის ბიჭი რაღა იქნა!“ — ეს გაიფიქრა კაცმა და ხედავს: ბიჭი მეორე სახლის ერდოდან გადმოფრინდა, მირბის ზღვის მიმართულებით და მისდევს ვეშაპის სისხლის ტოტი, ის იყო აიყალყა სისხლი და ქვეშ უნდა გამოიგდოს ბიჭი, რომ კაცმა საზარელი ყვირილი ამოუშვა პირიდან; სისხლი ერთ წუთს, როგორც იყო, ისე აყალყულ-გაქვავებული დარჩა ჰაერში, ბიჭმა კი იდროვა და ზღვაში ცვივა თავი. პირში ჩალაგამოვლებული ვეშაპის სისხლი ნაპირთან შეგუბდა, სიმწრით თუ სიბრაზით სულ გაფითრდა, ქაფივით იქცა, მერე გაიშალა, ნაპირ-ნაპირ გაუყვა და ქამხის სარტყელივით შემოერტყა ზღვას.

გამოხდა კარგა დიდი დრო, ახლაც, სადაც იყო, სამხრეკუდი ჩამოდგებოდა. კაცი ისევ გზისკენ გაიყურება. ხედავს, მინდორ-მინდორ ვიღაც ცხენს მოაჭენებს, როცა შენობებს მიუახლოდა, ამ კაცმა ინიშნა, რომ, ცხენოსანმა აქეთ მომავალი გზიდან გადახვევა დაიპირა. მაშინ გამოუდგა და ძახილი დაუწყო. მგზავრმა ცხენი მოაბრუნა როცა მიუახლოვდა, კაცმა ჰკითხა, საით მიხვალ და სადაური ხარო. იმან უპასუხა: მე და ჩემი ხალხი ამ სახლებში ვიდექით და თუ ჩვენს ცხოვრებას სხვა არ დანატრიდა, ჩვენ კი არავის დავნატროდითო. ერთი დაწყევლილი გველეშაპი შემოგვეჩვია და სულ გაგვანადგურა, რომ ვეღარ გავუძელითო, ავდექით და სხვაგან გადავსახლდით, არც იქ გვადგას კარგი დღე, მოგვაგონო და ყოველდღე თუ არა, ორ-სამ დღეში თითო კაცს მაინც გვართმევს, ახლაც ერთი მივარდნილი საცხოვრებელი ადგილის საძებრად მივდიოდი, მაგრამ შენ რომ დამიძახე და რაკი კაცად შეგიცანი, შემო-

---

ᲐᲛᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲧᲣᲠᲐᲦᲖᲔᲚᲘᲡ
ᲪᲘᲢᲝᲕᲘᲚᲘᲗᲐ ᲓᲚᲘᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ

ვაბრუნე ცხენი, თორემ ამ ადგილს შიშით ვინ მოეკარებოდაო.

დამხვდურმა ის მოკლული გველეშაპიც ანახა, ის დანგრეული სასახლეც და ისიც უამბო, ვეშაპი როგორ დაამარცხეს. მგზავრი შებრუნდა, დიიბარა კი, — „წადალ, ჩვენიანებს შევატყობძნბ, ყველანი მოვლენ, თავ-თავ ვიანთ სახლებს დაუბრუნდებიან, შენც ჩვენთან დარჩი, რომელი ქალიც მოგეწონება, იმ ქალაშაკას შეგრთავთ და ისრე გაცხოვრებთ, როგორც ბატონო“.

წვიდა ის კაცი, შეატყობინა გაქცეულებს. სუყველანი სიხარულით დაბრუნდნენ თავიანთ ეზო-კარში.

— აბა, შენ რომელი ქალიც მოგწონს, გვითხარი, უსიტყვოდ მოგცემთ! — მიუბრუნდნენ დამხვდურს.

იგი ადგა და ეს უთხრა:

— მე თქვენი არაფერი მინდა, არც ქალი, არც ქონება, თუ ჩემი ქვეყნის გზა ვინმემ იცით, მასწავლეთ და აქედან გამიშვითო.

იმ ხალხმა მოუსმინა და გადაწყვეტილად ეუთხრა: ასეთი ქვეყანა ჩვენ არასდროს გაგვიგონია, არც გზა ვიცით, რომ გაგასწავლოთო...

რაღას იზამდა, ამოირჩია საცოლე. დააქორწინეს და მისცეს მისი წილი ყველა ულუფა, როგორიც კი თავისთვის გაეჩინათ.

უბედურებას არ სძინავს... ერთ დღეს მოუკვდა ის ცოლი კაცს. წაიშინა თავში ხელი, ბევრი იტირა და ივიშვიშა, მისი ცოდვით მთელი სოფელი დუღდა. სასაფლაოზე, სამარეში რომ ჩასვენეს მიცვალებული, მთელი სოფელი კაცისკენ შემობრუნდა: „შენ რაღას უცდი, რატომ არ ჩაწვები შიგ!..“

მისი გაკვირვება რომ დაინახეს, უთხრეს:

„წეს-ადათს ვერ დავარღვევთ, ჩვენში ასეთი ჩვეულება გვაქვს, ცოლი მოკვდება, ქმარი უნდა ჩავატანოთ საფლავში, ქმარი მოკვდება, — ცოლი“.

„კი მაგრამ, ეს ხომ თქვენი სოფელი არ არის, თანაც ამდენი სიკეთე გაუკეთებია-მეთქი თქვენთვის!“ მაგრამ სოფელმა გადაწყვეტილი უარი [illegible] ეთხრა. ასწიეს და იგიც საფლავში ჩაუშვეს. მიაყარეს და მიაყარეს მიწა. მანამდე სულით აივსებოდა იქაურობა, კიდევ არა უშავდა, როგორც კი სულით ამოიცსო სამარე და სუნთქვა გაუჭირდა, ცხადში კაცს ისეთი ხრიალი აღმოხდა ყელიდან, საკუთარი ხმის თვითონვე შეეშინდა და მაშინვე გამოეღვიძა. შეშფოთებით მიიხედ-მოიხედა, ქოხში კაციშვილი არ ჭაჭანებდა. ჭუჭრუტანებიდან ღამე იმზირებოდა და ღამის ფერ-ხორცით ივსებოდა მთელი ქოხი. კაცი ფეხზე წამოდგა. მხრები შეათამაშა, ოდნავ, სულ ოდნავ გასწვა ტკივილმა. „ხვალისთვის შევიძლებ წასვლას“! — გაიფიქრა, კარის ნაგურას გადაადგიჯა, გარეთ გავიდა, მიიხედ-მოიხედა, ღრუბლის ნასახი არსად ჩანდა, ზამბახისფერ ცარგვალზე ნელ-ნელა იწყებდნენ ვარსკვლავები გამოსახვას; იქით, მთების გადაღმიდან, ოქროსფერ თხუნელასავით მძიმე-მძიმედ ჩუჩჩნდა ღამის მანათობელი ზესკნელის მიწას. სოფლის შუაგულში, ცასა და მიწას შორის კვლავაც იმედიანად იდგა სადარუხანო კოშკი.

„დავიჯერო, ამ სოფლიდან ერთი კაციც ვერ ხედავს სადარუხანოს ჭაპანწყვეტას? — კვლავ უკე შეექცა ფიქრი დარუხან შუათანას. — სოფელი ვარსკვლავებს ვერ ამჩნევს ცაზე, ჩვენი ბეუტვა-ბეუალი რომ ვერ დაინახოს, რაღად უნდა გაგიკვირდეს კაცს“, რაიმე უნდა იღონოს, რაღაც ისეთი მაინც უნდა მისცეს თავის ხალხს, ცისკენ ახედვის დრო და საათი რომ მოუპოვოს. განა საკვირველი არ არის? ერთი მაღალი ხეც რომ არა ჩანს ამ არემარეზე? ნუთუ მცენარეებიც ჟაური კაცის თვალის სიმაღლეზე იზრდებიან? მაშ თუთი მართალი ყოფილა, რა სიმაღლეზეც ადამიანის თვალი წვდება, მისი ქვეყანაც იმ სიმაღლისა ყოფილა. ნუთუ ლამაზი და მშვენიერი მხოლოდ ის არის, რასაც თვალი იჩვევს და ინელებს... ნუთუ ის თვალი, რაც სადარუხანოში ტრიალებს, სოფლის არ არ-

ის?“ „როგორც ჩანს არა ყოფილა“, — პასუხიც თვითონვე გასცა.

ფიქრებში ისე ჩაიძირა კაცი, არც კი გაუგია, ვიღაც ალმასის პირისახიანი შოლტივით ქალი რომ წამოადგა თავს.

— აქ ვის ელოდებით, ბატონო ჩემო!

მთლად თუთიას ხმა იყო, მაგრამ დაუჯერებელი ამბავია, სად თუთი და სად ეს ვარსკვლავივით ქალი. „მომეჩვენა ალბათ!“ — კაცმა თვალები დახუჭა, ისევ გაახილა: მთვარე მთებს ამოსცილებოდა, ცა ვარსკვლავებად დუღდა და გადმოდუღდა...

— ცისკაცო, საღამოა, არ დაგგრილოს, ქოხში შემოდი!

ხმას თუ დაუჯერებდი, ნამდვილად თუთი იყო..

— თუთი, თუთი! — აჩურჩულდა კაცი.

ქალმა გადაიკისკისა:

— მაცალე, ბიჭო, სახლში შესვლა.

— თუთი, იმ ვარსკვლავებზე უფრო ლამაზი ყოფილხარ! — ცისკენ აიშვირა დარუხანმა თითი.

ქალმა თითს მზერა ააყოლა:

— ცისკაცო, ცისკაცო! კისერზე შემოეხვია მერე დარუხანს, — ვარსკვლავებს ვხედავ, ვარსკვლავებს! ჩვენს თხებს რომ წინწკლები აქვს თვალებში, სწორედ იმასა ჰგვანან.

კაცს სიცილი აუტყდა. გული რომ მოიჯერა, სთქმელს ვეღარ მოუყარა თავი, სიხარულისაგან სულ ერთსა და იგივეს ჩურჩულებდა: „თუთი, რა ლამაზი ყოფილხარ, თუთი, რა ლამაზი ყოფილხარ, თუთი!...“

— აკი იმ ღამეს გამალამაზე! — ეგიჟმაჟებოდა ქალი, — კიდევ უნდა გამალამაზო, სულ უნდა გამალამაზო; ვარსკვლავებს უნდა აჯობოს ცისკაცის თუთიმ...

ალამაზებდა და ალამაზებდა ცისკაცი თუთის.

მესამე დილას, როცა თუთი ციხე-კოშკისაკენ გაახედა და ქალმა სადარუხანოს ქონგურები კარგად გამოარჩია ლაჟვარდიდან, იმავ საღამოს სულის მოსასხამი წამოიხურა თავზე და ბნელში გაუჩინარდა კაცი!

13. მუხის კარებმა ძლივს გახსნა კრიჭა, თავისთავად გაიღო და რაღაც ოხვრისმაგვარი ხმაც გადმოაყოლა. ცისკაცი დერეფნის კიბეს აუყვა, ობობას ქსელებს გამოეცსო იქაურობა, ქვის საფეხურებზე უხვად ეყარა მწვანე მტვერი, თითქოს ასი წელი გასულიყო მას შემდეგ, რაც ადამისძეს ფეხი არ დაედგა აქ. „აკი ოთხი-ხუთი დღის უკან ჩავიარე“, — ფიქრობდა გულში ცისკაცი, მაგრამ ეს ამბავი მაინც არაფრად ჩაგდო, ერთი რამე კი ძალიან უკვირდა: კედლებიდან ზეთის ყველა სანათური ჩამოეღოთ და მის ნაცვლად მინაში ჩამწყვდეული მთვარის სხივი ანათებდა.

„ამ საქმეს უჩემოდ ხელს არ ჰკიდებდა მამა, ახლა რა მოეჩვენა და ასე მალე როგორ დაამთავრა“. — მილაპარაკობდა თავის გულში დარუხან შუაღამეა და იმ ვერცხლის ძაფებს, კედლიდან კედლამდე რომ გადაეჭიმათ მოუღელ მქსელავებს, ხელებით წყვეტდა და ისე იცილებდა პირისახიდან, ვითომ ეს ძაფები არც არსებულიყოს. კაცმა უფრო აუჩქარა ფეხს და საიდუმლო სარქველს რომ მიაღწია, ოდნავ არ შეყოვნებულა, კიბე სულმოუთქმელად ჩაირბინა.

— მამა! — დაიძახა ცისკაცმა.

ჭოგრიტთან მიდგმულ სკამიდან ზამთარგამოვლილი „ვაშლივით მომჭკნარმა, თითისტარივით გალეულმა კაცმა წამოსწია თავი.

— მამა!... — კვლავ გაიმეორა გაოცებულმა ცისკაცმა და სხვა სიტყვა ვეღარ წამოიღო ყელიდან.

— მე მამა არა ვარ, მე დარუხანი ვარ!

კაცმა იფიქრა, მიბრაზდებაო, ამიტომ შვილი მოიკითხა:

ავთანდილ ყურაშვილი
ცოტიგიელთა დღესასწაული

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ბიჭი სად არის, უმცროსი დარუხანი!

დარუხანი წამოდგა, ფოლიანტებისა და ნუსხების მაგიდისაკენ წაბაჯუნდა, მაგიდის ქვეშიდან სკამი გამოაჭიჩინა, ზედ ჩამოჯდა და ციხეცისათვის თვალი არ მოუცილებია, ისე უთხრა:

— მე ვარ ყველა დარუხანი, მთლად უფროსი და მთლად უმცროსიც! — მერე ცოტახანს იყუჩა, ხელი აიქნია და თითქოს ვიღაც იდუმალ მოპაეჭრეს არწმუნებსო, დაუმატა, — ხო, შუათანაც მე ვარ!..

— აბა, მე ვინღა ვარ! — მღელვარებისაგან აღარ იცოდა, რა ეთქვა ციხეკაცს და უღონოდ კიბის საფეხურზე ჩამოჯდა.

— ლანდი ხარ, მოჩვენება ხარ! თორემ გალავნის შიგნით უცხო სხვა ვერავინ შემოვიდოდა.

— ბიჭი სად არის, ჩემი ბიჭი, მოხუცო! — თანდათან სიბრაზე იპყრობდა ციხეკაცის გულსა და სულს.

— ლანდო და მოჩვენებავ, საუკუნეა, აქ ბიჭი არავის დაუნახავს, ამ კედლებში ჩემს შემდეგ არ გაჩენილა ბიჭი!

— შენ! შენ რა მოგვიდა, მამაჩემო, ამ ოთხ-ხუთ დღეში როგორ დაჭკნი და ჩამოხმი კაცი.

— აკი გითხარი, რომ არავის მამა მე არა ვარ, თანაც ეს წელზე მეტი ხნის მოხუცს რამ დაგაჭკნოო, ჰკითხავს გონიერი კაცი ოდესმე?!

„დედაო პირველმშობელო! — მუხლებზე დაეცა ციხეკაცი და ორივე ხელი აღმართა მაღლა, — გეკითხები, განა რა მოხდა, დიდი-დიდი ამ ერთ კვირაში ისეთი, რომ თავგზა ამებნა...“

მთელი კოშკი უცებ შეინძრა. აქანდ-დაქანდნენ მძიმე ბურჯები და უანგარიშო სიღრმიდან ამოდუღდა შემაძრწუნებელი პასუხი:

„შვილო, შუათანა დარუხანო! შენ დაარღვიე და გათელე სადარუხანოს წმიდათაწმიდა წესი; შენ სამუდამოდ მოშალე და აღრე დარუხანების მონაცვლეობის ბუნების დიდი გარიგება; შენი უგუნური ნაბიჯის გამო, საუკუნეა, რაც სადარუხანოს ბებერ ძარღვებს არ შეუსრუტავს ახალი სისხლის არც ერთი წვეთი. აი, იქ, სადაც შენი ვაჟიშვილი ზის ახლა, სინამდვილეში მისი შვილი, შენი შვილიშვილი უნდა იჯდეს და აპყურებდეს სადარუხანო ცარგვალს. შენ კი რა, შვილო, ნაცვლად იმისა, რომ სინათლეს გაჰყოლოდი, ბრმა ბედის მწერალს ჩაუგდე ხელში სადარუხანოს მომავალი. საუკუნით დაგაგიანე, ასი წელი უქმად მოჭკალი!“

„ასი წელი უქმად მოჭკალი!“ — დაიგუგუნა ციხე-კოშკის ყველა ქვა-ლოდმა;

„ასი წელი უქმად მოჭკალი!“ — გაიმეორა გალავნის ყველა-ქვა ლოდმა;

„ასი წელი უქმად მოჭკალი!“ — გაიმესამა ქვეყნის ოთხივე მხრიდან ამომავალმა კიბის თლილმა საფეხურებმა.

„ასი წელი უქმად მოჭკალი!“ — ბოლოს ერთხმად იგრგვინა ციხე-კოშკმა, გალავანმა და ოთხივე მხარის კიბემ:

მიხვდა შუათანა დარუხანი, რომ ციხე-კოშკი, გალავანი და კიბეები, მართლა ქვისაგან კი არა, მილიარდი დარუხანის ქვაში ჩადასული სულ-ხორცისაგან იყო ნაგებ-ნაშენი, ახლა მილიარდ მეერთე დარუხანის საბედისწერო ნაბიჯს ერთი გაბმული კვნესით რომ ამხელდნენ და წინაპრების მილიარდი თვალი... თვალი.. და თვალი მოსჩერებოდა ქვაჭოგრიტიდან, პასუხს ითხოვდა შეცდომისათვის.

— მე ხომ სიბრალულით მომივიდა, პირველმშობელო!

— დარუხანისათვის მარად გონება იყო პირველი და არა გულის აყოლა! რა გააკეთა შენმა გულმა! ასი წელიწადი ჩამოგასანთლინა, ქვის იატაკზე გაბვანხვალა, ხუთი თაობის ხუთი ქალი მაინც გაბერწდა, უძეოდ დაჭკნა შენს მოლოდინში... ასი წლის შემდეგ აღარ იკითხავ, იმ ქალური მოთმინებისათვის რა ჯილდო ერგოთ?.. — ერთ საცოდავ და საწყალ გოგოს სამოდამოდ დაუკეტე სიკვდილის კარი; ის ხომ ვე-

ღარასოდეს გადავა იმ საიდუმლო კარიბჭეზე, სადაც ყოველთვის სინათლეა და ცოთმილთა უსასრულო დღესასწაული... მაგ შენმა გულმა სამარადჟამო ტანჯვისა და საუკუნო მარტოობისათვის გასწირა იგი.

დაიმახსოვრე, დარუხანს გული არ აქვს, დარუხანი უგულოდ იბადება, გულში გონება არ არის, გონება კი ყველაფერს იტევს — ამ სოფლიურს და იმა სოფლურს, სამარადჟამოს და ყოველდღიურს; მუდამ გახსოვდეს: დარუხანი გონებაა, ერთიანი და შეუქცევადი გონება! ხოლო წუხილი მოუღალავი ჩვენი მარადი თანმხლებია, იგი კაცობრიობის უკვდავი ბედისწერაა, სხვა, დანარჩენი სიბრმავეა, ბრმათათვის ისევ ბრმების მიერ გამოგონილი...

„სხვა დანარჩენი სიბრმავეა!“

„...დანარჩენი სიბრმავეა!“

„...სიბრმავეა!“

ეგონა თავის გულში იმეორებდა ყინულის ციცხლში გატარებულ პირველშობელის ნათქვამს, სინამდვილეში კი მთელი ციხე-კოშკი ზაზზარებდა და გუგუნებდა:

„...დანარჩენი სიბრმავეა!..“

წინაპართა ძვალ-ხორცისაგან მოქსოვილი ქვის ნიკარიდან ბანზე ძლივს გამოაღწია ცისკაცმა და ბნელს უაზროდ მისცა თვალები.

ნიავწვრილმა ფრთა აპკრა, ღამის გრილი კალთა შეფინნა პირისახეზე და ტანში ოდნავი ჟრჟოლა შეუდგა ცისკაცს.

„ნუთუ ეს იყო, — ფიქრობდა იგი, — იმ ასი მკვდარი წელიწადის საფასური, მხოლოდ სამი დღის ბედნიერება, მხოლოდ ყინულის მოუხეშავი არტახები და ქედზე ცოდვის მძიმე უღელი; განა ამისთვის იყო საჭირო ვარსკვლავების დღესასწაული, მათი გიჟური ლტოლვა-სწრაფვა, წყლის ურჩხულების კუდების ქნევა, ცეცხლი და შხამი, ღვარი და ცოფი, რომ იმ პატარა ქალისათვის რეტი დამესხა, სამუდამო დღესასწაული ყინულის ქოხით შემეცვალა, ეკლის ლოგინზე ამეყვანა და საუკუნო ცრემლისათვის მიმეცა პირში.

მშვიდობით, თუთი!..“

პაპანაქება სიცხის შემდეგ გახურებულ მიწაზე წვიმა რომ გადმოვარდება, მთრობელა და მომთენთავი სუნი აიჭრება ჰაერში — ალმურ-სიგრილის ერთმანეთში შეგრეხამ იცის ასეთი სუნი; ამდაგვარი სურნელება გადასდიოდა თუთიას მკლავებს, თეძოებს, მხრებს, ყელ-კისერსა და თმას, ბაგე ჰქონდა ისეთი, ჩათაფლული ლეღვი რომ ეგონა კაცს; მზედაკრულ თაფლაკვერასავით მკვრივ-რბილი და პირმოუწყვეტელი ბაგე!

—მშვიდობით, თუთი! — ხმამაღლა გაიმეორა კაცმა.

„მშვიდობით, თუთი!“

„...დობით, თუთი!“

„...თუთი!“

ციხე კოშკის ბანიდან გადავარდა ძახილი და ქვემოთ, სოფლისაკენ წავიდა ტრიალ-ტრიალით, თითქოს ვიღაცის ხელმა თეთრი ვარდების კონა მოისროლა ზემოდან უსულგულოდ და შეუბრალებლად.

ცისკაცი წამოდგა, ისე რომ, თვითონაც არ იცოდა, ცალი ხელი მაღლა ჰქონდა აწეული, ბანის ზღურბლთან მივიდა. თეთრი ვარდების კონა მიფრინავდა, მიფრინავდა და მთვარის შუქით განათებულ მდინარის მკერდზე დაეცა კვნესით. მდინარე ერთი აიგრიხა, ტანი აიქნია და მერე მოწყვეტით გაიშალა კალაპოტში, წამიც და, ააშბიფუნა ტალღები:

— გადალურჯდება შენი პირ-ბაგე ამ საჩუქრის დანახვაზე, ძვირფასო ზღვაო! — მილიარდი საუკუნეა, ეპირებოდა მდინარე და ის სიტყვები ხმამაღლა მაინც ვერ ეთქვა, რაც ამ თეთრი ვარდების თაიგულს უნდა ეხარებია ზღვისათვის, მდინარის სისხლით გაუმაძღარი ლურჯი ვეშაპისათვის...

ავთანდილ უურაბეილი
ცოთმილთა დღესასწაული

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაცი ზღურბლს გადაეყრდნო, დაცემულ ვაკაზე გადაწოლილ მდინარის გრეხილ სარკეში მართლა თეთრი თაიგული ქანაობდა თუ მთვარის ცერცეტა ლანდი აჰქონდა-ჩამოჰქონდა ტალღებს, კარგად ვერ გაერჩია, არც ამის რკვევის გუნება-სასითი ჰქონდა ახლა, — იქით, მდინარის გაღმა, იმ ჩრდილგაქცეულ გორაკის ძირას შეყუჟული ქოხის ფუტურო გულში, გულში კი არა, კარში იდგა თუთია; მკლავები გამოეწვდინა, ხელის მტევნების ნაცვლად, თითქოს ვარსკვლავები გამოსხმოდა, ისე ანათებდნენ და სხივებს ისროდნენ მისი ბროლ-ლუღა თითები; როგორც მთვარემ იცის ხოლმე შარავანდედის შემოდგომა, ისეთი შარავანდედი მოჰხვეოდა თუთიას პირისახეს წრიდ და მთელი სოფლის ფარვანაც ფრთასა და ბეწვს იტუსავდა ამ შუქნითელზე; ფეხებიც ისე უჩანდა, მიწიდან სწორად ამომავალ ორ კოკონზე იდგო თითქოს. საწუთროს უზარმაზარი ბნელი კაბა, ამ ქალისათვის რომ შეეკერა განგებას, თავის წიაღში ძნელად თუ იმარხავდა იმ საიდუმლოს, რისი დამარხვაც თავად არ სურდა ქალს: მიწიდან სწორად ამოვარდნილი კოკონებივით ღამაზი ფეხები, ნათლის შარავანდედით მოსილი პირისახე და ვარსკვლავება ხელის მტევნები.

თუთია მართლა იდგა ქოხის კარში, მართლა წაეყარა ხელები იმ ციხე-კოშკისაკენ, (სიიდანაც მარჯვენაღმართული მისი ცისკაცი ნაღვლიანად გადასცქეროდა ღამის ფსკერზე ჩაძირულ სოფელ-ქვეყანას. იქნებ თუთიაზეც ფიქრობდა, იქნებ თუთიას უბეში გამხტარ იმ ბაჭიებსაც იხსენებდა, იქნებ წაბლისყვავილა თუთიას თმებიც აგონდებოდა, იქნებ... თუთია ხედავს, როგორ მოწყვეტით შებრუნდა ოქროვანი ქართით მოვარაყებული (ციხე-კოშკის ბანზე კაცი, მაგრამ ზეაწეული მისი მარჯვენა ხელი, როგორც გზის გაყოლებაზე ეულად ამოსული მზეპირა გვირილა, ბანზე გაფენილ ღამის მინდორზე დარჩა ისევე და აფრქვევდა და აფრქვევდა ნათელს.

იმ ჟამიდან მოყოლებული ყოველ ღამე მოელის ქოხის კარში ჩამდგარი თუთია ცისკაცის გამოჩენას. დღესაც იქავე ვხედავ მკლავებგაშლილსა და ცისკენ პირისახემიქცეულ ქალს; დროჟამს ვერაფერი დაუკია მისთვის, —ვერც ზამთრის კოცნა, ვერც შემოდგომის ჭკნობის სენი, ვერცა ზაფხულის ცეცხლის სვეტები ვერარას ვნებენ ამ მოუჩრენელი მწუხარებით ბაგაშემკულ ქალს. გაზაფხულებით ავსებია უბე და კალთა, უკიდეგანო მოლოდინის მდინარეები მშვიდად ბრუნავენ მის თვალებში და ისევ დუღან იმედის ცეცხლით — „იქ, კოშკის ბანზე გადაფენილ ღამის მინდორზე ხომ ანათებს ზეაწეული მისი მარჯვენა!...“

14. დიდხანს ელოდა და ახლაც მიელის საუკუნეს გადაცილებული დარუხანი ცის წიგნის ოთახში შუათანა დარუხანის გამოჩენას. ამ კაცის მობრუნებიდან გავიდა ათი, ოცი, ოცდახუთი წელიწადი; ის კი არა და არ ეკარება თავის მოხუცებულ ვაჟიშვილს. ახლა ცალი თვალით რომც შეეხედა ვინმეს ოთახში, სადაც ეს საუკუნენახევარს მიტანებული პატრიარქი იჯდა, იფიქრებდა, რაღაცას ეშმაკობს, თორემ ამ ხნის კაცს ობობას ქსელი რად აუფარებიაო პირისახეზე... მაგიდიდან ჭოვრიტამდე და პირუკუ, მუხლებს ძლივ-ძლივობით მიათრევს. დაიღალა, დაიღალა დარუხანი, განძარცვა და სულ გამოსჭამა საკუთარი არსება: „იქნებ იმ გზაზე, გაღმა რომ გავალ, თამამად ვეღარც გავიმართო წელში“, — წუხდა ბერიკაცი.

სამუდამო ძილსა და მოსვენებას სთხოვს მთელი ნასხმანი, მიწის ლოგინი ეიტრება მოღლილ-მოქანცულ მის ძვალსა და რბილს, ლამის ჭოვრიტის თვალში გაძვრეს და ზეცას შეუერთდეს... სულის კანკალით უცდის და ელის, როდის აიხდება სარქველი და კიბეზე გამოჩნდება შუათანა დარუ-

ხანი, — გადაადგილებს ბოლო ფოლიანტს და წევს, უკან მოუხედავად გაფრინდება. მოლოდინი აძლებინებს: იმ საღამოს ძაფის ბოლო ხომ უნდა ჩააბაროს ვინმეს, მანამდე კი სიკვდილის უფლება არ აქვს, მოვიდეს. „მოლოდინი აძლებინებს!“ უამინჭოდ ქვაც არ აგდია მიწის ზურგზე... ნემსის წვერივით რომც გაიღიოს, უარს ვერ ეტყვის სულს, იგი ვალდებულია გაუძლოს, გაუძლოს ბოლო წუთამდე, სარკველის ახდამდე გაუძლოს!..

ის წუთიც დადგა, სარკველმა ერთი გაიჭრიალა და შუთანა დარუხანი, ანუ ცისკაცი ნელ-ნელა დაეშვა ხის კიბის ჭრაკუნა საფეხურებზე. დარუხანი მაგიდასთან იჯდა, პირი კიბისაკენ მოებრუნებინა, ცალ ხელში ფოლიანტი ეჭირა, მეორე სკამის სახელურზე ჩამოედო და ისე ელოდა შუათანა დარუხანის გამოჩენას.

აპა, ფეხები დაინახა, წელამდე გამოჩნდა, მხრები, კისერი და...

ცისკაცი დაიხარა, მოხუცს მკერდზე ეამბორა, ხელზე ხელი მოჰკიდა, „აინული ხომ არ მიჭირავს ხელში“, — ამის გაფიქრება ვერც მოასწრო, მოხუცს ღიად დარჩენილი თვალებიდან კურცხალი გადმოეკიდა, ორივე ღაწვის სიგრძის-სიგრძეზე აყოლილ ღარები ჩამოჰყვა, ნიკაპთან ერთ წვეთად გაინასკვა და იატაკზე ჩამოვარდა. ცრემლი, კენჭივით, რაკუნ-რაკუნით კედელთან მიგორდა. ცისკაცმა თვალი ვერ მოსწყვიტა: ცრემლმა მოუოლდნელად, ბზრიალ-ტრიალი დაიწყო და მთელი ოთახი, იატაკიდან დაწყებული, ჭერის ჩათვლით, ალმასისფერი წვრილი ხაზებით მიფარ-მოფარა. წამიც და, ოთახი გაიშალა, გაგანიერდა; წამიც და, ბანზე ვარო, ასე ეგონა ცისკაცს, — საიდანღაც ღრუბლები წამოვიდა, ჩამობნელდა, ჩამოქუხრუხდა, წვიმის შოლტები ჩამოქანდა, ელვამ გაჭკრა, ღრუბლები გადაჭრა და მეხიც გაგარდა. „კაკუჩი ეშმაკს“, დაიძახა უმცროსმა დარუხანმა და კოშკის ბანზე, თავსხმა წვიმაში შიშველი ფეხების ტაკაპაკუპი ატეხა ბიჭმა, იქვე, ლაფფაფში ქვეშ შეფარებული შუთანა დარუხანი იდგა და შვილის ბედნიერ თამაშს უყურებდა. შემდეგ სპილენძის დიდი ტაშტი გამოიტანა, წვიმის წყალით აავსო, შიგ სელის ძაფით ნაქსოვი სქელი მოსასხამი ჩაალბო, ცოტა ხანს დააყოვნა, მერე ამოიღო, კარგად გაწურა, მხრებზე მოიგდო და ის იყო, ნაბიჯის გამართვა დაიპირა, ცისკაცმა დაიბღავლა; კი არ დაიყვირა! სასოწარკვეთილად დაიბღავლა:

— დარუხან, არ წახვიდე!

ყველაფერი ერთ ადგილზე გაქვავდა. გაქვავდა წვიმა, გაქვავდა ბიჭი, გაქვავდა შუთანა დარუხანი და ცის წიგნის ოთახის კედელს სამუდამოდ შეეყინა. ცისკაცმა მიიხედ-მოიხედა, ოთახში მოხუცის აქ ყოფნის რაიმე ნიშანიც აღარ ჩანდა; ერთადერთი ის ფოლიანტი ეგდო იატაკზე და წყლიდან ამოგდებული თევზივით ფართხალებდა, ცალ ყურს ასწევდა, მერე ისევ დასწევდა ძირს, ისევ ასწევდა... ასე ათამაშა რაღაც უხილავმა ძალამ, ვიდრე ცისკაცი არ დაიხარა და ხელში არ აიღო. ცისკაცმა ფოლიანტი მაგიდაზე დადო, თვითონ შემობრუნდა, კედელთან მივიდა, ქვაში გადასული შვილის ლანდს ხელები მოჰხვია, თითქოს კედლიდან უპირებდა აგლეჯას და მკერდში ჩახუტებას.

— შენც სამუდამო ტანჯვისათვის გაგწირე, შვილო! — თქვა და მხრები აუთახთახდა. ცისკაცი, ანუ ამიერიდან ნამდვილი დარუხანი ქვითინებდა...

იგი ვერ გაექცა წარსულს, ამიტომაც სამუდამო სასჯელად გადაექცა წარსული.

15. ფეხგამოსულზე პირველი ხნული რომ გაატარეს, ცისკაცის ვაჟებმა, ახალმა დარუხანმა თიხის ქოთანი მოძებნა, ბუხრიდან ნაცარ-ტუტა მოხვეტა, აიღო, ქოთანში ჩაყარა და გარეთ გა-

---

ავთანდილ ჟურაფლელი
ცოთოვილთა ფლესასაკული

მოვიდა. ხარ-გუთანს ღრმა კვალი გაჰქონდ-გამოჰქონდა. ბელტი-ბელტზე წვებოდა, ისეთი შავ-შავი იყო, მიწას კი არა, თითქოს, გუთნისკაცები ღამის ძირს მისდგომოდნენ, ფატრავდნენ და მზის გულზე აბრუნებდნენ. საკინძეაღლტილ მიწას ძლივსშესამჩნევი ფაფუკი ორთქლი გადასდიოდა, ხნულსა და მოთესილს თავზემოთ დაჰპარპალებდა.

ცისკაცმა ქოთანში ხელი ჩაჰყო. იქიდან, ვითომ დარუხანის ფერფლი იყო, მუჭით ნაცარი ამოიღო და მყოვრად აბნევ-ფრქვევდა ხნულში. ბიჭები თავდახრილები, გულმკერდზე ხელებგადაჯდომილნი შესცქეროდნენ ამ ძველისძველ სანახაობას: სადარუხანო რჯულის კოჭსა და ძაფზე გამობმული მამა, ახლად აოშვილ მიწას ბარბაცბარბაცით მისდევდა და ხელის მტევნის შეკავებული მოძრაობით მძიმე-მძიმედ თესავდა წინაპრის ფერფლს. მაგრამ ხომ იციოდა დარუხანმა, ასეთი რამე სინამდვილეში არ არსებობდა; ხომ იცოდა დარუხანმა, თვალებში ნაცარტუტას რომ აყრიდა ახლად გაღვიძებულ სიცოცხლეს, სოფელ-ქვეყანასა და საკუთარ შვილებს; სიცრუეს თესავდა იგი, სიცრუის ნიადაგს ამზადებდა და ანოყიერებდა.

„ამ რამდენიმე თვეში თითქოს ასი წლით დაბერებულა“, — გაიფიქრეს ეაეებმა, წელში მოხრილი და საკმაოზე მეტად მოტეხილი მოეჩვენათ მშობელი შვილებს.

მზეშემდგარი ბელტები ხავსივით რბილად ელამუნება დარუხანის შიშველ ფეხისგულებს. ნაცარი გამოლეუღოყო, მაგრამ დარუხანს არ შეუშჩნევია, მარცხენა ხელით გულთან მაგრად მიეკრა ქოთანი, მარჯვენას კი, როგორც მარცვლის გადაგდების დროს იციან, ჩვეულებრივ იქნევდა. დარუხანისთვის დრო და საზღვარი მოიშალა, იგი პატარა ბიჭი იყო ახლა, თავის მამას, ნამდვილ დარუხანს მისდევდა და გაოცებული უყურებდა: მამა თავისი მამის ფერფლს თესავდა, ის ფერფლიც ისევ წინა დარუხანად იქცა და ისეთივე თავისი მამის ფერფლს ანნევდა ნახნავს, ის ფერფლიც ისევ თავისი მამის, თავისი მამის... და ასე დაუსრულებლად ყველანი თავ-თავიანთი მშობელი მამის ფერფლს თესავდნენ და თესავდნენ!

„ყველაფერი ერთნაირია; ყველაფერი მეორდება. ყველაფერი წარსულია; სიცრუეა — მომავალი. არ არსებობს — აწმყო. წარსული მოდის ყველაფრით და წარსულში მიდის ყველაფერი; ვინ ბრიგონა დროის დაყოფა, — ეს ხომ სიცრუეა, ფეხმოკლე ტყუილი და სიცრუე: როგორც არაფერი სხვა, დრო ისე ერთადერთი, გაუყოფლად მტკიცე და მყარია“. გადადიოდა ბელტებზე დარუხანი, ტვინში უდუღდა ეს ერთი აზრი და ბუტბუტებდა: „წარსულია ყველაფერი, მისი ბორბალი ტრიალებს და ტრიალებს — ამოგვაგდებს, ჩაგვითრევს; ამოგვაგდებს, ჩაგვითრევს; ჩვენ კი, სულელებს, გვგონია, აწმყოდან მომავალში მივექანებით!.. ყველაფერი წარსულია...“

დარუხანი უეცრად შედგა, უკან მიიხედა, ეს ბიჭები ვერაფრით ვერ შეიცნო. თვალები ოდნავ მოწკურა, წარბზემოთ შუბლი მოიჩრდილა, თითქოს მზე უშლიდა ხელს. ამ დროს გულზე მიხუტებული ქოთანი ძირს ჩაუცურდა, არც გაუგია. იდგა ნახნავში ასე შუბლმოჩრდილული, მარჯვენა ხელს კი მაინც იქნევდა... ეაეებს სიცილი აუვარდათ — ლაღი, ჭეიარული, იალქანმიცემული სიცილი.

— მამი!

— უცებ შეწყდა სიცილი.

„მე არავისი მამა არა ვარ!“ — გახმიანდა ცისკაცის გონებაში.

— მამი!

ისევ განმეორდა ძახილი.

„ჩემი ბიჭები, ჩემი შვილები!“ — გული ისევ გამოექცა გონებას და ცისკაციც მთლიანად ჩაინთქა წარსულში...

ქოხის კართან თუთია დგას. არ უყვირს დარუხანს. თუთია ყოველთვის ასე დგას და ელოდება მისი ცისკაცის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოჩენას. უსაზღვროა მოლოდინი და რაც დრო გადის, ამ მოლოდინში იგი უფრო და უფრო ლამაზდება, უფრო და უფრო მშვენიერდება; წაბლის ყვავილისფერი მისი თმა, ნიავის ყოველ წამოკროლაზე, აგერ, ა, ციხე-კოშკის გალავანთან ამორბის. ერთი სული აქვს დარუხანს, ხელი გაიწოდოს და... არა! „დარუხანს გული არ აქვს!“ — იქუხებს მაშინვე პირველმშობელი.

აქვს დარუხანს გული, მაგრამ წესსა და კანონს არ აქვს გული, — რჯულს ვერ გადადის ცისკაცი, ახალი უბედურება არ უნდა თავს დაატეხოს ჯერ თუთიას, შემდეგ სადარუხანოს; „ჯერ სადარუხანოს, შემდეგ თუთიას“ უმალ გაასწორა დარუხანმა.

იმ საღამოს მარტო არ იდგა ქოხის კარებში თუთია. აქეთ-იქიდან ორი მანათობელი, ტიტლიკანა ბოკვერი ამოსდგომოდა, კეფაზე დედის ვარსკვლავმტევანა ხელისგულები ედოთ. ბიჭებიც იქით იყურებოდნენ, საითაც დედის მზერა ხვრეტდა ბნელს. ცისკაცმა ორივე ხელი აღმართა ბანის თავზე. მიხვდა თუთია ცისკაცის სიხარულს.

„სადარუხანოს ცხოვრება სულ მალე ჩვეულ კალაპოტში ჩადგება. სადარუხანოში კვლავ სამი მარჯვენა დატრიალდება“. — გულში ფიქრობდა და იძახდა შუათანა დარუხანი: რა იცოდა, ეს სიხარული რა ცოდვის კითხვად გასკდებოდა საუკუნეთა სიღრმეში.

ასე ესალმებოდა ყოველ საღამოს ცისკენ ორივე ხელაღმართული შუათანა დარუხანი თუთიას და მის ვაჟიშვილებს, ბიჭები კი უკვე წელამდე სწვდებოდნენ დედას... შუათანა დარუხანმა ხელი გაუწოდა თუთიას!..

ქარიგით ამოსდევდა ციხე-კოშკის თლილი ქვის საფეხურებს თუთია, ბიჭები ხტუნვა-ხტუნვით უკან მოსდევდნენ დედას. მოატანეს კიდეც გალავნამდე, რომ თუთიამ კარზე დააბრახუნა.

არა და არ იხსნებოდა გალავნის კარი. დაიღალა, ქანცი გაუწყდა თუთიას, ლამის ჩამჯდარიყო და ცრემლები ეღვრა, რომ ბიჭებმა დედას უთხრეს:

— აბა, ჩვენ გვაცალე, დედი!

მიუახლოვდნენ თუ არა ზღურბლს, გალავნის კარმა ერთი გაიჭრიალა, თავისთავად გაიღო და ბიჭები შიგ შეავიდნენ. თუთიამაც დააპირა შესვლა, ფეხი გადადგა კიდეც, რომ კარმა რეტგვა მოადინა და მძიმე ანჯამებში საიმედოდ ჩაჯდა.

— წავიდნენ ჩემი ტყუპები, ჩემი ამბრი და უმბრი, ჩემი ოქრო ბიჭები! — ქვითინებდა დედა და მთელი ღამე ასე მდუღარებაში გაატარა ციხე-კოშკის გალავანს გადმოღმა.

ვერ შეუღო ცისკაცმა ის ნანატრი კოშკის კარი, ვერც შვილებმა შეძლეს დედის აყვანა ცისკაცის საუფლოში.

ნამტირალევი და ნუგეშმოშლილი ქალი ისევ სოფელს დაუბრუნდა. ისევ წინ გაირეკა თავისი გამრავლებული თხის ჯოგი. ყოველ საღამოსპირზე ისევ გადმოდიოდა ქოხის ზღურბლიდან და ექვსი აწეული ხელი „საღამო მშვიდობისა, დედი!“ ესალმებოდა ციხე-კოშკის ბანიდან.

— თქვენ კარგად მეყოლეთ, შვილებო! შენ კარგად მყავდე, ცისკაცო! — ჩურჩულებდა ქალი; წუთისოფელი კი ბრუნავდა, — მწვანეს ყვითელი ცვლიდა, ყვითელს —ბაცრისფერი, ნაცრისფერს — ისევ მწვანე... თუთიას კი ჟამთატრიალი ვერაფერს აკლებდა, მის ბაგე-პირზე კვლავ გაზაფხული იდგა და ხალისობდა.

16. საუცხოო შეგირდები გამოდგნენ ამბრი და უმბრი. სადარუხანოში დაგროვებული მთელი გამოცდილება ადვილად გაისიგრძეგანეს. შუათანა დარუხანს უკვე აღარ ეშინოდა, შვილებისათვის ჩაებარებინა მთელი აქაური მეურნეობა. თვითონ კი დრო იყო, იმ დარუხანს შენაცვლებოდა ცის წი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გნის ოთახში. მაგრამ სოფელი ედარდემოდა, გულით სურდა, რაღაც ისეთი გაეკეთებინა სოფლისათვის, რომ საწყალ კაცს ამოესუნთქა, თავი ზევით აეწია, თვალები გაეხილა. ებრალებოდა თუთიაც, ნუთუ ისე უნდა ევლო ამ უკუღმართად მოწყობილ სოფელ-ქვეყანაში, რომ მისი სილამაზე ვერავის დაენახა?! თუთიას სილამაზე სოფელსაც უნდა ეგრძნო, სოფლისთვისაც უნდა გაეტეხა ძილი და მოსვენება თუთიას მშვენიერებას. თუნდაც ამისთვის ღირდა თავის შეკავება. იმ ასტრონომიულ ოთახში გადანაცვლებაზე ფიქრის კიდევ იქით და იქით გადაწევა. „ის კი გაუძლებს, სხვა რა ჩარა აქვს, უნდა გაუძლოს“, — გულში ამბობდა თავისი უფროსი ვაჟიშვილის მისამართით, ამჟამინდელ ნამდვილ დარუხანს გულისხმობდა.

სულ ახლახან, ვაჟიშვილებთან ერთად, უცნაურ ქვას მიაგნო, თუ მოახერხა და ცომად აქცია, გიყვარდეს მერე, რასაც გააკეთებს. მუხლჩაუხრელად იშრომა და აშრომა ბიჭები. დღედაღამე სამჭედლოში ეყარნენ, იქ ათენებდნენ და ალამებდნენ, ჭამა მათთვის არ იყო ხეირიანი და მოსვენება; ბოლოს სიხარულიც მოვიდა. ის უცნაური ქვა ცომად აქციეს, უზარმაზარი კაჟის ურობით, სპილენძის საპრე რომ ჭქონდა შემოკრული, მოზილეს, ლავაშივით გააბრტყელეს, ხან მოგრიხეს, ხან მოგრიხეს, რასაც უნდოდათ, იმას მიიმსგავსებდნენ, სასურველ მოყვანილობას აძლევდნენ. სანამ ცხელი იყო, ყველა მხარეს მიჰყვებოდა და ემორჩილებოდა ხელს. გაგრილდებოდა თუ არა, კარგად შეყოლე, ისე გაკერპდებოდა, მისი მომდრეკი კაცი აღარ იყო. ხე და ძელი რა მოსატანია, თუ შემოჭკრავდი, ვერ უძლებდა ვერც ქვა და ვერც რვალი. აღარ გამოვუდგები იმის აღწერას, როგორ განვითარდა შემდგომი მოვლენები, თქვენ ალბათ მიხვდებით, რომ მამამ და შვილებმა რკინა აღმოაჩინეს, ერთს ვიტყვი მხოლოდ — დაამზადეს პირველი ცულები, პირველი ნაჯახები, პირველი თოხები, პირველი ბარები, პირველი სახნისები, პირველი დანები; პირველ-პირველი საკალატოზო და სადურგლო ხელსაწყოიარაღები. პირველი გუთნის იდეაც ცისკაცს გაუჩნდა და შვილებმაც მარჯვენა არ დაამადლეს მამას. ნამდვილი გუთანი გაამზადეს და აჩუქეს სოფელს. ერთი პატარა სამჭედლორიც გაუმართეს, ერთი მჭედელიც ჩაუყენეს შიგ. ურმის თვალს რკინა შემოაჭედეს, ხარებს ნალი ჩააცვეს ფეხზე, ცხენსაც რკინის ნამდები ამოაკრეს ფლოქვებზე...

17. სოფლის ყანაში პირველი გუთანი რომ გაატარეს, გუთნეულს თუთია მიუძღოდა წინ. ათი კაცის საქმე რომ ერთ საათში გამოათავა გუთნის კაცმა, ხარები უღლიდან გამოხსნა, თვითონაც კვალში ჩაჯდა, ცოტას ამოვისუნთქებო. მიწას დაშტერებულ კაცს წინ თუთიას ფეხები აელანდა, ლამის მთლად დაბრმავდა. როგორც იყო, ფეხების სილამაზეს შეელია და თვალი ზევითზევით ააყოლა; ცოტ-ცოტა წელში სწორდებოდა კაცი, ხელებს მიატანა, ხელებმა მთლად გადარია; წელს ასცდა და მეტი ვეღარ შეძლო კაცმა, ზემოთ ვერაფრით გადააცილა თვალი.

თუთიამ შეამჩნია, მისი სილამაზე კვლავ თვალდაუკრავი რჩებოდა სოფელს, მაგრამ იმასაც მიხვდა, გუთანს მოკიდებული კაცი სულ მიწას ვერ ჩაანჭერდებოდა, საქმე წელში გასწორებას მოსთხოვდა, თავს აიწევინებდა. ხარ-გუთანის პატრონს წინ, გუთნეულის თავისაკენ გახედვაც უნდა შეესძლებოდა, თვალდათვალ სვრელის სიგრძე-განიც უნდა გამოეზომა.

მალე გამართლდა თუთიას ვარაუდი, სოფელში პირველად ვინაც თუთიას სილამაზე დაინახა, გუთნისდედა იყო...

„თუთია, რა ლამაზი ყოფილხარ, თუთი!“

სწორედ იმგვარად და ისეთივე სი-

ტყვებით უთხრა, როგორც ცისკაცმა მაშინ. ეს იყო, ვარსკვლავები არ უხსენებია მხოლოდ.

„ვარსკვლავებსაც დაინახავენ“, — დაასკვნა თავის გულში თუთიამ და ის ღამე სიხარულით ფეხზე გადაათენა, სოფელმა დაინახა თუთიას სილამაზე...

გამოხდება ხანი და თუთია ერთ გაბარებას კიდევ გაიხარებს. „ვარსკვლავივით ქალი ყოფილხარ, თუთი!“ — ეტყვის მეორე გუთნისდედა თუთიას.

გაიგო გუთნის კაცებით სოფელი და მთელი სოფელიც უკვე თუთიას სილამაზით ცხოვრობდა. ცის სიმშვენიერით ტკბებოდა. თქვენ წარმოიდგინეთ, აქაურმა ხეებმაც კი ტანი აიყარა — ვარსკვლავებისკენ ასწრაფდნენ ალვები; დამრგვალდა და მთვარესავით გაიბადრა წაბლის ხეები. ვარსკვლავების თაგი გადმოიღეს ბროწეულებმა და ყვავილობისას ლამის თუთიაც დაეჯაბნათ სილამაზით... ვეღარ იცნობდით სოფლის ქალ-რძალს, ყველა თუთიობას ჩემობდა, ყველა თუთიას ეჯიბრებოდა სილამაზეში. ერთ გუთნისკაცს ვერ ნახავდით ისეთს, ვისაც თავისი თუთია არ სდომოდა სახნავშიც და საწოლშიც. მოკლედ, ალამაზებდა და ალამაზებდა სოფელი ქალ-რძალს, ამ საქმემ ისეთი გაქანება მიიღო სოფელ-ქვეყანაში, ხანდახან თუთიასაც ეპარებოდა ეჭვი, ყველა ქალი მე ხომ არა ვარ, თუთია ხომ არ არის ყველა ქალიო. რაღა ბევრი გავაგრძელო, სოფელიც ამ დასკვნამდე მივიდა: — „ყველა ქალი ნამდვილად თუთია არის!“ ხოლო ცალ-ცალკე თუ ვინმეს ისეთს ჩაიგდებდნენ ხელში, ამ უშველებელი სოფლის ქალ-რძალი უსირცხვილოდ ჩემულობდა თუთიობას...

მრავალთა გასაოცრად, მავანნი და მავანნი ახლაც აგრძელებენ ჩურჩულს, ჩვენგან რწმუნებულ იმ სოფელში დღესაც გრძელდებაო გალამაზების ეს უცნაური „კოსმეტიკური მეთოდი“. ბრჭყალებში ჩასმული სიტყვები მოჩურჩულე კაცის ენის თარგიდან გახლავთ გადმოღებული.

ცისკაცმა საწადელს მიაღწია, სოფელს მისცა ვარსკვლავებით გადაჭარგული ზესკნელის უკიდეგანო გუმბათი და წაბლისყვავილისფერთმოინი, მშვენიერი თუთია... ამიტომაც, თითქოს აღარაფერი უშლიდა ხელს, გუდა-ნაბადი წამოეკრიფა და ცის წიგნის ოთახში გადაბარგებულიყო, მაგრამ მოხდა ერთი გაუთვალისწინებელი ამბავი: ამბრისა და უმბრის გამომგონებლობითმა უნარმა ფრთები გაშალა, იქამდეც კი მივიდნენ, მეხი დაიჭირეს და სწორედ იმდაგვარ ფხვნილში მოაქციეს, ასი წლის ძილის დროს სიზმარში რომ ნახა ბარუხან შუთანამ. ბოლოს იმ ფხვნილს ზედ ელვაც გადააგრიხეს და თუკი მოისურვებდნენ, ერთ ცხენისგაჯენება მანძილზე ხიდან ჩიტს ჩამოაგდებდნენ. ეს შემთხვევა დარუხან შუათანას მანამდე არაფრად ჩაუგდია, ვიდრე ძმებმა პანტის ხეზე გასული უზარმაზარი მურა დათვი არ გადმოაყუდეს ძირს.

შეძრწუნდა კაცი. ასეთი იარაღი თუ სოფელს ჩაუვარდებოდა ხელში, მშვიდობით მაშინ, ძილო და მოსვენებავ! სოფელი სიმშვიდეს ვეღარასოდეს დაიბრუნებდა.

კაცმა შვილებს ფიცი ჩამოართვა, იმ ეიხის მტყორცნელი თოფისა და თოფისწამლის საიდუმლოებას რომ მიწაში ჩაიტანდნენ. შვილებმაც იმ წუთში აღუთქვეს მამას, მაგრამ ამ ფიცის ამბავი მალე გადაივიწყეს და არ გასულა დიდი დრო, რომ სადარუხანო ტბის ყელსიქითა წაბლნარის თვალგაუვალი ტყიდან ერთი გამაყრუებელი ბათქაბუთქი და ვაი-უშველებელი გამოვარდა...

იფიქრა, იფიქრა შუათანა დარუხანმა და გამოსავალი რომ ვეღარ ნახა, შვილები სამჯელოში მიიხმო, — პირველი ჯაჭვი გამოაჭედვინა, პირველი ბორკილი გადმოაღებინა ქურიდან და ვაჟიშვილებს ხელ-ფეხზე დაადო. ციხე-კოშკის ერთ ჯურღმულში ჩაიყვანა

ავთანდილ ყურაშვილი
ალექსანდრ ფალავანდიშვილი

ისინი და რკინისავე პალოებით საიმედოდ მიამაგრა კედელზე.

გამოხდა ხანი, ცისკაცი უიმედობამ შეიპყრო, სადარუხანი დაღუპვისაკენ მიეჭანებოდა. უძეოდ და უმომავლოდ გადაშენება ეძუქრებოდა აქამდე მოყვანილ სოფლის თვალს. გულშემოყრილი შუთანანა დარუხანი ადგა, ჯურღმულში ჩავიდა, მესამე ჯაჭვ-ბორკილი თავად დაიდო საკუთარ ქედზე და სასოწარკვეთილი კაცი შვილების გვერდით მიეყუდა კედელს.

არავინ იცის, რამდენი თვე და წელი გავიდა, რაც მამა და შვილები ქედზე ბორკილებადადებული ისხდნენ ჯურღმულში. ერთი კია, ბიჭებს ჟანგი წამოეშველა და ხელ-ფეხზე სულ შემოაჭამა ჯაჭვი. ძლივს გამოლასლასდნენ დღის სინათლეზე, მამასაც ახსნეს ის პირველი ნებაყოფლობითი ბორკილი და მტკიცე სიტყვა მისცეს: იმ ეშმაკის მოგდებულ იარაღს, დღეის ამას იქით ხელს არ მოვკიდებთო.

დარუხან შუთანამ დამშვიდებული სინდისით ახადა საიდუმლო სარქველი ცის წიგნის ოთახს; პირგაზაფხულზე, ერთხელ კიდევ ამოვიდა დარუხანი იმ ფერფლის მოსათესავად და შემდეგ კაცის თვალისთვის სამუდამოდ გაუჩინარდა...

18. დიდხანს, ძალიან დიდხანს მოელოდა დარუხანი, რომელიმე ჩემი ბიჭი სარქველს გამოაღებს, ჩამოვა და მეც გზას ვეწევიო, მაგრამ ამაოდ, ბიჭებს მიწაზეც იმდენი საზრუნავი გამოუჩნდათ, ცისთვის უკვე აღარ ეცალათ. გალავნის გარეთ რომ თავის ნებაზე ვერ გადიოდნენ და ვერც ვინმე მათთან შემოდიოდა, ასე არ უნდა ამ ბებერი ქვა-ლოდის ჭკუაზე სიარულიო, გალავნის ბჭესთან, წაბლის კარების ძირში მიწა გამოთხარეს, მოზრდილი ორმო გააკეთეს, აიღეს და ის გადამალული მეხი შიგ ბლომად ჩაუშვეს, თითქმის პირთამდე ამოავსეს ორმო, გამხმარი ლერწმის გრძელი ღერი დაუტანეს თან, ზემოდან მიწა გადაატკეპნეს მაგრად და ლერწმის გარეთ დარჩენილ ბოლოს კვეს-ბედი მისცეს. დაიგრიალა მეხმა. ვეღარ გაუძლო გალავანმა ამ მუხანათურ იარაღს, გასკდა და უზარმაზარი ანჯამებიანი მუხის ათაჟამინდელი კარი ვითომ ფრინველი ყოფილიყო, ჰაერში აიჭრა, კვამლ-მტვერის ქვეყნის სისქე ღრუბლებში სამუდამოდ გაქრა.

ჩაწყდა ის მარადიული საიდუმლო ძარღვი, რაც აქამდე ერთმანეთთან აკავშირებდა ციხე-კოშკს, ქვეყნის ოთხივე მხარის მიმართულებით ჩადგმულ იმ გულთმისან ოთხ კარჯიშკარს და თვითონ გალავანს. დანარჩენი სამი კარიც თავისთავად ამოცვივდა ანჯამებიდან და უსასრულობას მიაშურა.

იმ წელიწადს პირველად მოვიდა სოფელში თოვლი. იგი ზეციდან არ ჩამოსულა. თოვლი ციხე-კოშკის კიბეებს ჩამოჰყვა, ციხე-კოშკის შემოგარენი ჩამოათეთრა. ამოუხსნელი ნების სიჯიუტით მოდიოდა და მოიწევდა ძირს, თანდათან იპყრობდა და თავის თეთრ სამოსელში ახვევდა ყველაფერს. მდინარეც არ შეიბრალა, ზედ ყინვის ხიდი გადაისროლა და პირდაპირ თუთიას ქოხს მიადგა.

„ზამთარი!!!“

ასე გაჩნდა ეს საშინელი სიტყვა სოფელში.

ზამთარმა შემოხვია და შემოასალტა ხელები თუთიას, მწვანე სამოსი სულ შემოაფლითა ტანზე, წაბლისყვავილა თმაზე შეჰყვა, ბაგე-პირი ლამის გადაუთოშა ხვევნა-კოცნით; გარეული კატის ბრჭყალები ჰქონდა ზამთარს, ხელს ჩაგავლებდა, ხორცი და ძარღვი ზემოთ ამოჰქონდა, მთლად ჩაულილავდა და ჩაუშვადა ვარსკვლავმტევნება ხელ-მკლავი თუთიას, მაინც იძალა ქალმა, — გადნა და წყლად ჩამოვიდა თუთიას ტან-ხორცზე აღოღებული ზამთარი; ისევ იფეთქა გაზაფხულმა თუთიას ბაგე-პირზე. ისევ აყვინჩილდნენ ბროწეულები. თოვლი კი უკან-უკან მიიპარებოდა, საიდანაც ჩამოვარდა, ისევ იქ მიიძურწება წამხდარი და ღო-

ნეგამოცლილი — თუმცა წელიწადში ერთხელ ძალას მოიკრებს, კვლავ აიწყვეტს და თუთიას დასაძლევად გადმოეშვება ძირს...

მიხვდნენ თავიანთ შეცდომას ზამთარში ჩაყრილი ძმები, რა ღონე არ იხმარეს, რა რკინა და რვალი არ გაუდეს, მაგრამ სისხლის დენა უკვე დაწყებული იყო. მისი შეჩერება კი არავითარ სხვა ძალას აღარ შეეძლო. წელიწადში ერთხელ იფეთქებს ხოლმე ეს თეთრი სისხლი და მოთქვრიალებს იმ უხილავი გაგლეჯილი ძარღვიდან...

19. დრო გადიოდა, უკაცრავად, დრო, ჯორრივით ფეხებმიჭირებული, ურაყევად იდგა მიწაზე. სოფელი მიდიოდა და მოდიოდა, უხსენებელივით ჰარს იცვლიდა და ღობეზე გადმოკიდებულ ამ ჭარიანი ბრწყინავდა და თვალებს სჭრიდა გამვლელ-გამოვლელს... გუშინდელმა გუთნისკაცებმა ყველა ორლობის თავში, ყველა შუკის ყელზე საკუთარი ციხე-დარბაზები შეუყუდეს ცას. შუაგულ ბანებზე თეთრი ქვისაგან გამოთლილ-გამოხარატებული ნარდები გაშალეს... და... კამათლები, ხან იქით უზამდნენ პირს და, გაცვივდებოდნენ კისრისტეხით; ხან აქეთ გამოუტეევდნენ და, გამორბოდნენ კუნტრუშ-კუნტრუშით.

„კამათლის მღერას ჰგავს წუთისოფელი!“ — წამოსცდა ერთხელ რომელიღაც მონადირე გუთნისკაცს.

„კამათლის მღერას ჰგავს წუთისოფელი!“ — გაიმეორა მეორე მონადირე გუთნისკაცმა იმ პირველის ნათქვამი და ერთი უბედურებაც ამ აღმოჩენამ მოიტანა...

ამიერიდან გუთნისკაცებმა ხელი შეაჭრეს ხარ-გუთანს!..

„ჭურ-მარანი ჰქონდათ?“ — ჰქონდათ!

„საქათმე და საღორე, როგორ ფიქრობთ, ცარიელი ექნებოდათ?“ — რასა ბრძანებთ, ბატონო!

„საძოვარზე ცხვარ-ძროხა დაუდიოდათ?“ — აბა, სხვაფრივ გაგიგონია?!

„მათი რაშები ლაგამსა ხრავდნენ?“ — ლაგამსა ხრავდნენო? ცეცხლებს ანთებ-ჰყრიდნენ?!

„ნაგაზ-მწყვრები წკაკვწკავებდნენ საბაზიეროში?“ — ჰაი, ჰაი, რომ ტვინიც გამომლაყუს, ყურთასმენა წამართვეს!

„ქორ-შიმინო უჯდათ?!“ — უჯდათ, კაცო! აბა, არ უჯდათ?

„მაშინ თოფიც ექნებოდაო“ (მშვილდ-ისარი ახალი გადასული იყო მოდიდან), — თოფ-ზარბაზანიც ჰაპანწყვეტით ჩამოათრიეს სადარუხანოდან, აბა, როგორ გგონიათ, თქვენა!

„ეგ ზარბაზანი რაღა ჯანდაბაა, ან რად უნდოდათ, კაცო!“ — ზარბაზანი რად უნდოდათ, აი, კაცი! აი, ნამდვილი ჭკუის კოლოფი. შენ მე გგონივარ სულელი თუ თავს ისულელებ, ა!

„არც ერთი და არც მეორე. მართლა რაა ზარბაზანი, ან რა სარგებელი მოაქვს ისეთი!..“ — როგორ გითხრა, აი ამ ხელებს ხომ უყურებ, — მკლავები წრედ შეჰკრა მავანმა, — ამხელა პირი აქვს, ერთი სიტყვით, უშველებელი თოფია; აქედან რომ ბუთქავს, ეგერ, ეე! იმ კლდეს ძირს ჩამოიტანს და ნაცარტუტად აქცევს.

„კი მარა, რას ერჩის იმ საწყალ კლდეს!“

— კლდეს კი არ ერჩის...

„აბა“!

— აბა, აბა და, — გამოაჯავრა მავანმა,—სოფლის თავში რომ იმისთანა ლამაზი ციხე-კოშკი აიშენა ამ შენმა მეზობელმა, იმისთანა ღობე-ყორე რომ შემოავლო, იმისთანა ცხვარ-ძროხა რომ მოამრავლა, იმისთანა ნალია, ჭურ-მარანი და ბეღელი რომ გამართა, იმისთანა გადახატული ქალ-რძალი რომ ჰყავს, იმისთანა, იმისთანა ეზოკარი რომ აქვს, შემოაბრუნებ ამ ზარბაზანს, ბოდიშს გიხდით, თავიდან ასე ერქვა: ზარ-ბახ-ზარი!

ჰოდა, ჩვენც ძველებურად ვთქვათ, მიყვარს ეს ოხერი ძველებური: შემო-

---

ავთანდილ ჟურაფვილი
ცოტიგილთა ლაბირინთი

ბრუნებ ამ ზარბაზანს, მისცემ ცეცხლს და მშვიდობით მეზობლის ნაწვავ-ნადაგო, რაც გადაურჩება ცეცხლ და ნგრევას, ფერფლად და ნაცრად ქცევას, ყველაფერი შენია...

დაერივნენ ერთმანეთს ყოფილი გუთნისკაცები, ატყდა გაუთავებელი სიხსლის ღვრა და ბათქაბუთქი. სოფლის ერთ თავში რომ წიოდნენ და კიოდნენ, მეორე თავში ღრეობდნენ და ზეიმობდნენ გამარჯვებული მხარის შვილები. სადარუხანო ვეღარ აუდიოდა თოფ-იარაღის დამზადებასა და გამოცედვას. ჯაბე-ბორკილი რა მოსატანია, ისეთი საწამებელი გამოიგონეს, ერთხელ ჯოჯოხეთის მწამებელთუხუცესი ესტუმრათ და ლამის დასაბმელი გაუხდათ საწყალი.

„აი საიდანა უნდა ვისწავლოთო, ძვირფასებო!“ — ჰყვებოდა თურმე თავის ტარტაროზებთან, ჯოჯოხეთში! თუმცა ისიც დაუმატებია, ჩვენც თუ ჯოჯოხეთი ვართ, ისინი რაღა არიან, ამასაც გავიკითხავო.

ნამდვილად აღარ ვიცი, გაიკითხა თუ არა ის ამბავი ტარტაროზების ენადგაკრეფილმა მამამთავარმა, ერთი კი ცხადია, მეურნეობის ამ დარგში სადარუხანოს მიღწევებს ძალიან შორს გაუვარდა სახელი, — ქვეყნის რომელი კუთხე-კუნჭულიდან არ მოეშურებოდნენ აქეთკენ, განუწყვეტლივ ადიოდნენ და ჩადიოდნენ ახლა უკვე მარმარილოს პირსაბურავივით გაკოჭილ ორას-ორას საფეხურიან კიბეებზე. ვის არ ნახავდით, ვის არ შეხვდებოდით აქ, ამ დაუფასებელ იარაღის არსენალში ამობრძანებულს: მხედართუფროსს თუ მკვლელსა და მძარცველს. გენერალგუბერნატორს თუ ახლად გამომცხვარ შარაგზის ყაჩაღს; გაკრეჭილ მღვდელსა თუ ჯაშუშსა და მამაძაღლს, — სუყველას ერთი სურვილი ჰქლავდა, ყველა ერთი მიზნისაკენ ლტოლვას ამოეყვანა: როგორმე სხვისთვის დაესწრო და კაცის მოსაკვდინებელი ყველაზე უფრო გაუმჯობესებული იარაღი მოეგდო ხელში; რაც შეიძლება მეტი და მეტი სოფლის ძარცვის საშუალება გამოეძებნა. სადარუხანო მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა, ამბრისა და უმბრის ფანტაზია მათი შვილებისა და შვილიშვილების ფანტაზიასთან, „როგორც ერთფუთიან საზამთროსთან ნემსის წვერი — ვიღაცა გვერდითა მხრიდან მკარნახობს, — ისე გამოჩნდებოდაო“; გეთანხმებით, ნამდვილად რომ ასეა, ნამდვილად ნემსის წვერივით გამოჩნდებოდა!

თუთია?!..

სადღა იყო თუთიას ის მშვენიერი თვალებნაპერწკლიანი არვე და იელის წკნელით შემოქარგული მათი ქართა.

სადღა იყო თუთიას ღარიბული ქოხი!

იმ ადგილებში ახლა ქვა-ალმასით ნაგები, შუბის ტარივით ზეასხლტილი კოშკი იწონებდა თავს. კოშკის ძირას ბროლის წყაროები და რძის ნაკადები ჩქაფუნობდა. მწვანედ გაშვებული ახლო-მახლო კორდებიდან ფრინველთა საამური ჭიკჭე-გალობა მოჰქონდა კოშკის ზოურბლთან საგანგებოდ გამობმულ ნიავს. ზღურბლთან-მეთქი, ვამბობ, სინამდვილეში, თუ თვალს დაეჯერება, ალმასის კოშკს კარის ნასახიც არ აჩნდა. თუთია ღია სარკმლიდან გადმოჰყრიდა იმ გაუხუნარ დალალ-კავებს და ყველაზე რჩეული გუთნისკაციც მარდად მიცოცავდა ზეკით-ზევით...

ათასში ერთხელ, როცა შემწუხებელი არავინ ჰყავდა, რაც იშვიათად მომხდარა ხოლმე, გონება გაუნათდებოდა და ხსოვნის სანთელი დაუწყებდა ლიცლიცს. თუთია სარკმელში გადმოდგებოდა, ცისკაცის საბრძანებელისაკენ გაიხედავდა. ციხე-კოშკის ბნელით მოფენილ ბაზზე ცისკაცის ხელი ისევე ენთო და აშუქებდა წკვარამს; ეს იყო „ელვარება დაკლებია ოდნავ“, — გაიფიქრებდა ქალი და უცებ გამოასწორებდა ნაფიქრალს: „იქნება მე დამაკლდა თვალისჩინი, იქნებ სიბერე მოსადგა...“ მაგრამ არა, თუთია ისევე ის უჭკნობელი თუთია იყო — იმედად

აღმართულ იმ ხელს ელვარება თუ გამოაკლდა, თვალი არაფერ შუაშია, — გული ხომ არ გაუგრილდა, თუთიას?! გულის სიგრილეს კი, მოგეხსენებათ, ვერც ერთი ხელი ვერ ულლებს, მით უმეტეს, ისეთი კაცისა, ცის წვიანი რომ კითხულობს და ვარსკვლავებს ისე ელაპარაკება, როგორც ბუხართან მიჯდარი ბაბუა და შვილიშვილი საუბრობენ ხოლმე. თუმცა, ეგრეც რომ იყოს, რა თუთიას ბრალია, იგი ხომ ნამდვილი დედაკაცი! თანაც ასეთი ხიბლმოუხსნელი და მშვენიერი. მშვენიერზე უფლება კი ყველას თანაბრად მიანიჭა დამბადებელმა — ცისკაცი იქნება ის თუ გუთნისკაცი! ცისკაცი თუ არ იყენებდა ამ უფლებას, სამაგიეროდ გუთნისკაცები?.. არავითარი მოყოჩვება. სიტყვა „მოყოჩვებას“ სანთლით რომ ეძიოთ, ვერაფრით იპოვით იმდროინდელ ლექსიკონებში, რადგან თუთიას მოყოჩვება მართლა არ შეიძლებოდა; როგორც კოღო ბადაგიან ჭურჭელში, ისე თავშეუკავებლად მიექანებოდა და იძირებოდა მთელი სოფელი მის უკიდეგანო მორევტკბილში... რა ჰქნას თუთიამ, ის ხომ ამ სოფლისთვის გაჩენილა, უარის სათქმელად ენა როგორ მოუბრუნდება, კოშკის სარკმელი როგორ აუხუროს ქვეყანას ცხვირწინ. არადა, ცისკაცი ენატრება, ცისკაცი უნდა, უსაშველოდ უნდა; ლაჟვარდის სუნი ასდიოდა ცისკაცს, ახსოვს, ძალიან კარგად ახსოვს ეს სუნი; ხანდახან, ვარსკვლავებს რომ გაუშტერებს თვალებს, ასე ჰგონია, ის სუნი მოიკმევა ზესკნელიდან, თითქოს ეს-ეს არის, ცის ლოგინიდან წამოდგაო კაცი და მისი ტანის მათრობელა სუნი აქ, ამ საბრალო თუთიქალის ეზო-კარში ჩამოაგდო მნათობების ქარმა. ვეღარ მოიშორა მიწისა და თხის სუნი, ყველას, განურჩევლად, მიწისა და თხის სუნი ასდის სოფელში.

გულზე შემოსდიოდა ქალს, — „მომბეზრდა, მეტი აღარ შემიძლია, მოსვენება მინდა, ცისკაცთან მინდა“, — იტყოდა ქალი თავისთვის.

მეორე წუთში სარკმელს მოადგებოდა და რომელიმე შეჭირვებული გუთნისკაცი და თუთიაც რაღა თუთია იქნებოდა, უარი ეთქვა... სადარუხანოს ბანზე იმედად აღმართულ იმ ხელს კი ნელინნელ აკლდებოდა ელვარება, ნელინნელ იძირებოდა დავიწყების წყვდიადში; ათასში ერთხელ გამოსსლტებოდა მოგონების ბურუსიდან, ბნელს გამოარღვევდა მისი ნათელი და, მაშინ იყო, ვარსკვლავიან ცასავით მდიდრდებოდა და კვლავ სილამაზით ივსებოდა თუთია.

როცა თუთიამ უკუნს გამოქცეული ცისკაცის ხელი ერთხელ კიდევ დაინახა, იგი უკვე თავისი ღარიბი ქოხის ღია კართან იდგა და ისევ თვალნაპერწკლიან თავის მშვენიერ თხის არვეს ალოკვინებდა მარილიან ხელისგულებს. მაგრამ ამაზე სხვა დროს და სხვა ადგილს გიამბობთ, — დავიმახსოვროთ: „როცა თუთიამ უკუნს გამოქცეული ცისკაცის ხელი ერთხელ კიდევ დაინახა!..

20. წვიმამ გადაიღო. ერთი ამოსუნთქვა ამოისუნთქა მიწამ და ქარმა ღრუბლები შორს გადარეკა. მერე ალვისა და წაბლის გალურთხულ ხეივნებს გაუარ-გამოუარა, მიფერთხ-მოფერთხა ისინი და სადღაც ბნელ ფუღუროში შეძვრა. ჩამავალი მზის წითელი ბადრო, ზუსტად შუაწელზე რომ გადაეჭრა ცისკიდურს, დასავლეთის მხრიდან შესცქეროდა სადარუხანოსაკენ აღმავალი კიბის საფეხურებს და ბინდდაცემული გამოღმიდან, — სამხრეთის მხარის მბრძანებლის, სვეტრიანე თეთროვანის ას სამოცდაცამეტ სვეტში ჩადგმულ, ცამეტგუმბათოვან, ლომების ქანდაკებებითა და ზარბაზნების ნაზი სიჩუმით გარშემორტყმული სასახლის ღია აივნიდან, — ისე მოჩანდა, თითქოს მზის დიდებული შუქი კი არა, სადარუხანოს ყამდადავლილი ეზო-კარიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

სისხლის ღელე მოსჩქეფდა და მოთქაფუნნობდა დაბლა, დაბლა...

სულ დაბლა თეთრი ფილაქვით მოგებული სასახლის აივანზე ბღარჯა ტან-ფეხისა და წითური პირისახის პატრონი კაცი მიდი-მოდიოდა.

ერთხანს ასე იარა აქეთ-იქით, მერე შედგა, სისხლისფრად აელვარებულ ფიკიბის საფეხურებს ააყოო თვალი. (სევერიანე თეთროვანი. ამ კუთხე-კუნჭულის მბრძანებელი, ისეთი კაცი იყო, წითელს თუ დაინახავდა, მაინც-დამაინც სისხლისთვის უნდა შეედარებინა. ამიტომ, ვითვალისწინებ რა მბრძანებლის გემოვნებას და მართებულიც ეს უფრო იქნება, თქვენთან ბოდიშს მოვიხდი, ძვირფასო მეგობრებო, იმედია, შემინდობთ, ხშირად თუ გაიგონებთ: „სისხლისფრად შეღებილს“, „სისხლიანთ ტკბილს“ და ა. შ.) — „ეს მთა რომ არ იდგეს ჩვენს შორის, იმ მხარეშიც ქვას-ქვაზე არ დავტოვებდი, არადა, სადარუხანოც რომ მჭირდება, თორემ მანდედან დავიწყებდი სულ პირველად“, — სევერიანეს ერთ წამს სახე გაუქავდა, — თითქოს უეცრად ლილა შეასხეს, ისე გაულურჯდა პირისკანი, მერე, ვითომ ტოტზე შემომჯდარ ფრინველს ეპარებაო, წინ გადაიხარა, ფრთხილ-ფრთხილად აიკრიფა ნაბიჯი, წამიც და, მოკლე კამარა შეჰკრა... ის გალურჯებული პირისკანი სიხარულმა აუღაღაჟა: რაღაც დიდებული გაიფიქრა მბრძანებელმა, რაღაც უსათუოდ სოფლისათვის ღირებული და მნიშვნელოვანი წამოატივტივა მისი ბნელი გონების ობგადაკრულმა საგანძურმა...

—დიდება და გამარჯვება ნუ მოგაკლოს, მბრძანებელო!

სევერიანეს ისევ ღრუბელმა გადაუარა პირზე — „ფიქრსაც არ გაცლიან, ეს მამაძაღლები“ — გულში შეიგინა, ხმამაღლა კი, არც მობრუნებულა, ისე თქვა:

— სადარუხანოდან მთელი სოფელ-ქვეყანა მოჩანს, ქვეყნის ოთხივე მხარის გზაც სადარუხანოში იყრის თავს, თოფ-იარაღიც იქიდან ჩამოგვაქვს... რომ არ ჩამოვიტანოთ და ჩვენ თავად ავიდეთ?!

ახლა კი შემობრუნდა სევერიანე, პირით იმ შემოსული კაცისაკენ დადგა და თვალებში შეაჩერდა, — „შენ რას იტყვი, მთავარსარდალო!“ — ერთხანს ასე შეკითხვის თვალით უყურა, მერე ცოტაზე გაერიდა, ორი-სამი კაცისთვის გაწყობილ დაბალ ტაკუკთან მივიდა, ხელში ფიალა აიღო და ისე რომ პირთან არ მიუტანია, კარგა ხანს ეჭირა ეგრე გაპიპინებული. შემდეგ კვლავ მთავარსარდლისაკენ წავიდა, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, ოდნავ შეანელა ფეხი და, თითქოს მუქარაზე იდგა, გაიმეორა:

— რომ არ ჩამოვიტანოთ და ჩვენ თავად ავიდეთ?!

მთავარსარდალს შიშმა გონება დაუბნელა — ვერაფრით ვერ მიმხვდარიყო, რა ზევით ასვლაზე ეკითხებოდა სევერიანე თეთროვანი. „ჯანიც გამვარდესო!“ — მხნეობა მოიკრიბა, კისერი, ნაჯოგარი ხარივით რომ იდგა, მონდომებულად წადრიკა და ნაყე-ნაყედ ამოთქვა:

— ყოველი მხრიდან გვიტევენ, მბრძანებელო! ჩვენი ცხენოსანი არმია თითქმის განადგურდა, ახალი ძალებია საჭირო!..

სევერიანემ ახლაღა დაინახა, მთავარსარდალი მთლიანად სისხლში იყო ამოთხვრილი, იმდენი სისხლი აეკრა ტანზე, წითლად კი არა, შავად ლაპლაპებდა უკვე: ბუხრის მილში გატარებულს უფრო ჰგავდა, ვიდრე ბრძოლის ველიდან მობრუნებულს.

— გამოუშვით ჯურღმულებიდან ავაზაკები, შეჰპირდით ყველაფერს, რისი შეპირებაც კი შეიძლება. აბა, სწრაფად, ძვირფასო გორგონ!

მთავარსარდალი გავიდა.

—მანდატურთუხუცესს დამიძახეთ!— ტაში შემოჰკრა სევერიანემ.

აივანზე ხელჯოხიანი, ზონზოროსა ტანის კაცი შემოვიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აჰ, შენც გორგონი, არა? მანდატურთუხუცესო!

— დიახ, ჩემო მბრძანებელო! გორგონას მეძახიან.

— როგორ არის საქმე, ხომ არ მოგვიშივდა სახრჩობელებს? აჰ, როგორა თქვი?! გორგონი, არა?!

— დიახ, გორგონა, დიდო მბრძანებელო!

— მაშ, როგორ არის საქმე, ყულფებს, შიშთვილებს გასანთვლა ხომ არ აკლია, ხელს ნუ დაამადლი, მანდატურო!

— ხვალ ათ ავაზაკს მივართმევ, მბრძანებელო!

სევერიანეს ღვინიანი ფიალა ხელიდან გაუვარდა, წითელი ღვინო სისხლის ტბორივით გაიშალა იატაკზე, იმწამსვე მსახური შემოვარდა, ტილო შემოფრიალა...

— არა, არ გინდა, ეგრეევე დარჩეს! — უბრძანა სევერიანემ და მსახური დაითხოვა.

— გორგონა, გახსოვდეს! ისეთი სახელმწიფოსათვის, როგორიც ჩვენია, ერთი პატიოსანი კაცი უფრო საშიშია, ვინემ ათასი ქურდი და ავაზაკი. ახლავე გაანთავისუფლე ის მამაძაღლები, — სახრჩობელებს კი ნუ მომიშივებ, პატიოსანი ხალხი არც ისე ცოტაა ქვეყანაზე!

მანდატურთუხუცესმა მბრძანებელს თავი მდაბლად დაუკრა, მოსასხამის კალთა აიკრიფა, ჯოხი ოდნავ აიცალა იატაკს და უხმაუროდ გაიღალა აივნიდან.

სევერიანემ ღვინით სავსე დოქი ხელში აიღო, მერე თითები გაშალა და დოქი იატაკს დასაკდა. ალისფერი სასმელი გაიშალა, გაიშალა და მთლიანად გადაებარდნა აივნის ფილაქანს... სევერიანემ ხამლები წაიძრო და ტიტველი ფეხებით ჩადგა ამ სისხლის ტბაში. მერე, თითქოს წავში იჯდა და ნიჩბების აქნევას ეპირებოდა, ნელ-ნელა ჯერ ცალი ფეხის წვერზე წამოიწია, მერე მეორე აამოძრავა, ის პირველი ისევ მთელი ტერფით დააკრა ფილაქანს. ასე ადგილზევე ამოძრავდა და თანდათან უმატებდა და უმატებდა სიჩქარეს. მე კი მომეჩვენა: სევერიანე თეთროვანი, ვითომ, ადამიანთა გულებით ავსებულ საწნახელში ჩამდგარიყო, ჭყლეტდა და შეუნანებლად სწურავდა იმ გულებს...

არ გასულა დიდი დრო და აივნის ქვედა შემოსასვლელის კიბიდან ფეხის ხმა ამოვიდა. ეტყობა, სევერიანეს ეცნო, ვისაც ეკუთვნოდა ეს გამსუბუქებული ნაბიჯი, პირისახეზე სიხარულის ალმა გადაუარა, მსახური მიიხმო, აღმოსავლეთის აივანზე შეუძახო სტუმარს. თავად შემთბარი წყალი მოითხოვა, ფეხებზე გადაივლო და სტუმართან საიდუმლო დერეფნიდან გავიდა.

— სიხარული ნუ მოგიშალოს დამბადებელმა, მბრძანებელო!

— იცოცხლე, ჩემო ქანანდელ! — შენი თავი დამჭირდა.

— ოღონდაც დამავალე და მიმსახურე, მბრძანებელო!

— აი, ჯერ სუფრასთან ჩამოვსხდეთ, პური გავტეხოთ!

— როგორც ინებებთ, მბრძანებელო!

ქანანდელი დაელოდა სევერიანეს დაჯდომას, შემდეგ სკამი ოდნავ გამოაცილა სუფრას და ზედ ისე უხმაუროდ ჩამოჯდა, თითქოს სულიც არ ედგა, თორემ ხორცი აქვსო, ვინ იტყოდა. სუფრაზე თევზი ელაგა, ახლადგაფცქვნილ კარტოფილს ჯერ კიდევ ოხშივარი ასდიოდა, დეკეულის უშველებელი ბეჭი დაუთლელად იდო ლანგარზე, ზემოდან თითო-თითო შავტარიანი დანა დაერჭოთ. სევერიანემ დანა აიღო, ხორცი ჩამოჭრა ბეჭს და ერთი ნაჭერი თავაზით გადაყოდა ქანანდელს.

— გმადლობთ, მბრძანებელო, ნუ შეწუხდებით, მე თვითონ...

— როცა ხელისუფალი გეფერება, უნდა შეიშნო, ქანანდელ!

ქანანდელს სიწითლემ გადაკრა პირისახეზე.

ათთანდილ ყურაშვილი
ცითელილთა ფლესანაული

— მართალი ბრძანდებით, უფალო! მე რა ღირსი ვარ თქვენს სუფრასთან ჯდომისა, რაც შეიძლებოდა თავი მოესწყალა ქანანდელმა და ქვეშეცნეულად მიხვდა, სიტყვა „უფალმა“ როგორ აუტყუნა გული სევერიანეს.

პურობა დიდხანს არ გაგრძელებულა.

— მეტს აღარ გეახლებით! — გულზე ხელები დაიდო ქანანდელმა, წითელი ღვინით სავსე ფიალა აიღო და მასპინძელი დალოცა.

— თქვენი თავი ნუ მოგვეშალოს მბრძანებელო! — ფიალა პირზე მიიდგა და სულმოუთქმელად დასცალა.

— გმადლობთ, ქანანდელ! ჩვენს სოფელს გაუმარჯოს, — თქვა სევერიანემ და თასი ბოლომდე არ დაუცლია, სუფრაზე ისე დადგა...

— ქანანდელ, თუთია უნდა მომიყვანო! თუთია მინდა, ამ წუთში უნდა მომგვარო, — ცხროშეყრილივით ლაპარაკობდა სევერიანე.

— მბრძანებელო, თუთიას მოყვანა არ შემიძლია, მის ციხე-კოშკს ხომ კარი არ აქვს. თუთიას ვინაც მოინატრებს, თავად უნდა ესტუმროს, თმას გადმოჰკიდებს და!..

— მე უნდა ვეახლო იმ კახპას?! უკანასკნელ მაწანწალასავით ფანჯრიდან უნდა გადავძვრე? არა! არა და არა!

— ბროლის კოშკში ზის, მბრძანებელო! სხვანაირად არ გამოგვივა.

— დაანგრიეთ კოშკი და ქალი ახლავე აქ მომგვარეთ!

— წერაქვი იმას ვერას დააკლებს და რკინის კეტი...

— მაშ ზარბაზანი რისთვის გვიდგა?

— მბრძანებელო!..

— მბრძანებელო, მბრძანებელო! — გამოაჯავრა სევერიანემ და სიტყვა აღარ დაამთავრებინა, — ესროლეთ და გაათავეთ.

ქანანდელი ცხენს მოახტა, მათრახი შემოჰკრა და თავდაუზოგავად გააჭენა თუთიას სამყოფელისაკენ.

— რაც სოფელში გუთნისკაცები არიან, ფუტკრებივით ზედ მეხვევიან, ეგ ვინღა არის, აქ მოსვლას რომ ირკიდრულობს?!

— ეგ მბრძანებელია, თუთია! — ასძახა ქანანდელმა, სარკმელთან მომდგარ თუთიას.

— რაო, რაო, რის მბრძანებელი? — გაკვირვებით იკითხა თუთიამ.

— აი იმის... რომ გიბრძანებს და მართლა უნდა შეასრულო! დაბნეულად მიუგო ქანანდელმა.

— მაშ, რაღამც ეგრეა, ძალიან მომწონს ეს თამაში, ამიერიდან მე ვარ მბრძანებელი! გადაეცი იმ შენს სევერიანეს, რომ თუთია ბრძანებს, გუთანს მოჰკიდოს ხელი და ეგეთებზე იმის შემდეგ მელაპარაკოს.

— თუთია!!!

— მეტი ხმა აღარ გამაგონო! — გადმოსძახა თუთიამ და სარკმელი ახურა.

გაწბილებულმა ქანანდელმა ცხენი შემოაბრუნა, დეზი ჰკრა და სასახლისაკენ გამოაჭენა.

სევერიანე თეთროვანის სასახლის ეზოდან კარგად ჩანდა კვერცხივით მომრგვალებული და ცისკენ წვერწამახული თუთიას კოშკი. განრისხებულმა მბრძანებელმა ზარბაზანიო, — იუჭქა და მეზარბაზნეებმაც გულმოდგინედ ამოიღეს მიზანში... რომ შეშფოთებული მანდატურთუხუცესი მოუხსენებლად გამოეცხადა მის უდიდებულესობას — სევერიანე თეთროვანს. გორგონას პირისახე აშლოდა, აშკარად ვერ მალავდა უსიამოვნო გამომეტყველებას...

—სოფელში რაც ახალგაზრდა გუთნისბიჭები გვყავდა, ყველა სასახლის ბჭესთან შეყრილა, ფილაქანზე ჩაბსდარა და აქითკენ მუშტებს გვიღერებენ. თუთიას ჩამოეხსნას მბრძანებელი, თუთია გუთნისკაცების არის და სევერიანეს ვერ დავნებებთო!

— ახლოს მოდი, მანდატურო! ყურში მითხარი, რა წამალი გამოვუწერო,

— სევერიანე ლურჯ-წითლად ჰახჰახებდა..

მანდატური შორიახლო დაუდგა. კისერი ისე დაიგრძელა, ყველაფერზე ეტყობოდა, ზრდილობისთვის მიეახლა თორემ, სადაც უნდა მდგარიყო, თუნდაც დასაკარგავიდან მისწვდებოდა სევერიანეს ყურ-სასმენელს...

— აჰ! — იყვირა სევერიანემ.

მანდატურთუხუცესი უცბად გასწორდა. კისრის მომოკლება ვერ მოასწრო და ლამის სასანთლეები ჩამოუშვა ძირს...

— აჰ! — გაიმეორა სევერიანემ, — ჩემი ხელ-ფეხია ეს გუთნის ბიჭები, წყლით გავრეკითო, ხომ გაიყინენ ბავშვები, მანდატურო!

— რასაც თქვენ მიბრძანებთ!.. — როგორც იქნა, კისერი მხრებს შიგნით ჩაიძვრინა მანდატურმა.

— გამგიეიქე, მანდატურო, გამაგიქებ, კაცო, ხომ გაცივდებიან ბავშვები! — ხმა წაიწვრილა, თვალებიდან ნემსები გადმოყარა, — აგე, ცეცხლი! — მოულოდნელად აიჯაგრა სევრიანე, — ღვთით ბოძებული ზარბაზანი, ჯერ მაგენს, მერე მაგათ ქალბატონს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

გონს რომ მოვიდა და თვალები გააღილა, ეს რამდენ ხანს მძინებიაო,—გაიკვირვა ქალმა, მიიხედ-მოიხედა, იქვე დედა თხები იდგნენ და იცოხნებოდნენ. „ამ გამოქვაბულში მაინც საიდან მოვხვდი“ — გაფიქრება და ფეხზე წამოდგომა ერთი იყო.

თუთია წამოდგაო, პეტელი ატეხეს თხებმა, აბაკუნდნენ და ირგვლივ შემოერტყნენ, ხელ-ფეხს ულოკავდნენ ქალს. დედა თხების პეტელზე ვაცებიც მოცვივდნენ. ვაცებს თიკნები მოჰყვნენ კუნტრუშ-კუნტრუშით და მთელი გაშოქვაბული აივსო პირუტყვით. ჯოგის წინამძღოლმა ვაცმა თუთიას ფეხებთან ჩაიჩოქა, რქები მიწაზე მიასო და ასე გაირინდა. მიხვდა ქალი, შემაჯექეო ზურგზე, — სთხოვდა პირუტყვი. თუთიას ბევრი თავბედიანი აღარ გამოუდვია, ვაცს ზურგზე გადაჯდა. თხების ჯოგი გამოქვაბულიდან გარეთ გამოვიდა, ქარის მდინარეზე აცურებული თუთიას წაბლისყვავილა თმა სამშვიდობო დროშასავით მიუძღოდა წინ სოფლისაკენ დაძრულ თხის არვეს.

აღარ იყო ბროლის კოშკი. არსად სჩანდა სევერიანე თეთროვანის სასახლე. სოფლის შუაგულში აღმართულ სადარუხანო ციხე-კოშკის ნადგომზეც წაბლის ტყეს გადმოეარა.

თუთია ისევ თავის ღარიბულ ქოხთან ჩამოხტა. თხებიც, ჩვეულებრივ, იელის წკნელით მოღობილ ქართაში დადაკეტა. თავად ქოხის კარი შეაღო, ვიდრე ზღურბლზე გადაბიჯებდა, მობრუნდა, კარის ანჯამებს ორივე ხელი ჩაჰკიდა და იქითკენ გაიხედა, სადაც, მისი აზრით, სადარუხანო ციხე-კოშკი უნდა მდგარიყო. ბევრი ლოდინი არ დასჭირვებია, წაბლის ტყის თავზე ისევ აკიაფდა ცისკაცის იმედიანი მარჯვენა!

სინამდვილეში ბებერი წაბლის ფუღუროდ ქცეული გული ანათებდა ტყისაგან შეჭმულ სადარუხანოს ცაზე...

21. როცა მთელი სოფელი ღრმა ძილში ჩაეფლობა, როცა თუთია სიზმრების ჭრელა-ჭრულაში შეფრინდება, როცა მთელი დღის ქროლვისაგან დაღლილი ნიავწვრილი სადარუხანოს თავზე ამოყრილ ტყეში ჩამოჰკიდებს ფრთებს, როცა მთვარე გარდასულთა ლანდებს გადმოუძღვება და სოფლისაკენ ჩამოუფენს გზა-კვალას, უკანასკნელი დარუხანი, ანუ ცისკაცი ამოჰკვავება წაბლის ხის ფესვებს. აქეთ ნიავწვრილი ზის, იქით ცისკაცი, შუაში ნათლის სვეტივით ანთია წაბლის ხის ფუღუროგულიდან გადმოვარღნილ შუქს და ჰყვება დარუხანი წარსულის

ავთანდილ ჟურაბვილი
ცოლიმილთა დღესასწაული

ზღაპარს. ნიავიც უსმენს, უსმენს და, ზღაპარიც რის ზღაპარია, ძილი თუ არ მოგგვარა, ნიავსაც მალე წაელულება და ცისკაცი ისევ ფესვებს მიჰყვება თავის მარადიულ საუფლოში, ცის წიგნის ოთახში.

ტყემ შეჯამა-მეთქი სადარუხანო ციხე-კოშკი, რომ ვამბობ, განა მართლა ტყემ შეჯამა იგი?!

სადარუხანო გონებამ შეჯამა, უგულოდ დარჩენილმა გონებამ, და აი, როგორ მოხდა ყოველივე ეს...

პირველივე გასროლაზე თუთიას კოშკი ცისკენ გაფრინდა, მერე, ვითომ ბალახი იყო და ქვევიდან უცებ ცელი გამოუსვეს, ძირს წამოვიდა და სამუდამოდ მიწასთან გასწორდა. ასეთ შედეგს ნამდვილად არ მოელოდა სევერიანე და სიხარულით ლამის ატირდა. მეზარბაზნეებს პირი მოარიდა, სასახლის იავნისაკენ წავიდა. „ასი ასეთი ზარბაზანი სადარუხანოს რომ ერთდროულად დავკრა, ერთდროულად რომ დავკრა, ერთდროულად რომ დავკრა“ — იმეორებდა გულში. ამასობაში აივანზეც ასულიყო და ერთი კუთხიდან მეორე კუთხეში გადიოდა და გამოდიოდა, ერთთავად ბუტბუტებდა და ბუტბუტებდა: „ვანა რა მოხდება, მართლა რომ დავკრა, მთელი სოფლის ბატონ-პატრონიც ხომ მე გავხდები“...

—მბრძანებელო!

აივანზე ფეხაკრეფით ამოვიდა ქანანდელი და ბუტბუტში გართულ სევერიანე თეთროვანს ხმამილევით გუშორა:

— მბრძანებელო!

სევერიანე ქანანდელს მიუახლოვდა, მაგრამ სადღაც, შორს, ქანანდელს თავზემოთ იყურებოდა. ქანანდელმა იფიქრა, უთუოდ ვერ მხედავს და არც ჩემი დაძახილი გაუგონიაო, ამიტომ უფრო მაღალი ხმა ამოუშვა ყელიდან:

— მბრძანებელო!

— დავინახე, ქანანდელ, აბა ნაბადი ჯადახსენი!..

ქანანდელმა ნაბადი შემოხსნა კვამლმტვერში ამოგანგლილ, დაბეჭილ-დამტვერილ, გონებამიხდილ თუთიას, აბალა შუაცეცხლზე დანახშირებულ ნაბადს, რომ უფრო ჰგავდა, ვიდრე სილამაზით განთქმულ იმ თმამშვენილ ქალს.

სევერიანემ ერთი დახედა, უცებ ზურგი აქცია და თითქოს რიყის ქვები ეწყო პირში და ისინი გადმოყარაო, ბრძანა:

— ძაღლებს გადაუგდეთ ეს შავი ლენი!

მსახურებმა უმალ წაავლეს ხელი, კვლავ შეახვიეს ნაბადში და იმ ნანგრევებთან დაადგეს, საიდანაც წელან გადმოათრიეს...

გამთენიისას, როცა ნამი დაეფინა მინდორ-ველს, როცა მამლების მესამე ზარს ფრინველების საგანთიადო საგალობელი შეენაცვლა, ჭორფლგადაცლილი მტრედისფერი ცა დაუჯერებელი სურათის მოწმე გახდა: გონებამიხდილ თუთიას თხის ჯოგი შემორტყმოდა ირგვლივ. რომ ვერანაირად შეაფხიზლეს თავიანთი ყოფილი დედოფალი, სამი ღონიერი და გამორჩეული ვაცი ჯოგს გამოსცილდა, თუთიას წინ გვერდიგვერდ მუხლებზე ჩადგნენ, კისრები გაიწვდინეს და ისე დადრიკეს, რომ რქები მიწის პირს გაუსწორეს, მეორე მხრიდან დედა თხებმა თუთიას სხეული რქებით ფრთხილად ასწიეს და ვაცებს კისერზე გადაამხეს. ვაცები მუხლში გაიმართნენ, ჯოგმა ერთი დაიფრუტუნა და ადგილიდან მოწყდა, — თუთია მთებისაკენ გაიტაცა...

22. ამბრი და უმბრი თუთისანები (ასე ეძახდნენ სოფელში) ისე გადავიდნენ სამზეოდან, ცის წიგნის ოთახში ტუფილადაც არ შეუხედავთ. არც შვილისა და შვილიშვილისათვის დაუგდიათ რაიმე ანდერძი. მიხვდა დარუხანი, შვილმა და შვილიშვილმა იგი სამუდამოდ მიაჯაჭვა ცის წიგნის ოთახს; იმასაც მიხვდა, ეს გახშირებული ბათქაბუთქი და გუგუ-ზრიალი სახეიროს რომ არაფერს უქადდა სოფელს; ერთიც დაასკვნა და მანამ არ ამხელდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხმამაღლა ამ აზრს, ვიდრე კედელზე შეყინულ თავის წარსულს არ შემოჰხვია ბებერი ხელები, შეცბა კაცი, — ქვადქცეული მისი პატარა ბიჭის თვალებიდან ცრემლი მოჟონავდა.

— შვილო, განა შენც იგრძენი სადარუხანოს აღსასრული?!

„ისეც მოგელოდი, — განაგრძო გულში დარუხანმა, — ყველაფერი თავის ბუდეს უბრუნდება, სიცრუე დავთესე და სიცრუით დამიბრუნეს შვილებმა. სიკვდილი დათესა სადარუხანომ სოფელში და სოფლიდან აშოვა სიკვდილი სადარუხანოში, თან მეხის დაჭერით კარგა ხანია თავის თავს ეს განაჩენი გამოუტანა სადარუხანომ“ — ჩვენი სიკვდილი კი არ იქნება, შვილო! — მიუბრუნდა იგი თავის ქვადქცეულ ბავშვობაში შეფარებულ წინა დარუხანს, — წარსულში მივალთ, წარსულით მოვალთ, სამზეოზე მარადიული ხტებაა ჩვენი საუკუნო სასჯელი!

ცისკაცი ჰოგრიტი მოსცილდა. სინამდვილეში, ჰოგრიტი კარგა ხანია უკვე აღარ არსებობდა, იგი, როგორც მთელი სადარუხანო ციხე-კოშკი, სევერიანე თეთროვანის ზარბაზნებს აღეგავა პირისაგან მიწისა. გამოხდა ჟამი და სისხლის ტბაში ჩადგმული მბრძანებლის ის სასახლეც მტვრად და მიწად აქცია განგებამ, — მიზეზიც და შედეგიც პირველ მშობელის წიაღში ჩაბრუნდა...

ჰოგრიტს მოსცილდა-მეთქი დარუხანი. დარუხანს ჩვევად ჰქონდა გადაქცეული ჰოგრიტთან მისვლა და მის სამზერ თვალში ჩახედვა, თორემ ასეთი რამე ნამდვილად აღარ სჭირდებოდა, მთელი ცის თაღი ზეპირად იცოდა, იცოდა, სად რომელი ვარსკვლავი დიბადებოდა, სად რომელი ვარსკვლავი ჩაჭრებოდა და ჩავარდებოდა. მე რომ დარუხანი ვყოფილიყავი, უთუოდ ვიტყოდი, თავის მაგივად მთელი ცარგვალი მადგას-მეთქი მხრებზე. თვალს დახუჭავდა დარუხანი და ყველა დროის ზოდიაქოს — შემოდგომის, ზამთრის, გაზაფხულის, თანავარსკვლავედებს, — სრული ცის ერთ მთლიან სურათს ხედავდა. მოძრაობდა და ბრუნავდა, აღიოდა და ჩადიოდა, ვარსკვლავიერი ცა თავის მარადიულ საბრუნველში.

„იქნებ ცა სულაც არ ბრუნავს?! იქნებ პირიქით, ყველაფერი ბრუნავს და ბზრიალებს, მაგრამ რისთვის?! რას ელტვის ეს განუწყვეტელი ბრუნვატრიალი? ნუთუ მხოლოდ იმიტომ გამოდიან საბუდრიდან, რომ კვლავ ბუდეში შებრუნდნენ?! ან რა ძალა ჰქმნის ამ საბუდარს, რისთვის იჩეკებიან ვარსკვლავების უთვალავი წიწილები, რა ამოძრავებს იმ დედა კრუხს, ცის კვერცხზე რომ ზის და განუწყვეტლად ჩეკავს და ჩეკავს; რისთვის, რისთვის, რისთვის?! იქნებ ეს ერთადერთი კითხვა იყოს ამ ბრუნვის აზრი და მთავარი ღერძი“. — ფიქრობდა დარუხანი და მის თავში დატეულ ცის გუმბათს თვალს არ აცილებდა. უცებ შექანდა მშვილდოსნის თანავარსკვლავედის ერთი ვარსკვლავი, მოსწყდა მშობლიურ ზოდიაქოს ჭკერდს, მთელი ცა გადასერა და დევნის ნამუხლარის ქათქათა ქაფში ჩაიძირა სამუდამოდ.

სამუდამოდ კი?!

სიტყვები ვარსკვლავებივით არამყარნი არიან. უფრო სწორად, ცოთმილებივით, გარეგნულად რომ ვარსკვლავებს ჰგვანან, მაგრამ არას დაგიდევენ ვარსკვლავების მოძრაობის საერთო კანონ-წესებს...

დარუხანმა ფოლიანტი აიღო, ცხრილში რაღაც აღნიშნა და ხმამაღლა თქვა: — ეს ვარსკვლავი მერამდენედ ჩავარდა. მერამდენედ დაუბრუნდა თავის ბუდეს! — მერე ადგა და ფოლიანტის არშიაზე მსხვილი ასოებით გამოიყვანა; „წარსულია ყველაფერი, მომავალიც წარსულია!“

ეს ოთხი სიტყვა გამოიყვანა და ისეთი გრიალი ატყდა ცის წიგნის ოთახის თავზე, ისეთი გამაყრუებელი გრუხუნი ჩამოვარდა ქვის ჰოგრიტის ფსკე-

---

ᲐᲗᲐᲜᲐᲓᲘᲚ ᲧᲣᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲪᲘᲗᲕᲘᲛᲘᲡᲗᲐ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რზე, ცა რომ თვალწინ არ ჰქონოდა, ზისკენელი ჩამოიქცაო, იფიქრებდი დარუხანი, მაგრამ ცა ამ ფიქრის საბაბს არ იძლეოდა. მიწის ზემოთ, ცაში ყველაფერი თავისი წესითა და რიგით მიდიოდა. სადარუხანოს კი ერთი-ორჯერ კიდევ გადაუარა ამ მეხთატეხამ და სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა...

იფეთქა სადარუხანოს დაგლეჯილი ძარღვებიდან და სოფელში გადმოვარდა ყოვლის წმალეკავი ის თეთრი სისხლი..:.

დუმილის საუკუნემ ფრთა დააფარა სადარუხანოს. თეთრი სუდარა შემოხვია სადარუხანომ ყელზე და ამ სუდარის სპეტაკი კალთები კიდით კიდემდე გადასწვდა სოფლის ოთხივე მხარეს და მანამ ეცვა სადარუხანოს მიერ ნაჩუქარი ქვის ეს თეთრი პერანგი სოფელ-ქვეყანას, ვიდრე წაბლის ფესვებმა არ იძალა, არ ამოფხრიწა და არ ამოჭამა საუკუნოვანი ქვა-ზეწარი და კვლავ არ გაიჩაღა მწვანე კოკონი მიწაზე....

— პირველმშობელო! შეჰღაღადა დარუხანმა, — გამიცოცხლე ეს ბიჭი, პირველმშობელო! და მიიბარე ჩემი სული სამუდამოდ. — დარუხანს თავის ქვის შვილისთვის ხელები ჰქონდა შემოხვეული. ამ გამომშრალ-გამოფატულ მოხუცს კიდევ თუ ცრემლი ექნებოდა, ვინ წარმოიდგენდა, კიდევ თუ გულის აჩვილება შეეძლო, ვინ იფიქრებდა; მოხუცს ცრემლები გადმოეღვარა, ხელის მტევნებზე დაეცა და ხელის მტევნებიდან ქვაბიჭის მკერდზე ჩაცურდა... წამიც და, ოთახი გაიშალა, გაგანიერდა. წამიც და, ბანზე ვარო, ასე ეგონა დარუხანს, — საიდანღაც ღრუბლები წამოვიდა, ჩამობნელდა, ჩამოქურუხდა, წვიმის შოლტები ჩამოქანდა, ელვამ გაკკრა, ღრუბლები გადაჭრა და მეხიც გავარდა.

„კაკუჩი ეშმაკს“, — დაიძახა უმცროსმა დარუხანმა და კოშკის ბანზე, თავსხმა წვიმაში შიშველი ფეხების ტყაპა-ტყუპი ატეხა. იქვე ლაფაროს ქვეშ შეფარებული შუათანა დარუხანი იდგა და შვილის ბედნიერ თანამშრომელს უყურებდა. შემდეგ სპილენძის დიდი ტაშტი გამოიტანა, წვიმის წყლით ავსო, შიგ სელის ძაფით ნაქსოვი სქელი მოსასხამი ჩაალბო. ცოტა ხნის შემდეგ ამოიღო, კარგად გაწურა, ის იყო მხრებზე უნდა მოეგრგო, წვიმა შეწყდა. ცა გადაიწმინდა, ვარსკვლავები სანდომიანად კაკაშებდნენ და ახალ ნაწვიმარზე ფარშავანგის კუდებივით ატრიალებდნენ სხივებს. დარუხანი ოვალებს არ უჯერებდა, იგი მართლა ციხე-კოშკის ბანზე იდგა, ციხე-კოშკიც ლამაზად წელგამართული გადაჰყურებდა სოფელ-ქვეყანას, იქვე ახლოს ჭაბუკი დარუხანი იდგა. ბანის ზღუბლთან მივიდა, სოფელს გადახედა, ქვემოთ მთვარის შუქით განათებულ მთელ სოფელში ერთადერთი ქოხი მოჩანდა, იმ ქოხის კარებში თუთია იდგა და ხელები სადარუხანო ციხე-კოშკისაკენ გამოეწვდინა.

—მოდი აქა, შვილო! — დაუძახა დარუხანმა. ჭაბუკი ზღუბლთან მივიდა, მამამ მარჯვენა ხელი მხარზე გადახვია, მარცხენა იმ ქოხისაკენ გაიქნია და ჰკითხა:

— ჰხედავ? შვილო!

ჭაბუკმა თვალი მიატარ-მოატარა მთვარით გადახატულ სოფელზე და ქოხის კარებში ჩამდგარი კოკონივით მობრიალე ქალი რომ დაინახა, მამას უთხრა:

— ვხედავ, მამი! ცეცხლი ანთია სოფელში.

— ის ცეცხლი ამ ციხე-კოშკში უნდა დაანთო შვილო, შენც გათბები და სოფელიც გათბება.

ჭაბუკმა უნებურად ცალი ხელი აღმართა ბანზე და თუთიამ უკუნს გამოქცეული ცისკაცის ხელი ერთხელ კიდევ დაინახა ამ გაუკაცრიელებულ სოფელ-ქვეყანაში.

— მაშ, დაინახე არა, შვილო? — კვლავ შეეკითხა დარუხანი.

— ვხედავ, მამი, ვხედავ! — არ შემბრუნებულა, ისე მიუგო უმცროსმა **დარუხანმა**.

მიხვდა ცისკაცი, სიცოცხლე კვლავ იწყებდა აღორძინებას, წარსული აქაც, მიწაზეც იწყებდა მობრუნებას...

როდესაც უმცროსი დარუხანი ციხე-კოშკისაკენ მიტრიალდა, მზის პირველი სხივი ქვის ჭოგრიტის ყელს ჩამოჰყოლოდა და ბანზე გაშლილიყო უკვე. ჰაბუმა მიიხედ-მოიხედა, დარუხანი არსად ჩანდა, იქვე ეგდო მისი სელის მოსასხამი, ხოლო უფრო მოშორებით სპილენძის ტაში იდო.

—მამი! — დაიყვირა მთელი ხმით ჰაბუმა.

„მამი!“ — გაიმეორეს ტყეებმა.

„მამი!“ — გაიმეორეს მთებმა.

„მამი!“ — ვარსკვლავებისაკენ გაიჭრა ძახილი და დევის ნამუხლარივით შემოეკვლო სრული ცის ყველა ზოდიაქოს...

დარუხანი თავისთვის ლაფაროს ქვეშ იდგა, როცა პირველი სხივი ჩამოვარდა ბანზე, იგიც საკმარისი აღმოჩნდა ცეცხლი რომ მოსდებოდა მილიონი წლის მოხუცის გამოფიტულ ძვალსა და რბილს. თვალის დახამხამებაში ფერფლის ჭოვად გადაიქცა კაცი. წაბლის ტყიდან შემოხვევით გადმოვარდნილმა ნიავწვრილმა სული შეუბერა და ველ-მინდვრებზე მითეს-მოთესა ცისკაცის ფერფლი...

„წარსული აქაც, მიწაზეც იწყებდა მობრუნებას!“

ნიკოლოზის ჯარმა დღე-დღეზე უნდა გადმოიაროსო, ხმა დაირხა, სოფელში.

ამბობდნენ, ამბობდნენ კი არა, ზოგ-ზოგები ირწმუნებოდნენ კიდეც, ჩემი თვალით მინახავს, სადაც ჭურ-მარანს მოახელებენ, გათავებულია მისი საქმე, წირვას გამოუყვანენ, ოსიროთი ამომშრალებული რაა იმასთანო. ბევრი რამე ისეთიც თქვეს, კაცის ყურში არ შეიშვებოდა.

— ამგვარი რამის გამგონე ყურები, მეტი რომ არ იზრდება, სულაც აღარ მიკვირს, — ხმამაღლა თქვა დარუხანა თუთისანმა და მოურავს დაუძახა:

— გაბრიელ, გაბრიელ, კაცო!

აქლოშინებული შემოვარდა ცისკოშკის ბანზე მოურავი!

— რას მიბრძანებ, ჩემო ბატონო!

დარუხანა თუთისანს სპილენძის გარსაცმიანი ის გრძელი ჭოგრიტი, ცალ ფეხზე რომ იდგა წერროსავით, ბანზე გამოეტანა და ხან სოფლის ერთი თავისაკენ უზამდა პირს, ხან — მეორე თავისაკენ. დარუხანა ჭოგრიტს გამოსცილდა, წელზე დონჯი შემოირტყა, ფაშფაშა მუცელი კიდევ უფრო წინ გამოზნიქა.

— გაბრიელ, დაუძახე ბიჭებს, ის თივის ზვინები — ხელი სათიბებისაკენ გაიშვირა, — აქ ჩამოიტანეთ და ჭურებს გადაადგით.

— ბატონო, ზვინებს იქ რა უნდა, ხომ გაგვცინა სოფელმა, სირცხვილს სად წაუვალთ! — თავი გამოიდო მოურავმა.

— მოურავო! — მრავალმნიშვნელოვნად გაიმეორა დარუხანა თუთისანმა.

— მესმის, ბატონო, დღესვე ჩამოვატანინებ იმ თივებს! — აშკარად შეიტყო უკმაყოფილება და დუდღუნ-დუდღუნით ჩავიდა ეზოში გაბრიელი.

მართლა გადმოიარა სოფელზე ნიკოლოზის ჯარმა. მართლა გაახარა და გაახალისა სოფლის ჭურ-მარანი, არც აქაურ ქალ-რძალს დასწყვიტა გული...

დარუხანას ეზო-კარში ბევრი ვერაფერი იპოვეს. დილას შემოსული ჯარი, მეორე დილას აიშალა, სოფლის მთა გადაიარა და ჩრდილოეთისაკენ აიღო გეზი. გახარებულმა თუთისანმა მთელ სოფელს დაუძახა. მწვანეზე ჰურ-მარილი გააშლევინა.

— მოურავო, — უბრძანა მერე მოურავს, — აბა, ის ერთი ზვინი დაარღვიე!

— ეს ჩვენი ბატონი, თვითონ ხომ არ გვიჯირებს გამასპინძლებას, — აჩურჩულდნენ გლეხები. მაგრამ სულ მალე

ქვევრის თავი რომ გამოჩნდა, სიხარულის ყიჟინამ ამოხეთქა აქეთ-იქეთან...

— მაშ, როგორ გეგონათ, გადამთიელებს დავალევინებდი ამ მარწყვივით ღვინოს?! — ტრაბახობდა დარუხანა და გრძელი ყანწისაკენ ხშირ-ხშირად იწვდიდა ხელს....

დათვრა ხალხი და აირია სუფრა. დარუხანმა ყვირილით რომ ვერა გაიწყარა, თანამეინანსენი რომ ვერაფერით დაწყნარა, დამბაჩა იღრო, ვიღრე ხელი ზევით ასწევდა, უნებურად, მანამდე გამოჰკრა თითი სასსლეტს...

— მომკლა, ამ ოჯახდასაქცევმა! — იყვირა რომელიღაცა სტუმარმა სუფრის ბოლოში და მკლავზე იტაცა ხელი.

„ეს შეჩვენებული ნამდვილად ამოწყვეტას გვიპირებს...“ — შეშინებული ხალხი ტყე-ღრეში შეცვივდა; უკან მოუხედავად მოჰკურცხლეს თავთავიანთ ქოხმახებისკენ, დარჩა მხოლოდ ის დაჭრილი კაცი და რამდენიმე გულადი ბიჭი.

23. დარუხანა თუთისანს წინაპართაგან მხოლოდ სახელი და გვარი რომ შემორჩა მემკვიდრეობად, ამას დაუკვირვებელი მკითხველიც ადვილად მიხვდება. მაგრამ სახელოვანმა ბებია-ბაბუებმა ხავსმოდებული, ჩაჟამებულ-ჩაჟანგებული ციხე-კოშკიც შემოუნახეს აქამდე, ცოტაოდენი სახნავ-სათესი, ამდენივე სათიბ-საძოვარი, გამეჩხრებული, მცირე ტყე და ორიოდე საკალმახე ღელე-მდინარეც დაუნარჩუნეს, რომ აღარაფერი ვთქვათ იმ სპილენძის გარსაცმით ცალფეხა ჭოგრიტზე. ეს იყო და ეს მისი მთელი ავლა-დიდება. არც ვარსკვლავების წიგნი იცოდა, არც მიწისა და შინა მეურნეობისა გაეგებოდა რამე. ერთს კი ვერ დავუკარგავთ — წერა-კითხვა, უფრო სწორად ასოების გამოყვანა და მათი მოკითხვა სხვაზე უკეთ ძართლა იცოდა და სოფელშიც პირველობას არავინ ეცილებოდა. კიდევ იყო კაცთა ცხოვრების ერთი დარგი, სადაც, მართლა უცილობლად პირველობდა დარუხანა თუთისანი: „სმა-ჭამა დიდად შესარგი, დება რა სავარგულია...“ ზუსტად ამ ადგილზე გაწყვეტდა ხოლმე და არც უნდა დაუკარგოთ, რომ ჭამისა და სმის დიდი მოტრფიალე გახლდათ; ხუთფუთიან ქვევრს დილიდან-საღამომდე ისე გამოლოკავდა, ვითომ ერთი ჭიქა ყოფილიყოს. დიდი, ზონზროხა ტანისა გახლდათ, გობის სიფართე ყურები და უშველებელი საცერა თვალები ჰქონდა, ულვაშს რომ მხრებს უკან გადაიყრიდა, ლევანა ამბობდა: მეგონა, ბეჭებზე აქეთ-იქით, ფიჩხის კონები გაეწყოო. ეს აგერ, სიბერეში უნახავს ლევანას, თქვენ წარმოიდგინეთ, ახალგაზრდობაში რა იქნებოდა, საცოლედ შეღერებული დარუხანა. ერთი ცხენი ვერ უძლებდა, ყოველთვის დაჰყავდა მეორე მარქაფად. სხვა ცოდვაც სჩიოდა დარუხანა თუთისანს, ლექსობა უყვარდა, ხანდახან იმისთანას გამოიგონებდა და ეტყოდა თავის სოფლისიანებს, სულ გადარევდათ, ამის გამო არც ისინი აკლებდნენ ხელს, დაუზოგავად გაათრევდნენ და ამოავლებდნენ ზაირის ლაფში.

იმ დედმამაგანათლებულს, ისე უყვარდა ზაირობა-ლექსობა, როგორც უნდა გაგეთრია, გული არ მოუვიდოდა, ის კი არა, თუკი მოეწონებოდა, „ოხ-ოხ-ოხ, რა კარგია,“ — გულზე ხელის ბრაგუნით გაატარებდა მთელ კვირას. მერე მოურავს დაუძახებდა, ერთ დეკეულს წამოაქცევინებდა და მოშაირის სალატივცემლოდ ნადიმს გამართავდა...

ერთ დღესაც, დარუხანა მაშინ კარგად შეღერებული ვაჟი-კაცი იყო, ქვეყნის ქვეყანაზე თავის შესაფერის საცოლეს ეძებდა; როგორც იქნა, იპოვა თუ აპოვნინეს, ყოველ შემთხვევაში, ქორწილი რომ გადაიხადა, იმ ქორწილის ამბავი ზღაპრად და იგავად დარჩა სოფელ-ქვეყანას, — ტახტრევანი, პატარძალი რომ იჯდა შიგ (პატარძალს ვარსკვლავისა ერქვა), თორმეტ მუნლ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგარ და ბეჭგანიერ ვაკაცს ძლივს მოჰქონდა, სულ ხვიფი გადასდიოდათ პირზე. „ნამდვილი დარუხანას სიამის ცალიაო“, — ჩურჩულებდა ნეფიონი.

„სავსე მთვარესავით დაგორავს, მაგას ვენაცვალე იმ გვანგვალა სიარულში“, — შეჰხაროდა თავის გულში დარუხანა თუთისანი ვარსკვლავისას მშვენებას და ერთი სული ჰქონდა, როდის შეეცურდებოდა ამ სავსე მთვარის შუქ-ნათელში... იმ ერთ დღესაც, ქორწილი რომ მოითავეს, პატარძალიც რომ ნამდვილი რძალი და დედოფალი, ანუ ქალბატონი გახდა, ციხე-კოშკის ბანზე გამოსულ დარუხანა თუთისანს მეზობელი გლეხის პატარა ბიჭმა ოთხად გაკეცილი ქაღალდი შემოუტანა. დარუხანამ მძიმე-მძიმედ დაიწყო ქაღალდის გაშლა, ზემოთ დამავიწყდა მეთქვა, თუთისანს იმისისხო თითები ჰქონდა, თითო—თითო თოხისტარად მაინც გამოდგებოდა, აბიტომაც ფრთხილად ეპყრობოდა ქაღალდს, ეშინოდა, არ შემომეხეს ხელში. გახსნა და ჯერ თვალი ჩააყოლა, მერე ქვემოდან ამოჰყვა, ისევ ზემოდან ჩაჰყვა, ბოლოში გავიდა და იმხელა ხარხარი ამოუვარდა პირიდან, მთელი სოფელი ორღობეში გამოცვივდა, პირდაღებულები ცას შეშტერებოდნენ, ღმერთმა ეტლებით გადაიბრიხინა და იქნება კუდს მაინც მოვკრათ თვალიო. ვაჰ-ჰა-ჰა, ვაჰ-ჰა-ჰა-ჰა! ისევ იგრიალა ცამ და ახლა კი მიხვდა კუთხე-მეზობელი, ეს ვისი ცხენ-ეტლი აგრიხინებდა სიცხით გამოკალულ სოფლის ცარგვალს. ვარსკვლავისაც ერთი შეფრთხიალდა საბუდარში, ის პინგვინივით მოკლე ფრთები აიფართხუნა და ბანზე გამოგორდა, სავსეს ვერ ვიტყვი, რაღაც წარმოუდგენლად უფრო დიდ და დიად თეძო-ბალიშებს ისე მოისროდა, თითქოს იმ დალოცვილმა ღმერთმა საგანგებოდ ცის ორი გუმბათი მიამაგრაო ზედ, — ჯამბაზებივით რომ კოჩა-წოსაობდნენ და ადი-ჩადიოდნენ ვარსკვლავისას წელის ხაზს ქვემოთ.

— ვაჰ-ჰა-ჰაჰა! — ისევ ხტოდა და ხითხითებდა მუხის ძელსკამზე ჩამომჯდარი დარუხანა, რა ნაღდია, კაცო! რა მართალია, ბიჭო! მაყარიჩი ამის დამწერს! სად არის, რატომ არ მეჩვენება, ცხენი მიჩუქნია, მაკე ცხენს ვაჩუქებ, ღმერთმანი! მოურავო, გააგებინე მთელ სოფელს, მაკე ცხენს ვაჩუქებ ღმერთმანი! მოურავო, გააგებინე მთელ სოფელს, მაკე ცხენს ვჩუქნი, ამ შაირის გამომგზავნს!..

— რამ გადაგრია, თვალისჩინო, რა მოხდა, ჩემო იადონო, ჩემო სიცოცხლევ, მეც გამაცინე ერთი, შენმა მზემ, შენმა გულის გახარებამ, — იხვეწებოდა ვარსკვლავისა.

— ამ წუთში, აი, ამ საათში, — თვალებიდან ცრემლს იწმენდდა დარუხანა და სიცილი თანდათან უცსრებოდა, — მაგარია, არა?! მე და ჩემმა ღმერთმა, ამისთანა არაფერი გამიგონია დღემდე!..

— რა მოხდა, კაცო, ასეთი! აღარ იტყვი? — გული ელეოდა ვარსკვლავისას, — იცოდე, ისევ უკან შევგბრუნდები და აღარ გამოვჩნდები ჩემს დღეში ბანზე...

— ნუ, ჩემო თვალმშვენიერო, ნუ, ჩემო ვნოლო და შურთხო, სულ ჩვენი ამბავია, სულ შენ ქებაშია მთელი სოფელი, ცას ედარება, ვარსკვლავისას ჭირიმე, ამ ლექსში, ცას. ფურცელი ცხვირწინ აუფრიალა დარუხანა თუთისანმა მოთმინებადაკარგულ ძვირფას მეუღლეს. ბოლოს, როგორც იქნა, ჩაწყნარდა, ხმა ჩაიწმინდა, ხრინწი მოიშორა და ქაღალდი ისე დაიჭირა, თითქოს ნესტან დედოფალს სახოტბო ლექსს უკითხავსო. ერთიც ჩაახველა და დაიწყო:

დარუხანამ ქორწილი ქნა,
ხარი დაკლა მელეშაო...

ავთანდილ ყურაშვილი
ცოტოვილთა დღესასწაული

— აი, ესეც პირველი, ჩემო თვალ-შურეხთო, შენ რომ გაქებს და გადიდებს! ახლა ჩემზეც მოისმინე, თუმცა შენი პაწია, ბიბილომოხარტებული ყურები კი მენანება ამ მშვენიერი სიბილწისათვის...

— არა უშავს, ჩემო იადონო, თვალებს დავხუჭავ, აჰა ხელებს დავიფარებ, — ვარსკვლავისამ თვალებზე აიფარა ნაჯახით გამოჩორკნილი ფიცარივით ხელის მტევნები.

— ნამდვილი ჭკუის კოლოფი ხარ, ვარსკვლავისა, ვეღარ გაიგონებ, ხომ!

— დიახ, იადონო! ვეღარ დავინახავ და სირცხვილს გადავრჩები.

— მაშ, დავიწყო, არა?!

— ამ წუთში, კარგად დავიხუჭო! ერთი, ორი და.... და სამი. დახუჭული ვაარ!

ვითომ კუკუდამალობანას თამაშობდა და თითქოს ძალიან შორიდან იძახოდა, ხმას წაუწვრილა ვარსკვლავისამ. თან ხორციანი ტუჩები მაგრად მიაკრა ერთმანეთს და წინ ისე გამოიშვირა, — „ფეხზე წამოდგომა რომ არ მეზარებოდეს, ნამდვილად მოვატკივრავდი,“ — გაიფიქრა დარუხანამ და ეუბნა არ მეპარება, ეს ღვთისკურთხეული სიზარმაცე რომ არა, ნამდვილად ასე იზამდა და უბედურებას გადაჰკიდებდა საბრალო ქალს; თუმცა, ღმერთო შეგცოდე, და ახი კი იქნებოდა, რას გადმოუბრუნა ის მიწადასაყრელი ტუჩები, მერე თვალებზეც რომ ხელები აიფარა?! არა, ნამდვილად დაილოცოს სიზარმაცის გამჩენი, თორემ არაფერი დაუდგებოდა წინ, მოაჯამდა, მოაჯამდა კი არა, ძირში მიატკივერდა იმ ტუჩებს. მეც რომ გიმტკიცებთ, მაგრაა ჩემი თავიდან გამოვდივარ, დარუხანას ადგილზე, თუკი წამოვდგებოდი, ნამდვილად მოვატკივერდი იმ ბერძულა ლეღვის ტუჩებს.

„აბა, აბა! შენ ნერწყვი ნუ მოგდის, ჩემო ძმაო, ნინიას ბაღი ხომ არ გგონია, დაუკვირდი, არაფერი შეგშალოს“, — თვალებით გამაფრთხილა დარუხანა თუთისანმა და მეც ყურები დავიცქვიტე მეორე ლექსის მოსასმენად.

— პასუხი ჩემს საყვარელ დარუხანას მწარიისაგან, — წაიკითხა შაირის სათაური დარუხანამ, ცოტა ხანს შეჩერდა, თითქოს მართლა ეკრძალებაო წაკითხვა და მერე განაგრძო:

დარუხანამ ლექსი მითხრა,
შემოლანძღა წვერია...

— რა კარგია?.. — ატკარცალდა ვარსკვლავისა.

სწორედ ამ მოლექსე მწარიას მოხვდა დარუხანას ხელიდან შემთხვევით გავარდნილი დამბაჩის ტყვია. სისხლი წითელი ზონარივით გადმოეკიდა და მოსჩქეფდა მწარიას მარჯვენა მკლავიდან.

— არიქა, ვარსკვლავისა, შენი ოქროს ხელი სჩერდება ამ უბედურ დღეზე გაჩენილს; რაღა იმ ბრუტიან ტყვიას შეეგება, კაცო! ახია შენზე, — ვითომ ესაყვედურებოდა დარუხანა, — იოლად კი გადამირჩა, რბილში გაუვლია და მეორე მხარეს გასულა; კაცმა რომ თქვას, ამოდენა ჯარები გადავრეკეთ და მთლად ასე უსისხლოდ ხომ არ ივარგებდა, სოფელში მაინც დარჩები ამბად...

„სანამ არ მოგარჩენ და საღსალამათს არ დაგინახავ, მანამდე სახლში შენი გამშვები მე არა ვარ“, — ეუბნებოდა დარუხანა მწარიას; ვარსკვლავისამ კი ამასობაში პირკალს ერთი ნაჭერი მოიტანა, რაღაც ფხვნილები დააყარა ჭრილობაზე და მაგრად გადაუხვია მკლავი.

— დღე-ღამეში ბარე ოთხჯერ უნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოგიცვალო, ახალ-ახალი ფხვნილები უნდა დაგაყარო. ზედ, შენი წასვლა აქედან არ შეიძლება, მორჩენამდე ჩვენთან უნდა დარჩე! — ეეღლერტულებოდა ვარსკვლავისა ღვინითა და ჭრილობის სიმწარით გაბრუებულ კაცს და მწარიამაც იმ ღამეს ნალიას ქვეშ, ახლად გარჩეულ სიმინდის ფუჩეჩში გამოძინინა; თავი მოიკლა, არაფრით არ შეჰყვა დარუხანასა და ვარსკვლავისას ციხე-კოშკში. „აქ უფრო ლაღდა ვგრძნობ თავს, ჩემს ჭკუაზე ვარ და, ისედაც, ოქტომბრის მთვარიან ღამეებში ხმელ ფუჩეჩზე გორაობა-კოტრიალს რა სჯობია, ბატონო!“ — არწმუნებდა დარუხანა თუთისანს.

— რაღაც ასეა, ჯანდაბას შენი თავი, ქალბატონსაც რა გზა აქვს, ცოტა უნდა გაიჯირვოს, კალოზე მაინც გამოეგები, კაცო! ამხელა მანძილზე ნუ გამიტანჯავ! — სიტყვა დაუტოვა დარუხანამ და ციხე-კოშკისაკენ გოგმანით მიმავალ ვარსკვლავისას უკან გამოუდგა.

მთელი ერთი კვირა ხან ნალიას ქვეშ შეგოგდებოდა ვარსკვლავისა, ხანაც მწარია შუა კალოზე შემოხვდებოდა და გასაჭმნიად გამოტანილ სიმინდის ფუჩეჩში უხსნიდა და უხვევდა ქალი ჭრილობას. ერთიორჯერ ის კვახა ძუძუები ისე დააყარა თითქმის მორჩენილ მკლავზე, აღარ ვიცი, სიმწრისა იყო ის კვნესა თუ სიამისა, მწარიას რომ ამოსცდა პირიდან... ვარსკვლავისამ რამდენჯერმე გულმოდგინედ გაუმეორა ჭკურნალობის ეს ახალი ხერხი და საწყალმა მწარიამაც ვეღარ გაუძლო ცდუნებას...

საღამოს პირზე დარუხანა ჩვეულებრივ ბანზე იჯდა და მთელ სოფელს ჭოგრიტის თვალში ატარებდა. ვერავინ დაემალებოდა, ვერაფერს გამოაპარებდი, ყველაფერი იცოდა... უსაქმო კაცი საეშმაკოს და საუკუღმართოს ყოველთვის გამოიძებნის. ერთხელაც ჭოგრიტის თვალით ჩეჩმაში შეჰყვა გიორგი ქომეთიანს, „რას შვრები, გიორგი ამას!“ — დაიჭუხა კოშკის ბანიდან დარუხანამ. წამოხტა გიორგი და შარვალზე იტაცა ხელი, ვინ ეშმაკი მიყურებსო. ყველაფერი რომ ჩაწყნარდა, ისევ ჩაიძრო შარვალი გიორგიმ; ისევ იქუხა ზემოდან დარუხანამ. ადგება გიორგი, ჩაწყნარდება დარუხანა; დაჯდება გიორგი, აყვირდება დარუხანა; ასე აწვალა და აჯახირა კაცი... ბოლოს, სიცილით გული რომ იჯერა, წამოგორდა გაშლილ ნაბადზე და ფიქრს მისცა თავი. ეს უცნაურობაც სჯირდა დარუხანას, ხანდიხან ფიქრიც ეწვეოდა ხოლმე. ხელს გაუშვებდა იმ მესამე თვალს (ასე ეძახდნენ სოფელში დარუხანას ჭოგრიტს, დარუხანას მესამე თვალიო). ამ მესამე თვალის შიშით, ხომ არსაიდან გვიყურებს ის ცოდვილიანიო, ცოლი ქმარს ვეღარ ჩახუტებოდა, ვიდრე ლოგინში არ შეძვრებოდნენ. ლოგინში კი, კედელთან მიდგმულ გრძელ ტახტზე, ორი წყვილი აქითა თავში იწვა და ორი წყვილი იქითა თავში, ისიც ფეხით ფეხზე მიჭირებულები (თავშეკრეცე წოლა ჰქვიოდა, ასეთნაირად მოწყობილ საწოლში ძილსა და მოსვენებასა.), „ამ ბოვშვებს როდისღა აკეთებენ, — წამოსცდა ერთხელ მეუღლესთან საუბარში დარუხანას, — ღამე ერთი უშველებელი საბნის ქვეშ ხუთი-ექვსი მაინც წევს ერთად. დღე მე ვაჭვრიტებ და არ ვეშვები, გამრავლებით კი კურდღლებივით მრავლდებიან...“

„დასწყევლოს ეშმაკმა, მე რა ვიცი“, გაიკვირვა ვარსკვლავისამ, მაგრამ თვითონ დარუხანამ კარგად იცოდა ამ კითხვის პასუხი და ახლა მუთაქაზე რომ აქვს მიდებული თავი, სწორედ ამ ფიქრით ფიქრობს და ფიქრში აგრძელებს საუბარს — იქ, ბანზე, ვარსკვლავისას მისამართით ხმამაღლა ნათქვამ შეკითხვას, გულში თავად სცემს პასუხს: „როდის და, ჩემი ბატონო, სა-

აპთანდილ ყურაშვილი
ცითოვილთა დღესასწაული

თოხარში რომ განმარტოვდებიან, ან შეშის საჭიელად რომ წავლენ, ან კალოობაზე რომ შეიყრიან თავს, ან პურის განიავებაზე, ან სათიბში, ან სიმინდის გარჩევაზე... ჩამოვარდება შემოდგომის ქათქათა მთვარე ფუჩეჩით აზვინულ კალოზე, ჩემი ბატონო და, დატრიალდება ვნების ცეცხლი,— ყველა თავის ვარიკას მისდევს, არის გოგოებისა და ქალების კრიახ-კაკანი, მამლების და ყვინჩილების ყივილ-ხრიწინი... ასე მოდიოდა დღემდე და ასე მიდის სოფელი..ـ. ამ ვარსკლავისას არაფერი ეშველა, — სულო ცოდ-ვილო, ერთხელ ისიც იფიქრა, „მოდი, ოოთამას დავუძახებ, გავენდობი, ერთი-ორი ჩემს მაგივრად წაიმუშაოსო“. დაიბარა კიდეკ, დოქით ღვინო მოიდგეს, მოხარშული კვახი და სიმინდი ბლომად ჰქონდათ, ოხშივარი ცას ღრუბლად ეკვრებოდა. სამი-ოთხი ჯამი რომ გადაჰკრეს... ღლმს მოვახრჩობ, ბოვშებს იქით გოვუკეთებ, ამ ოოთამა ყურუმსაღსო... „შეშა მჭირდება, ჩემო ოოთამ, შენი ჯერია, წლეულს შენ უნდა ჩამომიტანო, ამისათვის დაგიძახე“, — მიუდ-მოუდო მეზობელს დარუხანამ. და ოოთამი რომ გაისტუმრა, ბანზე გამოდგმულ ჰოგრიტში გაიხედა, ის ოისფერი ვარსკლავი დაინახა, წინაღამეს ხელს რომ უწვდიდა და მთელი გულით ეევდრებოდა დარუხანა თუთისანს, — „გაშალე ხელები, ბიჭო! ერთი ამოსუნთქვა, ტანის ამჩატება და ჩემთან იქნები!..“

„ვარსკლავისას ვერ ვუღალატებ, ფიცით ვარ მასთან შეკრული!“ — ნაღვლიანად პასუხობდა აქედან დარუხანა. ვარსკლავს მოწყენილობის თხელი ჩრდილი დაეცა და გადაეფარა პირისახეზე... დაღონდა დარუხანა, — „რა იყო გოგო, — აუჩურჩულდა ოისფერას (ასე ეძახოდა იმ ვარსკლავს დარუხანა), — შენ რომ მიყვარხარ, ისე ვინ მიყვარს ქვეყანაზე, მაგრამ უღალატობის ფიცი მიმიცია, მეცოდება ვარსკლავისა...“

ესენი რომ ამ ყოფაში იყვნენ, ის სიხსლის ზორტი, უნებურად გასცქეროდა ტყვიისაგან რომ გადმოსცდა მწარის ხელს. ნელინელ შემოეხვია ვარსკლავისას ფეხებს, კოჭებზე გამოეხასკვა და შუაგულ კალოზე გაგოგდა თუ არა ქალი, ერთი გამოკვრა კი გამოჰკრა ამ ზორტს მწარიან და დასაჭედი ხარივით ორივე ფეხი ცას შეუყუდა ვარსკლავისამ. რა გაგჭირვებიაო, ქალბატონო! — გადმოსძახა ღობეს იქოდან ფუჩეჩში ჩაფლულ და დანდალა ფეხებაწეულ ქალს მოურავმა. ჩამოვარდნას ეპირება და ცარგვალს ვაკავებო, — აუღელვებლად გადაუგდო ვარსკლავისამ საიდანღაც შემთხვევით გამომტყვრალ მოურავს.

— მე რა შემიძლია, რით გიშველო, ქალბატონო!

— არაფერი. ჩემო გაბრიელ, შენ მიწაზეც ბევრი საქმე გაქვს, ამ ცას უშენოდ მოეუფლი როგორმე, — შეიცოდა ქალბატონმა მოურავი და იგიც, საკუთარ სინდისთან მართალი, არხეინად გაუდგა გზს.

სოფლის თავში ჩამოწოლილი ბინდი მთლიანად მოედო სოფელს, ვარსკლავებმა თვალები დაეჭყიტეს, ამ ყოფაში რომ ნახეს, შეიცოდეს და შეიბრალეს ვარსკლავისას ღვინითბილივით რბილი და სალუქი წვივ-ბარძაყი, ცას ხელი წაავლეს, ზვივით აზიდეს და ზესკნელის ჭერს საიმედოდ მიაკრეს...

გადარჩა ცა ჩამონგრევას.

— ჩემსიგრძე სანთელი უნდა ჩამოვქნა ჩვენი ქალბატონის წვივ-ბარკალის სახელზე და ეკლესიაში უნდა ავანთო. ღმერთს უნდა შევავედრო!

— რა მოხდა, მოურავო, ასეთი! — იკითხა დარუხანამ.

— ბატონო, ცა თავზე გვენგრეოდა და ფეხებით შეაკავა, მაგალ კი ვენაცვალე იმ ბროლის კოჭ-ფეხში, ჩემი თვალით დავინახე, აბა! სხვას რომ ეთქვა. არ დავიჯერებდი, როგორ ეკავა, ბატონო! ქალი კი არა, ლომია, ნამდვილი ლომი, ეგ ჩვენი ქალბატონი! — უყვებოდა მეორე საღამოს ბანზე გამოსულ დარუხანას გაბრიელ-მოურავი.

— უფალს რაღამც შეპირდი, უნდა აუსრულო კიდეც, სანთელი თუ არ გეშოვება, ჩვენგან წაიღე. ბიჭო! — უთხრა დარუხანამ. ფიქრით კი სხვას ფიქრობდა: იქნება ახლა მაინც გამოვიდეს რამე, თორემ ხომ გადაველე ამქვეყნიდან უძეოდ და უმომავლოდო...

მწარია გამოჯანმრთელდა და თავის სახლ-კარს მიაშურა. ვარსკვლავისა კი შესამჩნევად გამოიცვალა. ხედავდა, ბანაგან ვერ ხედავდა დარუხანა, იმის მიხვედრაც არ აკლდა, ვითომ საქმეს უნდა დავხედოო, საბძლისკენ რომ გაგოგდებოდა ვარსკვლავისა; ხანაც ყანებს გადაკრავო თვალს, როდის იყო, წლის მოსავალზე ჯავრით იტკივებდა თავს; ტყის პირებზე სამუარაბე შინდს მოვაგროვებო, ესეც ამ ხნის მანძილზე პირველად გაიგონა მისგან; სულ ბოლო დროს კი ბეღელში დაიწყო მძუნამბა და მოთმინების ძაფიც აქ გაუწყდა დარუხანას.

„კიდევ არას ვიტყოდი, — გამოუტყუდა ერთხელ საკუთარ თავს,—მაგრამ ამ ქალს წელ-მუცელს არაფერი დაეტყო, მწარიას ოფლის ღვრაც ტყუილუბრალოდ ქრება და იკარგება... თავის მოჭრა რაღას მივიმატო!“ — ცოტა შეგვიანებით მოეგო გონს დარუხანა თუთისანი და ბანიდან ნამშრალევისაკენ რომ შემოაბრუნა ჭოგრიტი, სწორედ მაშინ გადაიტანა ვარსკვლავისამ თავისი ქალთა წვივ-ბარიაკი ბეღელის ვიწრო კარში.

— ჰაიტ, შე ძუკნა, შენა! — ხმადაბლა, თავის გულში ჩაიძახა დარუხანამ, ჭოგრიტს ცივად უშვა ხელი, ფეხზე წამოხტა და ბეღლისაკენ გაძუნძულდა...

— ახლა სადღა წამიხვალ, შე მწარიელა გაფუჭებულო! — შესძახა ბეღელში და თავი კარში შერგო.

მწარია ზეზე წამოვარდა. ისე დაიბნა, რა ექნა და რა ემოქმედა, უკვე ვეღარ მოეფიქრებინა, — ბეღელს ერთი კარი ჰქონდა და იმ კარშიაც დარუხანა ჩამდგარიყო. ფორიაქი შეუდგა კაცს. მერე უცებ თვალები გაუბრწყინდა და ვითომ ქვეყანაზე არაფერი ადარდებდა, ისე მშვიდად მიუგო.

— შენ რა, დარუხანა ბატონო! მწარია სულელი ხომ არ გგონია. კარში თუ ჩადექი, ბეღლის უკანა ფიცარი გამოღებული არა მაქვს?! — და, თითქოს, მართლა იქიდან გასხლტომას აპირებდა, მწარიამ პირი იბრუნა.

— აატ! ვერც მაქედან გამასწრებ. შე ძუბაკო-მამაძაღლო, შენა! — იქუხა დარუხანამ და ბეღლის უკანა მხარისაკენ შეტრიალდა. მწარიამ დრო იშოვა, თავისუფალ კარებში დურთა თავი და შინისაკენ მოკურცხლა...

— არც ახლა წამოხვალ?! — ეკითხებოდა ის იისფერა ვარსკვლავი ციდან რომ ხელებს უწვდიდა წინადღეს, ბანზე, ჭოგრიტის ფეხთან მოწყენით მიმჯდარ დარუხანა თუთისანს.

— აბა, რა ვიცი?! თვის ზვინს ხომ ხედავ, იისფერა!

-- ვხედავ, როგორ არ ვხედავ! — მიუგო იისფერამ.

— ჰოდა, ერთი ქვევრი კიდევ მაქვს გადამალული. იმ ქვევრში, ჩემი იისფერა, ქვეყნის ქვეყანაზე სახელდაგდებული ბრძენი კაცი მყავს ჩამწყვდეული, ვნახავ, დავეთათბირები, რასაც მირჩევს და მეტყვის, იმის სიტყვას არ გადავალ...

გათენდებოდა, გავიღოდა სათათბიროდ დარუხანა თუთისანი, დაღამდებოდა, გაბრუებული დაბრუნდებოდა შინ, გათენდებოდა, კვლავ გავიდოდა, დაღამდებოდა; კვლავ გაბრუებული შემოიქცეოდა სახლში. თენდებოდა, ღამდებოდა; ფხიზლდებოდა, ბრუდებოდა... ასე გავიდა ნახევარ საუკუნეზე მეტი დრო. დარუხანასაც მოსწყინდა წინ და უკან სიარული, ადგა, იქვე ცარიელი ქვევრი ეგულებოდა, შიგ ჩაძვრა და როცა გამოფხიზლდებოდა, ამოიწვდიდა გრძელტარიან ორშიმოს, გადაჰყოფდა

ავთანდილ ყუარაშვილი
ცითელილოა დღესასწაული

ეროვნული

იმ ბრძენკაცის სამეზობლო ღობეზე და იწყებოდა დარუხანასა და იმ ქვევრში ჩამწყვდეიული ბრძენკაცის გაუთავებელი თათბირობანა, თუმცა ბევრი სახეირო აზრი მისგან ვერაფერი გამოიტანა. თავად დარუხანა გაიძახოდა, ვერაფერი გამოვიტანეო, თორემ, მე რომ მკითხოთ, ბოლად მასე როდი იყო საქმე — ამდენი ხანი მაინც ხომ... მოიცა, კაცო ქვევრში თუ ჩაჯდა, ჯერ ერთი, ესეც მისი სიზარმაცის ბრალია, მეორეც, ვანა სასარგებლო აზრის გამოტანის იმედით არ მოიქცა ასე?! ექვსი ათეული წელიწადი ცოტა დრო როდია და არამც და არამც ცოტას არ ნიშნავს... დაგიჟინია, უაზროდ, უაზროდ გაატარაო! კი, ბატონო, ვთქვათ, უაზროდ გაატარა. მაგრამ მთელი ცხოვრება რომ არხეინად იფარფაშო ამ დალოცვილ მიწის ზურგზე, ისიც არაფერია?!. ახლა იმ სამოც წელიწადს მიუმატე სიფხიზლეში გატარებული დარუხანას ორმოცი წელიწადი და ესეც შენი მრგვალი საუკუნე...

სწორედ თავისი ცხოვრების მიწურვის ჟამს, საუკუნის თავზე ამოძვრა იმ ქვევრიდან დარუხანა თუთისანი, დაუძახა დიომიდე გიორგობიანს და სთხოვა: ლევანა მომეცი, შვილად გავზრდი და კაცს გამოვიყვანო. დიომიდემ იცოდა, ორი პარასკევი აღარ ჰქონდა დარჩენილი დარუხანა თუთისანს, იფიქრა, უარი რომ შეეკადრო, რაც არ უნდა იყოს, ამოდენა ადგილ-მამულის პატრონი კაცია და გლეხის შვილისაგან უარი არ ეთქმებაო...

დარუხანამ, თუკი რამე იცოდა, თუკი რამე გაეგებოდა ამა ქვეყნისა, თავისთვის არაფერი ჩაუტოგვბია, ყველაფერი ლევანას გადაუბარა პირწმინდად. ის ბატისფეხური წერა-კითხვაც იმან შეასწავლა; ვარსკვლავებისაკენ ჭოგრიტის მიმარჯვებაც დარუხანამ შეაძლებინა; ლექსაობა-შაირობაშიც დარუხანამ გაწყიფა და ის ძველისძველი ფოლიანტიც მარცვალ-მარცვალ ამოკითხა და ძალისძალად შეასწავლა დარუხანამ; გულისხმად ყოფა და ფიქრთან მარტოდმარტო ულელში გაბმა ისეგ დარუხანას მადლი იყო...

— ლევანა, შვილო! — შეეზრახა ერთ დღეს დარუხანა თუთისანი, — გლახა დროს დავიბადე, ბიჭო! მთელი ასი წელიწადი ბნელსა და ბემბეცოში ვიგვარგვნებოდი... წინაც ისევ ბნელი და უკუნი მიმელის; უძირო ქვევრში ვიჯექი და ისევე უძირო ქვევრში უნდა გადავჯდე; სიბნელიდან სიბნელეში; ქვევრიდან ქვევრში... რას ვიტოვებ, შვილო? ჩემს უკუღმართ წარსულს, ამ ძველთაძველ ჭოგრიტს, ბისი რომ არაფერი გამეგებოდა, ხოლო ამბად გამიგია, ჩვენი ძველები ცასა და მიწას ამ ჭოგრიტით კერავდნენ და აერთებდნენ თურმე; ის ასოებიც ხომ დაგიტოვე. შვილო! ის ფოლიანტიც ხომ ზეპირად შეგასწავლე, ბიჭო, ჰოდა, ჩემ, სიცოცხლის ასი წლის გორგალს ეს აზრი მაინც ჰქონია! წამიკითხე, შვილო, ის ფოლიანტი...

დარუხანა თუთისანი ციხე-კოშკის ბანზე გაშლილ ნაბდისძველაზე იწვა. ხორცი სულ მთლად დასცვენოდა. ისეთი პირისახე ჰქონდა. ის თოვლივით სპეტაკი თმა-წვერიც ეგრერიგად შეენოდა, ხორცშესხმული მამა-ღმერთი თუ ვინმეს უნახავს, იგი ნამდვილად ასეთი უნდა ყოფილიყო.

ლევანამ ერთი ხმადაბლა ჩაახველა...

— აბა, ბაბუ, წამიკითხე. შვილო! — აჩქარებდა დარუხანა.

„ვარსკვლავთა, ანუ ცთომილთა დღეასსწაული, საკვირველი თვალისეირი. ბიბინა ლაჟვარდ ცაზე ოქროსფერი მყივარი ფრინველების გუნდის და გუნდის გადაფრენის სახილველზე უფრო ზეაღმტაცი სახილველი, კაცის თვალით იშვიათად დანახული, ცათა შიგან მდგომთა ზარისა და ზეიმის გამომხატველი, ქვეყანაზე მობრუნვადების წელიწადსა ათას რვაას ორმოცდახუთსა და წელიწადსა ათას ცხრაას ოთხმოცდაორსა; იქნება წარღვნით, იქნება ცეცხლით და ცეცხლის ტალახით, იქნება გვალვითა და მიწის ვარდნებით...“

ლევანამ კითხვა დაამთავრა, ცის კი-

დეს თვალი მოსწყვიტა და მოხუცისაკენ გაიხედა. დარუხანა თუთისანს ორადორი ცრემლი გადმოუგორდა იმ საცრისხელა თვალებიდან. ცრემლი იყო-მეთქი, ვამბობ თორემ, ლევანა დაბეჯითებით გაიძახოდა. ცრემლი კი არა, ორი ლოდი გადმოუცურდაო თვალებიდან დარუხანას, ერთი წითელი, უფრო სწორად, სისხლისფერი, მეორე ლურჯი. უფრო სწორად, ცისფერი. სისხლისფერი მთიდან გადაეშვა, სოფლისაკენ დაქანდა და ვიდრე მიწაზე დაეცემოდა, წითელ მტვრად იქცა, გაიფანტა და გადაეფინა ქვეყანას; ლურჯი—ერთი შექანდა, ჰაერში აიჭრა. ამსუბუქდა, ამსუბუქდა, გაიშალა, განეფინა და ცისაფერს, ლაჟვარდს შეერწყა და შეერია. დარუხანა თუთისანის ვეება ტანი თითქოს ამ ორმა უცნაურმა ცრემლ-ლოდმა თან გაიყოლაო, მართლა აღარსად ჩანდა. ლევანამ ბანზე გამოდებულ იმ ჭოგრიტს ფრთხილად მოჰკიდა ხელი. აიღო, ბეჭზე გაიდო და მამის სახლში დაბრუნდა...

24. სოფელმა რომ ახალი გზა გაჭრა და იმ გზას თავისუფლებისა და განახლების ქარი რომ შემოჰყვა, ეს უკვე გიამბეთ, მაგრამ ის არ მომიხსენებია, ამჯერადაც სადარუხანო ციხე-კოშკის იმ ძველთაძველი ნაგებობიდან ქვა ქვაზე არ დარჩენილა. განა იმისათვის დაანგრიეს, რომ ცას აუჯანყდნენ და რწმენას საბოლოოდ მიაფურთხეს, ხალხმა აიწყვიტა. იფიქრა, ძველ ცხოვრებას ვანგრევთ და რაღაც ნგრევაა, ყველაფერს ერთიანად მოედო. გვიან, როცა უკან მოიხედავთ და ის ოცნების ლამაზი ნავსაყუდელი აღარსად იქნება, აღარ იქთქთებს მიწიდან ცისკენ ასროლილი თეთრი და თეთრი კიბე-საფეხურები. სინანული წაგგლეჯთ გულებს, მაგრამ მკვდრის გაცოცხლება შეიძლება?! ვერც სინანული აღაგებს ხელახლა ათასბაბადან წამომართულ სადარუხანოს იმ ციხე-კოშკს...

...დგას ახლა ლევანა თავახდილ სკივრთან. იქვე, თითქოს ნიავი ფუტკრავს და ფოთოლი ცახცახებსო, დარუხანა თუთისანის ლანდი ირხევა. მისი საცერა თვალებიდან, თვალებიდან კი არა, ნაღვლის ორი მობრუნავიდან მწუხარებისა და კაეშნის ბინულები გადმოდის და გადმოდის... მე ამგვარი მხოლოდ ღელიდან ღელეში ფეხჩადგმული ცისარტყელა მინახავს სოფლის გადაჭრილ ცაზე. კაეშნისა და ნაღველის იმ ორ ბინულში დარუხანას თვალებიდან რომ მოინთქრეოდა, ცისარტყელა ამორკალულიყო, — არა ფვიდფერი, არა ცხრაფერი, არა ნაირფერადოვანი, — მას ერთადერთი ფერი — ნაღვლისფერი შემოჰბურვოდა. როგორც სიტყვას თავისი ფერი გაანრნა. ფერსაც თავისი სიტყვა და შინაარსი აქვს, თავისი კილო-ხმა და სათქმელი მოსდევს. ამ ნაღვლისბინულმაც ერთი წაკითხა ლევანას: „ნახევარი საკუნე ცოტა დრო როდია, ბნელ ფსკერზე იწვე და ელოდე ქამის დადგომას...“

ლევანას შერცხვა. ლანდს თვალი აარიდა, თავიც ისე ჩამოუვარდა, თითქოს კისერი მოსწყდა და ნიკაპიღა იმაგრებსო მკერდზე. ჭოგრიტი ზემოთ ამოსწია, ხომ ეგონა, და მართლაც ასე მოჩანდა კიდობნის მუჯუროში, — ოქროსფრად ლაპლაპებსო, დღის ნათელზე ამოტანილი კი სულ მწვანედ ხასხასებდა ჭოგრიტი. იფიქრა, ამასაც მტვერი დასდებიაო, ხელი გადაუსვა, ფიფრიც ვერ გადაუშორა; სული შეუბერა, ჭინჭიც გადაუშალგადმოუშრაშუნა, შენც არ მომიკვდე, ვერაფერი დააკლო... იმ ფეხგამოსულის ლორთქო ბალახივით, სინათლეს რომ ეტრფის და ასდევს, იგი თავისი განახლებული სიმწვანით, ეჭვგარეშეა, ისევე ცას მიეღტვოდა. ლევანამ ფეხი გამოუღო, გაუმართა, „აბა, ერთი გარეთ გავიტანოთ!“ — ამოილაპარაკა დარუხანა თუთისანის გასაგონად და ყელ-კისერიც ძველებურად, მოხდენილად დაიყენა; მიიხედ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოიხედა. მაგრამ დარუხანა თუთისანის ლანდი აღარსად იყო. ცოტა კი შეჩქვიფდა ლევანა, ამ ბოლო დროს ეს რა მოჩვენებები დამეწყოო, ხელი ჩაქნია: „რაც არის, არის, ყველაფერი განგებისაგან მოდის!“ — ჭოგრიტი აივანზე კაიტანა და ლილა ცას დაუმიზნა...

ორღობეში, ჩელტის ჭიშკართან საქონელმა მოაბღავლა, — საჩიხეში შევბას ითხოვდა პატრონის ნებიერი პირუტყვი...

25. ღელის ნაპირას ჩამჯდარი თუთია დიდხანს უცდიდა და ელოდა, სადაც არის სიტყვას მომიტანს და გამახარებსო, მაგრამ არც შემონათვალი, არც არაფერი სიტყვა ღელეს არ მოჰქონდა. აღარ ახსოვხარ იმ შენს ბატას, ჩვენ რაღას გვემართლებიო, — შესჩუხჩუხებდნენ ქვემოდან პატარა ღუნოფლა ჩქერები ლოდინით გაბეზრებულ ქალს და სიყვარულით ლამის მუხლებში შევარდნოდნენ. ამ უკუღმა ცქერაში ბროლის ჭიქებივით ემსხვრევ-ეფშვნებოდნენ იმ გალეხჩებულ, ღღმეუდამ წყალში გდებისაგან გამოლიპულ ქვებზე და თვალებიდან სულ ნაშინშხლები სცვივოდა. ბოლოს და ბოლოს, ქინატანილმა ღელემ იმდენი მაინც მოიმოქმედა, საცვალი სულ გამოუსველა და გასაწურავი გაუხდა გოგოს. თუთიამ მიიხედ-მიიხედა, ხომ არავინ მიყურებსო, კაცის ჭაჭანება არ იყო; მაინც ვერ ინდო ის მოშვლეჩილი ადგილი, თმმელის ბუჩქებს იქით დარანი მოძებნა... მზეზე გამოვიდა, წყალში ჩადგა. ის ბედნიერი პერანგის ამხანაგი ორჯერ-სამჯერ პირში გაავლო და გამოავლო ასურვილებულ ჩქერალს.

ჩემი საწყალი საყვარელი ღელე, სულ გაგიყდა და გადაირია, —ხან იქით მიაწყდა გარეტებული და შეეფეთქა ქვებს; ხან აქეთ მოაწყდა გამორეტებული და შემოეფეთქა ტინებს, მერე შლეგად გამხდარი, წისქვილის ღარში ჩავარდა, იქ ბორბალს ეძგერა, წელზე შემოესკვნა, მკერდში მაგრად ჩაიკრა და დააბზრიალა, თითქოს, ეს ეს არის, თუთიას მიეჭრა, წაავლო ხელი, აიტაცა და სამუდამოდ შემოსალტაო ქალი!

ამასობაში იმ შეჩვენებულ გოგოს გაუწურავს კიდეც საცვალი, ბევრი ვიტრიალე, თვალი ვერსად მოვატანე, ვერ დავინახე, სად გადაკიდა — ღობეზე თუ ღობის სარზე; ღელის გამოღმა ნაპირზე თუ ვაზის ხარდანზე, გაღმა. თუმცა, თქვენც ხომ იცით და, ცოტა მეც გამეგება ამ ამბისა, როდის იყო შეღერებული ქალი მილიონი თვალის სასეირნოზე ჰფენდა ამ მშვენიერ სიიდუმლოს, ზოგ-ზოგებმა შეიძლება ისიც მითხრას: „რა იცი, იქნებ პირდაპირ, ეგრეევ სველში ჩაყარაო ბარძაყები!..“ აქაც ცოდნაა, მეგობარო, საჭირო! ქალური ქალი სველს არასოდეს შემოიტმასნის ტანზე, ურჩევნია, შიშვლად იაროს... მეც აგაყვეთ რაღა, ნამდვილად ვიცი, რომ არ ჩაუცვამს და ახლა თუ ვერ გაჯერებთ, მალე დარწმუნდებით ნათქვამის სიმართლეში. არსებითი რომ არ იყოს, დროს ვინ მამაძაღლი დახარჯავდა ამ სისულელის მტკიცებაში, მაგრამ ასეც ხომ ხდება, ბევრი დიადი საქმე სრულიად უწყინარი სისულელით იწყება და სიდიადის შარავანდედი სამუდამოდ აღარ ეხსნება... რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა, პირქითაც ხდება! — რა ხალხი ხართ, ენის მობრუნებას არ აცლით კაცს, — ისიც მინახავს, ბევრი დიადად გამოწყებული საქმე, რომ სისულელით დამთავრებულა და უკანასკნელი კახპა დედაკაცის საცვალის ფასი რა არის! ისიც არამიაო მასზე, განა ერთხელ და ორჯერ მოგიბრუნებიათ სიტყვა?!. ჯანდაბას ყველა ზედა და ქვედა საცვალი, ვინ ოხერმა გამოიგონა, ყველაფერი კაცის საწამებელია...

„არა გრცხვენიან? მიწა როგორ არ გაგისკდება, ეგეთებს რომ ლაპარაკობ, სად ის მაღალი მატერიები, ჩვენ რომ ველტვით და ვესწრაფვით და სად ეს მოცოროროს ამბები!“ — ჩამომიჭრა მანამ. ამ დროს, თქვენზე უფრო ვინ

იცის, ძვირფასო მეგობრებო! ის ყურმსაღი, ენა რომ არ მოუბრუნდება ამ უპატივცემულო სიტყვის ამოსაფქველად, ცხრა მთას იქიდან ეზიდება საკუთარი ბაღჩა-ბოსტნისათვის აბრეშუმის, ატლასის და ასე შემდეგ, ვინ მოთვლის, ვისგან და რისგან მოქსოვილ-მოქარგულებს. ამიტომაც ვკადნიერდები და თქვენს მაგივრადაც ვეუბნები: ნუ დაგვიწყდება, ჩემო იმანო! რომ ყველა მატერია ქალის საცვლის თარგზე იჭრება მაინც...

მესიზმრა, დიდი, ძალიან დიდი კაცი ვიყავ, მზის გადახრილი გახლდათ და შინ მობრუნებული, ჩემი ატლასის ნიფხავ-პერანგის ამარა საჭმელს შევექცეოდი. რა თქმა უნდა, აუტანელი სიცხე იდგა და ამის გამო ვიჯექი ასე ხალათად. ცოლმა მთხოვა, ბიჭს გადასძახე, ეზოში ბურთს თამაშობს და ამოვიდეს, უიმისოდ საზამთროს ნაჭერი ლამის ყელში გამეხიროსო. მეც ავდექი, კარადიდან ხალათი გამოვიღე, ჩავიცვი; ჰალსტუხი გამოვინასკვე ყელზე, პიჯაკში ხელები გავუყარე და აივანზე გადავდექი. წელქვემოთ, თავი არ შემიწუხებია, ვიცოდი, მაინც არ გამოვჩნდებოდი.

—ამოდიო, დედიკომ! — გადავძახე ვაჟიშვილს... ოთახში შევბრუნდი, პიჯაკი გავიხადე, ჰალსტუხი მოვიხსენი, ხალათი თავის ადგილზე ჩამოვკიდე, რომ...

— მამი, მამი! — მეძახის ჩემი ბიჭი ქვემოდან.

რაღას ვიზამდი, როგორც ჩემს მდგომარეობაში მყოფ კაცს შეეფერებოდა, ისევ წელს ზევით ჩავიცვი და ჩავჯექი თორ-მუზარადში, გარეთ გავედი და: რა გნებავს-მეთქი, შვილო!

მამი, მამი! მთელი ეზოს ბიჭები გთხოვენ, ჩამობრძანდი და ჩვენთან ბურთი გაადგრეო. შვილს ხომ არ გავაწბილებდი, თანაც ჩემი ცხოვრების მატიანე კიდევ ერთი საინტერესო ფურცლით შეივსებოდა, ბავშვებთან თამაშს არ თაკილობდა, მათთვისაც ნახულობდაო დროსა და საათს, განა ასეთ შემთხვევას ჭკუიანი კაცი ხელიდან გაუშვებდა? ჰოდა, მეც ავდექი და, როგორც ვიყავ, ასე ჩავბრძანდი ეზოში. წვიღებ ბურთს მოწინააღმდეგის კარისკენ, რას ვხედავ, კაცი ვერ მიდგება წინ, სულ აქეთ-იქით ეფინებიან, ხუთი-ექვსი გოლი მაინც გავიტანე... მალე ისევ ზევით ავბრუნდი. ცოტა ხნის შენდეგ ჩემი ვაჟიც ამოვიდა.

— ეს რა ხუმარა მამა გყოლიაო, გადაირივნენ ბიჭები, მამი!

— ვითომ, რადაო, შვილო!

— მართლა, მაგარი მასხარა ყოფილხარ, მამი!

— რადა, ბიჭო, გამაგებინე, შვილო! — გაოცებული ვეკითხებოდი მე.

— კარგი, კარგი! თავს ნუ იკატუნებ, — მითხრა ბიჭმა, ხელი წამავლო და სარკესთან მიმიყვანა.

— აბა, ვინ არის ის კაცი, თუ არა დიდებერიკა და მასხარა! — სარკეში ჩამახედა ბიჭმა.

სარკიდან დიდი, ძალიან დიდი კაცი მიმზერდა, — ქოჩორი კოხტად გადავარცხნილი გვერდზე; პირისახე გაპარსულ-გასანსაღმული; ჰალსტუხი კოხტად გამონასკვულ-მობეჭილი; ხალათი ჰალსტუხის ფერისა; პიჯაკიც კარგად მადგა ტანზე... შარვალი?!. მივხვდი, რატომაც ეფინებოდნენ აქეთ-იქეთ ის ბავშვები. სიცილი ცელავდათ თურმე!

— არა, ხუმარა როდი ვარ, ბიჭო, არც მასხარა გეგონო, შვილო! ხუმარებს კარგა ხანია, ყულფი გამოუნასკვეს; მასხარებიც კედელთან ააყუდეს. მერედა, თუ იცი, ვინ ჩაიდინა ეს საქმეები?! — მივუბრუნდი შვილს. ბიჭმა მხრები აიჩეჩა, თავი ჩაღუნა და მიწას დააჩერდა. — ტაკიმასხარას ოინებია, ტაკიმასხარას ცაზე მიუწვდება ხელი. სიმართლე თუ გინდა, ასეა და ეგ სიბრძნე გულში უნდა დაიმახოს — ტაკიმასხარების იყო და არის ყველაფერი — ისტორიის გამოცდილებას თუ გავითვალისწინებთ და მთელ ტაკიმასხარულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიბრძნეს მოვიშველიებთ, მომავალიც მათ ზარებს დაარისხებს... ტაკიმასხარაა ჩემი სახელი და კვლავ გიმეორებ, გახსოვდეს, ცასა და მიწას შორის მოქცეული მთელი ქვეყანაც მათი კუთვნილებაა; აკი გითხარი, ხელი ცაზე მიკიდია-მეთქი!..

— გაუშვი რა, ცოტა ხანს გაუშვი, რა მოხდება, გაუშვი! — შემომევედრა ბიჭი.

— ვერ გამიძლებს დედამიწა, შვილო!

„ოდესღაც შენც ხომ მიწაზე იდექ!“ —ჩამომძახის ვიღაც უჩინარი ყურში.

„ვიდექ და, რა კარგი იყო!.. ეჰ, თუნთა ახალი შერთული მყავდა. ბეოლის ფოთოლზე წავედით. იმ წელიწადს აბრეშუმი დავიყენეთ, დავიყენეთ კი არა, ძალის ძალად შემოგვაჭეჩეს; კი არ შემოგვაჭეჩეს, დაგვაყენებინეს. ცისკენ ამაღლებაც მაშინდელი საქმეა, მაგრამ ეს შემდეგისათვის...

ერთი ჯაჯა ტომარა თუნთამ აიღო, ერთიც მე დავეჭირე და გავყევით ღვინისღელის ნაპირებს. კარგად რომ გავზეზეთ ფოთლით, ის წინ გავუშვი, მე უკან მივდევ... ღელეში ვიდრე ჩავიდოდა, გავხედე, კაბა არ დამისველდესო, ქალთა მუხლებს ზემოთ აიკრიფა, ჩქერებში შეტოპა და ისე მიდის, სულ თეთრად ქათქათებს...

„აბა და ჰე, ბიჭო!“ — შევძახე ჩემს თავს გულში და ნაპირზე გასვლა ვინ დაიცალა...

გავხედე და, ჩვენი ტომრები ეგერ ეე, იქით მიაქვს წყალს. მაშინ მე გემო ვნახე... იმ წელიწადს აბრეშუმიც ძვირფასი მოვიყვანეთ.

ის ამბავი თუ გახსოვსო! — ხშირ-ხშირად მეკითხება თუნთა. მაგრამ, საკმარისია, ხელი ძირს ჩამოვიღო, მიწა ვეღარ გამიძლებს, ჩავარდება და ჩაიტანს ყველაფერს.

— ღმერთმა ორი ხელი დამაყოლა და ორივეთი ცის ქანჩალაზე ვკიდივარ, ქალბატონო თუნთა, თორემ...

— ერთი წუთით გაუშვი რა, მამი!

— გაუშვი, შე კაცო, რა მოხდა გაუგონე ბიჭს! — ყველზე მეკონწიალება ცოლი. ტანს ძლივსღა ვიჭერ, სადაც არის, ხელები მისუსტებს და ლამის ბუდიდან ამომიხტა გული...

გამომეღვიძა და ღმერთს მადლობა შევწირე — ის დიდი, ძალიან დიდი კაცი მე რომ არ ვიყავი მართლა.

სულაც არ ვაპირებდი სიტყვის გაგრძელებას, მაგრამ ის ვიღაც დაუდგაური — სახელი რომ არ დაერქმევა: გვარი რომ არ მიეცემა; ქალიაო, რომ ვერ იტყვი; კაციაო, ვერც კაცობას დაუბრალებ, ის მავანი არ მიშვებს და არ მასვენებს, ხან შამფურს გამიყრის, ხან მოჩუხჩუხე საწამლავს შემომაძლევს...

ყველაფერს ვუძლებ და მედგრად ვიტან ამ უკანასკნელი იარაღის გარდა... ის მოჩუხჩუხე საწამლავი საოცრად ტკბილი და დამშანგავი, ყველა კლიტეს ამსხვრევს; ყველა კედელში გადის, ყველა მართალ გულს ჰყონავს და აჩერებს. გაითვალისწინეთ ჩემი გამოცდილება, ერიდეთ მოჩუხჩუხე საწამლავს —გამოსავალი ერთია, საგრთოდ უნდა დასწყვეტოთ ტკბილი, მოყოლებული სიტყვატკბილიდან, დამთავრებული შაქარტკბილებით...

საიდან დავიწყეთ და სად მოვედით, მაგრამ, იმედია, არ გამკიცხავთ, აკი ზემოთა ვთქვი და მგონი, თქვენც კვერი დამიკარით: „სიტყვებიც ვარსკვლავებივით არამყარები არიან — უფრო სწორად, ცთომილებივით, გარეგნულად რომ ვარსკვლავებს ჰგვანან, მაგრამ არას დაგიდევენ ვარსკვლავების მოძრაობის საერთო კანონ-წესებს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოდარ ვლადიმერის ძე დუმბაძე

თითქოს შეგუებული ვიყავით, ველოდით ამ მძიმე დღეს. მაინც მოულოდნელი და თავზარდამცემი გამოდგა მისი სიკვდილი.

ამ ორიოდე წლის წინ საგურამოში ვინახულე. ვერ იყო კარგად. მაშინ ვუთხარი, თაობის მედროშე ხარ-მეთქი. ასეც იყო. ამიტომაცაა ტკივილი მძიმე.

როცა ექიმებმა ქალაქგარეთ ცხოვრება ურჩიეს, ერთი პატარა ქოხი საგურამოში მომიხერხეთო, გვთხოვა. მოგვიანებით გამომტყდა: აქ დიდი ილიას აჩრდილს ვემუსაიფებიო. მას ჰქონდა უფლება ილიასთან ელაპარაკნა.

კარგი კაცი რომ წავა ამ ქვეყნიდან, იტყვიან ხოლმე — ვალმოხდილიაო. მან კი ვალი ბოლომდე ვერ მოიხადა. წარმოიდგინეთ: გათეთრებული, ღრმად მოხუცი ნოდარ დუმბაძე. რამდენს შექნიდა კიდევ კაცობრიობისათვის ეს უნიჭიერესი მწერალი და ბრძენი მოღვაწე!

საქართველოში კარგად იციან: არ არსებობს უბედურება, მას რომ არ დაატყდა თავს, ბავშვობიდან მოყოლებული. იყო უსამართლობაც, უკანონობაც, უახლოესთა დაკარგვაც. მოშურნე კაცის მიერ დაკოდილი გულის ტკივილიც და გაჭიანურებული უკურნებელი ავადმყოფობაც. თითქმის ოცდაათი წელია ვიცნობდი, ვმეგობრობდი. ერთი სიტყვა სამდურავი არ გამიგია არავის და არაფრის მიმართ. ზეადამიანური, ზეციური სულგრძელობისა იყო.

ნოდარ დუმბაძის უკვდავება მისი გნირებია. მის სიფლავს არ სჭირდება ადგილის ავტორიტეტის მოშველიება. საზოგადოებამ გადაწყვიტა და, მე მგონი, სწორადაც: ქალაქთა შორის უკეთილშობილეს, — ბავშვთა ქალაქში მიუჩინოს სამუდამო ბინა. ამ ზღაპრულ ქალაქში დასახლდებიან საქვეყნოდ ცნობილი მისი გმირები: ზურიკელა, ბები, ილიკო, ილარიონი, ხატია და სხვები და სხვები. ნოდარ დუმბაძე, ამ საოცნებო ქალაქის დამაარსებელი, თავის პერსონაჟებთან ერთად, გარდაცვალების შემდეგაც იცხოვრებს, იბრძოლებს, იშრომებს მომავალ თაობათა საბედნიეროდ.

ძნელად თუ წარმოიდგენ ადამიანს, ნოდარს რომ გულწრფელად არ დაიტირებს. ყველაზე მეტად, მჯერა, ახალგაზრდობას ეტკინა გული. ყოველი სიტყვა მისი დიდი შემოქმედებიდან, მისი მღელვარე ცხოვრების ყოველი წუთი ახალგაზრდებისადმი იყო მიძღვნილი. ჩვენი საუბრებიც ამ თემით იწყებოდა და ამითვე თავრდებოდა. ნოდარ დუმბაძე უბრწყინვალესი მაგალითია: როგორ უნდა გიყვარდეს თავდავიწყებით მშობელი ხალხი, როგორ უნდა განიმსჭვალო ღრმა პატივისცემით სხვა ხალხების მიმართ, როგორ უნდა იღვწოდე ერთა შორის ძმობისა და მეგობრობის განსამტკიცებლად.

ნოდარი მთაში ნაპოვნი კრისტალივით სუფთა პიროვნება იყო. მას ჰქონდა მორალური უფლება, მთელი თავისი მწერლური, პუბლიცისტური, სახელმწიფოებრივი მოღვაწეობით კომუნისტური ზნეობის უმაღლესი პრინციპები ექადაგა და ემკვიდრებინა: გამორჩეული, გამორჩენილი კომუნისტი გახლდათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ჩვენ ვამაყობთ, რომ იგი ჩვენი თანამედროვე, თანამოაზრე და თანამებრძოლი იყო საკაცობრიო კომუნისტური იდეალებისათვის ბრძოლაში.

ამიტომაც მივმართავთ დღეს ჩვენს ახალგაზრდობას: ნოდარ დუმბაძის ცხოვრება და შემოქმედება ხელთუქმნელი ძეგლია ნიჭიერებისა, შრომისა, შეუპოვარი ბრძოლისა, ჭეშმარიტი გმირობისა, ერთგულებისა და პატიოსნებისა, კაცურკაცობისა. იხელმძღვანელეთ ცხოვრების იმ კანონებით, რომლებმაც ნოდარ დუმბაძე, ერთი უბრალო, ობოლი ბიჭი, თავისი ქვეყნის გამოჩენილ მოღვაწედ აქცია.

ედუარდ შევარდნაძე,
18.09.84 წელი,
თბილისი.
(„ლიტერატურული საქართველო", 20. 09. 84 წ.).

მუდამ ჩვენთან იქნება

გარდაიცვალა ჩვენი უსაყვარლესი მწერალი ნოდარ დუმბაძე. უსაზღვროა ჩვენი მწუხარება, აუნაზღაურებელია ჩვენი დანაკლისი. ნაადრევად დასრულდა მიწიერი სიცოცხლე ერის სასიქადულო შვილისა, რომელმაც თავის მოთხრობებითა და რომანებით ახალ სიმაღლეზე აიყვანა ქართული პროზა.

დავკარგეთ უფროსი მეგობარი, ჩვენი ჟურნალის გულშემატკივარი და მოამაგე, უსაყვარლესი და გამორჩეული მწერალი. თითქმის ყველა ძნიშნელოვანი ნაწარმოები ნოდარ დუმბაძისა ხომ „ცისკარში" დაიბეჭდა. სხვადასხვა დროს „ცისკარმა" გააცნო მთელს საქართველოს მისი ბრწყინვალე, კოლორიტული და მრავალფეროვანი შემოქმედება. ყველას გულწრფელად გვიხარია მისი მწერლური ზეაღსვლა: საკავშირო ლენინური კომკავშირის პრემია, რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემია, სსრ კავშირის ლენინური პრემია. ჟურნალ „ცისკარში" გამოქვეყნებული მისი ნაწარმოებების პერსონაჟებმა მთელი საბჭოთა კავშირი, თითქმის მთელი მსოფლიო მოიარეს. უამრავ მკითხველს აგრძნობინეს მისი გულის სითბო, ქართული სიტყვის ძალა.

დიდხანს ავადმყოფობდა, მაგრამ არ იმჩნევდა, დათმენის ნიჭი ჰქონდა და ერთგულად, უმწიკლოდ ემსახურებოდა დიდ ქართულ მწერლობას. ახლა, როცა ჩვენს გვერდით აღარ არის, როცა ყველას, უკლებლივ ყველას, გული დაგვწყვიტა მოულოდნელად, გვიჭირს იმის წარმოდგენა, რომ ვერასოდეს შეგხვდებით შესანიშნავ მწერალს, საზოგადო მოღვაწეს, განუმეორებელ პიროვნებას.

მისი შემოქმედება უსაზღვროდ შეიყვარა ხალხმა; განა საიდუმლოა, რომ ასეთი პოპულარობა, ამგვარი საყოველთაო აღიარება და სიყვარული კარგა ხანია სიცოცხლეში არავის მოუმკია.

ნოდარ დუმბაძის ავადმყოფობის ამბავი ელვის სისწრაფით მოედო მთელს თბილისს, მთელს საქართველოს. ჩვენთან, „ცისკარში", სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის ადამიანები მოდიოდნენ, ტელეფონზე გვირეკავდნენ, წუხდნენ, აინტერესებდათ საყვარელი მწერლის ჯანმრთელობის მდგომარეობა.

გრძნობდა სიცოცხლის დასასრულის მოახლოებას, გრძნობდა და ჩვეულებრივ ხუმრობდა. მისი იუმორი არასოდეს ყოფილა მხოლოდ იუმორი; უცნაური ძალა შესწევდა ღიმილისა და ტკივილის შერწყმისა, ცრემლისა და სიხარ-

ულის გამთლიანებისა, სევდანარევი ბედნიერების გამხელისა. მის ღიმილში მოუხელთებელი სევდის ანარეკლი მუდამ ილანდებოდა. სიკვდილს სიმღერით შეხვდა. მეგობრებთან ერთად იმღერა ბალაბაში. მაგნიტოფონი მიიტანეს და ჩაწერეს. იცოდა ეს მისი უკანასკნელი სიმღერა იყო, გედის სიმღერა. ექიმისთვის უთქვამს: „საიქიოს გზას უკვე თვალდახუჭული ვაგნებო“. ეს იყო ალბათ ყველაზე უფრო მწარე ხუმრობა. ასე ვაკაცურად ღიმილნარევი მწუხარებით შეხვდა სიკვდილს — ვალმოხდილი, სულგრძელი, თანამედროვეობის დიდი მწერალი ნოდარ დუმბაძე.

უნებლიეთ გვახსენდება: „ბატონებო, გული, გული სადღაა? გულის მაგიერ ვერფლიდა დარჩენილიყო“.

მისი გული საქართველოს, ქართული მწერლობის სიყვარულში ჩაიფერფლა.

ბატონო ნოდარ, მსუბუქი იყოს თქვენთვის საქართველოს წმინდა მიწა.

ჟურნალ „ცისკრის“ სარედაქციო კოლეგია

სიყვარულის შარავანდედი

ნოდარ დუმბაძის გარდაცვალება თავზარდამცემია მთელი ქართული მწერლობისათვის, მისი მრავალმილიონიანი მკითხველისათვის, მაგრამ „ცისკრის“ რედაქციას და სარედაქციო კოლეგიას, ალბათ, აქვს გამორჩეული გლოვისა და მწუხარების უფლება. „ცისკრის“ ფურცლებიდან მოევლინა იგი თავის დროზე ქართველ მკითხველს საყვარელ მწერლად... როგორც შემოქმედი, იგი თანატოლი იყო ჩვენი ჟურნალისა, მასთან ერთად იზრდებოდა ნოდარ დუმბაძის ლიტერატურული სახელი და ავტორიტეტი. მართალია, ბოლო წლებში „ცისკარში“ აღარაფერი დაუბეჭდავს, მაგრამ მისი მზრუნველობა და გამამხნევებელი ღიმილი არასოდეს მოგვკლებია.

ნოდარის დიდი გული ყველას სიყვარულს იტევდა, მაგრამ ასე გვჯერა, რომ „ცისკარი“ ბატონ ნოდარს გამორჩეულად უყვარდა...

რაღაცა სპეტაკი, განუმეორებელი სხივი დააკლდა თვითეული ჩვენთაგანის გულს. ის სხივი მხოლოდ მისი პიროვნებიდან მოდიოდა, მისი ნააზრევიდან, მისი სიყვარულითა და ტკივილით დამუხტული ცინცხალი სიტყვიდან...

ამიტომაა, რომ ნოდარ დუმბაძის გარდაცვალების ამბავმა თალხი ღრუბელივით გადაუარა მთელ საქართველოს; მწერლის სახალხო სიყვარული სიკვდილმა სახალხო გლოვად აქცია!

მაგრამ ამ გლოვის მძიმე წუთებშივე გამოჩნდა ცხადად თუ საიდან იღებდა სათავეს მისი ესოდენი პოპულარობა და ავტორიტეტი:

ძალდაუტანებელი, ბუნებრივი ნიჭიერებით სუნთქავს მისი რომანები და მოთხრობები, წერილები და სბაგშვო ლექსები, და ვისაც ბედნიერება ჰქონია მასთან ახლო ყოფნისა, არასდროს დაავიწყდება ნოდარ დუმბაძის ხალასი იუმორი, დიდი გულიდან წამოსული სიკეთისა და სიყვარულის ძალა.

რაღაცა იყო საოცრად ქართული ნოდარ დუმბაძის პიროვნებაში. იქნებ ეს დიდი ჭირთამძლეობა და მოთმინება-გაძლების საოცარი უნარი — ბეწ-

ვის ხიდზე მიმავალიც რომ არაფერს იმჩნევდა და სიცოცხლის ხალხებისკენ კვიდრებდა თავის გარშემო... იქნებ ის სიკვდილთან შერკინების ვაჟკაცური ძალა, როცა ხმალშემართული წინაპარივით ღიმილით შეეგება აღსასრულს...

მან იცოდა სიკვდილთან, წარმავალობასთან ბრძოლის საიდუმლო და ეს საიდუმლო ყველას გაგვიმხილა...

დასრულდა მისი დროებითი სიცოცხლე და დაიწყო მარადიული, სამუდამო!

ბავშვივით სუფთასა და კეთილს აწ თავის საუკუნო საბრძანებელში ბავშვების ჟივილ-ხივილი გაუთბობს სულს... და წამიერად მის სამარესთან შეჩერებულ ქართველ ბავშვებს კვლავ შეაგონებს იმ გაუხუნარ ჭეშმარიტებას, რომ ამ ტკბილ-მწარე წუთისოფელში არაფერია უფრო დიადი და უძვირფასესი, ვიდრე სამშობლოსათვის, თავისი ხალხისათვის გაწეული უკომპრომისო და ალალი სამსახური, არაფერია სხვა ჯილდო, გარდა ხალხის სიყვარულისა...

ნოდარ დუმბაძემ ეს ჯილდო სიცოცხლეშივე უხვად მოიმკო და ამიერიდან სიყვარულის შარავანდედი არასოდეს მოაკლდება მის სახელსა და შემოქმედებას.

თეიდო ბეჟიშვილი

მზით გასხივოსნებული გზა

შემოდგომის მზიანი, მაგრამ მაინც რაღაცნაირად მოთენთილი და ნაღვლიანი ხუთშაბათია... ხალხმრავალი პროცესია მიაცილებს თავის საყვარელ მწერალს უკანასკნელ გზაზე...

პროცესიას მისი დიდი პორტრეტი მიუძღვის წინ. კეთილი. ჭკვიანი თვალებით, მომტევებელი ღიმილით მიდის წინ და ზღვა ხალხი მოსდევს უკან. ეს მისგან გაკვალული გზაა, მისი სინდის-ნამუსით, კაცთმოყვარეობით, სიმართლით და სიყვარულით განსხივოსნებული გზაა.

ვეება, მცხუნვარე მზე ადგას თავზე ამ გზას, ის მზე, აგრერიგად რომ უყვარდა მას. მზე საწყისი სიცოცხლისა, სიკეთისა, მზე. ჩვენი სიყვარულის ცხოველმყოფელი ძალა და ენერგია ერთად შეერთებული შუქის წყაროდ რომ მოსჩქეფს ციდან და უკანვე გვიბრუნებს ჩვენგან გაცემულ სითბოს.

მისთვის სატკივარი და საწუხარი არ დაუკლია წუთისოფელს. ბედისწერა თითქოსდა განგებ უმზადებდა ყოველ ნაბიჯზე განსაცდელს, რომ გამოეწრთო, გამოეცადა მისი სული და ისიც შეუპოვრად, უსაყვედუროდ შებმოდა ამ გოლგოთას. ტანჯვის გზით მიდიოდა იგი სიბრძნისაკენ, თითქოს საკუთარ გულზე ატარებდა ცდებს თავგანწირული დასტაქარივით, რომ მერე სხვათათვის გაეზიარებინა ეს მწარე გამოცდილება, სხვათათვის გაეადვილებინა სატკივარი.

მიდის პროცესია... მძლავრი რეპროდუქტორებიდან ისმის მისი ხმა. ის სიკეთეზე და სიყვარულზე ლაპარაკობს, ვერაფერმა გაუტეხა გული, მის დიდსულოვნებას ვერარა ავნო შურმა და ავსიტყვაობამ. პირიქით, უფრო განწმენდილი, ამაღლებული გამოდიოდა იგი ყოველგვარი განსაცდელისგან. კარგად იცნობდა სიძულვილის დამანგრეველ ძალას და, ამიტომაც ღაღდებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და სიყვარულზე, მის აუცილებლობაზე. სიყვარული, დანტემ რომ მზის უკვ
დავ ზუქს შეადარა, მისთვისაც ქვეყნიერების, სამყაროს მარადისობის კანონი იყო. და ახლა სიყვარულით შეკავშირებული ქვეყანა მისდევდ მის კუბოს. ქაშვეთთან ზარები გაეზმიანებიან პროცესიას. ჯერ ერთი აწკრიალდება, მერე მეორე აიტაცებს მის სევდიან ხმას, შემდეგ ყველა ზარი ერთად აქვითინდება და იღვრება ირგვლივ ერუანტლისმომგვრელი მუსიკა.

ახალგაზრდობის უსაყვარლესი მწერალი იყო იგი. თითქოს მათთვის წერდა საკუთარი სულის მწარე თავგადასავალს, აღსარებას გვანდობდა, თავის ცხოვრების წესით გვასწავლიდა როგორ გვეცხოვრა, რისთვის გვეცხოვრა. მისი ნაწარმოებების გმირთა უმრავლესობა ხომ ახალგაზრდა ადამიანები არიან, ჩვენი ტოლები, ჩვენივე მსგავსნი. მწერლობის უპირველეს დანიშნულებად ახალგაზრდობის სწორი აღზრდა, ქვეყნის მომავლისათვის ზრუნვა, მის ხვალინდელ დღეზე განუწყვეტელი ფიქრი მიაჩნდა. ამიტომაც ცდილობდა თავისი მოღვაწეობითაც და პირადი ცხოვრებითაც ნათელი, დიადი გაკვეთილები მიეცა ახალგაზრდობისათვის.

მიდის პროცესია. ვიღაცას შვიდიოდე წლის ბიჭი შეუსვამს მხარზე. მე ვხედავ ამ ბიჭის გაფაციცებულ თვალებს, ყველაფერს რომ აკვირდება ირგვლივ. საქართველოს მომავალია ეს ბიჭი და მან უნდა სამუდამოდ აღიბეჭდოს ხსოვნაში დღევანდელი დღე, ეს ზღვა ხალხი, ეს მოთენთილი ხუთშაბათი, ზარების გაბმული გოდება და ქვითინი. უნდა დაიმახსოვროს თუ რა ძალა აქვს უანგაროდ გაცემულ სიყვარულს, რომ მერე, როცა გაიზრდება და ქაუაში ჩავარდება, დაფიქრდეს და მიხვდეს რა ატირებდა ამ ხალხს, რამ შეჰყარა ისინი ერთად, რა საერთო უბედურებამ შეაკავშირა ასე.

მიდის პროცესია. ორ საათს მოუნდება იგი ამ გზას. ივლის ნელა, ტაატით, დიდი, მცხუნვარე მზის ქვეშ, ალაგ-ალაგ შეისვენებს, სულს მოითქვამს, ცრემლებს მოიწმენდს და ისევ გაავრძელებს მსვლელობას. ფარფატით, თითოთითოდ ეშვებიან ნაადრევად შეყვითლებული ფოთლები. ორი საათი ივლის ეს პროცესია. ამ ორი საათისთვისაც იცხოვრა მან მთელი ცხოვრება. გრძელია ეს ორი საათი და ამ ხნის განმავლობაში, როცა უამრავი ხალხის უწყვეტ ჯაჭვში ხარ ჩაბმული, შეიძლება იმდენი იფიქრო, იმდენი რამ გაგახსენდეს, რასაც სხვა დროს მთელი სიცოცხლე მოუნდებოდა.

...მე, პირადად, მის კუბოს ადევნებულს, ის აზრი ამეკვიატა, რომ უკვდავია ერი, რომელსაც ასეთი დიდი გული აქვს, რომ უკვდავია ერი, რომელსაც ძალუძს ასე ერთგულად უყვარდეს თავისი ენის, მწერლობის მსახური. თუნდაც ამის გასაფიქრებლად იყო საჭირო ეს ორი საათი, მან რომ გვაჩუქა და გვიანდერძა თავისი ამქვეყნად ყოფნის საფასურად.

მიდის პროცესია მზით გასხივოსნებული გზით...

ვახტანგ ხარჩილავა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მწერლის გახსენება

ყარამან კიკვიძე

ჩანაწერები

იგი ჩუმი, მაგრამ შინაგანად დაძაბული ინტენსიური ლიტერატურულ ცხოვრებით ცხოვრობდა.

ბევრი მოასწრო.

ბევრიც განუხორციელებელი დარჩა...

ამას აქ წარმოდგენილი ჩანაწერებიდანაც დაინახავს მკითხველი, ჩანაწერებიდან, რომლებიც ყარამან კიკვიძის სულიერი ცხოვრებას ბიოგრაფიის გადაგვიშლიან თვალწინ.

ბევრი რამ არის მათში საგულისხმო. ვფიქრობთ, მკითხველიც ინტერესით გაეცნობა ნაადრევად გარდაცვლილი მწერლის ნააზრევს.

ჩემი ჩანაწერება — მხოლოდ ჩემთვისაა. სხვა მასში ვერავითარ აზრს ვერ დაინახავს. ჩემი ჩანაწერები მხოლოდ იმ განწყობილების აღდგენას ემსახურება, რაც ჩაწერის დროს მქონდა, ეს ჩანაწერები „ახეთია“ იმიტომ, რომ ამ წუთში სწორედ ახეთი ჩანაწერები მგონდება, სწორედ „ახეთი“ ხახით. ამიტომ, ჩანაწერის აზრიც, ცხადია, მხოლოდ ჩემია. ამ ჩანაწერებში სრულებითაც არ ვცდილობ, რაღაც დავტოვო. ის, რაც მათში იგულისხმება, მხოლოდ წაკითხვისას უნდა გამიახლდეს.

რომ მიაგნო ხაკუთარ ადგილს ცხოვრებაში, რომ ქვეყანას გამოადგე, უპირველესად, ხაკუთარ ფიქრებში უნდა გიერკვე. უნდა ისწავლო სხვათა ფიქრებისაგან, მიზნებისაგან ხაკუთარი ფიქრების, მიზნების გამორჩევა. ხაკუთარ ფიქრებში გარკვევა კი არცთუ იოლი ხაქმეა. ამ ამბავს ზოგი მთელ თავის სიცოცხლეს ანდომებს, ზოგს კი რამდენიმე დაძაბული და ნერვული წელიწადი ხეკრდება.

— ჩვენ! — ახე მხოლოდ იმას შეუძლია მიმართოს ადამიანებს, ვინც ხამყაროში ხაკუთარი ადგილი იპოვნა.

ძალიან ბევრი დრო გავიდა, მაგრამ ადამიანები ჯერ კიდევ არ აკეთებენ იმას, რასაც ფიქრობენ.

ადამიანში უამრავი ეგოისტური აზრია და მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში მედავნდება. ადამიანი ეგოისტია. გამარილება მხოლოდ იმაშია, რომ ეს ეგოისტობა, როცა ადამიანს, ეწუხებს.

ბოროტების ხაწყისი უფრო შუალედურ ადამიანებში უნდა ვეძიოთ, ვიდრე პირწყვარდნილ ბოროტებში.

ადამიანებს უნდა უყურო, როგორც დიდ ბავშვებს. მაშინ შეიძლება მათი ხიხუტკეების შეუყვარება. ადამიანი მაშინაა ლამაზი, როცა ისეთ რამეს აკეთებს, რომლისგანაც არაფერს გამოიელის და მაინც სხვას ეხმარება.

ადამიანი ყოველ წუთს იცვლება. ყოველი განვლილი წუთი და ყოველი ახალი ხაგანი მისთვის ჯამადე უცნობ დ ჯამადე გულში გაუკლებ აზრს იწვევს მასში.

მაგრამ ადამიანი უცებ ვერ ამჩნევს თავის ცვლილებას, ამჩნევს რამდენიმე ხნის შემდეგ, ერთბაშად — თუ კი ის (ადამიანი) კრიტიკულია და თუ არა — არა.

ყოველ ახალ წუთში ადამიანი გაიფიქრებს ისეთ რამეს, რაც მას არასოდეს გაუფიქრია (არა თუ მას, არამედ არავის) და ვერც კი წარმოუდგენია წინასწარ მისი გიფიქრება.

ადამიანი დიდი, რთული არსებაა. მის შესახებ რამდენ ახალ ხიტყვას ვიტყვით, იმდენჯერ მილიონი უთქმელი ემატება. რაც ბევრს ილაპარაკებ. მის შესახებ, მით უფრო დარწმუნდები, რომ იგი შეუცნობელია.

ყოველ ადამიანში ყველაფერი თვისება ადამიანურია, როგორიც არ უნდა იყოს ეს ადამიანი.

ამიტომ, ყოველი ბოროტმოქმედებაც ადამიანისა ადამიანურია და მაშ, ხავალალოა და არა გახაკვირი.

რასაც აიძულებ თავს, ისაა მამაცობა: თუ ხიკვდილი გიზიდავს და სიცოცხლეს აიძულებ, თუ სიცოცხლე გიზიდავს, და ხიკვდილს აიძულებ.

კაცი ერთხელ მაინც დგება იმ გუნებაზე, რომ ყველა უყვარს. ერი თუ ერთხელ მაინც არ დადგა ამ ხასიათზე, ბოროტია.

...და საერთოდ, მართლაც ამაოდ ხომ არ „ფუფუფუბები“ ადამიანები? იქნებ, მეტი აზრია მათ პირველშობილ ფიქრებსა და განცდებში? რაშია ცხოვრების აზრი: ტკენის ამაო ჭყლეტაში, თუ ბუნებასთან კავშირში?

— რა უნდოდა ამ ნაპოლეონსაც... გიგეების სამართავია ეს ჭკეკანა?..

— გენიოსი იყო.

— რატომ იყო გენიოსი. საფრანგეთი რუსეთს დაიპყრობსო, რომ წარმოდგენია?.. თუ ნახე-ვარი მსოფლიო რომ ერთმანეთს გააელეტინა...

— რა იცი, ბაგრატიონი რომ არ ყოფილიყო... იქნებ სწორედ იმიტომ არ აღსრულდა, რომ ერთი ძლიერი ადამიანის ნება მეორის ძლიერ ნებას წაეწყდა... იქნებ მხოლოდ ძლი-ერთა სცენაა ეს ჭკეკანა...

როცა ცივილიზაცია ისეც ბარბაროსობას უბ-რუნდება, ეს ნიშნავს: ის, რაც აქამდე კეთდე-ბოდა ინსტინქტით, ახლა კეთდება შეგნებით. ხომ უბედურებაა, თუ ასეა?

ხანდახან ფიქრობ, მზე ხმაურით უნდა ამო-დიოდეს, უზარმაზარი გრიალით, გამაყრუებელი ზათქით... და საოცარია, რომ ასე არ ხდება...

თუ ბავშვებს ოცნებებს დაუმსხვრევენ და რეალობას აგრძნობინებენ, ყველა თანახმაა, რომ ეს ბოროტებაა. ხოლო თუ მოზრდილს რადაცისადმი რწმენას დაუმსხვრევენ, ეს უკვე თითქოს ახეა საჭირო. განა დიდს არ სჭირდება ოცნებები?

შენი მოთხრობის ბავშვი ხან პატარასავით, ხან დიდივით ლაპარაკობსო. ასეც უნდა იყოს! ბავშვში წინასწარ არის მოცემული დიდობის ჩანასახები. ბავშვი ნიჭიერ და გამოუცდელ (გაუნათლებელ) ადამიანს ჰგავს, რომელსაც განათლება აკლია, რომ ნიჭი ყოველთვის გა-მოაშველაროს.

უნდა იცოდე, რა გინდა...

ჩემს გმირებსაც მხოლოდ მაშინ ვანიჭებ სი-ცოცხლეს, როცა იციან, რა უნდათ ან ამის გაგებისკენ ისწრაფვიან.

მოთხრობის მონაწილე, რომელიც ასეთი არაა, მოთხრობის გმირი არაა. ის ისეთივე აუცილებელი ელემენტია, როგორც მხატვრუ-ლი ხატი ან რადაც მხატვრული ხერხი, დეტალი.

ორი გმირით დანახული სამყარო უკვე სამ-ყარო არაა. ამბები ერთის გარშემო უნდა ტრიალებდეს. მხოლოდ მაშინაა სამყარო თავი-სებური, ინდივიდუალური. ობიექტური სამყა-რო არ არსებობს. ობიექტური სამყარო იგივეა, რაც სამყარო უადამიანებოდ, ხოლო, რაკი ადა-მიანი აუცილებელია, სამყაროც მხოლოდ სუბ-იექტურია.

ობიექტური სინამდვილე არ ნიშნავს ამბო-ლუტურ ჭეშმარიტებას. ჭეშმარიტება თავისთა-ვად ადამიანებისგან განურყოფლად არ არსებობს. რაკი ადამიანია — სუბიექტურია.

ჭეშმარიტება შეფარდებითია. რამდენადაც მაღალი რანგისაა — იმდენად ობიექტურია. ობიექტურობას მხოლოდ სინამდვილესთან მის-წრაფებაში აქვს აზრი. როცა ზღვარს მიაღწევს, უაზრია.

ეს იმ მიმდევრობის „ზღვარსა“ ჰგავს, რო-მელსაც არა აქვს ზღვარი. თუ ზღვარი აქვს, უკვე უაზრია.

პარადოქსია? — მხოლოდ ერთი შეხედვით! პარადოქსი თვით ობიექტურობის ცნებაშია.

ხაინტერესოა, ისეთი აზრი, რომელიც თავის არსებაში იცვლება. სტატიკური აზრი უსუსურო-ბაა. ამას შენ თუ არა, ყველა შეძლებს.

კარგი დასაწყისი ნახევარი გამარჯვებაა-ო, მე ეს ვიცი, მე ისიც ვიცი, რომ ადამიანის მოეწი-ცა ცხოვრება გადამწყვეტი წუთისთვის ნამზა-დისა....

გწამდეს რაიმე, ეს იმას ნიშნავს, რწმენის-თვის საფუძველი გქონდეს. რწმენა არასოდეს არაა აბსოლუტური თვითდაჯერება. ხერხრა-ზოვანი არც მსჯელობა ვარგა და არც რწმენა.

გზის პოვნა ერთია, საკუთარი თავის პოვნა — მეორე. გზა ერთადერთია. შეიძლება გზა იპოვნო, მაგრამ საკუთარი თავი ვერა.

სხვაში თუ დაეჭვდი, შენი სხვას მიუზღავ. შენშიც თუ დაეჭვდი, შენშიც სხვა ეძიე.

საკმარისია, ერთხელვე თავაღლუნებით შეხე-დო წვრილმან მოვლენებს, რომ საკუთარი ძალა იგრძნო.

...მე ვიცი, რა მინდა დღეს. ხვალ, ალბათ, სხვა მეხუთრვება, მე ვცოცხლობ ამ წუთით...

ადამიანი მხოლოდ იმ წამში ცოცხლობს თავისი ნამდვილი არსებით, როცა აქვს რაღაც მიზანი.

ის, ვინც პატარა მიზანს დაიახავს, გარან-ტირებული ბედნიერია, რადგან არ მოუწევს ხშირად იმედის გაცრუება. ასეთი ადამიანები იძენენ ქარაფშუტულ რწმენას, რომ მათ შეუძ-ლიათ ყველაფრის მიღწევა, რასაც მოისურვებენ ყოველისშემძლებელნი არიან.

ის კი, ვინც დიდ მიზანს ისახავს, წინასწარ უნდა დარწმუნდეს თავისი ნებისყოფის რაობა-

ᲙᲐᲠᲐᲛᲐᲜ ᲙᲘᲙᲕᲘᲫᲔ
ᲩᲐᲜᲬᲔᲠᲔᲑᲘ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში. მას ბევრჯერ მოუწევს დროებით გულის გატეხა, იმედის გაცრუება...

რისი შიშიც ერთხელ დაგიძლევია, იმან მეორედ არ უნდა შეგაშინოს.

რა აზრი აქვს იმ ერთადერთ „მე"-ს, როშელიც იწყება და თავდება. რად არ არსებობს ის „მე" წარსულში, მომავალში, რად არსებობს მხოლოდ აწმყოში. და თუ აწმყოა იმ „მე"-ს ერთადერთი სამეფო, მაშინ რაღაა წარსული და მომავალი. „მე" ვარ ერთადერთი და ყველა სხვა სხვაა. თუ იყო როდესმე, რომელიც ახლევე იყო თავისთვის „მე" — ის იყო წარსულში, ხოლო აწმყოში ყველა სხვა „მე" ჩემთვის სხვაა და „მე" ვარ ერთადერთი, „მე" ვარ მხოლოდ აწმყოში.

აწმყოს გრძნობს მხოლოდ „მე".

„მე" ვარ ერთადერთი და ყველა სხვა სხვაა. ერთადერთია აწმყოს მყისიერი წამიც და ყველა სხვა წამი სხვაა და წარსულია.

„მე" ვარ ერთადერთი წამი მომდინარე დროისა და ყველი სხვა წამი სხვაა და წარსულია.

მაგრამ, ნუ კითხავთ ყოველ წამს ერთად ყველას და ყველაფერს, ბოლოსდაბოლოს „მე" ვიქნები ყველგან და „მე" ვიქნები ყველა.

მინდა ვთქვა, რადაც ისეთი, რომ ყველამ უეცრად დამიგდოს ყური, რადაც ძალიან დიდი და ძლიერი, ჯერაც უოქმელი.

ან ათასჯერ ნათქვამი, მაგრამ არა ისე, როგორც ამბობენ: მზე, ბიწა, პური, ნასწაული...

ხელოვნება?

ნამყარის აზრია, ამ მხრივ, ხელოვნებას ვერაფერი შეეფერება. სადაც არ უნდა მივიდეს აზრი, ნამყარო, ბოლოს მაინც უნდა დაუბრუნდეს ხელოვნებას. მეცნიერება? — იქნებ წინასწ�s, მაგრამ რაც არ უნდა შორს წახვიდე, მაინც ხელოვნებამდე მიდიხარ.

ან უნდა იყო ბრძენი და ხსენებზე უკეთესი, ან უნდა იცოდე, რომ არ ხარ ბრძენი და ხსენებზე უკეთესი.

ცხოვრებას სხვა გზა აქვს და ფიქრს — სხვა.

ბედნიერება არ არსებობს, ან შეცდომით იმ გრძნობას ეძახიან, რომელსაც მსხვერპლის გაღება იწვევს.

ყველაზე დიდი ბედნიერებაა მსხვერპლის გაღება.

მცენარის არსებობის აზრი მუდმივ ზრდაშია.

კაცის სული მარადმწვანე მცენარეა, — როგორც კი ფოთლები დახცვივდება და ზრდას შეაჩერებს, გახმება.

სულიერი სიმდიდრე ამოუწურაობაა, ეს არ გულისხმობს, არამედ ზრდას.

ვუყვარდი თვალებში და ვფიქრობდი: რა საკვირველია სიყოველთა, როცა ახე ერთ წამში მთელი ცხოვრება შეიძლება განიცადო. კაცი, ალბათ, იმიტომ ცხოვრობს, რომ ახეთი რამ შეეწყნაროს, სადღაც ვიღაცას მსგავსი წუთი განაცდევინოს.

ჩვენ ყველა მოკვდებიან. სიკვდილის შემდეგ რა დარჩება? — ვინ ვის რა დავუთმეთ, რა ვაპატიეთ.

ცოდვა? — ღმერთმა იცის, ვინ ვის ვეკუთვნით. იქნებ ყველა ყველაშია და მაშინ, ცუდიც საერთო ცოდვაა... თუმცა... და ეს თუმ ცაა, ტვინს რომ ბურღავს.

რწმენა? მთავარია, შენს რწმენასთან არ იყო მტკუანი...

ბრძოლა? იქნებ სწორედ ისაა ბრძოლა, რომ საკუთარ თავთან იბრძოლო, თავმოყვარეობა არ დაკარგო? სიჩუმე? ბრძოლა?

— თავს თუ ჩაგაწვენ, შეიძლება სამი წუთი იძინო და მოგეჩვენოს, რომ ერთი საათი გეძინა.

— ბუნებას ვერაფერს გამოხატავენ, რაც არ გეკუთვნის, ისაა ის „გახარგებელნებს", სწორედ ეგაა, ამ სამ წუთში ერთი საათთი დაბერდები, ბუნების წინააღმდეგობა უაზრობაა.

ხე სხვაა და ადამიანი სხვა. კარგ ვაშლს კარგი ხე ისხამს ხი და თუ ერთხელ კარგი მოახსა, მეორედაც კარგს ელოდე. ადამიანის შვილი კი რა გამოვა, ღმერთმა უწყოს.

არიან ადამიანები, რომელნიც თავიანთ თავისთვის არაფერს წარმოადგენენ, არც რაიმე მნიშვნელოვანი „შეემთხვევაო" ხოლმე ცხოვრებაში. მაგრამ ისინი თვითონ წარმოადგენენ შემთხვევების წყაროს სხვა მნიშვნელოვანი ადამიანისთვის.

სიხუსტეც ყველასთვის აუცილებელი ადამიანური ავადმყოფობა ყოფილა.

ყველაფერი ეპატიება ადამიანს, სიცრუე — არა. იყოს ხუსტი, ოღონდ იყოს მართალი. სიცრუე და სიკეთე ერთმანეთთან არ თავსდება.

ერთხელ სულ პატარა რაღაც დაუთმოო კაცმა თავის მეორე მეს... აქედან დაიწყო ეგში წარწუმედისა.

რაკი იყოყმანე, სინდისი სუფთა გკონია, ყოყმანში გამარჯვებაა სწორედ სინდისის სიუფთავე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკმე რომ გართულდება, ბევრი აიხსნის ნიღაბს და იმ ნიღაბმოხსნილებს ისევ ძველი თვალით აღარ უნდა ვუყუროთ.

ქვეყნად იმდენი სიკეთეა, რამდენიც ბოროტება.

ადამიანის დამცირებას რა სიკეთე აანაზღაურებს?

— უმიზნო კაცია, მაგრამ კეთილია...

— უმიზნო არც კეთილია და არც ბოროტი. სიკეთეს ან ბოროტებას კაცს რაღაც მიზანი ჩაადენინებს...

სხვას ლანძღავდე, არფერია, მაგრამ ლანძღავდე საერთოდ ადამიანს, ეს შენს სიცუდეზე ლაპარაკობს, ე. ი. ვერ მოგინახავს შენს თავში ისეთი რამ, რაც ადამიანს გაამართლებს.

— მე თუ არ ვიქნები, გადაშენებულა ქვეყანაო.

უკეთესად ვერცერთი არამზადა ვერ ჩამოაყალიბებს თავის სათქმელს.

არ შეიძლება შენზე „იზრუნო“ და სხვას არაფერი დაავლო.

როცა მოვყევი, ქალს ცეცხლი წაეკიდა და შიშველად გარეთ გამოვარდნას სიკვდილი ამჯობინა-მეთქი, არავის არ უნდოდა დაეჯერებინა, ან ნახევრად დაეჯერებ და სისულელეაო, ჩაილაპარაკეს.

ხოლო, როცა მოვყევი, შვილმა მამა გადათელა მანქანით, რადგან მთვრალს საჭესთან ჯდომა დაუშალა-მეთქი, ყველამ უცებ დაიჯერა, მართალია, ზდებაო.

სიკეთე არავის უნდა დაიჯეროს, ბოროტება — კი.

ცუდი ჩანს, სიკეთე უნდა აუხსნა, დაანახო.

სიჯიუტე კი ზოგჯერ იმ კაცის თვისებაა, რომელიც ხამეაოს ურთულეს მოვლენებს საკუთარი მახსნებით ზომავს, რაც მის ძალას აღემატება, არც სურს, რომ გაიგოს.

როცა წარმატებლობას განიცდიან, შემოხვევითობაზე ლაპარაკობენ, როცა წარმატებას — აუცილებლობაზე.

ადამიანი ეხაა: რაღაცას აღმერთებს და კერპად გაიხდის. ამ ღმერთის სიმაღლეში თავისი სულის მოხსნაფებას ხედავს და ერთხანს კმაყოფილია. მერე, რომ ხვდება, ღმერთამდე თვითონ ვერ მაღლდება, ხსნას ერთადერთ რამეში ხედავს: ის კერპი დახცეს, რომ ბოლოს და ბოლოს დაცემულს მაინც გაუტოლდეს.

არავის უნდა დაიჯეროს, რომ მის გულისგენოთია.

სულელი მაშინაა უფრო ჭკვიანი, როცა გულწრფელად ლაპარაკობს, თორემ თუ ეცადა სასულელის დაფარვას, ათას ნაგავს გამოიტანს მზეზე...

ზოგი თავის გულკეთილობას იმით ამტკიცებს, რომ „უარს“ არავის ეუბნება და დაპირებებით ისტუმრებს — „რა მექნა, უარს ხომ არ ვეტყოდი“, — ეს კი მეტად დიდი ბოროტებაა, უფრო დიდი, ვიდრე უარის თქმა.

რაც უფრო უმნიშვნელოა რაიმე მოვლენა, მით უფრო სახიფათოა, რადგან სწორედ ამ თავისი უმნიშვნელობით გაიძულებს, მას არაფუნქციური თვალით შეხედო.

ადამიანს იმისი ეშინია, რაც გონებისთვის დაუჯერებელია. უფრო ადვილია, გაუძლო შიშს, როცა ხედავ, რომ ლომი შეეშმა გიპირებს, ვიდრე, როცა დგიდგება წინ და უბრალოდ გაგიღიმებს.

ყველაზე დიდი უიმედობის გამოხატვაც კი იმედია, რადგან მეტი უიმედობა აღარ არსებობს.

„ნეტავ სუყველას გვანცა ერჩვას...“ — ჩემი მოთხრობის ეს ადგილი ზოგმა შეიძლება მიამტკიცოს, გიგიგოს და მისი პარადოქსული აზრი ვერ გაშიფროს. მე კი იმისი თქმა მინდა, რომ გვანცა ერთია ქვეყანაზე. ყველა ადამიანი ერთია და როცა ადამიანი თავის თავს დარდობს, ეს იმას ნიშნავს, გული წყდება, რომ ყველასგან განსხვავებული ადამიანი აღარ იქნება ერთ მშვენიერ დღეს. ხოლო რითი განსხვავდება ყველასგან, ეს თვით ადამიანმა ყველაზე უკეთ იცის.

კაცის გაბითურებას ვერ ვიტან, მგონია, რომ კაცი გაბითურებით კვდება.

ისე ვეგუები ყველას, ხანდახან ასე მგონია: ეს ხომ არაა სწორედ ის, რომ ადამიანს შეუძლია მიიღოს ყველას სახე, რომ ერთია ყველა და ყველაა ერთი.

იმედი კი არ გვეხმარება ჩვენ, ჩვენ უნდა დავეხმაროთ იმედს, რომ არ ჩაკვდეს ჩვენში, ეს უმწეო და ერთადერთი ჩვენი მეგობარი.

ადამიანების რწმენას საბოლოოდ ვერაფერი შეირყევინებ... ადამიანები თავისი სისაძაგლითაც

ზაარამან კიკვიძე
რანაწერები

უნდა შეიეკვარო, რადაც კარგი ყველაზე უნდა ეძინო.

კაცი იბრაზობდა. უცაბ, ერთ წამში გაუელვა ფიქრმა, რომ რადაც წვრილმანის გულისთვის იკლავდა თავს.

გაეცინა.

არასოდეს არ ვცდილობ სიტყვებში აზრის ჩადებას. მე პირველად მაქვს აზრი და მერე ვცდილობ მისი სიტყვებით გამოხატვას. აზრს არაფრისთვის არ დაფთმობ.

ყველა სიტყვა თავის ადგილზე უნდა იდგეს. ეს იმას ნიშნავს, რომ ყოველი სიტყვა მოფლოდნელია და მიგნებული. ყოველი სიტყვა უნდა გვაოცებდეს თავისი ერთადერთობით და მიგნებულობით.

ვერ დაწერ, თუ რაიმე დანაშაული მიგიძღვნს. სხვას ვერ მოიწყდებ იმისათვის, რასაც შენ გვერდი აუარე.

ლიტერატურამ არ იცის დრო, არც ადგილი. იგი ყველა ადგილისთვის და ყველა დროისთვისაა (განსხვავებით ნარკვევისგან. ისტორიისგან, ცხოვრებისგან).

რა არის ხელოვნება?

ხელოვნებაა ყველაფერი, რაშიც ერის გემოვნება მეღავნდება...

როგორც ადამიანის, ისე ერის აყვავების შემდეგ დაცემის ხანაა (ეს დაღლილი თესლია). ეს ნორმალური ამბავია. ვაი იმ ერს, რომელსაც დაცემის ხანა უდრიო დროს დაუდგება.

...მართლაც ორი სინამდვილე არსებობს, ერთი — ბუნებრივი, მაგრამ მისი ასახვა ხელოვნებაში არაა საკმარ. ბუნების ასლი არაფის სჭირდება, ბუნებას არ უყვარს გამეორება, საგრო რომ იყოს, მაშინ ამას თვით ბუნება შეასრულებდა, ერთხელ მაინც გაიმეორებდა თავს. ხოლ სხვა მწერლის „მოგონებული" სინამდვილე და იგი უფრო მტკიცედ არსებობს ადამიანებში, ვიდრე „ხილული" სინამდვილე. ყველაზე კარგი მემატიანეც კი ვერ მოგვცემს ნამდვილ სურათს წარსულისა, ხოლო ამ „მოგონებულ" სინამდვილეს საოცარი ძალა და შეთანხმებადობა აქვს. მწერლის მნიშვნელობაც სწორედ ამაში მდგომარეობს, ის ყველაზე კარგად ხედავს განზოგადებულ სინამდვილეს. მწერალმა ორივე სინამდვილე ისე უნდა შეუთავსოს ერთმანეთს, რომ მკითხველმა ვერ გაარჩიოს, სად თავდება ერთი და სად იწყება მეორე.

შეიძლება გენიალურად გადმოსცეს ადამიანის სულისა, მაგრამ ნაწარმოები არ იყოს გენიალური. გენიალური ნაწარმოებია ის, რომელშიც გამოხატავ იმას, რაც ერის სულშია.

თვითონ კრიტიკა დღეკანდელ თავისავე ნათქვამს ხვალ კრიტიკულად უნდა უყურებდეს. აი, ასეთი, მუდმივად მოკმედი კრიტიკაა მხოლოდ მისაღები.

აზრი აქვს კრიტიკას თვით პროცესში. ამბტომაა, რომ კაბათს აზრი აქვს, მაგრამ კამათი არ უნდა დასრულდეს, თუ საკამათო არაფერი იქნა, კრიტიკა გაიყინება.

რადაც შუალედური უნდა გამოინახოს პროზასა და პოეზიას შორის, ერთიც უკიდურესობაა და მეორეც. ამიტომ, არც ერთია ყოველისმოფცველი და არც მეორე.

ჩემი პროზის თავისებურება ისაა, რომ მე ვგრძნობ და კიდევაც ვამტკიცებ. რომ პროზასა და პოეზიას მეტი საერთო აქვთ ერთმანეთთან, ვიდრე ჩვენ ამ საერთო ნიშნებს მათსს ვიაენებთ. მე მიკვირს კიდეც, როგორ შეიძლება, რომ არსებობდეს მწერალი, რომელსაც ლექსის დაწერა არ შეუძლია და პოეტი, რომელსაც მოთხრობის დაწერა არ შეუძლია.

მოკლე რომანებზე ახლა ძალიან ბანალური აზრები გვრცელდა: ტექნიკა წინ მიდის, ადამიანს დრო არა აქვს და სხვა... გულუბრყვილობაა და სხვა არაფერი. უბრალოდ, ლიტერატურა ვითარდება და რაკი ვითარდება, ისრებს „ზედმეტობებს", უფრო ლაკონური ხდება.

ჩემთვის გაუგებარია ყოველგვარი „ისმი" გარდა ლაკონიზმისა.

— ეს როგორ მოიფიქრეთ.

— წერის დროს უნდა ეცადო, ძალიან ხერიოზული არ იყო და ყველაფერს მოიფიქრებ.

დიდი მწერლის გავლენა ჯერ კიდევ არ ნიშნავს დიდ მწერლობას, ხოლო პატარა მწერლის გავლენა არ ნიშნავს, რომ დიდი მწერალი არა ხარ, როგორც ეს უკვე ბევრჯერ დაამტკიცა ისტორიამ.

მწერალი არღვევს ენის კანონებს და ამით ახაბუთებს, რომ ენა ვითარდება. ენათმეცნიერი მუდამ აგდენს კანონებს და ამით ამტკიცებს, რომ ენის გაყინვაც შეიძლება.

ვინც საკუთარი გზის ძიებაშია, ის გზააბნეული მგონაია, ხოლო ვინც ერთხელვე დიემორჩილება ბრბა შემთხვევის განაჩენს, დიდი რეპუტაციით სარგებლობს.

ადამიანს თავისუფლება უნდა, მარცვალს ფუნეირი ხნული. კალთაში ჩავარდნილი მარცვალი ათას წინააღმდეგობას გადალახავს და მაინც ამოდის, მაგრამ მაინც ის აღარაა, რაც უნდა იყოს.

არაფერია იმაზე დიდი ცინიზმი, რომ შენი მოსაზრება, რომელიც გწამს რომ სიმართლეა, დამალო.

— რაზე უნდა წერო?

— რაზე? აი, თუნდაც იმაზე, რომ მე ყველანაგან განსხვავებული ცხოვრება მაქვს. ყველაგან მარტო ვარ. არსადაა ჩემი ადგილი. უფრო სწორედ, ეს „არსადაა" სწორედ ჩემი საკუთარი ადგილი. შენც დაახლოებით ასე ხარ, მაგრამ მხოლოდ დაახლოებით. შენ კიდევ რაღაც „წესრიგი" გაქვს, რაღაც ჩარჩოში ჩაეტე. მე ესეც არა. მე სამსახურსაც ვერ შევეგუე ისეთს, სადაც წესრიგია. ჩემი სამსახურიც ისეთივე არეულია, როგორც.., შენ ხდები ზომიერი და ცხოვრების კანონებისადმი ანგარიშგამწევი, დამომრჩა..,

შემოკმედი კაცი კი — ესაა ცხოვრების რიტმში ჩაუმჯდარი (და არა რიტმიდან ამოვარდნილი), დროსა და სივრცეში გაუპროგნეზელი.

შეიძლება ნაწარმოებზე აზრის გამოთქმა, მაგრამ სამოდელოდ მისი ახსნა შეუძლებელია (რასაკვირველია, ნამდვილ ნაწარმოებზეა ლაპარაკი), ისევე, როგორც შეუძლებელია თვით სიცოცხლის, სიკვდილის, ცხოვრების ახსნა. კარი ნაწარმოეს ცხოვრებასავით იდუმალი და ამოუწურავია.

ამბავი, მარტო იმის მიხედვით კი არ იცვლება, თუ ვინ ყვება მას, არამედ ვის უყვებიან, იმის მიხედვითაც.

ზოგს მგონია, რომ ბავშვს თუ განსაკუთრებული დიდაქტიკით მოეკცევი, ამით მის სამოდელო შეგნებაზე გავლენას მოახდენს. ბავშვისთვის სულერთია, რომ გაიზრდება, მსჯავრს მაინც მერე გამოგიტანს: თუ განგებ კარგად ეკცეოდი, არ დაგიმადლებს, თუ განგებ ცუდად ეკცეოდი, არ გისაყვედურებს. ამიტომ, დიდაქტიკაზე დროის დაკარგვა არ ღირს.

ძიება ყოველთვის არ ნიშნავს ბკუას. ხანდახან მოხდება, მაძიებელი სული იდეოლოგიაში აღმოჩნდება და თავისი ძიებით დაღუპვამდე მიჰყავს ქვეყანა.

უნიგო კაცისთვის განათლება ტრაგედიაა. ნიგი — სიკეთის გრძნობაა

გენიოსისთვის ძნელად სათვქმელია, რა უფროა სჯობდება, დიდი ნიგი თუ დიდი სიკეთე.

ადამიანები ისე კვდებიან, რომ თან მიმყვებიან ცნობისმოყვარეობა, როგორ იმოქმედეს მისი სიკვდილი მის უახლოეს ადამიანზე. ეს ასეა, რადგან ადამიანს სანამ ცნობისმოყვარეობა აქვს, ცოცხალია.

ქალი: ქალი სიმაღლეა. სიმაღლეების დაპყრობაში გწვრთნის.

ოსტატობა? — მწერალმა უნდა იტანჯოს, რომ მკითხველს კითხვა გაუადვილდეს.

წერის უფლება რომ გქონდეს, ამისათვის რაღაცაში უველა მწერალს უნდა ამეტეხდე. არაა აუცილებელი, ყველაფერში, მაგრამ აუცილებელია — რაღაცაში, ხოლო თუ რაღაცაში ყველას ამეტეხ, უფლება არა გაქვს, არ წერდე.

რომ გიიმარჯვო, სადღაც ტკივილი კაცი უნდა გეგულებოდეს.

ვინმე რომ კვდება, მგონია, ჩემი ნაწილი კვდება, რადგან კვდება მისი წარმოდგენა ჩემზე.

რას ვიფასებ ადამიანში? სიკეთეს და სირთულეს. მარტივი ადამიანი ნაკლებად მიყვარს, ხოლო სირთულე თავისთავად არ მოდის. ათასი წინააღმდეგობა უნდა ჰქონდეს გადატანილი ადამიანს. ათას რამეზე უნდა ჰქონდეს გატეხილი გული, თვითონაც ათასი (რასაკვირველია, პატარ-პატარა და უნებლიე) ცოდვა უნდა მოეძღვიდეს და ამისთვის საკუთარ თავთან ანგარიში უნდა ჰქონდეს განსწორებული და თუ ამასთან ერთად სიკეთეს უცვლელად შეინარჩუნებს, ახეთი ადამიანი არ შეიძლება, არ გიყვარდეს.

ჩვენს გარშემო არის ათასობით ადამიანი. ჩვენ ვკითხულობთ ათას რამეს. ჩვენ ვიქცევით ისე, როგორც წაგვიკითხავს, როგორც იქცევიან სხვები, მაგრამ ეშვიათად თუ ვართ ის, რაც სინამდვილეში ვართ. ჩვენ გვეგირს ხოლმე საკუთარი თავის სხვისგან გამორჩევა. ეს ძნელია. ხოლო როცა გამოვარჩევთ, ეს არის სწორედ აღმოჩენის წუთები, პოვნის წუთები, როცა ნამდვილად საკუთარი ცხოვრებით ვცხოვრობთ.

უნდა აკეთო შენი საქმე, თუნდაც წარუმატებლობას ელოდე. წარმატებისათვის ნინასწარ გარანტიას არ უნდა ითხოვდე. შემთხვევების

ეკატერინა ციციშვილი
ჩანაწერები

„უგუნური ღმერთის“ დამარცხება სწორედ ისაა, რომ აკეთებ იმას, რაც გამოცდილებით იცი. რომ ათასჯერ ჩაგშლია. თუ გწამს, რომ შენი საქმეა, უნდა აკეთო. სიზიფეს შრომაშია სიზიფეს ძლიერება!..

მგონია, დედამიწა რომ არ მოძრაობდეს, მაშინ უფრო მტკიცედ ვიდგებით მასზე, ალარ გვეკნება ოცნების და დედამიწიდან მოწყვეტის სურვილი.

ვინ იცის, რამდენი აიღებს გულგრილად ხელში უცნობი ავტორის მოთხრობების პირველ კრებულს. ეგ არაფერი, მთავარია, წიგნის წაკითხვის შემდეგ არ დარჩეს მკითხველი გულგრილი და უმბაოფილო.

ადამიანებს გაცილებით მეტი სითბო აქვთ ერთმანეთისთვის შენახული, ვიდრე ეგონა, ეგონა ნიათ.

მე ასე მჯერა. ეს წიგნიც ამ რწმენით დაიწერა.

თვითმკვლელობის მიზეზი თურმე ისევ რთული და ამოუწურავია, როგორც სამყარო, როგორც თვალწინ აოროკლებული წყლის ერთი რომელიღაც ატომი.

ადამიანი თავს იკლავს რაღაც მნიშვნელოვანი ამბისთვის და ეს რომელ უმნიშვნელო ამბავს დაემთხვევა, რომელ უმნიშვნელო ამბავს ხვდება წილად, იყოს უკანასკნელი, სრულიადაც არაფერს არ ნიშნავს..,

...გათავდა, ყველაფერი გათავდა,

მე არ ვეკუთვნი ადამიანთა იმ რიცხვს, რომლებიც მთავარის დამთავრების შემდეგ ფაცურობენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრიგოლ აბაშიძე-70

შემოქმედის სიჭარმაგე

როცა შემოქმედზე წერ, მუდამ პირველი შთაბეჭდილების გახსენებას ცდილობ — სად შეხვდი, როგორი იყო ეს შეხვედრა, რა დაგამახსოვრდა ყველაზე უფრო... მეძნელება გავიხსენო ბატონ გრიგოლთან ჩემი პირველი შეხვედრა. რედაქცია, სადაც უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ პირდაპირ მივედი, „მნათობის“ გვერდგვერდ იყო და მის მაშინდელ რედაქტორს — გრიგოლ აბაშიძეს ყოველდღე ვხედავდი. მისალმება შორიდან... მდაბლად თავის დახრა უმცროსისა უფროსის წინაშე... გაღიმება... ეს იყო და ეს. სხვა, უფრო ცხოველი ურთიერთობა მაშინ არ გაბმულა და ალბათ სავსებით ბუნებრივია. იქნებ მაშინ სხვა ფორმა იყო და თვით დრო გვკარნახობდა სხვაგვარ დამოკიდებულებებს? ფაქტი კი ისაა, რომ მაშინდელი, ანუ ომისშემდგომი პირველი ლიტერატურული თაობა, აღიარებულ მწერლებთან ურთიერთობას შორიდან ამჯობინებდა, დისტანციას იცავდა. შორიდან ვხედავდით ჩვენ გალაკტიონ ტაბიძეს, გიორგი ლეონიძეს, ლეო ქიაჩელს და გერონტი ქიქოძეს, და, რაღა თქმა უნდა, კონსტანტინე გამსახურდიას, რომელიც თავადვე მკაცრად იცავდა „ზღვარის წესს“ და ვაგლახად ახლოს არავის იკარებდა.

მე არ ვიცი, კარგია თუ ცუდი ამგვარი მორიდება. შეიძლება ოსტატისა და შეგირდის ურთიერთობა ტრადიციულად ყოველდღიურ, საქმიან (და ამდენად მეგობრულ) ურთიერთობებს უფრო გულისხმობდეს, მაგრამ მაშინდელი დრო ამგვარად ჩამრჩა ხსოვნაში. ეს კი ის დროა, როცა, სხვა „ცოცხალ მწერლებთან“ ერთად, პირველად გრიგოლ აბაშიძეც ვნახე.

კარგად მახსოვს — ინტელიგენტური გარეგნობა. ურთიერთობათა უბრალოება...

გავიდა ხანი.

გამოვაქვეყნე ორიოდე მოთხრობა.

ჯერ წიგნიც არ გამომეცა და, ჩემდა მოულოდნელად, „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციაში მოვედი რედაქტორის მოადგილედ.

აი, მაშინდელი შეხვედრა კი ცხადად მახსოვს: თავისი ფეხით შემოვიდა რედაქციაში, ხელი ჩამომართვა, მომილოცა მწერალთა გაზეთში მოსვლა და: გზაკეთილი მისურვა. იმ დროს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე იყო და, რა თქმა უნდა, ყოველგვარი წესით მას თავისთან უნდა ვეხმე, უფრო მეტიც — ე. წ. ოფიციალური „გასაუბრებაც“ უნდა შემდგარიყო, მაგრამ არ ვიცი რატომ, ბატონმა გრიგოლმა ეს არ ისურვა. „საკუთარი ვიზიტით“ კი ძალზე გამამხნევა და იმის რწმენა ჩამინერგა, რომ მწერალთა ოჯახში ჩემი მისვლა საწყენად არავის დარჩებოდა.

დღემდე მადლობელი ვარ ამ რწმენისათვის, რომელიც ახალგაზრდა ავტორს აუცილებლად სჭირდება.

ამგვარად მოხდა ჩემი შეხვედრა გრიგოლ აბაშიძის პიროვნებასთან, მწერალ გრიგოლ აბაშიძეს კი, როგორც მისი ყველა მკითხველი, პირველად ლირიკული ლექსებით გავეცანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრიგოლ აბაშიძის თაობა მწერლობაში მუდამ გარდატეხების გზაჯვარედინზე იდგა. ისინი ომამდე მოვიდნენ ლიტერატურაში. ომის წლებში ჩამოყალიბდა მათი მოქალაქეობრივი სახე. ვერც ომისშემდგომი წლების განახლების სუნთქვა ჩაივლიდა მათი ლიტერატურული თანადგომის გარეშე. იწერებოდა ლირიკული ლექსები მაშინ, როცა ლირიკა ძალზე მკაცრი საზომით ფასდებოდა — ხომ არ იკარგება პირადულში საზოგადოებრივი, ზომაზე მეტად ხომ არ მოჩანს ჰუმანვა ავტორისა, სად გადის ზღვარი ოპტიმიზმსა და პესიმიზმს შორის... დღეისათვის გულუბრყვილო ეს საზომები იმ დროისათვის კანონის ძალას იძენდა. ძნელად თუ იფიქრებდა ვინმე, რომ ნაღველსა და სიხარულს, იმედსა და უიმედობას შორის მკაცრი ზღვარის გავლება ცხოვრებაში არა ისე ადვილად ხდება, უფრო მართალნი თუ ვიქნებით — შეუძლებელია, ის კი, რაც შეუძლებელი იყო ცხოვრებაში, ძალზე ადვილად წყდებოდა ლიტერატურაში. და მაინც იწერებოდა ლექსები, მათ შორის წმინდა ლირიკული ლექსებიც, რომელთაც დროის დინებას გაუძლეს და აღმოჩნდა, რომ მათ „წმინდა ლირიკის“ გულში მუდამ იგრძნობოდა მოქალაქეობრივი შეგნება, საზოგადოებრივი ვალი პოეტისა, პასუხისმგებლობა ქვეყნის წინაშე. მაშინ დაიწერა გრიგოლ აბაშიძის ლირიკული ლექსები „შვიდი მეციხოვნე“, „ჯიგთახათუნი“, „პირველი აპრილი ღილა“, „სვეწკას ჩვენება“, „ძევახ პიტიახშს“, „სამცხის სამარხზე“ და სხვანი. პოეტის ლირიკულ განწყობილებაში მძაფრად იჭრება ისტორიის განცდა, ისტორიიდან მოხმობილი ფაქტები, უკვე ლეგენდად ქცეული, რომელთაც დღემდე არ დაუკარგავთ ნიმუშის ძალა. ეს „ლეგენდები“ ადამიანს ფიდღეს გამოცდას უწყობენ, რო ცეცხლშუა ატარებენ, რათა ყოველი ცეცხლიდან ისინი ბოლოსდაბოლოს განწმენდილნი გამოვიდნენ, სამარადჟამოდ დარჩნენ ხალხის ხსოვნაში, ჩადგნენ ყოველი დროის სამსახურში, ადამიანებს ასწავლონ მოყვასისათვის თავდადება, იდეალებისათვის თავგანწირვა. შარავანდედი, რომელიც ისტორიიდან მოხმობილ მამულიშვილებს ადგას, გრიგოლ აბაშიძის ბევრ ლექსში ანათებს. ეს მამულიშვილები ფრესკიდან მზრალი უტყვი თვალებით არ გვმოძღვრავენ. ისინი ცოცხლები არიან, ჩვენს თვალწინ იწვიან მცხუნვარე მზეზე. ჩვენს თვალწინ კვდებიან, ჩვენს თვალწინ იღვრება მათი სპეტაკი სისხლი. ისტორიის ამგვარი განცდით მიეიდა გრიგოლ აბაშიძე პოემის: დრამატურგიის და ბოლოს, რომანის ჟანრამდე.

გრიგოლ აბაშიძის პოემებსაც („ძლევის ქედი“, „ზარზმის ზმანება“) ე. წ. ლიტერატურულ გზაჯვარედინზე ეჯგოთ გამოჩენა. პოემის კლასიკური, საუკუნეობით დაკანონებული ფორმა განახლებას და ცვლილებას მოითხოვდა. თანდათან ქრებოდა რომანი-ლექსად, მოთხრობა-ლექსად. პოემას რომანისა და მოთხრობის ფუნქცია მთლად იმ ჟანრებისათვის უნდა დაეთმო, რომელთაც თავის ეროზე დაესესხა. გრიგოლ აბაშიძის პოემები ქართული პოემის ჟანრის ის პირველი ნიმუშებია, რომელშიც მძაფრად იგრძნობა წყურვილი კლასიკური პოემის რღვევისა, ახალი ფორმების ძიებისა. ავტორი ეძიებს იმ გზას, რომელიც სათქმელის ახლებური მხატვრული გადაწყვეტისაკენ წაიყვანს. სიუჟეტის თხრობის ფუნქცია უაღრესად მცირდება. „ამბავი“, რომელიც უნდა განვითარდეს, მაქსიმალური სიმკაცრით იკუმშება. ფართო ადგილს იჭერს და ლაღ სუნთქვას იძენს გმირის შინაგანი ხმა, ლირიკული მონოლოგი, განსჯა, ასოციაციური ელემენტი. „ლექსი“ — მთავარი ძაღლი პოემისა, მხრებს ზლის, თავისუფლდება, მაგრამ ამ „თავისუფლებაში“ იგრძნობა შინაგანი წესრიგი, რომელიც კი არ ამსხვრევს ნაწარმოების სტრუქტურას, უფრო მონოლითურს ხდის, უფრო ავსებს და სკულპტურულად გამოკვეთს. გავა დრო და ეს პროცესი — პოემის განახლებისა უფრო აშკარა გახდება. მოვლენ მომდევნო თა-

ობის პოეტები და დაწერენ პოემებს, სადაც უფრო მოურიდებლად იტყვიან
ეროვნული ბიბლიოთეკა
უარს სიუჟეტზე, მთელ მხატვრულ დატვირთვას მონოლოგურ ფორმაზე გადაიტანენ.

ისტორიული რომანის ჟანრში მკაცრად დადგენილი ტრადიცია დახვდა გრიგოლ აბაშიძის სამწერლო თაობას... ვასილ ბარნოვის, მიხეილ ჯავახიშვილის, კონსტანტინე გამსახურდიას, ლევან გოთუას ცნობილი ისტორიული რომანების ფონზე ახალი გზებისა და ფორმების ძიება უადრესად მძიმე იყო. მაგრამ ლიტერატურის ისტორია წერას კი არ გიკძალავს, მუდმივი სიახლისაკენ გიბიძგებს. „ლაშარელაში“ — გრიგოლ აბაშიძის პირველ ისტორიულ რომანში, მკითხველისათვის ბევრი რამ უჩვეულო აღმოჩნდა. ამიტომ გამოიწვია რომანმა კამათი. ქართული ისტორიული რომანისაგან ჩვენი მკითხველი უმეტესად მხოლოდ გმირულს, ამაღლებულს და ზეაწეულს მოითხოვს. მაგრამ ყოველმა ჭეშმარიტმა მწერალმა მუდამ იცოდა, რომ ამაღლებულის გვერდით ისტორიის ფურცლები ინახავს ადამიანურ მანკიერებათა მთელ ჯაჭვს — ღალატს, ორგულობას, გამცემლობას, ძმათა სისხლისღვრას, ყოველივეს, რაც ადამიანურ ცოდვად ითვლება დედამიწის ყველა კუთხეში. მწერლის ნაწარმოების კრიტიკის საბაბად ვერა და ვერ გამოდგება პრინციპი — „საქართველოში ეს არ მოხდებოდა“ ან „ამას ქართველი კაცი არ ჩაიდენდა“. ცოტნე დადიანების, გიორგი მერჩულების, ათონელების და სხვათა გვერდით მუდამ იყვნენ მხოლოდ საკუთარ ჯამში მზირალნი, ახლომხედნი, ერისა და სამშობლოს მთლიანობისათვის მებრძოლთა დაუძინებელი მტრები, და მწერლის ვალია არ დაივიწყოს ეს... ამ პრინციპით ააგო გრიგოლ აბაშიძემ „ლაშარელი“, „დიდი ღამე“, „ცოტნე“. ეს პრინციპი აერთიანებს მთელ მის ისტორიულ-მწერლურ კონცეპციას... და კიდევ პოეტურობის პრინციპი...

გრიგოლ აბაშიძის ყველა რომანი პოეტის დაწერილი რომანია. კარგია ეს თუ ცუდი? — ამაზე ყველგან დაობენ კრიტიკოსები. ზოგს მიაჩნია, რომ კრიზისს განიცდის ის ლიტერატურა, სადაც მკვეთრი ზღვარი არ არსებობს ჟანრებს შორის, სადაც პროზა არ არის პროზა და პოეზია კი პოეზია. ძველმა ბერძნებმა პოეზია უწოდეს ყველაფერს, რაც მხატვრული სიტყვით იქმნება. მათი ტრაგედია მკაცრად ჩამოყალიბებული ტრაგედიაა, რომელშიც პაწია კომიკური ელემენტიც ვერ გაიელვებს, კომედიაში კი ტრაგიკული განცდა ოდნავადაც არ ჭაჭანებს. ლიტერატურა ყველაზე ძნელად ემორჩილება მოდას, ან ეოთხელ და სამოდამოდ დადგენილ კანონებს. თუ დღეს მკაცრი, პოეზიისგან იზოლირებული პროზა ან უსიუჟეტო პოემა ითვლება „კარგ ტონად“, ხვალ შეიძლება გამოჩნდეს დიდი ნიჭი და იმგვარი „სენტიმენტალური რომანი“ ან სიუჟეტიანი პოემა დაწეროს, სულმოუთქმელად რომ წაიკითხავენ. ამისი მაგალითები მრავლად არსებობს. გრიგოლ აბაშიძის პროზა პოეტური პროზაა. ზემოთ ვახსენეთ ადამიანური მანკიერებანი... მაგრამ ეს მანკიერებანიც პოეტის თვალითაა დანახული, დახატული და განსჯილი. პოეტურია სახე ცოტნესი, ლაშა გიორგისა, თურმან თორელისა... რომანტიკულია მათი ბუნება, ტრაგიკულია მათი სიყვარული, რომელიც ცხოვრების მკაცრ სინამდვილეს, ისტორიის გარდუვალ სოციალურ კანონებს ეჯახება. ისინი ბრძოლაში მარცხდებიან, მაგრამ მარადიული რჩება სწორედ მათი სწრაფვა ამაღლებულისაკენ, ცხოვრების პოეტური განცდისაკენ, ადამიანის მაღალი ეთიკური დანიშნულებისაკენ.

გრიგოლ აბაშიძე — მწერალი და მოქალაქე, დაუღალავი, მშვიდი, თავისი მტკიცე მიზნისაკენ მიმართული, ჩემი თაობის მწერალთა თვალწინ წლების მანძილზე ტრიალებს, როგორც რედაქტორი, მწერალთა ოჯახის თავმჯდომარე, ავტორიტეტული სახელმწიფო და ეროვნული პრემიების მიმნიჭებელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომიტეტის ხელმძღვანელი; მონაწილეა მწერალთა მრავალი საერთაშორისო ფორუმისა, ახლო მეგობარი — ჩვენი ქვეყნის და უცხოეთის ბევრი მწერლისა. მეგობრულმა სამწერლო კონტაქტებმა — ასე სასიცოცხლოდ აუცილებელმა ჩვენს დროში, გრიგოლ აბაშიძეს საშუალება მისცა შეექმნა მრავალი ესეი, წერილი, შთაბეჭდილებათა დღიური უცხოეთის მწერალთა ცხოვრებაზე, ყოველივე ამის ერთ წიგნად აკინძვისას კი გადმოეცა ფართო საერთაშორისო პანორამა ჩვენი დროის მწერლობისა. მან კარგად იცის, რომ ვერც ერთი ქვეყნის ლიტერატურა ვერ იარსებებს მეგობრულ და შემოქმედებით ურთიერთობათა გარეშე; რომ ქართული ლიტერატურა მუდამ ესწრაფოდა ვიწრო თვალსაწიერიდან გამოსვლას; რომ ჩვენს ლიტერატურას გამარჯვება მუდამ იმ მწერლებმა მოუტანეს, ვინც კარგად იცოდა, რას აკეთებდნენ, რას ფიქრობდნენ, ან როგორ წერდნენ მისი მეზობელი თუ ცხრამთასიქითელი მწერლები. ეს ფართო ინტერესი, ბატონმა გრიგოლმა გამოხატა, უპირველეს ყოვლისა, თავისი მხატვრული თარგმანებით, რომელთა შორის საპატიო ადგილს შანდორ პეტეფიისა და პიერ რონსარის ლექსთა თარგმანები იჭერს. სხვა ერის მწერალთა ნაწარმოებების ამგვარი გადმოთარგმნა, ეროვნულ ლიტერატურულ ფაქტად ქცევა, მხოლოდ შთაგონებულ, დაუღალავ შრომას შეუძლია.

სამოცდაათი წლის მწერალს, პირველ ყოვლისა, ჯანის სიმრთელეს და დიდ დღეს უსურვებენ.

ჩვენც ვუსურვოთ ბატონ გრიგოლს ეს სიკეთე... ამასთან ერთად კი — უპირველესად დიდი შემოქმედებითი ნაყოფიერება. მწერლის სიცოცხლე და სიმრთელე ხომ სწორედ შემოქმედებით ძალაში გამოიხატება.

თამაზ გიგილური

„ლექსის ლელოვდე...“

პოეზია ყველაზე წმინდა და შეუერეველი ნაკადია ყველა შემოქმედის მემკვიდრეობისა; როგორიც გინდა დიდი და მრავალმხრივი იყოს იგი და მრავალი რომანის, მოთხრობის, პიესის, ლიტერატურული წერილისა და თარგმანის ავტორი, ჩემი რწმენით, თავის ყველაზე სანუკვარ, სათუთ და წმინდა ზრახვებს პოეზიას გაანდობდა (ამის მაგალითები იცის მსოფლიო ლიტერატურამ)...

ბატონი გრიგოლი იყო პირველი პოეტი, რომელიც მე ჩემი თვალით ვნახე — ეს იყო შორეულ 1954 წელს... ახლა არ ვიცი, ბატონი გრიგოლის პიროვნება მიესადაგა ჩემს წარმოდგენაში მანამდე შექმნილ პოეტის ზოგად სახეს თუ იმ პირველმა ნაცნობობამ ბატონ გრიგოლთან, მისი პიროვნებით მიღებულმა პირველმა შთაბეჭდილებამ განსაზღვრა ჩემი წარმოდგენა პოეტზე — ლექსის მწერალს კი არ ვგულისხმობ მხოლოდ, არამედ ისეთი თვისებების მქონე ადამიანს, რომელთა მატარებელ კაცსაც უხსოვარი დროიდან ადამიანებმა პოეტი უწოდეს.

პირველ რიგში, მე გამაკვირვა იმან, რომ ბატონი გრიგოლი თავისი ცხოვრების ყველა გამოვლინებაში პოეტი იყო... და ამ პირველი ნაცნობობიდან მოყოლებული, მე არ ვყოფილვარ მოწმე ისეთი მომენტისა, რომ ეს

შთაბეჭდილება გაფერმკრთალებულიყო: უჭირდა თუ ულხინდა, ხუმრობდა თუ მთელი სერიოზულობით საუბრობდა, იგი ყოველთვის პოეტი იყო და იმ შორეულ დღეს მიღებული შთაბეჭდილება დღესაც წარუშლელი და საბოლოოა ჩემთვის. აკი პოეტმავე ბრძანა: „რაც ერთხელ ცხოვლად გულს დაარნდების..“

გაცნობის დღეს ბატონმა გრიგოლმა მაჩუქა თავისი პოეტური კრებული — „ერთტომეული“, რომელიც, როგორც ახლა გეგდება, „სახელმწიფო გამომცემლობამ“ მისი დაბადების 40 წლისთვზე გამოსცა. ორმოცი წლის იყო მაშინ გრიგოლ აბაშიძე, ახლა სამოცდაათის გამხდარა და ის ოცდაათი წელი მარტო მის მხრებს როდიღა აწევა... მიუხედავად იმისა, რომ მას შემდეგ ბატონმა გრიგოლმა მრავალი წიგნი გამოსცა, ამ პირველ ერთტომეულში მისი პოეტური სახე ისევე სრულყოფილად და უბერებლადაა წარმოდგენილი, როგორც მისივე გარეგნობა ალექსანდრე ბანძელაძისეულ პორტრეტში — იმ წიგნს რომ აქვს დართული. ამას გარდა, ეს „ერთტომეული“ მე იმ დროს მახსენებს, როცა პირველყოფილი სიხარბითა და აღტაცებით ვფუტკლავდ მის გვერდებს. და განა მარტო მე, მთელი იმდროინდელი ჩემი თაობა, ჩვენი სოფლიდან დაწყებული თბილისის პიონერთა სასახლის ლიტერატურულ წრემდე. ამ წიგნში არის ისეთი ნაწარმოებები, რომელთა შემქმნელსაც შეეძლო თავისუფლად ესუნთქა შემდგომში, მაგრამ ასეთი რამ ხომ წარმოუდგენელია ჭეშმარიტი ტალანტისა და ჭეშმარიტი პოეტური ენერგიის პიროვნებისთვის. ჩემი თაობის პოეზიის მოყვარულებმა და პოეტობაზე მეოცნებეებმა ზეპირად ვიცოდით „ნუ დაიჯერებ ზღაპად მოთხრობილს“ „შვიდი მეციხოვნე“, „ქვეყანას გასწვდი, თუმცა დიდია“, „ზოშკაკალა“, „დედასთან“, „ჯიქთახოთენი“ „ოცნება უფლისწულისა“, „...ის ყელზე მოხვეული მელას“, „სევდა სანაპიროსა“, „ზღვა და მერცხალი“, „მითხრეს, სიწითლემ გადამკრა წუთით“, „სიყუარე“... ხოლო პოემები — „ზარზმის ზმანება“ და „გიორგი მეექვსე“ ჩვენთვის სრულყოფილი პოეტური ხელოვნების ნიმუშებს წარმოადგენდა.

გრიგოლ აბაშიძე ისეთ დროს გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე, როცა ძველი მნათობები ჯერ კიდევ არ იყვნენ ისტორიას შეფარებულნი, როცა მთელი ალეთ ქუხდნენ ცისფერყანწელები, გალაკტიონ ტაბიძე, გიორგი ლეონიძე... დიდი პოეტების ისეთი სიმჭიდროვე იყო, რომ ახალი სახელისთვის თითქმის არავის ეცალა. მაგრამ დრო და პოეზია ერთ ადგილზე ვერ გაჩერდებიან, განახლება და წინსვლაა მათი უპირველესი სტიქია. გრიგოლ აბაშიძემ ისე შემოდგა ფეხი პოეზიაში, რომ ბის ლექსებს არ დასტყობია არავითარი კვალი გავლენისა, შეგიდის გულუბრყვილობით რომ იმალება ხოლმე, და ეს იმ დროს, როდესაც მის ლექსებში სწორედ ხაზგასმით ჩანდა დიდი პოეტურ სკოლა და ქართული პოეტური ტრადიციების ზედმიწევნითი ცოდნა. ახლებური იყო ის ემოციური საწყისიც, რითაც ახალგაზრდა შემოქმედი საზრდოობდა. გრიგოლ აბაშიძის პოეზია დიდ პოეტურ ოსტატობას ემყარებოდა... ეს ოსტატობა ყოველთვის იმდენად სრულყოფილია ხოლმე, რომ პოეტისთვის ქმარობს შთაგონების უმცირესი იმპულსიც კი. გრიგოლ აბაშიძის შემოქმედების ეს მხარე ყოველთვის იქნება მისაბაძი ახალგაზრდა პოეტებისთვის. სამაგალითოა ამ მხრივ „შვიდი მეციხოვნე“ — ერთი ყველაზე საუკეთესო სონეტი ქართულ პოეზიაში.

თავს ნებას მივცემ, სრულად მოვიყვანო იგი:

> მთებში დავბიზნეთ ქონება და ჩვენი ბავშვები,
> დასეტყვილივით მივატოვეთ ქართლის ბაღები
> და როცა ქართლში შემოვიდნენ ყიზილბაშები,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კაცი არ დახვდათ მორჩილი და კარის გამღები.
ბორს გვერტყა ალყა, მტრების ურდოს რა მოუვლიდა,
კაცი არ იყო ტყვია-წამლის და წყლის მომტანი,
და რომ არ ეგრძნო მტერს, თუ ციხეს შევრჩით ცოტანი,
რიგით ვისროდით შვიდნი, შვიდ-შვიდ სათოფურიდან.
შიმშილს და წყურვილს გავუძელით, ბინდი გვეხურა,
როდესაც ტყვიაც გაგვითავდა, უჩინარ ბილიკს
ჩუმად ჩავყვევით და ვეკვეთეთ ურდოს ვეფხურად.
ბევრის სურვილი არ დაგვცალდა მცირეიცხოვნებს,
ჩვენც მტკვარი გვერგო სასაფლაოდ, შვიდ მეციხოვნეს
და იყო მტკვარი საახალწლო თოვლივით თბილი.

ეს სონეტი დიდი პოეტური ოსტატობის ნიმუშია. დავაკვირდეთ, როგორი ტევადობაა, თითქოს ვრცელ მოთხრობაში მოსაყოლი, მაგრამ ნამდვილი პოეზია ხომ — მთავარის თქმაა და როგორი რთულია იმ „მთავარის“ თქმაც! იმ მთავარი მომენტების შერჩევა, რომლებიც პოეზიის ენით დაგვიხატავენ ამბავს. აქ დაუშვებელია რიტორიკა, ადგილი არ რჩება ზედმეტი სიტყვისთვის — საქმე სონეტთან გვაქვს — 14 სტროქონთან, პოეტს კი უამრავი რამ აქვს სათქმელი: როგორ დაგვეცა მტრის რიცხვით დიდი ლაშქარი, როგორ გახიზნეს დამცველებმა ბავშვები და ქალები, როგორ გამაგრდნენ ციხე-სიმაგრეში და ჩაებნენ თავიდანვე მარცხისათვის განწირულ უთანასწორო ბრძოლაში... დაბოლოს, როგორ დარჩნენ მარტოდენ შვიდნი. ლექსში უნაკლოდაა განაწილებული სიმძიმეები, ყოველი სტრიქონი ტევადია. პირველ რვა სტრიქონში იმხელა გუნდაა აგორებული, ისეთი დრამატული სურათია დახატული, რომ შიში გიპყრობს დარჩენილი ექვსი სტრიქონის გამო, მითუმეტეს, რომ ამ ექვსი სტრიქონიდან სამი ამჯერად მეციხოვნეების პორტრეტების დაკონკრეტებას ესაჭიროება. სამი სტრიქონიღა რჩება, სამად სამი... ამ სტრიქონებში უნდა ითქვას ისეთი რამ, რაც მთელ ამ ამბავს — თავისთავად დიდებულად მოყოლილს — პოეზიის შუქით გაანათებს.

ბევრის სიკვდილი არ დაგვცალდა მცირეიცხოვნებს,
ჩვენც მტკვარი გვერგო სასაფლაოდ, შვიდ მეციხოვნეს...

ეს სტროქონები ერთსადაიმავე დროს ამბის თაღსაც კრავენ და რაღაც საზეიმოს მოლოდინში ირინდებიან... ახლა ერთადერთმა სტროქონმა უნდა გადაწყვიტოს მთელი სონეტის ბედი...

და იყო მტკვარი საახალწლო თოვლივით თბილი!

განა სადმე ეტყობა ლექსს, რომ ამ სტროქონისკენ მიისწრაფოდა, რომ მისი წარმოთქმის მოლოდინში ცახცახებდა სუნთქვაშეკრული? რა გვითხრა პოეტმა? ის, რომ სამშობლოსათვის სიკვდილი ტკბილი და დედის რძესავით შესარგო! მაგრამ როგორ გვითხრა ეს?! აქ ვერსად შეხვდებით პათეტიკას, რატომღაც ბუნებრივად რომ იჩენს ხოლმე თავს პატრიოტულ ლირიკაში. ყოველივე სადაა, საქმიანია და ლექსის ბედის გადაწყვეტაც იმას ევალება, რასაც ყოველთვის ევალებოდა — პოეზიას!

და იყო მტკვარი საახალწლო თოვლივით თბილი!

ხშირად პოეტზე ერთი ლექსის მიხედვით მსჯელობენ ხოლმე და ამაში არაფერია გასაკვირი: სიზუსტე, რითაც „შვიდი მეციხოვნეა“ აღბეჭდილი, გრიგოლ აბაშიძის მთელი შემოქმედებისთვისაა ნიშანდობლივი.

მე კიდევ ერთ ნიშანდობლივ თვისებას შევეხები გრიგოლ აბაშიძის პოეზიისას, ამჯერად — **მსოფლმხედველობრივს.**

დაბადება — განვითარება — კვდომა — აი სამი საფეხური ჩვენი არსებობისა. მას შეიძლება ფილოსოფია ვერ დაარქვა, მაგრამ სინამდვილეს კი უთუოდ შეეფერება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პატარა ბიჭი გაჰყურებს აღმართს
და ბედნიერი როგორ არ არის,
რომ აღმართს მიღმა ვერ ხედავს თავქვე
ჩუმად დაშვებულ თავის მომავალს.

შეიძლება აქ გულგატეხილობა და გარდუვალისადმი უღონო მორჩილება მოგვეჩვენოს, ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ პრომიტიული ოპტიმიზმით აღვიჭურვებით და სინამდვილეს თვალს დავუხუჭავთ, ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ მარტოოდენ სიტყვების სემანტიკას გამოვეკიდებით — განა სრულყოფილი იქნება იმ ადამიანის ბედნიერება, რომელმაც არაფერი უწყის თუნდაც კვდომაზე, თუნდაც ჰერაკლიტეს მდინარეზე?

ასე გავიფლით ჩვენც სხვების თვალწინ
ჩვენს გზასაც ვინმე თვალს გააყოლებს,
დაავიწყდებათ ჩვენი ღიმილი,
ჩვენი წუხილიც დაავიწყდებათ...

მაგრამ მსგავსი განწყობილება მხოლოდ ნაწილია ჩვენი სულის მოძრაობისა. ჰარმონიულამდე, სრულყოფილამდე, არსებობის დედააზრამდე მას ასეთი თავისთავად არაყოვლისმომცველი გაელვება აკლია:

ძალითაც რომ დაგიხუჭონ, გაახილე თვალი,
მოასწარი, ქვეყნის ნახვა წილად გერგო ერთხელ,
ერთხელ შეგხვდა ქვეყანაზე ღვინო, მზე და ქალი,
ძალითაც რომ დაგიხუჭონ, გაახილე თვალი,
სიყვარულით გადიხადე მთელი ქვეყნის ვალი,
თვალს ნუ მისცემ დასვენებას, ღამეების მტეხელს,
ძალითაც რომ დაგიხუჭონ, გაახილე თვალი,
მოასწარი, ქვეყნის ხილვა წილად გერგო ერთხელ...

ადამიანური არსებობის ნამდვილი დედააზრი კი იმავე 1940 წელს დაწერილ ლექსშია, აქ ანტითეზები მორიგებულან და თითქოს ჰარმონიაში არიან

დასაბამიდან ასე ბოლომდე
იყო, ხედებოდნენ დღეებს გულღიად,
მისთვის, რომ სოფლად ადრეც ცხოვრობდნენ,
სოფელზე ხელი ვის აუღია!
ვიაროთ მკვიდრთან და საკუთართან,
ქვეყნად ასეთი კიდევ თუ არი,
მისთვის, რომ ადრე სხვებსაც უყვარდა,
ჯერ სიყვარულზე ვინ თქვა უარი!
ვიაროთ ასე, ლექსის ლელომდე,
სხვაგვარი ყოფნა ჩვენთვის უქმია,
მისთვის, რომ ადრე სხვებიც მღეროდნენ,
სიმღერა დღემდის ვის დაუგმია!

ჭეშმარიტად! მაგრამ პოეტისთვის მთავარ საფრთხეს სიკვდილი არ წარმოადგენს. პოეტისათვის მთავარი საფრთხე მისსავე საყვარელ საგაწში თვლემს და მის მიერ დაწნულ ბუდეში იზრდება. ჯერ არ შობილა ჭეშმარიტი პოეტი, რომელიც ტკბობას განიცდიდეს თავისი ლექსებით, ჯერ არ შობილა ამქვეყნად ჭეშმარიტი პოეტი, რომელსაც ეჭვებისა და გულგატეხილობის გარეშე ეცხოვროს... დრომ გენოსებად რომ მონათლა, ისინიც კი, გულუბრყვილოები (თუ რა შეიძლება ვუწოდოთ მათ), ისინიც კი სკეპტიკურად უყურებდნენ თავიანთ ნაშრომს.

და სადღა წავალ...
შენთან მოვედი,
ძნელ გზაზე თურმე ბევრი მარცხია...
მე მაინც ღმერთი ვარ შემოქმედი,
თუმც დამტვრეული ფრთები მასხია.
მე ცივად ჩამცქერს თვალში სიკვდილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და შერყეული მაქვს საფუძვლები,
გულგატეხილი, ღონემიხდილი,
ძმიდღე, როგორც შვილი უძღები.

ფრთებდამტვრეული ღმერთი... უძღები შვილი... ვის ულოცნია თავისი წმინდათა- წმინდა სალოცავი საუკუნო სულისმოთქმამდე! სიკვდილამდე ყველა პოეტი უძღები შვილია პოეზიისა. ყველა პოეტი სიკვდილის წინაც პოეზიის კარს უკაკუნებს...

ლამპარს დღისით არავინ ანთებს, არც, პოეზიაა ამ მხრივ გამონაკლისი, ისიც ადამიანმა თავისი სულის იდუმალებით მოცული სიღრმეებისთვის შექმნა.

არ ვიცი, ამ პატარა ეტიუდში, შევძელი კი გამოხატვა ჩემი დამოკიდებულებისა გრიგოლ აბაშიძის პოეზიისადმი. ის კი ვიცი, რომ არც ერთ დროში, არც ერთი მწერალისთვის არ იქნებოდა იოლი ასეთი დიდი შემოქმედებითი გზის გავლა. არც ერთი საზოგადო მოღვაწისთვის, კეთილისმოქმედი კაცისთვის არ იქნებოდა იოლი სამოცდაათწლიანი ცხოვრების გზის გავლა: ყველა გენერალი როდი კიდებს სუფთა სინდისით თავის ნამსახურევ მუნდირს.

ბატონი გრიგოლი ბედნიერი, ნაშრომი და ნაღვაწი ეგებება თავისი დაბადების 70 წლისთავს, აღსავსეა შემოქმედებითი ენერგიით და ჭარმაგი თავის ძალებში და სიმართლეში დარწმუნებული კაცის სიცოცხლემოუწყენლობით.

ბესიკ ხარანაული

კარლო გეგელაშვილი

ახალგაზრდას სურს გახდეს ექიმი

1. მოტივი, სურვილი და მოწოდება

„ბევრი კაი ყმის ნიჭსა და სინდისს უჩინმაჩინის ქუდი ახურავს“

შ. ნიშნიანიძე

ძირითადი მოტივი, რის გამოც თანამედროვე ბაბუკი თუ ქალიშვილი ეხსრაფვის გახდეს ექიმი, თითქოსდა სავსებით ნათელია. მისი მაძიებელი და მომავლის იმედით აღსავსე გონება საექიმო პროფესიის დაუფლებაში ხედავს ამ ახალისათვის დამახასიათებელი და სრულიად გახაგები პატივმოყვარე ოცნების ასრულებას — ამ გზით შეეძლოს დაბმარების ხელი გაუწოდოს დავრდომილს, დაიხსნას მისი სიცოცხლე, განკურნოს ადამიანები დაავადებებისაგან. ახალგაზრდას სჯერა, დ სავსებით მართებულადაც, რომ ამ გზით შეუძლია გახდეს ხაზოგადოებისათვის სასარგებლო მოღვაწე, თავისი ქვეყნის ღირსეული მოქალაქე.

თქმა არ უნდა — მოტივიც და სურვილიც კეთილშობილური.

სწორედ ამგვარი კეთილშობილური მოტივები და სურვილები კარნახობდა სრულიად ახალგაზრდა კარლ მარქსს, როცა 17 წლის ასაკში დაწერილ თავის შესანიშნავ ესსეში — „ჯაბუკის ფიქრები პროფესიის არჩევისას“ შენიშნავდა: თუ ჩვენი ცხოვრება იმის პირობებს გვიქმნის, მივდიოთ ნებისმიერ პროფესიას, შეგვძლია ამოვირჩიოთ ის, რომელიც ყველაზე მეტ ღირსებას მოგვანიჭებს და დაიმკვიდრებს იღებს, რომელთა ეშმარიტებაში სავსებით დარწმუნებულნი ვართ; ჩვენ შეგვიძლია ავირჩიოთ პროფესია, რომელიც განსაკუთრებით ფართო სარბიელს მოგვცემს კაცობრიობის საკეთილდღეო საქმიანობისათვის და მიგვაახლოებს სრულყოფილებასთან.

ჩვენი დღევანდელი ცხოვრების პირობები ნამდვილად იძლევა იმის საშუალებას, რომ ახალგაზრდამ სურვილისამებრ აირჩიოს თავისი მომავალი პროფესია, მაგრამ ახეთ შემთხვევაში სრულიად ბუნებრივად ისმება კითხვები: ესადაგება კი ეს სურვილი და მისწრაფება ამა თუ იმ ახალგაზრდის ინტელექტუალურ, ფიზიკურ და, თუ ვნებავთ, შემოქმედებით შესაძლებლობებს? შეძლებს კი იგი მოიტანოს ის საგებლობა, რასაც მისგან ხაზოგადოება მოელის, რაც ქვეყანას და ხალხს ესაჭიროება?

ეს კითხვები ტრადიციულად წარმოიშვება, როცა დგება ახალგაზრდის ცხოვრების მომავალი გზის განსაზღვრის საკითხი. მაგრამ აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი წერილის მიზანი სრულიადაც არ არის ახალგაზრდობის პროფესიული ორიენტაციის ზოგადი პრობლემის განხილვა. მას მხოლოდ კონკრეტული დანიშნულება აქვს: შეძლებისდაგვარად მივანიშნოთ ზოგიერთ ამ სპეციფიკურ მომენტზე, რომლებიც თან სდევს ახალგაზრდობის საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილის ლტოლვას საექიმო პროფესიისაკენ.

ამ თემაზე საუბარი ალბათ უფრო იმიტომაც ღირს, რომ ზემოთ დასახული კითხვები სწორედ ახეთ შემთხვევაზე იძენს განსაკუთრებულ სიმწვავეს. ეს კი გამორიბებულია იმით, რომ სამედიცინო ფაკულტეტების ამბიტურიენტების უმრავლესობას თითქმის არავითარი საფუძვლიანი ინფორმაცია არ გააჩნიათ მედიცინაზე. ამ პროფესიაზე მათ მხოლოდ ის წარმოდგენები

აქვთ, რომლებიც შეექმნათ ექიმთან უშუალო კონტაქტის დროს, როცა ისინი ან მათი ოჯახის წევრები ავადმყოფობდნენ და დახსმარებლად ექიმს მოიწვევდნენ. ამბტრიენტთა მცირე ნაწილისათვის ამგვარი შთაბეჭდილება გამდიდრებულია მათი ოჯახის ის წევრთა საქმიანობასა და ქცევაზე დაკვირვებით, რომლებიც საექიმო პროფესიის წარმომადგენლები არიან.

მაგრამ ყოველივე ეს ძალზე ცოტაა იმისათვის, რომ ახალგაზრდამ კარგად გაიაზროს თუ რას წარმოადგენს მედიცინა, საექიმო პროფესია, როგორ სულიერ, ფიზიკურ და შემოქმედებით ძალებს მოითხოვს ექიმობა ადამიანისაგან, ამ მხრივ მას სკოლაში მიღებული ცოდნაც ვერ ეხმარება. აქ საქმეს ვერ შველის ბიოლოგიის, ქიმიის და ფიზიკის სახალო კურსის გულდასმითი შესწავლაც და თუ ამ საგნებში კარგი მომზადება რიიმეში გამოადგება, ეს იმეე და ისეე საამედიცინო ინსტიტუტში შესახსელელად საკოსკურსო გამოცდების ჩაბარებაა.

მხოლოდ ამ საგნებში მიღებული ნიშნების მიხედვით რომ წარმოეს სამედიცინო ინსტიტუტში შემსვლელთა საკოსკურსო შერჩევა, სწორედ ეს კმნის დამატებით სიძნელეებს იმის გარკვევაში, თუ რამდენად შეეხამება ამბტრიენტი სამედიცინო პროფესიას. ამ თვალსაზრისით მედიცინაც და მისი მომავალი კადრიც გაცილებით მეტ უხერხულობაშია ჩავარდნილი, ვიდრე რომელიმე სხვა დარგი და მისი მომავალი სპეციალისტები.

კონსერვატორიაში ფორტეპიანოს, ვიოლინოს, ჩელოს თუ სხვა სპეციალობებზე შემსვლელებმა ძალზე კარგად იციან რისთვისაც იღვწიან — თითოეულმა მათგანმა მინიმუმ ათი წელიწადი მაინც ისწავლა რომელიმე ამ ინსტრუმენტზე დაკვრა და თუ კონკურენტზე უფრო უკეთ დაეუფლა მას, რის შედეგებსაც ეხეე შესახებში დარგების ავტორიტეტული სპეციალისტები აწარმოებენ, იგი უეჭველად ჩაირიცხება მისთვის სანუკვარ სპეციალობაზე.

ახეთ უპირატესობებს სამედიცინო დარგი სადღესოდ მოკლებულია: ზემოთ უკვე ითქვა, რომ სკოლა თითქმის ეერავითარ საფუძველინ ცოდნას ვერ აძლევს ამ უკანასკნელებს მედიცინის შესახებ, ხოლო უმაღლეს სამედიცინო სასწავლებლებში შემსვლელთა შერჩევა ხდება იმის მიხედვით, თუ როგორია ამბტრიენტის მომზადება ფიზიკაში, ქიმიაში, ბიოლოგიასა და მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში. გამოცდებსაც, ცხადია, ამ საგნების სპეციალისტები იბარებენ, რომელთაგან მხოლოდ ბიოლოგიაში, და ისიც უიშვიათეს შემთხვევაში, გამომცდელი შეიძლება იყოს საექიმო განათლების მქონე პირი. ამრიგად, საკითხს, თუ ვინ უნდა გახდეს ექიმი, წყვეტს არა ამავე სპეციალობის წარმომადგენელი, როგორც ეს ხდება, სხვა დარგებში, არამედ ფიზიკოსი, ქიმიკოსი, ბიოლოგი და მშობლიური ენისა და ლიტერატურის სპეციალისტი.

თქმა არ უნდა, დასახელებულ საგნებში კარგი მომზადება უდავოდ მეტყველებს ამბტრიენტის განათლებულობასა და ნიბეკითეზე, რაც იმის საიმედო საწინდარია, რომ იგი იმ სიძნელეებსაც კარგად დასძლევს, რაც სამედიცინო დარგში სწავლის რიულ და სანგრძივი პროცესს ახლავს. მაგრამ ყოფილი ამბტრიენტი-საგან ნამდვილი ექიმი რომ ჩამოყალიბდეს, გაცილებით მეტი რამ არის საჭირო, ვიდრე ეამედიცინო პროფილის საგნების ბეკითი დასწავლა.

ექიმისათვის, ისეეე როგორც პედაგოგისათვის, მუსიკოსის, მხატვრის, მსახიობისა და რეჟისორისათვის არანაკლებ, თუ მეტად არა, საჭირო პროფესიეთი მოწოდება.

და თუ ჩვენ გვსურს ნაწილობრივ მაინც გავერკვეთ ექიმის პროფესიეთი მოწოდების კონკრეტულ არსში, ალბათ სწორი იქნებოდა თუნდაც მხოლოდ ზოგადი კრიტერიუმების მიხედვით გვეცადა იმ მოთხოვნათა ჩამოყალიბება, რომელთაც უნდა აკმაყოფილებდეს საექიმო სპეციალობის დაუფლების მსურველი პიროვნება.

ახეთი პიროვნება, უწინარეს ყოვლისა, კაცთმოყვარეობით, გულთიადობით და ყურადღებიანობით უნდა გამოირჩეოდეს. იგი ყველგან და ყოველთვის უნდა ეხრაფეოდეს დაეუფლებულ გაუწეოს დახმარება გაჭირვებაში ჩავარდნილს, მზად იყოს საკუთარი სიცოცხლის ფასადაც კი ბიფათი აიცილოს მოყვახს. მას საკმაო უნარი უნდა გააჩნდეს იმისათვის, რომ არა მარტო სრულყოფილად დაეუფლოს ცოდნას, არამედ ანალიზური ნიკის წყალობით შესძლოს ეს ცოდნა გამოიყენოს პრაკტიკული მიზნებისათვის. ცხოვრებისეულ ფასეულობათა შორის უნდა გამოარჩევდეს და საკუთარ მოთხოვნილებად აქციეფდეს თავისი სამშობლო ქვეყანის, ხალხის, ცალკეულ ადამიანია ხასიათცოლნი ინტერესების დაცვას, რისთვისაც მას უნდა შესწევდეს ნებისყოფა, დაუზარებლად და უანგაროდ იშრომოს, განუწყვეტლივ სრულყოფდეს თავის ცოდნას, გამოცდილებას და კულტურულ ღონეს; მისი ზნეობა და მორალური პრინციპები ოდნავ ეკვსაც არ უნდა იწვევდეს ნაზოგადოებაში და ყოველივე ეს საზეპირო კაეთიბზნის როლს კი არ უნდა ასრულებდეს მის ცხოვრებაში, არამედ ვლინდებოდეს გაცნობიერებული მოკმედების სახით.

არსებითად ეს მოთხოვნები ჩამოყალიბებულია საბჭოთა ადამიანის მორალურ კოდექსში და მან სამედიცინო პროფესიასთან მისადაგებით თავისი ასახვა ჰპოვა საბჭოთა ექიმის ფიცში, რომელსაც იგი წარმოთქვამს უმაღლესი სამედიცინო განათლების მიღების შემდეგ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გასაგებია, რომ ყველა ასეთი თვისებით შემაკობილი პიროვნება მზაშზარეული სახით არ გვევლინება, ყველა ეს თვისება დაბადებიდან არ დაყვება ადამიანს. ისინი ყალიბდება და ვლინდება ადამიანური მოქმედების პროცესში. მართებულადაც არის აღნიშნული სპეციალური ლიტერატურაში, რომ ადამიანის შინაგანი სამყარო, მისი პიროვნული ბირთვი ყალიბდება მოქმედების გარკვეული სტრუქტურის მეშვეობით.

ადამიანური მოქმედების რომელიმე სხვა არასამედიცინო სფეროში (უთუოდ პედაგოგიური საქმიანობის გამოკლებით) იქნებ შესაძლებელიც იყოს საკმაოდ ხანგრძლივი დროის მანძილზე ველოდოთ შემოადენშნული თვისებების ჩამოყალიბებას ან ყველა ისინი არც ჩამოყალიბდეს უმაღლეს სასწავლებელში სწავლისა და შემდგომი საქმიანობის პროცესში, მაგრამ ასეთ შემთხვევაში ის მაინც არის ნაკლებმოსალოდნელი, რომ ზოგიერთი ასეთი თვისების არმქონე ადამიანის მოღვაწეობა რაიმე გამოუსწორებელი ზიანს მიაყენებს საზოგადოებას ან მის ცალკეულ წევრს.

მაგრამ ახე როდი მედიცინაში. და ეს იმიტომ, რომ ექიმი არის სპეციალისტი, რომელიც მოღვაწეობს ადამიანური მოქმედების სრულიად განსაკუთრებულ სფეროში, რომლის სამუშაოდო ობიექტია ადამიანის ორგანიზმი, ამასთან არა მარტო ავადმყოფისა, არამედ ჯანმრთელისაც. ეს ექიმს საზოგადოების სხვა წევრთა შორის სრულიად განსაკუთრებულ ადგილს აკუთვნებს. ამასთან ეს ექიმისათვის არა პირადი პატივმოყვარეობის დაკმაყოფილების, არამედ საზოგადოების წინაშე მისი უდიდესი პასუხისმგებლობის საზომია, რადგან ექიმის საქმიანობის ხარისხზე, მის კვალიფიკაციაზე და საკუთარი პროფესიის მიმართ მის დამოკიდებულებაზე მნიშვნელოვანწილად დაფუძნებული როგორც დიდი კოლექტივების ან მთელი რეგიონების მოსახლეობის, ისე ცალკეული მოკალაქის ჯანის სიმრთელე და კეთილდღეობა.

შეიძლება იმედი ვიქონიოთ, რომ უკვე უმაღლეს სასწავლებელში სწავლის პროცესშიც ამა თუ იმ პიროვნებაში მკაფიოდ გამოიკვეთოს მოწოდება ნებისმიერი დარგისადმი, მათ შორის მედიცინისადმი. ცხოვრება ამის მაგალითებს გვაძლევს. მაგრამ სამედიცინო დარგის უაღრესი სპეციფიკურობა და ექიმის პროფესიული მოვალეობის ის განსაკუთრებულობა, რაზედაც ახლახან გვქონდა ხუთბარი, ახეთე განსაკუთრებით საჭიროდ ხდის, რათა სამედიცინო სპეციალობის დაუფლების მსურველი მოწოდებითაც და თავისი მოკალეკობრივი სახითაც უკვე შეესაბამებოდეს ამ დარგს. აქ მხოლოდ შემთხვევითობაზე დაყრდნობა საზარელი იქნებოდა მედიცინისთვისაც და საზოგადოებისთვისაც.

2. ექიმობა ძალი პროფესიისა

„რა შეიძლება იყოს კაცის ცხოვრებაში უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე ხელობის არჩევა?.. ბავშვები ისმენენ, როგორ აქებენ ერთ ხელოსნის და აგინებენ მეორისა, და, აი, არჩევანიც მზად არის... ზოგჯერ ისედაც ხდება, რომ ბუნება იმარჯვებს და მაშინ... ადამიანი საკუთარ მიდრეკილებას მისდევს...“

ბელუ პასკალი, „აზრები“.

ექიმობა პრესტიჟული პროფესიაა.

სოციოლოგიური გამოკითხვებისას ექიმის პროფესია უცვლელად ხვდება ყველაზე უფრო პრესტიჟული პროფესიების სიაში.

ჩვენ ზემოთ უკვე მივუთითეთ იმ მოტივებზე, რომლებიც ახალგაზრდას უხიბლებს ამ დარგისაკენ. ახლა ამაზეც ვიქვეთ, რაც ამ მოტივებს ბადებს ახალგაზრდის გრძნობასა და გონებაში.

1975 წელს მოსკოვის ერთ-ერთი უმაღლესი სამედიცინო სასწავლებლის სტუდენტების გამოკითხვით გამოირკვა, რომ მათი 45 პროცენტისათვის სამედიცინო პროფესიის არჩევა მოტივირებული იყო ოჯახური ტრადიციით. სამედიცინო განათლების მიღების ამ მოტივის ჩამოყალიბება შეიძლება გასაგები და საფუძვლიანიც იყოს, როცა ოჯახის წევრთა შორის ექიმია, განსაკუთრებით თუ იგი მომავალი ამბულატორიების დედა ან მამაა. ასეთ ოჯახურ გარემოში გასაგები მიზეზები გამო ახალგაზრდას შეიძლება ბავშვობიდანვე გამოუშუშავდეს ინტერესი მედიცინისადმი, თუმცა ჩვენ ზოგჯერ ამის მოწმენც გავმხდარვართ, როცა ამგვარი ოჯახური ვითარება ახალგაზრდას სრულიად საწინააღმდეგოდ განაწყობს. რა თქმა უნდა, ოჯახურ ტრადიციად ვერ მივიჩნევთ მშობლების და ახლობლების დაუინებულ მოთხოვნას, რათა მათი პირმშო, განურჩევლად ამ უკანასკნელის პირადი მისწრაფებისა, უთუოდ ექიმის პროფესიას დაეუფლოს. ამ დაუინებას სამწუხაროდ არაერთი სავალალო შედეგი მოჰყოლია როგორც თვით ახალგაზრდისათვის, ისე მედიცინისა და პაციენტებისათვის.

იმავე გამოკითხვით სტუდენტთა 30 პროცენტმა თავიანი არჩევანი დაახასიათა სამედიცინო პროფესიის მიმზიდველობით, როგორადაც იგი აღწერილია სამეცნიერო-პოპულარულ და მხატვრულ ლიტერატურაში. ამის შესახებ ალბათ ძნელია უკეთესად ითქვას, ვიდრე ეს არის გადმოცემული ო. შეპანინს, ბ. ნოვგოროდცევის და ვ. ეროხინის ახლახან გამოსულ შესანიშნავ წიგნში — „მედიცინა და ხალხადიება“: „რაც შეიბმა ცნობებს, რომელთაც სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურა იძლევა, არაიშვიათად ისინი ცალმხრივად წარმოადგენენ სამედი-

ალალო ბენელაშვილი
ალალაბარდას სურა ბახდეს ექიმი

ცნონ მეცნიერების წინა ბაზს და თითქ-
მის არაფერს არ იძლევიან რიგითი ექიმის ყო-
ველდღიური შრომის სპეციფიკის გასაგებად.
კიდევ უფრო ცრუ რომანტიზმს გვაწვდის ზო-
გიერთი მხატვრული ნაწარმოები. სისუფთავით
გაჭეთქილებული საავადმყოფოს დერეფნები,
ქირურგის შუბლზე გამოფენილი ოფლის წვე-
თები, სოიმიაცია დის ყურადღებანი და, რა
თქმა უნდა, შეუვარებული თვალები და სხვა
ლიტერატურული და კინემატოგრაფიული შტა-
მპები სუსტ წარმოდგენას იძლევა ექიმის პრო-
ფესიაზე".

ახლა ისიც ვიკითხოთ, რა მოტივები ამოძ-
რავებდა გამოკითხულთა დანარჩენ 25 პროცე-
ნტს, როცა სამედიცინო სპეციალობის დაუფ-
ლება მოიხურვა? სამწუხაროდ, არაფერი, გარ-
და ამისა, რომ მიეღო უმაღლესი განათლების
დიპლომი.

აქ კი კომენტარი, როგორც ტკუვინ, ზედმე-
ტია და თუ რაიმე მაინც სათქმელია, აქერად
ისევ ჩვენ სასეკულუო პოეტს შოთა ნიშნიან-
ნიძეს დავეხმარებით: „აკეი თავის თავს რომ
ვერ პოულობს, ახე მგონია სხვის ადგილს იეე-
რს. მოგვიანებით ანდა დროულად ჩვენს შორის
იწვევს, ღიმილს და იევებს"...

კიდევ უფრო უარესი მდომარეობა იქმნება,
როცა ახეთი სტუდენტი ინე დაახარულებს უმა-
ღლესი სამედიცინო განათლების მიეღ კურსს,
რომ ბოლომდე ინდიფერენტული დარჩება თა-
ვისი სპეციალობის მიმართ, მიათვის ეს პრო-
ფესია მხოლოდ შემოსავლის წყაროდ ჩქეცვა და
მხოლოდ ამის გამო „დაინმეტს სხვის მოწო-
დების სინდიხისა და ტანჯვის გარეშე". ეს კი
უბედურებაა არა მხოლოდ პირადად მისთვის,
არამედ საზოგადოებისთვისაც, რომელიც, უკე-
თეს შემთხვევაში, მწუხარე „ღიმილით და იეე-
ვთ" მოეპყრობა მის საეკიმო საქმიანობას. ხოლო ოო ახეთმა ეკიმმა საკუთარი პრო-
ფესიისადმი ინდიფერენტულობის გამო ზია-
ნი მიაყენა ადამიანის სიცოცხლეს და ჯან-
მრთელობას, იგი შეიძლება საერთოდ გარი-
ყული აღმოჩნდეს საზოგადოებისაგან. სწორედ
ახეთ ეკიმზე თქვა ეხოლენ მკაცრად გამოჩენი-
ლმა ხაბეოთა კარდიოკირურგმა აკადემიკოსმა
ნ. ბ. ამოსო

დიცინო აპარატურა და მაღალეფექტური ფარმაკოლოგიური საშუალება ვერ შეცვლის ექიმის დაძაბულ და მომქანცველ შრომას ამ დროს. მან კარგად უნდა იცოდეს და გაითვალოს, რომ ადამიანის სიცოცხლის გადარჩენისათვის საჭიროა ექიმის გონებრივი, ზნეობრივი, და თუ გნებავთ, ფიზიკური ძალების სრული მობილიზაცია და დაუშურველი ხარჯვა. ახეთ შემთხვევებში მისი ხვედრია საკვდილთან შერკინებაში თეთრად გთინებული ღამეები, როცა ექიმს არც საშუალება, არც მორალური უფლება არა აქვს ოდნავ ჩაიძუნძული, ოდნავ ჩითვლემოს, თვით უიმედო მდგომარეობაშიც კი მოეშვას, უკან დიახოს და, რაც მთავარია, უმცირესი შეცდომაც კი დაუშვას.

ამავე დროს, როდესაც სიხარულის მომგვრელია მისთვის, როცა ამ მძიმე ბრძოლაში გამარჯვებას მიაღწევს.

მაგრამ ამავე ექიმისათვის როგორი გამაოგნებელი და გულსაკლავი სიტუაცია, როცა მთელი ეს მონდომება, მთელი ეს ქანცის გამწყვეტი შრომა ამაოდ ჩაივლის და იღუპება თუნდაც ის ერთი ავადმყოფი, რომელიც მაინც დაიღუპებოდა მის ორგანიზმში სიცოცხლისათვის შეუთავსებელი დაზიანებების განვითარების გამო. მართალია, გულცივი ხამედიცინო სტატისტიკა ახეთ შემთხვევას თავის ადგილს მიუჩენს სათანადო გრაფაში, რომლის სახელია „ლეტალობა“ და რომელიც ჯანდაცვის ორგანიზატორთა სრულიად მართებული მოსაზრებით შესაძლოა საკმაოდ დახალ დონეზე დარჩეს. მაგრამ ვინც ამგვარ სტატიკას შეხვრეპიან, დაგვეთანხმება, რომ ექიმის ხელიერი და ფიზიკური მდგომარეობა ამ დროს არანაკლებ მძიმეა, ვიდრე ამავე დაღუპულის ერთსულოვანებისა, რომლებიც ზოგჯერ შინაგანადაც კი ეგუებიან მძიმე ავადმყოფი ახლოვდის ტრაგიკულ დასასრულს.

ექიმი ჯერ კიდევ ახეთი განცდების ტყვეობაშია და ახლა იმისთვისაც უნდა განეწყოს, როგორ გაუსწოროს მზერა, როგორ სცეს ნუგეში, როგორ განუმარტოს მომხდარი ტრაგედიის მიზეზები მისგან იმედით, შეშფოთებით და მოლოდინით შეპყრე გარდაცვლილის დედას, მამას, მეუღლეს, შვილს... და ამავე დროს არ დაკარგოს სულიერი წონასწორობა, ფიზიკური შემართება და გონების სიცსადე, რადგან ახლა მის დახმარებას არანაკლებ საჭიროებს სხვა ავადმყოფი.

თავისთავად ცხადია, რომ ამ და ქვემოთ მოყვანილ შემთხვევებში მხედველობაში გვყავს ნამდვილი, თავისი პროფესიის ერო�eული ექიმები, რომლებიც, სამედიცინოდ, ცოტა როდი ჩვენს შორის...

ზემოთ ჩვენ აღვწერეთ შემთხვევები, რომელთაც ძირითადად მაღალი რანგის ქირურგებს ვხვდებით. მაგრამ ადამიანებს სამედიცინო დახმარებას მარტო ქირურგებისა. ეს ეხება თითქმის 80 პროცენტი პაციენტებისა. ეს ეხება დახმარებას ხასოფელო ამბულატორიებში, ქალაქის პოლიკლინიკებში, ხასწრაფო სამედიცინო დახმარების მეშვეობით იღებენ. სწორედ ეს არის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის, დაავადებათა პროფილაქტიკის წინა ხაზი და არსებითად აკ წყდება საკითხი, განვითარდება დაავადება თუ არა. და თუ ადამიანი მაინც დაავადდა, იმდენად დროულ და კვალფიციურ დახმარებას აღმოიჩენენ, რომ მიაღწევენ მის სწრაფ და სრულ განკურნებას, ანდა არცერთ შემთხვევაში მხედველობიდან არ გამორჩებათ დაავადების ისეთი მიმდინარეობა, რომელიც დაუოფებელივ ან რადიკალურ ჩარეკვას მოითხოვს სტაციონარის პირობებში.

აქაც, რა თქმა უნდა, ადამიანის სიკეთილ-სიცოცხლის საკითხი წყდება და ჯანმრთელობის დაცვის სწორედ ამ წინა ხაზზე ყალიბდება ნამდვილი ექიმი, რომელიც ყოველთვის მზად უნდა იყოს გაემართოს ავადმყოფის დასახმარებლად. დიახ, ეს ძნელია, მაგრამ საკალდებულოა ექიმისათვის. აკი ხალხშიც გვივარეზენთ ხოლმე: „რაკი ექიმია, მაშასადამე ვალდებულია!“...

ანადა, ექიმი, ისევე როგორც სხვა პროფესიის წარმომადგენელი, უწინარეს ყოვლისა, ადამიანია და ისევე როგორც შრომით დაღლილ სხვა ადამიანს აქვს მოთხოვნილება დასვენის, ეამოძეტენოს, იმყოფებოდეს ოჯახურ გარემოში, მეგობრების წრეში. ისევ შეცდება, განსაკუთრებით თუ ის ქალია, როცა შუაღამით, სრულიად უცნობი პირები მოაკითხავენ და, ავადმყოფის სახელით იწვევენ. დიახ, ისიც ადამიანია თავისი ბუნებრივი სისუსტეებით, მაგრამ როცა ავადმყოფის დასახმარებლად იხმობენ, მან ეს სისუსტეებიც უნდა დაძლიოს და ამიტომ ვერცერთ ახეთ შემთხვევაში, განსაკუთრებით სოფლად, იგი უარს ვერ იტკვეს თუნდაც შუაღამეს, კუნაპეტ სიბნელეში, თოვლსა და ბუჯაში გიემართოს თავისი პროფესიული და მოკალეკეობრივი ვალის შესასრულებლად.

სხვაგვარი პოზიცია არ არსებობს ექიმისათვის, სხვაგვარად არ შეიძლება!

ამავე დროს ისიც სათქმელია, რომ ახეთი პრინციპის ერთგულება, ამასთან დაკავშირებული სიძნელეები აწრთობს ექიმის ხასიათს, ქმნის მას ნამდვილ პროფესიონალად.

ექიმობა ძნელი პროფესიაა სხვა თვალსაზრისითაც. როგორ პარადოქსულადაც არ უნდა ვთქვან ეს სიტყვები, ამ პროფესიის სიძნელე ბაარობებულია სწორედ იმ დიდი მიღწევებითაც, რომლებიც თანამედროვე მედიცინამ მოიპოვა დაავადებათა პროფილაქტიკასა, დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში. ამის გამო ახლა არც

კარლო ბეგელავიანი
ალალბაზრდას სურს ბაადეს ექიმი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ იშვიათად. ადამიანები მედიცინისაგან თითქმის შეუძლებელს მოითხოვენ. ადამიანის სიცოდილს ისინი მიიჩნევენ არა მარტო როგორც სიცოცხლის ბუნებრივ დასასრულს, არამედ როგორც ექიმის მიერ გამოჩენილი არაკეთილსინდისიერების და პროფესიიული უძლურების შედეგსაც.

სიმპრთლის ნაწილი ამაში მართლაც არის და იგი ძირითადად შეეხება ექიმის უძლურებას აბსოლუტურად ყველა შემთხვევაში იმსნას პაციენტის სიცოცხლე, დაუბრუნოს მას ჯანმრთელობა. ეს ისევ და ისევ მედიცინის უძლურებაა, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ორგანულთან სრული შეცნობის შეუძლებლობასთან. ამის შესახებ თავის დროზე საკმაოდ დამაჯერებლად მოუთითა დიდმა სამეცნიერო ქირურგმა ს. ს. იოფფინმა, მაგრამ ყოველივე ამის აღიარება ოდნავადაც არ ამსუბუქებს ექიმის მდგომარეობას. მაშინაც კი, როცა სრულიად დარწმუნებულია, რომ ყველაფერი გაკეთა ავადმყოფის გადასარჩენად. სიკვდლთან ბრძოლაში საკუთარი უღონობის შეგნებაც კი მასში უადრესად მძიმე განცდებს იწვევს.

ამავე დროს პაციენტთა და მათი ახლომდების მომთხოვნელობა ექიმის მიმართ, როცა მისმა და მისი კოლეგების მცდელობამ, განეკურნათ ავადმყოფი, შედეგი ვერ გამოიღო, სულ უფრო იზრდება და სულ უფრო მეტ სიმწვავეს იძენს. ამ დებულების ილუსტრაციისათვის ალბათ გამოდგება მშობიარის დაღუპვის მაგალითი. წინასწარ დაჭეშნი, რომ უკანასკნელ წლებში საკართველოში დედის სიკვდლიანობის მაჩვენებელი ერთ-ერთი ყველაზე უფრო დაბალია საბჭოთა კავშირში. ისიც ცნობილია, რომ ამჟამად მსოფლიოში არ არსებობს ქვეყანა, სადაც დედის სიკვდილიანობის ადგილი არ ჰქონდეს. ეს იმას ნიშნავს, რომ როგორადაც მაღალ დონეზე არ უნდა იდგეს სამედიცინო დაბმარება რომელიც გნებავთ ქვეყანაში, დედის სიკვდილის შემთხვევებს, საშუხუროდ, მაინც აქვს ადგილი.

მიუხედავად ამისა, ჩვენი რესპუბლიკის სინამდვილეში, უკანასკნელი წლების მანძილზე არ ყოფილა დედის სიკვდილის თითქმის არცერთი შემთხვევა, რომ ამის გამო გარდაცვლილის ახლობლებს საჩივრით არ მიემართათ შემდგომი ინსტანციებისათვის. საჩივრებში ისინი ექიმებს ბრალს დებენ არაკეთილსინდისიერებასა და დაბალ კვალიფიკაციაში, მოითხოვენ სისხლის სამართლის პასუხისგებაში მათ მიცემას, მათთვის ექიმის დიპლომის ჩამორთმევას. სიმართლეს ვერ გაუგეცევთ: გარკვეულ შემთხვევებში საჩივარი დასაბუთებული აღმოჩნდება ხოლმე და ასეთი ვითარებისას სათანადო დისციპლინარული და ადმინისტრაციული ღონისძიებებიც ხორციელდება. მაგრამ დიდ უმრავლეს შემთხვევაში საჩივარი მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს.

ვიტაც იმას ავუვლით გვერდს, რომ ამგვარი საჩივრები ფსიქოლოგიურად საეხებით გასაგებია. ყოველი ოჯახისათვის, რომელსაც, სრულიად მართებულად, მშობიარობა მიაჩნია ნორმალური ფიზიოლოგიურ აქტად, მშობიარის დაღუპვა ისეთი მოულოდნელი და თავზარდამცემი უბედურებაა, რომ განუზომელი მწუხარებით გაოგნებულ ქირისუფლებს მათი უბედურების მთავარ მიზეზად ისევ და ისევ ექიმი მიაჩნიათ და მთელი მათი გულისწყრომაც მისკენაა მიმართული. და ეს ხდება განურჩევლად იმისა, ეს ტრაგედია რამ განაპირობა — ისეთმა გართულებამ (მაგალითად, ეკლამპსიამ), რომლის თავიდან აცილება და დაძლევა აღემატება თანამედროვე მედიცინის შესაძლებლობებს თუ უნებლიე შეცდომამ, რომელიც გარდუვალად თან ახლავს ყოველგვარ ადამიანურ მოქმედებას და რომლის გამოსწორება, სხვა დარგებისაგან განსხვავებით, მედიცინაში შეუძლებელი ხდება.

ყოველი ამგვარი შემთხვევა ექიმის გულსა და გონებაში ტო

ექიმებს საკუთარი დღეგრძელობის ფასად უჯდებათ სხვისი დღეგრძელობისათვის ბრძოლა.

აქვე საჭიროდ მოგვანიშნა აღვნიშნოთ, რომ ექიმთა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა დანარჩენი მოსახლეობის სიცოცხლის ხანგრძლივობაზე ნაკლებია არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ სახმოთა კავშირში და ხაზგვარეგანეკა. ეს ახე იყო წარსულში და მოსალოდნელი არ არის, რომ ეს ახე არ იქნება მომავალშიც.

ეუშმარტად, ექიმობა ძნელი პროფესიაა!

3. ექიმობა: კაცთმოყვარეობა, პროფესიონალიზმი, თავდადება

„ვინც ასწევს, კიდევაც დასწევსო"
ხალხური სიბრძნე

ზემოთ, როცა საუბარი გვქონდა ექიმის მოწოდებაზე, იმ უდიდეს პასუხისგებლობასა და სიძნელეებზე, რომლებიც თან ხდეს ექიმის საქმიანობას, მხოლოდ ერთი ძირითადი მიზანი გვამოძრავებდა: მოგვენიშნებინა იმ ახალგაზრდებისათვის, ვისაც სურს ექიმის პროფესიას ეზიარის, რამდენად საოუი და ამავე დროს უმძიმესი საქმისაკენ მიიღტვიან და თუ ოდნავ მაინც შევძელით უფრო ღრმად ჩაგვეფიქრებინა ახინი (ალბათვე, მათ შობლები) ამ საკითხზე, დასახული მიზანს მიღწეულად მივიჩნევდით.

დე, ახეთმა ჩაფიქრებამ, საკუთარ მისწრაფებათა და შესაძლებლობათა მხოლოდ გულდასმითმა აწონ-დაწონვამ მიიყვანოს საბოლოო გადაწყვეტილებამდე ახალგაზრდა და თუ ეს ახე მოხდება, რომელიც ენბავთ სიძნელე, რომელთა შესახებაც უკვე გვქონდა საუბარი, მისთვის გადაულახავი აღარ დარჩება. იგი ყველა მათგანს დაძლევს იმ ნებისყოფით და ენერგიით, რომელიც თავის საქმეზე უსაზღვროდ შეუკავებულ და საკუთარი პროფესიისადმი ერთგულ ადამიანებს ყოველთვის მოხდგამდე და მოსდგამს.

სწორედ ამის შესახებ შესანიშნავად თქვა კარლ მარქსმა სიკვალეკენში დაწერილ და ჩვენს მიერ უკვე ციტირებულ ნაწარმოებში „ეპიზოკის ფიქრები პროფესიის არჩევისას": თუ ჩვენ ავირჩიეთ პროფესია, რომლის ჩარჩოებშიც ჩვენ ყველაზე მეტად შევძლებთ ვიშრომოთ კაცობრობისათვის, ჩვენ არ მოვიხრებთ ამ ტვირთისაგან, რადგან ეს ყველას სახიკეთოდ მიტანილი მსხვერპლია. მაშინ ჩვენ — განაგრძობდა იგი — განვიცდით არა საცოდვ, შეზღუდულ ეგოისტურ სიხარულს, არამედ ჩვენი ბედნიერება გახდება მილიონების კუთვნილებაო.

ახალგაზრდის ახეთი დამოკიდებულება თავისი პროფესიისადმი და კერძოდ ექიმის პროფესიისადმი სახარგებლოა მისთვისაც და ხაზგადებითთვისაც. ამასთან, მედიცინისა და ხაზგადებისათვის ერთნაირად ხელსაყრელი. „ეჭვი, მისი სახით დიდად საჭირო, ამასთან, ბალზაკ პატეხსეეეეეთ და სიყვარულით გარეშოსილი პრაკტიკოსი მკურნალი თუ საკეეეენოდ აღიარებული მეცნიერი-მედიკოსი მოგვეეეენება. ორივე შემთხვევაში ხალხს და ჭკეეეანს ეეოოლება ადამიანთა ჯანმრთელობის საკმისათვის თავდადებული პროფესიონალი, ადამიანთა კეთილდღეობისათვის მებრძოლი ხაზოგადო მოღვაწე, თავისი ქვეყნის ღირსეული შვილი.

სულ სხვა საქმეა, როცა დღის წესრიგში დგება მეცნიერების და ტექნიკის განვითარებისათვის განხორციელებულ ხარისკო ექსპერიმენტებში ექიმთა მონაწილეობის აუცილებლობა.

ამ თვალსაზრისით ექიმებმა უკვე შეიტანეს თავიანთი ღირსეული, პროფესიული წვლილი კოსმიური ხივრცის ათვისების ყოველმხრივ მომზადებაში და თვითვე, როგორც კოსმონავტმა-მფრინავებმა, უშუალო მონაწილეობა მიიღეს ამ ათვისების პროცესებში.

ახეთე მოხდა, მაგალითად, რადიაციულ ფიზიკასა და ბიოლოგიაში მუშაობასა, რამაც, განსაკუთრებით ამ კვლევის გარეგრაკეზე მკვლევარ ფიზიკოსებთან ერთად არაერთი ექიმის ჯანმრთელობა შეიწირა.

მაგრამ ახეთ თავგანწირვას ამაოდ არ ჩაუვლია: ყველა ამ დარგის მეცნიერული მიღწევები, როცა ისინი მშვიდობიანი მიზნებისათვის გამოიყენება, ისეე და ისეე მილიონობით ადამიანის კეთილდღეობისათვის არის განკუთვნილი. ექიმებმა ეს ძალზე კარგად იციან. სწორედ ამიტომაც არის, რომ მშვიდობის შენარჩუნებისათვის, ბირთვული ომის თავიდან აცილებისათვის მსოფლიოს ხალხთა ბრძოლაში მძლავრ, მაგრამ ცალკე და ამასთან შესამჩნევ ნაკადადაა ჩართული საერთაშორისო მოძრაობა — „ექიმები ბირთვული ომის თავიდან ასაცილებლად". ეს განცალკევება რაიმე პრინციპულად განსხვავებულ მიზნებს კი არ ისახავს მსოფლიო სამშვიდობო მოძრაობაში: როგორც ეს საყოველთაოდ არის აღიარებული, ამ მოძრაობას განსაკუთრებით დიდი რეზონანსი აქვს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის იმ წრეებში, რომლებიც არსებითად წყვეტენ ომისა და მშვიდობის საკითხებს. სხვა საკითხია, რომ განსხვავებით სოციალისტური ქვეყნების ხელმძღვანელთაგან, რომლებმაც მაღალი შეფასება მისცეს ამ მოძრაობას, ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციამ ცდილობს დუმილით აუაროს ყველრდი მას. მაგრამ, როგორადაც არ უნდა იყოს, ვერავინ უარყოფს, რომ ექიმთა სიტეკვის ამ საკითხზე ძალზე დიდი წონა აქვს, რადგან თუ ვინმემ იცის, რა უბედურება შეიძლება მოუტანოს ბირთვულმა ომმა მსოფლიოს და მასზე

 კარლო გეგელაშვილი
ახალგაზრდას სწრს ბაზდის ექიმი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მცნოვრებ ყოველ სულდგმულს — ეს ყველაზე უკეთ ექიმებმა იციან და ამ საკითხში, უწინარეს ყოვლისა, ექიმებს დაეჭერებათ.

ყოველივე ის, რაც ახლახან ითქვა, ფართო საზოგადოებისათვის, ეკრძოდ ჩვენი ახალგაზრდობისათვის შედარებით კარგად არის ცნობილი, მაგრამ ინფორმაციის პოპულარული საშუალებები შედარებით მეტრე ცნობებს აწვდიან მათ იმის შესახებ, თუ რა გზებით და საშუალებებით მიაღწია მედიცინამ დღევანდელ დონეს, როგორი სულიერი და ფიზიკური ძალების დაძაბვა, როგორი თავდადება დასჭირდათ მის მსახურთ იმის მისაღწევად, რომ ღღეს საშო ინფექციათა ეპიდემიებისაგან აღარ იღუპება ახიათხმთნი და მილიონობით ადამიანი.

ამ საკითხის სრულყოფილ გაშუქებას არა თუ ერთი საფურნალო სტატია, მთელი წიგნიც კი არ ეყოფოდა. მაგრამ ამ წერილის მიზანდასახულობა საკირიდ ხდის თუნდაც რამდენიმე შტრიხით ვაჩვენოთ, თუ საკუთარი საქმისადმი როგორ დიდ ერთგულებას და თავდადებას, როგორ მაღალ პროფესიულ ოსტატობას მოითხოვს სამედიცინო მეცნიერების წინსვლისათვის, მისი პრაქტიკული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის თუნდაც ერთი წინგადადგმული ნაბიჯი, რაოდენად დაძაბული და პასუხსაგებია ექიმის ყოველდღიური საქმიანობა.

სტიმული ასეთი ძნელი ნაბიჯის გადასადგმელად, ახალი დაძაბული საქმიანობისათვის, როგორც უკვე ვთქვით, უაღრესად კეთილშობილური და მაღალმუმანურია.

გაჭირვებაზე მყოფი მოვაკისისათვის დახმარების ხელის გაწოდება — ეს ყოველი ნორმალური ადამიანის შინაგანი მოთხოვნილებაა და ყველა ჩვენგანი არაერთი ისეთი ფაქტის მოწმეები გავმხდარვართ, როცა საკუთარი სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდების ფასად ერთ ადამიანს მეორე გადაურჩენია სიკვდილის საფრთხისაგან. მაგრამ, თუ ასეთი პირი წყალმაშველი სადგურის მუშაკი ან მეხანძრე არ არის, მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე ასეთ შემთხვევას შესაძლოა მხოლოდ ერთხელ გადაეკარის და სწორედ ამ დროს ხდება ზემოაღნიშნული შინაგანი ადამიანური მოთხოვნილების რეალიზაცია.

საექიმო დარგის წარმომადგენელთათვის კი ასეთი რამ არა მარტო შინაგან მოთხოვნილებად, არამედ პროფესიულ მოვალეობადაც არის ქცეული და მათი რეალიზაცია ყოველდღიურად ხდება. თუმცა ისიც უნდა ვთქვით, რომ ეს ყოველთვის როდი დაკავშირებული სიცოცხლისათვის საშიშ რისკთან.

ამ შინაგანმა მოქალაქეობრივიმა მოთხოვნილებამ და პროფესიულმა მოვალეობამ უკარნახა უკვე სახელმოხვეველ მწერალს ა. პ. ჩეხოვს დაეტოვებინა დედაქალაქური ცხოვრების კომფორტი და ორი წლის განმავლობაში, ვიდრე არ მოისპო აზიური ქოლერის საფრთხე, ემუშავა სოფ. მელიხოვოში და საექიმო დახმარება გაეწია ამ და ახლომდებარე 26 სხვა სოფლის მოსახლეობისათვის. ასევე გაკეთო ალბერტ შვაიცერმა, რომელმაც მიატოვა სტრასბურგის უნივერსიტეტის პროფესორობა და მეცნიერის და მუსიკოს-ორგანისტის ბრწყინვალე კარიერა, შეისწავლა მედიცინა, გაემგზავრა ეკვატორიულ აფრიკაში და მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე უანგარო სამედიცინო და საგანმანათლებლო დახმარებას უწევდა აჭაურ მცხოვრებთ. მსგავსმა მოტივებმა განაპირობა ჩვენი სახელგანთქმული ექიმის ივანე გომპრთელის მუშაობა ახალქალაქის მაზრის სოფ. ბარალეთის ამბულატორიაში და იმ დროისათვის ამ მიყრუებული მხარის მრავალთასიანი მოსახლეობისათვის სამედიცინო დახმარების გაწევა.

1911 წელს მაჩაჭრიაში იფეთქა შავი ჭირის ეპიდემიამ, რომელმაც სულ მოკლე ხანში 100 ათასამდე ადამიანი იმსხვერპლა. შეიქმნა ეპიდემიის შემდგომი გავრცელების საშიშროება. რუსეთიდან აქ ჩამოსული მედიკოსების რაზმში, რომელსაც პროფ. დ. კ. ზაბოლოტნი მეთაურობდა, იყვნენ პეტერსბურგის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტები. ისინი თავიანთივე დაჟინებული სურვილით წამოვიდნენ აქ. უფროს კოლეგებთან ერთად მათ დიდი როლი შეასრულეს ეპიდემიის ჩაქრობისა და ადგილობრივი მოსახლეობისათვის საჭირო სამედიცინო დახმარების აღმოჩენაში. ეს იყო მძიმე და სახიფათო ბრძოლა და მან ბრწყინვალედ შეიჭრა არაერთი მედიკოსიც. მათ შორის იყო სტუდენტი ი. ვ. მამონტოვიც. სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე, როცა მან უკვე კარგად იცოდა, რომ დაავადებულია უკურნებელი სენით, გამოსათხოვარი წერილი მისწერა დედას.

დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ არავის, ვინც ამ წერილს თავიდან ბოლომდეი წაიკითხავს, ოდნავი ეჭვიც არ შეეპარება მისი ავტორის სრულ გულწრფელობაში.

აბჯერად კი მხოლოდ ერთ ნაწყვეტს მოვიყვან ამ წერილიდან, რომელიც ასევე დამაჯერებლად გვიჩვენებს, თუ ამ მედიკოსი-სტუდენტის გრძნობასა და გონებაში რაოდენ მაღალ რეგისტრში იყვანილი ერთგულება საკუთარი პროფესიისადმი, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე: „სატიფუსად მინდა გითხრა — სწერდა ი. ვ. მამონტოვი თავის დედას — არავითარი სწრაფვა არ მქონია უფოდ თავი მომეწონებია ანდა გამეჩინაკა. პირიქით, ვფიქრობდი, სიცოცხლეზე უკეთესი არაფერია-მეთქი, მაგრამ მარტო იმისათვის რომ იგი შეეწარჩუნებინა, არ შემეძლო გავეკეთილი იმ საფრთხეს, რომელიც ყველას ემუქრება და, მაშასადამე, ჩემი სიკვდილი ეს მხოლოდ სამსახურებრივი მოვალეობის აღქმის შესრულებად შეიძლება ჩაითვალოს. და როგორადაც სამშობლო

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა იყოს ეს შენთვის, უნდა ვაღიაროთ, რომ ცალკეული ადამიანის სიცოცხლე არაფერია საზოგადოების სიცოცხლესთან შედარებით, ხოლო კაცობრიობის მომავალი ბედნიერებისათვის მსხვერპლიც ხომ საჭიროა". და კიდევ რამდენი ახეთი მაგალითის მოყვანა შეიძლებოდა იმის სალიუსტრაციოდ, რომ პროფესიისადმი ერთგულება, რომელიც განუურეელად არის შერწყმული მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობასთან, დიდ ეროვნულობასთან და პრაქტიკულ გამოცდილებასთან, ექიმს შეაძლებინებს გადალახოს ყოველგვარი დაბრკოლება, არ შეუშინდეს თვით სახიკვდილო საფრთხესაც კი ადამიანთა საკეთილდღეოდ მიმართული მისი ყოველდღიური საქმიანობის გზაზე.

ექიმის ყოველდღიური საქმიანობა კი ალბათ არის ადამიანისადმი სიყვარულით, მისი კეთილი და ლხინისადმი თანაგრძნობით, მაღალი დონის პროფესიონალიზმით. ჩვენ აქ ვიყენებთ ზმნას — „არის" და არა „უნდა იყოს", რამდენადაც ამჯერად საუბარი გვაქვს არა მომავალ ექიმზე, არამედ უკვე ჩამოყალიბებულ, ჭეშმარიტ ექიმზე, რომელიც ყოველთვის მზად არის, თუ ეს მისი პაციენტების, შობლიური ხალხის ინტერესებისათვის იქნება საჭირო, თავი ანაკვლოს მათ. ჩვენს ნაბეჭდ ინსმდგალეში ამის ორერთი მაგალითი გაგვაჩნია როგორც სამამულო ომის პერიოდში, ისე მშვიდობიანი აღმშენებლობის წლებში. ყოველივე ამას ჯეროვნად აფასებს ჩვენი საზოგადოება.

ამავე დროს, რაკი ახალგაზრდამ ექიმობა გადაწყვეტა თავის პროფესიად, რაკი საჭიროდ დასდო ამ პროფესიისადმი, საეკითხ საქმიანობის პრინციპიადმი ერთგულების ფიცი, თავისთავად იგულისხმება, რომ მას უკანდახახეკი გზა მოგრილი აქვს, ამ პრინციპების უგულებელყოფის თითოეულ შემთხვევას ფიცის გატეხვად, ხალხის ინტერესების ღალატად აფასებს ჩვენი საზოგადოება, აქედან გამომდინარე შედეგებით.

ახერგვად საკაკი და პრესტიჟული ექიმის პროფესია.

ახერგვადვე მძიმე და პასუხსაგები იგი.

ამიტომ, როცა ახალგაზრდას სურს გახდეს ექიმი, იგი ვალდებულია კარგად აწონ-დაწონოს ყოველივე ეს და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება.

მაგრამ ახეთი გადაწყვეტილების მიღებაში მას უფროსი კეთილმსურველების დახმარებაც ესაჭიროება. ეს მით უფრო აუცილებელია, რომ, როგორც უკვე ითქვა, აქამდე ახალგაზრდას საშუალება არ ჰქონდა ახე თუ ისე შეუცდომლად განესაზღვრა მის მიერ საექიმო პროფესიის არჩევის მარბიუდლობა — ამაში მას ვერც დღემდე არსებული სასკოლო პროგრამა და მის საფუძველზე აგებული სასწავლო პროცესი ეხმარებოდა. ეს ისეთი საქმეა, რომ აქ მარტო ბკეუის სასწავლო ლექციები და შეგონებანი საქმეს ვერ უშველის. ახეთ ვითარებაში ალბათ ყველაზე უკეთესი იქნება, ახალგაზრდას შეეუქმნათ ისეთი პირობები, რომ მას საშუალება მიეცეს საკუთარი თვალით დაინახოს, თუ შეიძლება ახე ითქვას, „ხელით შეეხოს" ან „გემოც კი გაუსინჯოს" თავის შესაძლო მომავალ პროფესიას.

ვფიქრობთ, რომ ამ საკითხის მოგვარება არც ისე უნდა გაძნელდეს, თუ ჯეროვნად გამოვიყენებთ იმ დიდ შესაძლებლობებს, რომელთაც ზოგადსაგანმანათლებელი და პროფესიული სკოლის ახალი რეფორმა სახავს ახალგაზრდობის სწორი პროფესიული ორიენტაციის თვალსაზრისით.

აქ, უწინარეს ყოვლისა, მხედველობაში გვაქვს VIII-XI კლასების მოსწავლეთა ფურვილისამებრ ფაკულტატური მეცადინეობების ორგანიზაცია შესაბამის პროფილურ დისციპლინებში, X-XI კლასების მოსწავლეთა შრომითი სწავლება ახეთე პროფილურ დარგებში, საშუალო პროფესიულიურ სასწავლებლებთან ერთწლიანი განყოფილებების შექმნა, რომლებმაც საშუალო სკოლადამთავრებულს ხელი უნდა შეუწყოს „უფრო რთული პროფესიის მიღებაში" და, რასაკვირველია, საშუალო სპეციალური სამედიცინო სასწავლებლები, სადაც სამედიცინო ინსტიტუტის მომავალ ამბიტურიენტს ყველაზე უკეთესი საშუალება ეძლევა საფუძვლიანად გაეცნოს მისთვის სასურველი დარგის სპეციფიკას და ამის შესაბამისად მიიღოს გადაწყვეტილება ამავე დარგში უმაღლესი განათლების მიღების შესახებ. უთუოდ უურადღებას იმსახურებს წინადადებები იმის შესახებაც, რომ ახალგაზრდამ, რომელმაც ისურვა ექიმად გახდომა, თავისუფალი დრო მოამზადოს სამედიცინო დაწესებულებებში, განსაკუთრებით სასწრაფო დახმარებასა და საავადმყოფოში სანიტრად მუშაობას.

ვფიქრობთ, რომ საკითხის ამგვარი დაყენება არ უნდა იყოს მოწყვეტილი რეალობას. და რაკი ეს ასეა, იმის სრული იმედიც უნდა ვიქონიოთ, რომ მივაღწევთ იმ სანუკვარ მიზანს, რომელიც გულისხმობს სამედიცინო დარგში ახალგაზრდობის მოსვლას მხოლოდ მოწოდებით.

ეს მედიცინასაც სჭირდება და ჩვენს ახალგაზრდობასაც, რომელსაც სურს დაიუფლოს ექიმის პროფესიას.

მაგრამ, რაც მთავარია, ეს საჭიროა ხალხისათვის.

იგორ შტოკმანი

წყურვილი

(გურამ გეგეშიძე — იდეები და გმირები)

გურამ გეგეშიძე ქართველი მწერლების იმ თაობას ეკუთვნის, რომელმაც თავისი ლიტერატურული გზა სამოცდაან წლებში დაიწყო. ეს გზა ცნობილია: ჯერ იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური ალმანახი, მერე ახალგაზრდული ჟურნალი „ცისკარი", ახე გულუხვად რომ ფუძობდა ამ თაობას თავის ფურცლებს. გურამ გეგეშიძის თითქმის ყველა დიდი თუ პატარა მოთხრობა სწორედ სამოცდაან წლებში დაიწერა, გამონაკლისია მხოლოდ 1971 წელს დაწერილი მოთხრობა „აპრილი" და რომანი „სტუმარი", ეს ბოლო ნაწარმოები რუხულ ენაზე ითარგმნა და 1979 წელს გამოქვეყნდა ჟურნალ „ლიტერატურნაია გრუზიას" ფურცლებზე.

ლიტერატურაში „სამოცდაანელების" შემოსვლა ახალი, თანამედროვე ქართული პროზის დასაწყისს მოასწავებდა, პროზისა, რომელიც ჩვენს — მკითხველთა შეგნებაში ოთარ ჭილაძის, ანა ბოლკვაძეების, ჭაბუა ამირეჯიბის, გურამ რჩეულიშვილის, ნოდარ დუმბაძის, აჩრდილ ხელოვაკაურის, გურამ ფანჯიკიძის... სახელებთან არის დაკავშირებული. სხვადასხვაგვარია ამ მწერალთა ბიოგრაფია, შემოქმედებითი მანერა და თვით ტალი, მაგრამ უდავოდ არის რაღაც საერთო, რაც აერთიანებს მათი წიგნების შინაგან, ხელიერ სახეს. მათ ფილოსოფიური და ეთიკური ცნებები აქვთ მომარჯვებული და მათი ძიებაც ადამიანური აზრისა და გონის სფეროში იკვლევს გზას... ყოველდღიური, ყოფითი მხარე აქ მხოლოდ ადგილი, საწყისი წერტილია ძიებისა. ბადე სილრმეშია ნასროლი, იგი აბრუნებს ფსკერის ქვებს, დაფათურობს იქ, სადაც შეიძლება მიაგნოს და კიდევ უნდა მიაგნოს საყოველთაო, უმნიშვნელოვანეს აზრს ყოფიერებისა, ისევეს და თავისკენ იზიდავს იმას, რაც განსაზღვრავს, სიმწყურის სძენს დღეთა ჯაჭვს, ადამიანის ცხოვრებას, ანაზეს მას მარმონიას ანდა დისჰარმონიას, წესრიგს ანდა ქაოსს.

მთავარი ის კი არ არის, როგორ ცხოვრობს ადამიანი, მთავარია — რატომ ცხოვრობს იგი, რა განსაზღვრავს მის ყოფას, მის ბედს? რა ძალები ზემოქმედებენ ინდივიდზე — ვეებერთელა, უკიდეგანო სამყაროში მოკარგულ ქვიშის მარცვალზე და როგორია თვით ადამიანის გაკვლენის ზომა ამ ძალებზე? რა ამოძრავებს მას თავისი ცხოვრების გზაზე? ამაო და უაზრო ხომ არ არის ყოველი ჩვენი მცდელობა, თუკი მაინც გარდუვალია სტაბილი, მიცვალებულთა მდინარე, თავის შავ წყალში განურჩევლად რომ მარხავს ცოდვილებსა და უცოდველებს, ბრიყვებსა და ბრძენებს, მამაცებსა და მხდალებს?

აი, რა საკითხები არის დამახასიათებელი დღეს ქართული პროზისათვის და გურამ გეგეშიძისაც აი, რა აღელვებს... ახსოლუტების წყურვილი — ახე დავარქმევდი მე ამ მოვლენას. დღეს სწორედ ესაა ის ფაქტორი, თვალსაჩინოდ რომ აყალიბებს ქართული პროზის არსსა და ხასიათ, განსაზღვრავს ავტორის ანალიზის სფეროს. ახეთი პათოსი ერთობ კეთილშობილური და ერთობ ძნელია. იგი, უწინარეს ყოველისა, მოითხოვს აზროვნებას, ცოცხალ, მაძიებლურ აზროვნებას, რომელიც არ უფრთხის „წყეულ კითხვებს" და თამამად იმზირება იქითკენ, სადაც უბრალო „ყოფით მწერლობას" კარი დაკეტილი აქვს, რამეთუ მას იქ, არც მეტი და არც ნაკლები, ალარაფერი ესაქმება.

ახეთი ინტერესი კანონზომიერად ქმნის ისეთ პროზას, რომელსაც დღეს „ინტელექტუალურს" არქმევენ და, სხვა რომ არა იყოს რა, მარტოოდენ თავისი ლექსიკონი და პრობლემატიკა ანიშნებს მას ამ ხარისხს. ხიცოცხლე, სიკვდილი, ბედი, სიყვარული, სიკეთე, ბორიტება. ეს სიტყვები, როგორც ვხედავთ, ისეთ ცნებებს აღნიშნავენ, რომლებიც არსებითი და მნიშვნელოვანია ყოველი ადამიანისათვის, ყოველი ინდივიდისათვის და არა მხოლოდ რომელიმე ლიტერატურულნი ნაწარმოების პერსონაჟებისა თუ ვმირებისათვის. ახანი მიმართული არიან კატეგორიებისაკენ — განმაზოგადებელნი, ფილოსოფიური და, ამავე დროს, ღრმად ინდივიდუალური კატეგორიებისაკენ, რომელთა გარეშეც წარმოუდგენელია ცხოვრების მდინარებაში პიროვნების თვითშეცნობა და თვითგამორკვევა.

ეს მისწრაფება, თუ გნებავთ — ტენდენცია საფუძველი და არსია „ინტელექტუალური პროზისა“ — და ამ პროზისთვის დამახასიათებელი მხატვრული სტრუქტურაც ამით არის განპირობებული. ძალიან ზზრად იგი მითოსის მსგავსია, თითქმის დასაწყისიდანვე ამცნობს მკითხველს, თუ რის შესახებ, რის გამო შეიქმნა ნაწარმოები, როგორია მისი მთავარი, მთელი თხრობის გამჭოლი აზრის „ვექტორი“. ახეთ პროზაში, როგორც ეს ზუსტად შენიშნა ანატოლი ბოჩაროვმა თავის წერილში „შემოქმედებითი წარმოსახვის გზები“ („ლიტერატურა ნაროდოვ“, № 12, 1978), საგრძნობია „...ზნეობრივი, ფილოსოფიური თეზისის პირველადობა, თეზისისა, რომელიც უფრო გონით არის მოძიებული, ვიდრე განცდით წვდომილი“. კრიტიკოსი ამას ტმენურ პულატოვის, ბრანტ მათეოსიანის, ჩინგიზ აიტმატოვის, სერგეი ზალიგინის... ნაწარმოებებზე ამბობდა.

მე კი ახეთი თეზისის „პირველადობას“ კარგად ვგრძნობ გურამ გეგეშიძის პროზაშიც. იგი შედან ამ თეზისიდან გამოდის და მასზე ფიქრობს, როცა მიმართავს „უმთავრეს“, ყოველი ჩვენგანისთვის უმნიშვნელოვანეს ისეთ ცნებებს, როგორიცაა სიცოცხლე, სიკვდილი, ბედი, სიყვარული, სიკეთე, ბოროტება... ისინი უმნიშვნელოვანესი ნიშანსვეტები არიან, რომელთა წიაღ და რომელთა გასწვრივაც მოძრაობენ და ვითარდებიან გ. გეგეშიძის ნაწარმოებები. გერტცენზე თქმული ბელინსკის სიტყვები რომ გავახსენოთ, შეიძლება გურამ გეგეშიძეზეც ითქვას: „მისი მთავარი ძალა აზრში მდგომარეობს... ღრმად განცდილ, სრულად შეცნობილ და განვითარებულ აზრში. ამ აზრის ცხოველმყოფელობა არის მისი ნიჭის მთავარი ძალა...“

ახეთი შინაარსიანი, მთელი თხრობის წარმმართველი საფუძვლის გარეშე, უბრალოდ, არც შეიქმნებოდა რომანები „ცოდვილი“ და „სტუმარი“, არც ვრცელი მოთხრობები „ფერონილი“, არც მოთხრობები „ზურინანიება“, „ეშმაკის მოსახვევი“ და „პარილი“. მათში სწორედ გამუდმებით დაძაბული მოუხვენარი აზრი არის საგრძნობი, აზრი, რომელსაც ხაბოლოო, „უკანასკნელი“, ადამიანისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი ეზმარიტების პოვნა სწყურია. აზრის ეს დაძაბულობა კანონზომიერად ანიჭებს ტექსტს ბუნებრივ, შინაგანად მოძღინარე სიმწვავეს, რომელიც იმიდია თუ სასოწარკვეთის, შიშისა თუ სიმშვიდის, რწმენისა თუ ურწმუნობის ცვლილებებისგან ერის ალსავე. გ. გეგეშიძეც აკი წერს: „ვინც ძლიერია, ვინც მწვავედ განიცდის ყველაფერს, რაც მის ირგვლივ ხდება, ვისაც ძალზე გამძაფრებული აქვს შთაბეჭდილების უნარი, სულ მოკლე დროის განმავლობაში ახდენს დიდ გარდატეხას თავის თავში, ვიდრე ის, ვინც დუნედ, თანაბრად ეპყრობა ყველა მოვლენათა მსვლელობას... დიახ, ძლიერი და ნიჭიერი კაცი ადვილად იცვლება...“ („ცოდვილი“).

ახეთი პროზა მშვიდი კითხვა-დასვენებისათვის როდი განწყობს კაცს... ჰე თვით პეიზაჟიც კი, როგორც წესი, შორსა დგას სიმშვიდისაგან. „ირგვლივ ტრიალი მინდორი გაშლილიყო, არც ერთი მოსახვევი არა ჩანდა. ზურგს უკან მატოვებული, თეთრი ეკლესია იდგა, იმის უკან კი, ბინდში ჭერ კიდევ მოჩანდა ლაინდგის დაყოლებით დასობილი შავი ბოძები. უზაბაზარი, თალხი ცა კიდით კიდემდე გადაკმიფილიყო. ბნელდებოდა“. („ცოდვილი“).

მაგრამ ეს უკაცრიელობა შიშს ნიშნავს. ამ უკაცრიელ და დაძაბულ სიჩუმეში სიმშვიდე არ ხუფევს. არის ფიზიული, დადარაჯებული მოლოდინი, რომელიც მზადაა იქცეს ყვირილად, გასროლად — ნებისმიერ უეცარ და გადამწყვეტ ოქმედებად, მკვეთრად რომ ცვლის პეიზაჟის გეშს, მეუფეთუფად რომ გადაჭეცეს მან მწვავე, დრამატულ სიტუაციად.

„ცოდვილში“ სწორედ ასე ხდება. პატარა სამხრეთული ქალაქში ჩამოსული ვამეი გურამიშვილი მაშინვე ასხვაფერებს ამ ქალაქის დალაგებულ, დამშვიდ ცხოვრებას, ააშკარავებს და ამწვავებს ყოველ წინააღმდეგობას, მის გამოჩენამდე სიღრმეში რომ თელიდნენ და ზედაპირზე არ ამოდიოდა. ვამეი ამ თითქოს ქვაა, ძლიერი ხელით მშვიდ ტბორში ნასროლი... მძლავრად, შორს და შორს იშლება ტალღები, თრთის და იცვლება წყნარ წყალში აქამდე უძრავად გარინდული ანარეკლები და, ამას რომ ხედავენ, ქალაქის მცხოვრებნიც თანდათან ხვდებიან, რომ ჩვეული და მუდმივი ყოფა ხელიკ არ ყოფილა ნორმა, რომ იგი შეიძლება არასწორი, ამაო და ხასტაკიც კი იყოს.

მაინც ვინ არის ეს ვამეი, შინაგანად ეხოდენ მნიშვნელოვანი რომ ჩანს არა მარტო მის ირგვლივ მყოფთათვის, არამედ, უეჭველად, თვით გურამ გეგეშიძისათვის, მისი ზეგნებიან შინაგანი არსის, იდეური ძიებისათვის?.. ვამეის მშფოთვარე, დაძაბულ, მოუხვენარ შეგნებაში მაინც გამუდმებით არსებობს ორი „ცენტრი“: „ადამიანი ყველაფერს ეგუება უსამართლობის გარდა“ და „რაღაც კანონზომიერება, ალბათ, მაინც არსებობს, მაგრამ ჭერ არ არის ამოხსნილი“.

ის კანონზომიერება, რომელსაც მუდამ შეუძლია ახსნას, თუ რატომ ხდება ამ ქვეყანაზე ესა თუ ის მოვლენა, რატომაა, რომ ერთს

ეგორ ზ ბ ო ლ ა ბ ა ნ ი
„წყურვილი“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხიმშვიდე და ბედნიერება ერგო, მეორეს კი მარადი ტკივილი და სულის ფორიაქი... თვითონ ვამეხი უცილობლად ამ მეორეთა ბედნაა, რაკი გამოუმეშიათ სჭის საკუთარ თავს მას შემდეგ, რაც უნებლიეთ შემოაკვდა უფროსი ძმა. ღამით, მთაში გასრილილი ბრმა ტყეა და მისი საშნელი შედეგი... მას შემდეგ ვამეხი ცოდვილია, მისი ცოდვა კი მძიმე, გამოუსწორებელი და გამოუსყიდველია.

ვამეხი არ აფასებს სიცოცხლეს, იმ უნებლიე შეცოდების შემდეგ უკვე სიცოცხლე ალარ ახარებს, მაგრამ ერთიმ ცხადად გრძნობს სხვათა, მის ირგვლივ მყოფთა ბედსა და გაჭირვებას. აქედან გამომდინარეობს მისი რაინდობა, ხუსტთა, დაჩაგრულთა დაცვისათვის მუდმივი შემართება, მისი გამეფილუნება. ეგრეთ ხასიათის ყველა ეს ნიშანი ხაშუალებას აძლევს ბ. გეგეშიძეს, თხრობისას ხშირად მიაპყროს ყურადღება ისეთ კითხვებს, ღრმად ნაშნეფული რომ არის საერთოდ მისი პროზისათვის, ეზო გიიკვლიოს ისეთი საკითხებისაკენ, არა მარტო ვამეხისათვის, არამედ ყოველი ჩვენგანისათვის რომ მნიშვნელოვანი და არსებითია.

აი, მართლაც დამახასიათებელი მაგალითი:

ვამეხი მძიმედ არის დაჭრილი. „უკვე ვეღარ გრძნობდა სხეულს, როგორც თავისას, მაგრამ გონება, რომელიც ახლა ცალკე გამოიყო, ჯერ კიდევ მისი იყო, გონება არ ტოვებდა, გონება ხალად და ნორმალურად აღიქვამდა ყველაფერს, რაც ხდებოდა და რაც ახე უჩვეულო იყო... მერე ის ჩაეკიცა, მტვირში დაჭდა და ოგრძნო ის ზღვარი სულსა და სხეულს შორის, ის შუალედი, რომელსაც, ალბათ, მხოლოდ სიკვდილის დროს გრძნობენ“.

აქნეს დაკვირვებას ეს ცივი ხაზუსტე არ მოგვეწონოს, ეკსპერიმენტს მოყურიადე ბუნებისმეტყველის უყრძნობლობად გვეჩვენოს და გულზეც კი მოგვხვდეს. მაგრამ ასეთი აზრი წინდაუფიდავი და მცდარი აქნება, აქ უფრო გაბედულება გვაქვს და არა გულგრილობა, ის გაბედულება ადამიანის შეხახებ „უკანასკნელი“ ეგზისტენციალურ მაძიებელი აზრისა, რომელიც ჩვენი სულის ყველაზე ბნელ და იდუმალ კუნჭულში იხედება — სიცოცხლის ჩაქრობის, ყოფნიდან არყოფნაში გადასვლის წამს ვვრეტს. სწორედ ამის შედეგია ეს ზუსტი დაყოფა, ეს ხალმარკაცი ხაზი, სხეულსა და სულს, გონებას შორის რომ ქიგს. ადამიანს (და რასაკვირველია თვითონ ვამეხს) აზრი გამოუქმნია ფერიალეს ამ „უკანასკნელ“ საიდუმლოს, მაგნიტივით რომ გვიზიდავს. აკი თვითონ ბ. გეგეშიძესაც უწერია: სიკვდილზე ფიქრობდა, რადგან ადამიანი იყოო... ამიტომაც გვეჩვენება, რომ „უკანასკნელი ეგზისტენციალიზმ ეჭ არის. აქედან მომდინარეობს ინტერესთა სიმძაფრე და იმის არჩევანი, რაც გვაღელვებს: სული, ბედი, სიკვდილი...

რომანის მოქმედება, მისი ფაბული „მხოლოდ კრავს და ამყარებს ამ „ხაყრდენ პუნქტებს“, ყოველი ადამიანისათვის ფუძემდებლურ ამ კითხვებს, ამიტომაც „ცოდვილი“ მტკიცედ შეკრული სცენარის მიხედვით ვითარდება. აქ ვერ ნახავთ ლაღ, თავაშვებულ არტისტიზმს, — ისე ძალოვანია, ისე შეუფარავია აზრის მტკიცე ნაბიჯი, აზრის, რომელსაც ადამიანის შესახებ უკანასკნელი ეგზისტენციის პოვნა ხეწყრია.

ყველაზე ფასეული, ჩემის აზრით, „ცოდვილში“ ის არის, რომ ამ ეგზისტენციის შეცნობა უკიდურესად პატეთნანი გზით, ყოველგვარი ეშმაკობისა და ხრიკების გარეშე ხდება. ვამეხის თავგადასავალი მოთხრობაა რეალური ცხოვრებიო გამოცდის შესახებ... ესაა მოთხრობა ცხოვრების სითბოსა და ძალმოსილებაზე, იმაზე, რომ ცხოვრებას, მხოლოდ ცხოვრებას ძალუძს ბედნიერება მიანიჭოს ადამიანს, რამეთუ ბედნიერება ის საყვარული და სიკეთეა, ახლობელი ადამიანები რომ გადაძღვნიან ხოლმე. როცა ეს არის, მაშასადამე, არის სულის სიმშვიდეც... რასაკვირველია, ეს მაშინ ხდება, როცა ცხოვრება არ დაბუფულა და გასავლთბულა ფილოსოფიურად განყენებული ვითომდა უმალლესი სიკეთისა და უმალლესი სიყვარულის გაიშვიათებულ ბაერში. ისინი, რა ხაფყენიც უნდა იყოს, უნაყოფონი არიან, რადგანაც ფატავენ ეს ნელი-ნელი ღუპაავენ სულს, როცა მას მიუდგომელ, მიფუვლიმელ სივრცეებში იმპობენ.

„ცოდვილში“ გ. ეეგეშიძემ მკაცრი და ძნელი ცდა ჩაატარა — ერთმანეთს შეუფარდა „უკანასკნელი“ ეგზისტენციანი და რეალური სამყარო, ის ეგზისტენციანი, მისთვის ესოდენ საგულისხმონი რომ იყენენ და ასე იზიდავდნენ ამ კალამსა და გონებას. რომანში ასახული რეალური სამყარო სინათლითა არის ალსავსე, მრავალი ადამიანის ცხოვრება და ბედ-იღბალი ათასი ძაფით უკავშირდება ვამეხს... რეალური სამყარო უფრო ძლიერი აღმოჩნდა — განყენებული უმაღლესი ეგზისტენციის ხახელით მისი უარყოფა ღუპავს ვამეხს, სიკვდილს მოუტანს მას... ეს რეალური კავშირები რომ გადაწყვეტა და მოიძაგა, ვამეხი დაუძლურდა, როგორც დედამიწისგან მოწყვეტილი ანეიოსი.

რომანის დასაწყისში პატარა ქალაქს, სადაც ვამეხი გაჩერდა, ეამიდან ეამზე მატარებლები ჩაუვლიან ხოლმე... ეს, თუ გნებავთ, მეტაფორაა, მეტაფორა, წინასწარ რომ განაპირობებს და „გვკარნახობს“ ნაწარმოების ფინალს. ეს არის ძაფები, რომლებიც ცალკეულ ადამიანს დანარჩენ ადამიანებთან, ქვეყნიერებასთან აკავშირებენ. ვამეხმა ვერ დაინახა

ეს ძაფები, და თუ დაინახა, მით უარესი — ისე ვერ შეიფასა, როგორც საჭირო იყო. ინსენის ბრანდის მსგავსად, ვამეხსაც შეუძლია წამოიძახოს: „ყველაფერი ან არაფერი! აი, ჩემი კანონი“. ამ სიტყვებში ბევრია სიდიადე და ზვაობა, თავდაჯერება და გონების გამოწვევა, მაგრამ ცოცხა, საშინლად ცოტაა — თვითონ ბრანდისათვის! — სული, რომელიც მოუკიბოთ ურწყვეტ კავშირით ცხოვრობს. და რა გამოდის? ბრანდის ბედი ძნელია ხვეულთილად შეირაცხოს; ვამეხსაც — ასევე. იგი, სავა სამართალი, ორგზის ცოდვილია. ძმის უნებლიე მკვლელი და ცხოვრების უარმყოფელი, რამაც კიდეც იმსჯერპლა.

მისი სიკვდილი საბოლოო, უეცლობელი არგუმენტია „ცოდვილის“ ფურცლებზე გამართულ უჩინარ დისპუტში. ეს სიკვდილი ჭეშმარიტად ბოლო წერტილს ხვამს ცხარე კამათში და დავას სიცოცხლის სასარგებლოდ წყვეტს. ამატმაც რომანისათვის ეპიგრაფად წამძღვარებული ვაჟა ფშაველის თამამი, პარადოქსალური სიტყვები — „ღმერთმა გიშველოს, სიკვდილო, სიცოცხლე შვენობს შენითა“ — მე აქ მტკიცებად და დასტურად უფრო მიმაჩნია: არაოფნაში გარდასვლას უკანასკნელი, საბოლოო სიცხადე შეჰქვს ადამიანის ცხოვრებასა და ბედ-იღბალში... სიკვდილიც ისეთივე, როგორც მისი წინამორბედი სიცოცხლე იყო... იგი ლოგიკურად ასრულებს ჯაჭვს, უკანასკნელ რგოლს კრავს და თავის მიჯნას წინა რგოლების საზომებთა და არსით განსაზღვრავს. ამ აზრით, იგი განუყოფელია სიცოცხლისაგან. იგი სიცოცხლის საბოლოო, ყველაფრის განმცხადებელი ჭეშმარიტებაა. „სიცოცხლე შვენობს შენითა...“

რომანის ფინალში ვამეხი ცდილობს მიუდგომელ კლდეზე ავიდეს, სადაც, ლეგენდის თანახმად, მინდვრის ბატონი ცხოვრობს. „ვინ იყო მინდვრის ბატონი? ღმერთი? მან არ იცოდა და უნდოდა გიგეო“. მიზანი იმდენად დიდია, რამდენადაც განუენებული... მისი სახელით ვამეხსა მიაგოვა ყოველივე, რაც კი ცხოვრებასთან აკავშირებდა, მიაგოვა საყვარელი ადამიანები. კლდეზე ასვლას სანამ შეუდგებოდა, მდინარე გატარა — „წყალი ისევე ცივი იყო, როგორც მისი მიზანი. მოწყვეტილი ცასა და მიწას, არსებული მხოლოდ თავისი თავისთვის...“ ვამეხს ესმის ხმები, ახლოვდები ადამიანები ეძახიან, ეკვდერებიან — უკან დაბრუნდიო, მაგრამ ამაოდ..

და რა მოხდა? საბოლოო, ყველაზე უფრო ფრიალო კლდეს რომ შეუდგა, ვამეხი მალე მიხვდა, რომ „ვერ ავიდოდა ამ კლდეზე, რადგან არავითარი სხვა ქვეყანა არ არსებობდა, გარდა იმ ქვეყნისა, რომელიც დატოვა ძირს“.

გ. გეგეშიძე, რომელიც მუდამ ბოლომდე ჩასდევს ხოლმე სათქმელს, აქაც საკუთარი თავის ერთგულია. იგი წერს: „შეუძლებელი იყო ამ კლდეზე ასვლა და არც არავითარი აზრი არა ჰქონდა“ (ხაზი ჩემია, — ი. შ.). „არავითარი აზრი...“ ზუსტი ნთქვანია. ამიმწურავი. ეს სიტყვები ასრულებს ვამეხის — ცოდვილისა და რაინდის ძიებათა და ტანჯვის წრეს, მგრი წელში გაწყდა შეუძლებელ და, რაც ყველაზე უფრო მწარეა, უნაყოფო ძიებასა და ძალისხმევაში. ვამეხს წაურეული ტანჯვადი, ისეთ წყაროს ეძებდა, რომლის მიღწევაც შეუძლებელია...

ყველა იმ ნაწარმოებს შორის, გ. გეგეშიძეს ფლიმდე რომ დაუწერია, მთელი თავისი შინაგანი რეალისტურობით „ცოდვილი“ ალბათ მაინც ყველაზე უფრო პირობითია, იგი აგებული, როგორც ფილოსოფემა და მეთოსური სიმძაფრით არის აღნაგებული. ნაწარმოები მოიცავს ამ მწარელის ძიებათა მთავარ „ალაცდარმებს“, თითქოს პირველად აღმოაჩენს და მოინიშნავს მათ... „ცოდვილში“, ჩემი აზრით, მოცემულია „თითქმის მთელი“ გ. გეგეშიძე; დანარჩენი ნაწარმოებები ეზმაურებიან და ამუშავებენ ამ რომანის ცალკეულ ასპექტებს.

ახლ, მაგალითად, „დევნილსა“ და „ეშმაკის მოსახვევში“ აშკარაა ბრმა ბედისწერის მოტივი, ბედისწერისა, რომელიც მკვეთრად ცვლის ადამიანის ცხოვრების გეზს, თანაც ის ამბავი, „ეშმაკის მოსახვევის“ ფაბულას რომ შეადგენს, არც მეტი და არც ნაკლები, რომანის ერთ-ერთი პერსონაჟის მიერ მოთხრობილ ამბად გვხვდება „ცოდვილში“. ამ ამბავში თავისი ფატალურობით, რაღაცნაირი ზეგარდმო წინასწარგანსაზღვრულობით გვაოცებს ორი ზოგრის, ბიძაშვილების დალუპვა, რომელიც შარაგზის ერთსა და იმავე ქვეყარ მოსახვევში, ერთსა ე იმავე საათზე, ოღონდ ერთი დღე-ღამის შუალედით, უფსკრულში გადაიჩეხნენ. ერთსა და იმავე ეშმაკის მოსახვევში ორი სიკვდილის ეხოდენ საბედისწერო ურთიერთგადაჯაჭვას ვერა ვ ვერ ეგუება ჩვეულებრივი, ფხიზელ-რეალური გონება, ამიტომაც მეჭოგეები, რომლებმაც შემოხვევით დაინახეს, როგორ მოსწყვდა გზას ფ ადინარეში გადავარდა მეორე მანქანა, ცხარედ მსჯელობენ ამ ამბავზე. ერთ-ერთ მათგანს, „ზუახნის კაცს“, არ უნდა ნანახის დაჯერება — ეს როგორ შეიძლება, აქ ხომ ჯერ კიდევ გუშინ გადავარდა უფსკრულში მანქანა!.. მეორე, „ახალგაზრდა ბიჭი“, უფროსს ეკამათება და გულუბრყვილოდ, ტიპობრივად „ბავშვურ“, მაგრამ ჭეშმარიტებასთან მით უფრო ახლო მდგომ კითხვას უსვამს, რომელიც, სხვათა

იბორ შოთაძანი
„წყურვილი“

ეროვნული ბიბლიოთეკა

შორის, უკვე თავისთავად ნიშნავს პასუხს: ვითომ რაკომ არ შეიძლება?

ეს ბიჭი, რასაკვირველია, მართალია... ცხოვრება ხომ, როგორც ამას გურამ გეგეშიძის პროზა ამტკიცებს, ყველაზე უფრო დაუჯერებელი შემთხვევებით, უცნაური დამთხვევებით არის აღსავსე, მაგრამ ხშირად ისეთი ამბები ხდება და ემბის ერთმანეთს, ძნელად რომ თავსდება ზუსტ ლოგიკურ სქემაში. მაგრამ საქმე სწორედ ამაშია, რაკი ეს ამბები ახე მოხდა, ალბათ, სხვანაირად არც უნდა მომხდარიყო, ჩვენ კი ეტყობა მომხდარმა ამბავმა ისე ჩაგვგდო საგონებელში, რომ რატომდაც მხედველობიდან გამოგვრჩა, ვერ შევნიშნეთ, ვერც შეიიცანით მისი პირველსწყინი, მისი სათავე... ვახილი შუშინის ინტერვიუში იტალიური გაზეთის „უნიტას“ კორესპონდენტთან ერთ ალრს წავაწყეთ, სწორედ ამ ფენომენს შეეხება. საგულისხმოა, რომ თავიანთი ეროვნული კულტურებით, ტრადიციებით, მათთვის საინტერესო ფენებთა და თვით მხატვრული ალრონვენის წყობით ერთმანეთისგან ესოდენ განსხვავებული ორი მწერალი ერთნაირად უუურებს ადამიანის ბედის პრობლემას, ერთნაირად უუურებს კაცთა ბიოგრაფიას, რომელიც, ბოლოს და ბოლოს, სწორედ ახე მოეწყო და არა სხვაგვარად.

იმ ინტერვიუში ვახილი შუკშინმა, კერძოდ, შენშნა „...ყოველნის ძალამ უნდა გვითხრას, რომ თუკი გამოუსწორებელი რამ მოხდა... ამგვარ ფინალთან, ცხოვრების ამგვარ დახასრულთან მისვლა მაინც უნდა მოხმდარიყო და მოხდა კიდეკ“. ამგვარ მსჯელობაში, რომელსაც, თუ არ ვედები, სავსებით იზიარებს გურამ გეგეშიძეც თავისი ნაწარმოებების მთელი წყობითა და ფინალებით (განსაკუთრებით ფინალებით!), საჭიროა ვეძიოთ და დავნახოთ, რასაკვირველია, არა მისტიკური, ფატალური ელფერი, როგორც შეიძლება ეს ერთი შეხედვით მოგვეჩვენოს, არამედ მკაცრ, ფიზიკურად ოფლიანი რწმენა ცხოვრების შინაგანი მდინარებისა, რომელსაც უცებ ვერ შევნიშნავთ და ვერ მოვიხელთებთ, მისი სიმარილისა და კანონზომიერების რწმენა. გურამ გეგეშიძის პროზისთვის ნიშნეული დრამატულ კვანძთა გახსნის მოულოდნელობა და სიმკაცრე ხომ სულაც არ უარყოფს ადამიანური ყოფიერების მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს, პირიქით, იგი სწორედ ამ კავშირებისკენ არის მიმართული, ოღონდ სილრმისეული კავშირებისაკენ, რომლებიც ზედაპირზე არ ჩანან ხოლმე. ხშირად სახელისწერო, პიროვნებისათვის დრამატულ შემთხვევას ხომ მიმართავს, ეს პროზა ამ დროს სულაც არ მიიჩნევს, რომ საერთოდ დაკარგული და ბათილია ყველა კრიტერიუმი, რომ არ არსებობს ისეთი საზომი და გაუცვეთავი, დაუზიარდებელი ეშმაკრიტება, რომელსაც ძალუძს საიმედო ორიენტირად ექცეს ადამიანის ცხოვრებასა და ქმედითობას... არავითარ შემთხვევაში! როგორც უკვე რომან „ცოდველნში“ საუბრისას დავრწმუნდით, გურამ გეგეშიძისა და მისი გმირებისათვის უმთავრესი და უნაღდესი ფასეულობა მაინც სიყვარულია. ვნება, სიყვარული ატაცება და ბნედა, ანდა გრძნობით სულის თრობა კი არა, უბრალო, ყოველდღიური, საიმედო ურთიერთმხარდაჭერა და ურთიერთდახმარება, რაც გვეხმარება ცხოვრების რწმენასა და მისი მკვეთრი მოსახვევების გადალახვაში.

ასეთი სიყვარულის გარეშე ადამიანი იტანჯება და სასტიკი ხდება (საამისოდ ერთთან მკაფიო მაგალითია მოთხრობა „შურისძიება“, რომელშეიდაც შემდგომ ვილაპარაკებთ). ახეთთ სიყვარულის უარმყოფელი ადამიანი კარგავს ერთადერთ ბეშმარიტ, ყველაზე საიმედო საყრდენ წერტილს ამ სამყაროში და ბოლოს ისევე იღუპება, როგორც „ცოდველის“ გმირი ვამეხი დაიღუპა... მოკლედ რომ მოვჭრათ, არ შეიძლება ასეთი სიყვარულის გადაფახვა, ხოლო მისი უარყოფა უდიდესი, მოუტეხებელი ცოდვაა, რომელიც ადამიანში ყოველივე ადამიანურს ანგრევს.

ამიტომაც, ვრცელ მოთხრობა „დევნილში“ მისი მთავარი გმირი მუშნი, შემთხვევის (ცალკე შემთხვევის!) ძალით დევნილი და მდევრებისაგან გამოქცეული (საბრალოანობის დახაცვად მან ველოლოგიური პარტიის უფროსი რევოლვერით დაჭრა), ხხლოლდ მაშინ განიცდის ბედნიერებისა და სიმშვიდის იშვიათ წუთებს, როცა ადამიანთა სიკეთისა და დახმარებას გრძნობს... ახეთ წუთებში გაუხეშებულ სახეზე „თანდაყოლილი სიხალისე თუ ახალგაზრდული უდარდელობა ზშირად ურბილებდა ბედის სიმკაცრით გამოწვეულ ფხიზელ სიმტკიცეს და ზოგჯერ, შორეული სიყრმის ბურუსიდან უკუზმობილი გულუბრყვილო იმედიანობა ხდებოდა მისი ნიშნეთვისება“.

რაოდენ მნიშვნელოვანია გ. გეგეშიძისათვის ბეშმარიტი, პირველქმნილი ადამიანური „მეს“ ამგვარი თავისუფალი, ლაღი გამოვლინება, შეუსაბამოდ აწუობილი ცხოვრების, სახელდახელო გარემოებათა ხლართს რომ არღვევს ხოლმე!.. გავიხსენოთ, „ცოდველის“ გმირი ვამეხიც ხომ ასეთი იყო! იმასაც ხომ კლდეზე მიმცოცავს, რომლის ზემოთაც მინდვრის ბატონის ხაბრძანისი იყო, სანამ კლდეს მოსწყდებოდა და უფსკრულში ჩაეკანგნოდა, უცებ მოაგონდა თავისი ბავშვობა და თავისი თავი, „პატარა, მოკლეშარვლიანი ბიჭი, გრძელი ქერა თმა შუბლზე რომ ჩამოშლოდა“, ისეთ ქვეყანაზე რომ ოცნებობდა, „სადაც ყველაფერი გარკვეული იყო, სადაც უსა-

ზღვრო სიკეთე მეფობდა!! ჩვენ ყველანი ბავშვობიდან მოფდიკვარო; იმდროინდელი თენალი, ადამიანთა გულებში ჩათესილი და წლების განმავლობაში აღმოიცენებული, ბოლომდე არასოდეს არ ნადგურდება, სავსებით არასოდეს არ ქრება. ის მარცვალი ბევრს ნიშნავს ჩვენს ბედ-ღლბალში, თუმცა, სამწუხაროდ, ყველაფერს არა.

ზოგჯერ ადამიანის ცხოვრებას შემთხვევა, ცხოვრებისეული ფაქტების გარდაუვალი ნახკვი განსაზღვრავს (როგორც ვხედავთ, გ. გეგეშიძისათვის ესოდენ სანტერესო საგანია!) და ხშირად ეს მოელენა ყოველად ძლიერი და დაუძლეველი ხდება. სწორედ ამაზეა მთელი ვრცელი მოთხრობა „დეკნილი".

ამ მოთხრობაში მზოლოდ მუშნი როდი ოტანჯება და აქეთ-იქით აწყდება თავის მოუფიქრებელი, სიცხარით გამოწვეული, არსებობად შემოხვევითი გახლოლის გამო... აქ ასევე შემთხვევით, ასევე აუხსნელი ლოგიკით (რის გამო?) იდუპება ბაბუკი მწუემი კვირა, სწორედ ის კვირა, ეხაზღვროდ გულლია და ვაჟკაცური ადამიანი, რომელიც მუშნის დანაბადისთანავე შეუფვარდა, იხეკე, როგორც ამ ბაბუკის ბებია ანდა მშვენერი, ამაკი თაფლო... და აი, ბედი ირთმეს მუშნის ამ სიყვარულს, ადამიანებთან ამ კაეშრებს, ეხოდენ საჭირო და აუცილებელი რომ არის მის ბედზე მეოფიხთვის.

„მიცვალებულს ხახე მიტკალივით გაფთრებოდა და იწვა გულგრილი, უყურადღებო ყველას მიმართ. არც მოთქმა ეხმოდა, არც მის სხეულთან დახრილ ცრემლიან ხახეებს ხედავდა... სოფლის ბოდმა, მოტტაცებულ მწვანე მთის წვერზე, დიდი, თეთრი, მრგვალი ღრუბელი ტივტივებდა ჰაერში. ცა კი უსაზღვროდ ლურჯი იყო. „არაფერი არ არის მყარი, არაფერი არ არის საიმედო", — გიფიქრა მუშნიმ.

ეს სურათი, უკიდეგანო ცაზე ეულად აცურებული ეს ღრუბელი (აქვე უნდა ოქვას, რომ გ. გეგეშიძის ნაწარმოებებში ეპიზაკი თითქმის მუდამ აქტიური „მუშაობს" სიუჟეტის, გმირის იმწამიერი სულიერი მდგომარეობის გასამკვეთრებლად) ხაზს უსვამს მწერლის გამდეგმებული, ყოველისგამსკვალავ ფიქრს სიცოცხლის მერყეობასა და „ზარმაცლობაზე". ყოველ მის სახეცვლილებას შორის ყველაზე ამაზრზენი, რაღა თქმა უნდა, სიკვდილია. ძნელია შეეჩვიო მას, შეურიგდე. სიკვდილის ამ გარდაუვლობაში, ნადავლის მიტაცების მისეულ მარად უფლებაში არის რაღაც ისეთი, შეურაცხყოფას რომ აყენებს ადამიანის სულსა და გონს. იგი ყოველ ზრახვაზე, სურვილსა და მისწრაფებაზე უფრო ძლიერი, საბოლოო და უცილობელია. შეუვალად უცილობელი... ამიტომაცაა, რომ გ. გეგეშიძის გმირთა ფიქრები ახე ხშირად თავს დაბტრიალებენ მას. ვერა სწყდებიან, დაჭინებით ლამობენ ადამიანური ყოფის ჭეშმარიტების შეცნობას... ახლი ძიებისას სიკვდილს გვერდს ვერ აუვლი, იგი მეტისმეტად წონადი ფაქტორია თითოეული ცხოვრებისა და ბედისათვის.

„მან (მუშნიმ, — ი. შ.) იგრძნო კვირიას სიკვდილი. და ეს უეცარი წასვლა, ეს უეცარი ნახტომი ხადღაც, სიუცხოვეში, შემზარავი იყო...

როცა აკვირდები ბუნებას — ყველაფერი კანონზომიერია... თვითონ ადამიანის ფიზიკური სხეული ზუსტად და კანონზომიერად არის აგებული. მხოლოდ ადამიანის ბედი, მისი ცხოვრება, ის რაც მას შემთხვევა ხოლმე ზოგჯერ, იწვევს იმის შეგრძნებას, რომ სამყაროო უსამართლოდ მოწყობილი და ქაოსი ყოველდღე.. თუ ახე მივყვებით, ბოლოს და ბოლოს, ყველაფერი შეიძლება აიხსნას, მაგრამ იმდენად შორს მიდის მაზეზები ეს გრძელი ჯაჭვი ჩვენი ფაფილინარობის, აგრეთვე დროისა და სივრცის უსასრულო ხიღრმეში, რომ იკარგება თვალთახედვიდან და აღარ ვიცით რა მოსდევს რას. და ვინაიდან ვერ ეწვდებით პირველ მიზეზს, წარმიშმშოს ყველა დანარჩენი მიზეზობა, ყოველივე საიდუმლოდ და გამოცანად რჩება".

„პირველ მიზეზს..." ზეშოთ ჩვენ უკვე ვთქვეთ, რომ გ. გეგეშიძის გმირებს ახსოლუტური, „უკანასკნელი" ეეშმარიტების პოვნა სწყურიათ. განა ჰქვია იგივე წყურვილი არ არის, განა ჰქვია ამაზე არ ფიქრობს კვირიას მოუსოდნელი, ულრუბლო ცაზე მეხის გავარდნასავით უცაბედი სიკვდილით გულშეძრული მუშნი, — სიკვდილით, რომელმაც კიდევ ერთხელ (უკვე მერამდენედ!) გვაიძულა ეპვი შეგვეტანა სამყაროს სტაბილურობასა და ჰარმონიულობაში?.. კაცმა რომ თქვას, უწინარეს ყოვლისა და ყველაზე მეტად სწორედ ჰარმონიას ეძებენ გ. გეგეშიძის გმირები და სწორედ მას ჰიიჩნევენ უკანასკნელი, უმთავრეს ეეშმარიტებად. გახსოვთ, „ცოდვილში" ვკიეხ რომ ამბობდა: „რაღაც კანონზომიერება, ალბათ, მაინც არხებობს, მაგრამ ჯერ არ არის ამოხსნილია"? ამ გმირებს ჰარმონია სწყურიათ და ეს წყურვილი უშაბრავს მათ ყველა და ბაგეებს, ზუსტად ისევე, როგორც უკაცრიელ, ზზისგან თეთრად გავარვარებულ გზაზე პაპანაქეება სიცხეში მიმავალ მგზავრს. ესაა მარადისი წყურვილი უმალლესი ენერგიის გამო, რომელშიაც პირველ, ხაპატო ადგილზე სიეკარულო, ხიმართლე და ხამართლიანობა დადგებიან და ყველას თავისი ზრახვისა და ხაქმისაებრ მიაგებენ კუთვნილს, ხოლო სიკვდილს უდა-

---

ᲘᲑᲠᲐᲰᲘᲛ ᲨᲐᲗᲙᲘᲐᲜᲘ

„ᲬᲧᲣᲠᲕᲘᲚᲘ"

ნაშაულო კაცისაგან განარიდებენ და ბოროტ-მომქმედს მიუუნებენ.

ეს მშვენიერი და ბრძნული წყურვილი, რადგან იგი განუოფილია ადამიანებისადმი თანალმობასთან... აი, თუკი მართლა რამე არ არის ამ პიროზაში, ეს — გულგრილობაა. გ. გეგეშიძის შემოქმედება — მთლიანად! — თითქოსდა დამუტტულია რაღაცნაირი შინაგანი ელექტრობით, დაძაბულია, და მისი გარეგნული სიმშვიდეც მოთმინებისა და ნებისყოფის ისეთი სიმშვიდეა, რომლის დროსაც ფრთხილობენ, რათა არ დაღვარონ ბოლომდე სავსე თასი. მასში გამუდმებით დაძაბული, მჩქეფარე აზრი დუღს, რომელიც „უფსკრულებს“ არ ეპუება; აკაა თავის მხეწრაფებაში ჯოტად დაჯერებული, ზამბარის შეკუმშული ფოლადივით მტკიცე ნებისყოფა და წყურვილი, დიადი წყურვილი მარმონიზა ამქვეყნიერ, ყველა ჩვენგანისთვის განბოძებულ სამყაროში, რომელსაც ჩვენ — ეს-ოდენ ხშირად! — ასე არაგონივრულად ვეპატრობთ...

მთებში მწყემს გოთასთან ერთად კვირის მკვლელ ცხენის ქურდებს ამაოდ გამოდევნებული მუშნი, არსებითად, იმას ცდილობს, ამ გზით თუნდაც ოდნავ მოუპოვოდეს ასეთ ბარმონიას, შური იძოის და სამართლიანობა აღადგინოს. მაგრამ თვითონაც დევნილია, მასაც კვალდაკვალ მოსდევს მდევარი, რათა დასჯის გეოლოგებთან გასარილი ტყვიის გამო,.. ორი შემთხვევითობა, ორი გასროლა, ორი დევნა, გარემოებათა ნებით და ძალით ამგვარად და არა სხვანაირად აწყობილი ორი ცხოვრება...

ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ მუშნი, ბოლოს და ბოლოს, გრძნობს ამ ძალას. იგი მიაღწევს უფსკრულს, მეტი გზა წინ აღარ აქვს, მდევარი კი სულ უფრო და უფრო ახლოვდება. „ერთი ნაბიჯის იქით ბერუსი ნოქავდა სივრცეს და ამ ბურუსში თითქოს ყველფერი გამერალიყო, საგნებიც, შეკრძნებებიც, ვნებებიც, მეხსიერებაც“. უკანასკნელი მიენა... „სად უნდა გაიქცე? ვერსად ვერ გაიქცევი!“ — გაიფიქრა მან.

მუშნი ხვდება რომ განწირულია. წარმოქმნილ სატუაციას იგი ისე აღიქვამს, როგორც მეტაფიზიკურს. დევნა კ მხოლოდ ბედისწერის ხელია, მისი ადამასრულებელი. მოთხრობის ამ ბოლო ადგილში შემთხვევით არ არის ნათქვამი მდევრებზე „ისინი“ (აქამდე საზოგადოება გვქონდა მშვენიერად შეგვეთვალიერებინა ისინი, ლამის ზუსტი პორტრეტი ვიცოთ მათი), თანაც ეს ნაცვალსახელი შავი შრიფტით არის აწყობილი... გ. გეგეშიძე, როგორც ყოველთვის, ახლაც ბოლომდე, უეცლილი ერთმნშვნელოვნებით სვამს აქცენტებს, როცა საბოლოო დასკვნისაკენ, საბოლოო სიცხადისაკენ მიმიყავს თავისი დაძაბული, მაძიებელი ალეგორია... მას არ უყვარს მრავალმნშვნელოვანი ფინალები. მისთვის ეს ზედმეტი და ფუჭი ფუფუნებაა. მეტისმეტად. დიდი ძალისხმევაა დახარჯული ძიებაში, ამ მრავალსახოვან, ნარმავალ, სწრაფად ცვლად სამყაროში ადამიანის შესახებ მოსაძიებელი ეგზმპრიტების დევნაში, იმის დროსაც არის, რომ ამასთან ფინალიც მრავალმნშვნელოვანი იყოს! გაწეული შრომას ეს არ შეშფერის; ეს, არც მეტი და არც ნაკლები, უსამართლობა იქნებოდა.

აი, „შურისძიებაშიც“ თხრობა უტტუარი საბოლოო დასკვნით მიდის ფინალამდე და ეს დასკვნა ყველფერს აგვიგვიენებს და აჯამებს... სისხტიკე ბოროტებაა, დამლუქველია, რამეთუ ზნეობრივად ფიტავს და ამდაბლებს ადამიანს, მას მხოლოდ პირქუშნი, მქენჯნავი სიცარიელის დათესვა ძალუძს კაცის სულში.

მოთხრობაში ორი ობოლი ბავშვია, ბებიასთან ცხოვრობენ, და უფროსი მათგანი, რეზიკო, მუდამ ცდილობს დაიცვას უმცროსი ძმა, ბრაშო ედგის მას. ეს ნორმაა, ასეც უნდა იყოს, მაგრამ ნორმა უცვნ სხვაფერდება, თითქმის ქრება და ეს გადაბრა საშინელი, ველური და გაუგებარია, თუკი მას გარეგან უცნო თვალით შეეხედავთ, რა ნორმაზეა ლაპარაკი, როცა რეზიკოს, თვითონ რეზიკოს მწარედ გალახა უმცროსი ძმა. რატომ?!

„რეზიკოს მოაგონდა, რომ ამ ბავშვს დედა არ ჰყავდა, მოაგონდა, რომ თვითონაც არავინ არ ჰყავდა, ბუნდოვნად, ქვეცნობიერად იგრძნო, რომ აუტანლად ებრალები ეს ბავშვი, რომელიც მისი ერთადერთი სისხლი და ზოლიცა და საშინლად ეტკინა რაღაცა, საშინლად შეხძულდა რაღაც და მოულოდნელი ბრაშო ისე მწარედ მოაწვა გულში, რომ სუნთქვა შეუკრა. მან არ იცოდა, რისკენ იყო მიმართული ეს სიძულვილი და ბრაზი, თავისი ძმისადმი, საკუთარი თავისადმი, თუ სულ სხვა რამისადმი, მას მთელი არსებით სძულდა რაღაც, სძულდა ეს სიბრაზე, რომელსაც ასე აუტანლად განიცდიდა და მხეცური გამძვინვარებით იქნევდა წკეპლას, რათა მოეცილებინა თავიდან ეს მძიმე და მწარე შეგრძნება, და... ურტყამდა თავის ძმას“.

ეს არის ბედისგან (ისევ ბედი!) გვერდგვერლილის უსაგნო, უაზრო ბრაზი, ბრაზი, რომელსაც გამოსავალი ვერ უპოვია, თავისთავში ჩაკეტილი და საკუთარ წვენში იხარშება, და ადამიანსაც უსაშველოდ სძულს თავისი თავი, რაკი ეს ბრაზი არსებობს, რაკი იგი მოეძალა... ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ეს ძალზე ზუსტი, დამაჯერებელი და, ამასთან, ძალზე ამაზრზენი დეტალია. ადამიანი, რომელსაც ამის განცდა შეუძლია, რომელიც ასეთ რამეს ატარებს გულში, უკვე სულიერად ძალზე ტრამვირებულია, თუკი სულ დამბინჯებული

არ არის. რეზიოს მოულოდნელი გაჯიბრება სხვა არაფერია, თუ არა კანონზომიერება, აქამდე მის სულში მთვლემარე შედეგი აწეწილი ცხოვრებისა, მიუსაფრობისა. აკი ყველას, თითქმის ყველას ყრმობიდანვე გაეჩინა ის, რაც რეზიოს სამარადისოდ, გამოუსწორებლად აკლია, — ახლობლების სითბო და სიყვარული. უფროსები, მშობლები, რომელთაც მიეყრდნობი, რომელთაგან დაცვა, მხარდაჭერა ჰპოვებ... მარტოობა, ავი, მწარე, თავისთავისვე მომძულებელი მარტოობა, ყოველ წუთს რომ გადმოღვრისათვის მზად არის; და ყოველივე ეს პატარა ბიჭის, ჯერაც ბავშვის ბედში...

არსებითად, მარტო ეს ერთი იდეაც, ამ იდეის ერთი მოულოდნელი და ერთიმ მაზელი კუთხე (რეზიოს სცემს უმცროს ძმას, რომელიც გულწრფელად უყვარს) უკვე საკმარისი იქნებოდა ფსიქოლოგიურად მწვავე, მკეთრი და დრამატული მოთხრობის შესაქმნელად... მაგრამ გურამ გეგეშიძე უფრო შორს მიდის: ჩვენ მეორედაც ვხედავთ რეზიოს გაჯფრებას და ამჯერად ეს ბრაზი მისი უმცროსი ძმის დამჩაგვრელს, ვინმე ომარის აღფადება თავს.

რეზიოო შურისძიების წყურვილით არის აღვსილი. ამ მზადყოფნაში, რასაკვირველია, ის ხურვილიცაა, მსგ დაიცვას და თანაც ისე, რომ სხვებისთვისაც ჭკუის სასწავლი იყოს. მაგრამ აქ უეჭველად არის აგრეთვე თვითგანწმენდის, თავისი წინა სისასტიკის გამოსყიდვის ხურვილი, აგრეთვე, რასაკვირველია, რეზიოს გულში გამუდმებით არსებული ის გრძნობაც მიუსაფრობისა, რაზედაც უკვე ვილაპარაკეთ.

ყველა ამ მოტივს, პირველსაც, მეორესაც და მესამესაც, საბოლოო ჯამში, ჰუმანიზმის პრობლემასთან, მის გულმხურვალე აღიარებასთან მიმაყავს მოთხრობა. მისი სინალდეს, მარადი უფიროში ღირებულება, მისი აუცილებლობა — თვით რეზიოოსათვის, მისი პატარა ძმისათვის, ომარისათვის, ყველა ადამიანისა და ადამიანური ბედისათვის — მკაფიოდ ჩანს „შურისძიებაში". ამ თვალსაზრისით, მოთხრობა თითქოსდა მოწოდებაა იმ საუკეთესოსა და ყველაზე უფრო ფასეულისაკენ, რაც უნდა იყოს და აუცილებლადაც უნდა იყოს ყოველი ადამიანის სულშია.. რა მეთუ უამისოდ ადამიანი ცარიელი, გაბრეგბული და მიუსაფარია.

დიახ, რეზიკო მზად არის შურისძიებისათვის და ეს ბრაზიც თითქოს ყველაზე საუკეთესო მოტივებით არის ნაკარნახევი.. მაგრამ... რა ჩანს საბოლოო ჯამში? აი, ნახეთ: საღამოს, უკაცრიელ გზაზე ორი ფიგურა მიდის. ერთი — ეს ომარია — წასვლას, თავდახსნას ლამობს, მეორე — რეზიკო — მისდევს, მისდევს პირქუში და უსიტყვო სიფიცხეთ. დიდწევა და იწყება სახტიკი, საშინელი ცემა-ტყეპა, და ომარი კვლავ წასვლას ლამობს, რეზიკო კი კვლავ მისდევს.

„ისინი მიდიოდნენ სიმინდის ყანებით გარშემორტყმულ ცარიელ გზაზე, არც წვიმდა, არც მზე იყო, თანდათან ბნელდებოდა და მოწყვენილი იერი ედო ირგვლივ ბალახს და მიწას. რეზიკო ახლა ალარ ფიქრობდა თავის ძმაზე, მას ალარ ეცოდებოდა ის, არც საკუთარი თავი ეცოდებოდა, მაგრამ გრძნობდა, რომ ტკივილი გულში არ გაჰქრალიყო, თუმცა სადღაც, რომელიღაც კუნჭულში დაიმალა და ფართო ადგილი მისცა შურისძიების ვნებას, რომელსაც განუწყვეტელი გაჯფრებით მიპყავდა რეზიკო წინ, საბოლოო სიმშვიდისა და ჩუმი სიხარულის მოლოდინში. ვის მიმართ იყო მიმართული ეს შურისძიება, ომარისადმი, საკუთარი თავისადმი, რადგან თვითონაც იყო დამნაშავე თავის ტანჯვაში, თუ საერთოდ, ცხოვრებისადმი, რომელიც ძალიან ზშირად ისე აწყობს საქმეს, რომ როგორც არ უნდა მოინდომო, მაინც ვერაფერს გახდები, — რეზიკო ვერ არკვევდა...

...დაღლილობისაგან ბრაზი ფრთიდან დაუცხრათ, ახლა იდგნენ ერთმანეთის პირისპირ, ორ-სამ ნაბიჯზე, ნაცემი და დალუჩრეტილი, ძმიგდე სუნთქავდნენ და გულგრილად უყურებდნენ ერთმანეთს. უკვე სრულებით ბნელოდა და დაღამება ამ უკაცრიელ ყანებში იყო ისეთივე შემზარავი, როგორც სიცოცხლის უკანასკნელი წუთი. ისინი იდგნენ ერთმანეთის პირისპირ... მოცალეულნი საყვარელ საქმეს და საყვარელ ადგილებს, დარჩენილნი მარტოდმარტო საკუთარი ვნებისა და ბედის წინაშე და ირგვლივ აუტანლად ბნელდებოდა".

ამ ეპიზოდის მიმართ თითქმის მკრეხელურად ეღერს სიტყვა „აეიზაეი", თუმცა აეიზაეი აშკარად თან ახლავს მას, უფრო მეტიც — თვალსაჩინოდ „მუშაობს" სიტუაციისათვის,.. მკრეხელურად ეღერს, რადგან მეტად ღრმა და ამაზრზენია აღწერილი ეპიზოდის ფსიქოლოგიური სარჩული.

ერთი — უფრო სუსტი — თავს ეხსნის მეორეს, შურს იძიებს, მეორე კი — უფრო ძლიერი, რადგან ახალი უფოსია — კანონზომიერად, იძულებით იცავს თავს, სასტიკად სცემს უმცროსს, თუმცა იგი ისედაც უსაბრალოდ დაჩაგრული და გათელილია ბედის მიერ. და ორივეს მისაგებელი მიეგო, ორივე დაისაჯა (გავიხსენოთ მოთხრობის სათაური), რადგან გაუცხოების ყრუ, შეუფალი კედელი

ჩამდგარა ორ სხვადასხვა ადამიანს, სხვადასხვაგვარად მომპრიოულ ორ ბედს შორის...

მარტოდმარტო დგანან ღამეულ, დაბინდულ ველზე (ჩნუბი კი ჯერ კიდევ საღამოს დაიწყო) და ღამეც სქელი ბუოუხით ფარავს დედამიწას, მხრებზე აწვება და თავინი სიბნელით ხელს უფშავს ორ პატარა ადამიანს, რომლებიც განცალკევებულნი ან, ამავე დროს, დაკავშირებულნიც არიან უსაზეველო მარტოობის, ერთმანეთის სრული გაუგებლობის ძაფებით.

რა არის აქ? პეიზაჟი?.. ფილოსოფიური, „მითოსური“ სიტუაცია და ფიგურა? გულისტკივილი ადამიანის გამო, მის ირგვლივ მყოფ სხვა ადამიანებს შორის მისი მიუსაფრობისა და მარტოობის გამო?.. პირველივეა, მეორეც და მესამეც, ერთმანეთს მჭიდროდ უკავშირდებიან განუწყვეტელ, მკაცრ სინიეზში, ოღონდ, ჩემის აზრით, გულისტკივილი მაინც ყველა მათგანზე წინ დგას.

რამეთუ ყველაზე მძიმე თვითონ რეზიოოს საზღაურია... მან ამიერიდანაც მთელი თავისი ბედის, მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე უნდა ზიდოს ეს ტვირთი. ფინალიც აკი ამას გვეუბნება.

„რეზიოო ოდგა და უუურებდა ომარას. ის ხვდებოდა, რომ საქმე ამით დამთავრდა (ომარი ზნეობრივად გატეხილია ამ უთანასწორო ორთაბრძოლაში, ისტერიკა მორევია, რაგდან ვერ გაუგია, რა უნდა, ახე რომ გააცოფა რეზიოო. — ი. ზ.). მას უკვიოდა, რომ არავითარ სიხარულს არ გრძნობდა. პირიქით, ახლა უფრო ძლიერ სტკიოდა გული და არ კი იცოდა რატომ... შერისძიებამ არაფერი არ შეცვალა... ის ბრუნდებოდა სახლში შეუცნობელი და დაუმყოფილებელი ვნებებით აღსავსე, მის ირგვლივ კი უზარმაზარი ქვეყანა იყო ისე ბნელი და შავი, როგორც უნეგეში სვედა“.

გ. გეგეშიძე კვლავ სვამს საბოლოო აქცენტს, რომელიც გადაზედვასა და ხელახლა გააზრებას არ ექვემდებარება, და საამისოდ ამჯერად შეგნებულად ირჩევს მტკივნეულ „პლაცდარმს“, ღრმად რომ იჭრება გულსა და ხსოვნაში — მოზარდის, ბავშვის ცხოვრებას. იგი თითქოს — თვითონვე! — ეძებს ბევრი თავისი „უცნაური“ გმირის (ვამეხი, ძუკუ და შამილი „ცოდვილში“. მუშნი „დევნილში“ და სხვ.) ბედისა და ხასიათის საწყისსა და სათავეს. ისინი მარტოსულები არიან ცხოვრების მდინარეში, მათ ირგვლივ მყოფ ადამიანთა შორის. მარტოსულები არიან მანამ, სანამ ამ ქვეყანაზე არ აღმოჩნდება მათი მონათესავე, ყველაფერში მათი გამგები სული, რომელსაც ამ გამგებიანობით ძალუძს გაალხოს უცნობლობისა და განკერძოებულობის ყინულიი...

ის კი, ვინც ასეთ საჩუქარს მოიხვეჭს და მერე უარყოფს ისევე, როგორც უარყო ვა. მეზმა, ძმიმე ცოდვის სხვიის. ცოდვის [illegible] თარი თავის, თითონ ახლობლებისა და, თუკი ნოდარ დუმბაძეს დავესეხებით — ძირითადი „მარადისობის კანონის“ წინაშე, კანონისა, რომელიც ათბობს და აკავშირებს ადამიანებს, ბედნიერებასა და სიმშვიდეს ანიჭებს მათ...

ამის გარეშე უაზროა, შეუძლებელია ადამიანური სიყვარული... სწორედ ამ აზრს ადასტურებს „აპრილი“, ხაოცარი, მშვენიერი, მკაცრი და სამართლიანი (დიახ დიახ, სწორედ რომ სამართლიანი!) მოთხრობა, რომელიც სიცოცხლისა და სიკვდილის, მშვენიერისა და მახინჯის, მდაბალის ბრძოლით არის აღსავსი...

კვდება მოხუცი ბახვა. ბევრი იცხოვრა ამ ქვეყანაზე, ბევრი გაზაფხული ნახა, ბევრ აყვავებულ, სურნელოვან აპრილს მოესწრო და აი, ბოლოს აპრილიც დაუდგა...

„— მიმეკო, მიშველე! ერთი კვირა გამამლებინეთ როგორმე და მერე მე ვიცი! — საწყალლხლად იხვეწებოდა ბახვა.

— ნუ გეშინია, დაწყნარდი, გამოკეთდები...

— ვკვდები, შე უბედურო, ვკვდები!..

ივენის კარი ღია, ქანაობს, და მოკანგული ანჯამები გულისგამაწვრილებლად ჭრიალებენ“.

თამამად ვიტყვი: ეს ერთი პატარა, რამდენიმე სტრიქონიანი ნაწყვეტიც კმარა იმის მისახვედრად, თუ როგორ პროზასთან გვაქვს აქ საქმე... „აპრილში“ (ისევე, როგორც „შურისძიებაში“), ჩემის აზრით, გ. გეგეშიძის „წმინდა მზეკვრული“ ნიჭი, ავტორის ის უნარი, რომ ცხოვრება საჭირო, სძიებელი რაკურსით და აუცილებელი „სარჩულით“ დაინახოს, გახსნას ჩვენს წინაშე, განსაკუთრებული სიცხადით გამოვლინდეს.

ამ ახლახან მომპობილ ნაწყვეტში ყველაფერი ხაოცრად ზუსტი და მრავალშრიანია... აი, ნახეთ: კვდება ადამიანი, გაგიეშიით სწყურია სიცოცხლე, ლამის იყვიოს, მას კი ეუბნებიან, ნუ გეშინიან. ეუბნებიან, დაწყნარდი! ახა, ცოცხლებმა, ჯანმრთელმა (ბახვას კი ცალი ფეხი უკვე სამარეში უდგას), მისი საწოლიდან უკვე სიკვდილის სუნი დის) როგორ უნდა გაიგონ ბახვას გულისდღელი!.. მთელი უფსკრული ძევს მათ შორის და არ არსებობს ხიდი, ზედ რომ გაიდოს! კაცი ერთი და ერთ ჭერკეშინთ, რომ ეს მოეხერხებინოს... საჭყარო კი კვლავაც დგას, ცხოვრება მიედინება და იოტოსოდენადაც არ იცვლება იმის გამო, რომ, ან, ადამიანი მიდის, საშფადმოდ ტოვებს მას. დამტოვე, გზაც იქით გეშინიან, ეუბნება! ჭრიალებენ უანგმოდებული ანჯამები, ქანაობს ივენის კარი...

ერთი მხრივ — აპრილი, მზე, ცინცსალი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჰაერი, ბალახსა და ფოთლებზე დაფრქვეული ცვარი, მეორე მხრივ კი — სიკვდილი, მაჯას სწრაფად რომ უახლოვდება და მოაჭვს წყვდიადი, ხრწნა, არყოფნა.

ბაბვას სახლში გაზრდილი ობოლი ჭიკაო ცდილობს თავისი წილი წაართვას ცხოვრებასა და ბოლოს ცხოვრების ბატონ-პატრონი გახდეს. ძალიან დიდხანს იყო იგი ბრიყვულად მორცხვი და გაუბედავი, აწ დროა ქაუა ისწავლოს,.. აგერ უუფუნა, მუდამ მოსწონდა ეს ქალი, მაშ, რა უშლის ხელს?

„ახლა უნდა მისცეს გასაჭანი ენებებს და სურვილებს. რა მშვენიერი შეგრძნებაა, როცა გადალახავ ამ ზღუდეს, რომლის წინაშე ყოველთვის უკან იბეგი. რა უსაზღვრო თავისუფლებაა!.. მთავარია ის წამი, რომლითაც აი, ახლა ცხოვრობ, დანარჩენი ყოველივე სიხულელეა"!

მაგრამ ეუფუნა რატომღაც ყვირილს ტეხს, უძალიანდება და მის წიოოობაზე მოვარდნილი ქმარი თოფს აკლებს ხელს, ჭიკაოს გამოეწყობა.., ეს სიტუაცია კომიკურის ზღვარზე დგას: ქმარი, ცოლი და ხელმოცარული საყვარელი. მაგრამ გ. გეგეჭკორის პროზა ის არ იქნებოდა, რაც არის, რომ შექმნილი სიტუაცია ერთი ხელის დაკვრით, აზრისა და სიუჟეტის (სიუჟეტი ხომ, უწინარეს ყოვლისა, ხასიათის განვითარებაა!) ერთადერთი დგენებით არ დაემსხვრია და ფილოსოფიური, ზნეობრივი დრამატიზმის დონეზე არ აეყვანა.

დიახ, ჭიკაო გარბის. მაგრამ... „და უეცრად ჭიკაოს მობაზრდა სირბილი. ეული ე�ნში ებჯინებოდა, ალარ შეელო გაქცევა. ისე რცხვენოდა საკუთარი თავის, რომ აუტანლად შეეზიზღა არსებობა. მუხლები მოეკვეთა, განწირულივით შემობრუნდა, მისკენ გამოვარდნილ ბუჭუნაას ზურგს უკან, სადღაც ზორს, ზორს გიიმეფა და დაინახა მთები. მთები ისე წამომართულიყვნენ თვალსაწიერის ბოლოს, თითქოს ოკეანის ტალღა, ვეებერთელა, უზარმაზარი ლურჯი ტალღა მოადგა დაბლობს და საცაა უნდა ჩამოიქცეს, უნდა წაწლეკოს ქვეყანაო, მერე გაისმა თოფის გრუხუნი, მთები გაკრა..."

ჩემთვის უეჭველია, რომ მთები აქ ნიშნავა სამაგიეროსი, შურისძიებისა იმის გამო, რომ გმირმა არ ისურვა ადამიანად ყოფნა, საკუთარ თავს განუდგა, თავისთავს უღალატა... ტყუილად კი არ „მოადგა დაბლობს" მათი ლურჯი ტალღა, ეხე იგი — იმ სწორხაზოვან, პრიმიტიულ და პრაგმატულად ცხოველურ შეგნებას მოადგა, რომელსაც ჭიკაოომ სრული ასპარეზი მისცა თავის გულში. მართალია, სიცოცხლის ბოლო წამს მან გაიგონო, რომ ცხოვრება შეეზიზღა, მაგრამ სამაგიეროს მიზეკა უკვე გარდაუვალი იყო... ახე მთავრდება „პარილი" და ჩვენც გურამ გეგეშიძის პროზის ისეე ინ ფინანდელ, უკვე ნაცნობ ნიშნებს ვხედავთ მასში.

ეს ნიშნებია: სამყაროსა და მასში ადამიანის ადგილისა და როლის შეცნობის წყურვილი; მისი მოვალეობის, სინდისისა და პატიოსნების, მისი „შეიძლება — არ შეიძლებას" გარკვევის წყურვილი; ადამიანის აქტიური, მაძიებლური თვითშეცნობისაკენ ლტოლვა და ყოველივე ის, რაც ცხადად, უეჭველად ჩანს „ცოდვილის" გმირის ვამეხის, „ფენილის" მუშნის, „ეშმაკის მოსახვევის" უიღლო ზოფერ ასტამურის, ბიძაშვილის კვალდაკვალ უფსკრულში რომ იჩეხება, რომ „სტუმარის" გმირის თარხუჯის მაგალითებზე...

თარხუჯიც ცდილობს გიიგოს ჭეშმარიტება საკუთარი თავისა და ცხოვრების შესახებ, გიიგოს ადამიანთა საქციელის, მათი აზრების, სიმპათიებისა და ანტიპათიების, სურვილებისა და ვნებების ხაწყისი და საათვე. თარხუჯის ეს განუწყვეტელი „ცნობიერების ნაკადი" ავსებს „სტუმრის" ყოველ ფურცელს. იგი განსაზღვრავს და წარმართავს რომანს. მოკმედება, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, ამ ცოტაა, იგი გამოდევნილია ან რეტროსპექციით, თარხუჯის მეხსიერების ეტაპებსებით წარსულში, ანდა მის სადღეისო აზრთა და გრძნობათა წყობით.

მოკლედ რომ ვთქვათ, თარხუჯი მის ირგვლივ არსებულთა ყოფიერების ფილალური „ფიქსატორია", მაგრამ იგი სტუმრად გრძნობს თავს მშობლიურ ქალაქსა და, საერთოდ, ამ ქვეყანაზე, ეს ერთი ხანობა ყველაფერს ამჯობინებს პატარა სოფელში გაბმარტოებასა და მშვიდ ცხოვრებას. იგი თითქოს განსახიერებაა ისეთი ადამიანური გონებისა, რომელიც უკმი სულით მუშობს და მოჭმედნას უარყოფს, არა ხურს მოჭმედება.

რას იზამ, ესეც რაღაცნაირი პოზიცია და რაღაცნაირი რეზულტატია, წინანდელი აქტიური და სისხლსსავსე ცხოვრების გამოცდილებით მოპოვებული. თარხუჯს ეს ამთავითვე, დაბადებიდანვე არ ჰქონდა მოცემული, იგი მივიდა ამ პოზიციამდე. ოღონდ ეს პირქუში და, ერთგვარად, უნაყოფო სიბრძნეა, საკუთარ თავში ჩაკეტილი და, ამტომაც, თითქოსდა ავადმყოფური სიბრძნე...

მახსენდება ჩვენს თვალწინ ჩავლილი სხვა ადამიანები, სხვა გმირები გ. გეგეშიძისა — ფიცხელნი, მგზნებარენი, მძაფრად რომ იცხებიან ცხოვრებაში, მარმონიას რომ ეძებენ და ეარც მზოლოდ საკუთარი თავისათვის ეძებენ. მათ ბაჯნა და ძიებას აზრის, ბობოქარი და უშიშო აზრის ქუროში უზდებთან გავლა, ეს არის დაუცხრომელი ლტოლვა შეუცნობლისაკენ, როგორც თვითონ გურამ გეგეშიძეს განსაზღვრა.

თარგმნა დოდო სანიკიძემ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრაგიკული გრადაცია

სოსო პაიჭაძის მოთხრობა „უკანასკნელი დუბლი“ იწყება ერთი შეხედვით უბრალო, მაგრამ თავად ავტორისათვის მრავლისმეტყველი სურათის გახსენებით. ზღვისპირა ქალაქში ლამპიონების ჩაქრობა დავიწყებიათ და სიბნელეში ესოდენ მკვეთრი და ჩახჩახა ხელოვნური სინათლე, ახლა უმწეოდ, ბაცად ლიცლიცების დღის ბუნებრივ ნათელში: „...მათი უხსოო კამკამი საამოდ ალბობს გარემოს, ყოველივეს ნელთბილ ბურშო ხვევს, ფერს უცვლის, თუმცაღა ღონე-მიხდილი ნათელი ოდნავაც ვერ ერევა დღის სინათლეს, თითისდადებაზეც ვერ შორდება თავისსავე თავს, მხოლოდ მოგრძო შილაკებს ჰბურავს გულის მოსალბუნე სითბოდ“ და ავტორს ეჩვენება „რომ აქ, ამ სივრცეში, რომელსაც დასდებია ნაზად ავადმყოფური და მშვენიერი ჟერი, თვლებს რაღაც საიდუმლო...“

ამ გახსენებულ, წამძღვარებულ ეპიზოდში შევიგრძნობთ ავტორის აღქმისა და წუხილის ბუნებრივ ინტონაციას, რაც არ თანხვდება საკუთრივ მოთხრობის ტონალობას, რომელსაც პაირობებს მთავარი პერსონაჟის ავადმყოფურად გადაძაბული, ეგზალტრებული ფსიქიკა და ის უადრესად მძაფრი და ხშირიანი სიტუაცია — ფილმის გადაღება ქუჩაში — სადაც, როგორც თავისი ბედისწერის ბოლო ეპიზოდში შემოხვევით მოჰყვება მთავარი მოქმედი, უფრო სწორად, პრაქტიკულად უკვე სრულიად უმოქმედო გმირი-ანგარა.

ამავე დროს, შემდეგ მოთხრობაში აღარაა მინიშნებული რაიმე პირდაპირი კავშირი იმ საიდუმლოსთან, რომლის შეგრძნებაც ეუფლება ავტორს დღისით ანთებული ღამის ნათურების დანახვისას. მაგრამ ეს შესაავი სურათი გახლავთ მკოთხველთან ემოციური შემზადება საიდუმლოსათვის: რამეთუ მოთხრობის მთავარი საკვლევი საგანი ადამიანის სულის საიდუმლოა — ის შეუცნობელი, ქვეცნობიერი, ადამიანის ფსიქიკის ბნელ ტევრში რომ თრთის, იძახებს, არსებობს. ამავე დროს ის ფონიცაა მიბაატული, რომელზედაც ხორციელდება ქვეცნობიერის წვალში ჩაკრმავება: ეს გახლავთ სინათლისა და სიბნელის ტალღოვანი, მოცახცახე ქსოვილი, შუქ-ჩრდილთა უმრავლესფეროვანესი პალიტრა, ხხიფის და წუვლოვის თამაში, ერთმანეთში შეგრა, ერთმანეთისაგან გამიჯვნა. მოთხრობას „უკანასკნელი დუბლი“ მკვეთრად ოპტიკური ფონი აჭვს, რაც მისი სიუეტეთაცაა გაპირობებული — ფილმის გადაღება ქუჩაში.

სინათლე-სიბნელის კონტრასტები მოთხრობაში ტრადიციული, ეთიკური მნიშვნელობებით არ არის დატვირთული, ეს სიკეთე-ბოროტების სიმბოლოები კი არა, შემეცნებითი პროცესის ფაზებია, სინათლისა და სიბნელის თამაში შეესაბამება ცნობიერების მოძრაობას: შეცნობილისა და შეუცნობლის, გარკვეულისა და უსახელოს, ცხადისა და ბუნდოვანის თანაარსებობას ადამიანის ფსიქიკაში.

პირდაპირ გასაკვირია სინათლის გამოვლენის ელფერთა და ნიუანსთა აღქმის ავტორისეული უნარი — აქ ყოველი ფეხის ნაბიჯზე აღნუსხულია როგორც ბუნებრივ მანათობელთა ყველა უმეცრესი შუქ-ჩრდილი, ასევე ხელოვნური სინათლის ყველანაირი კრთომა და გაელვება, ბუუტვა და კაშკაში. მოთხრობის სივრცე ერთიანად აზიმზიმებულ-დასერილია მზის სხივის ლიცლიცითა თუ ახანთის ღერის პარპალით, მაქანის ფარებისა თუ ლამპიონების ყვითელი ნათებით, კინო-კამერისა თუ პროეექტორების ჭახჭახა სვეტებით... და უმეტესად მთელი ეს განათება მთავარი პერსონაჟის შინაგანი სცენის გარეგანი განათებაა, სცენისა, სადაც არათანმიმდევრულად ცოცხლდება მთელი წარსული. შესაბამისი ლაპლაპი თუ ბუუტვა ბუნებრივი თუ ხელოვნური სინათლისა ახურთოვის პერსონაჟის ცნობიერების „ამბებს“, მოძრაობას: შინაგანი ტაუოლისა თუ სინარფილის თავზარდამცემად სწრაფ მიხვედრასა თუ ხანგრძლივი ფიქრის ნელ შედეგს.

ამავე დროს, პერსონაჟებსაც (სხვა მოთხრობებშიც) ავტორივით გამახვილებული, სიმბოლური აღქმა აქვთ შუქ-ჩრდილთა თამაშისა და ზმირად წვდიადის გამკვეთი სინათლის სვეტი თუ მათი გამმიჯნავი ზოლი ოფთიჩაღრმავების იმპულსი ხდება, შეუცნობლისაკენ ძრავს გონებას, სიმბოლურად მიანიშნებს რაღაც შინაგან საიდუმლოს, ახსენებს, ახვედრებს რაღაცას — მოუწვდომელსა და მნიშვნელოვანს:

„ჟამი-ჟამ ბუგელებს მაგნეზიური ნათელი გაჰკვეხავდა დაბლა, ულიმდამო რეკლამებისა და განათებული ვიტრინების ნაგლეჯებით დაფლეთილ ბინდში ან კრიალა ავტომობილი გაკრთე-

ბოდა გზა-ჯვარედინზე, შუქ-ფარების ნათელი ავსებდა ბნელი ჯეჯილ მონაკვეთს... მგზავრების ბუტაფორულ სხეულებს. გაამდალვნებდა, შემდეგ თვალის დახამხამებაში გაახლეტებოდა და ყოველივე ბნელ ფარდას ჩამოაფარებდა... და მაშინ ანგიას მზრის მოტაცებდა შორს, ზღვისპირა პარკის თავზე ჩალესკუმბიულ სივრცეში ამოჭრილი მარაოსებური ნათელი... ვინა ხარ შენ, ამ ჯადოსნური ფერადოვნებით მოთამაშე ხმაყაროსა და ღამეულ სივრცის წინაშე, რომელიც თვალსა და ხელს შუა იძახება, იძახებს და ლამისაა გაწყდეს მისი ფარატინა ფეხი — უხილავი კედელი შენი დღისა და ღამისა! და „ყველაფერი ტყუილია“ — დაიკვირა მან (გვ. 100).

ხშირად ავტორი პირდაპირ მიუთითებს, რომ შეუცნობელთან მიახლოვება, გუშანის, ალლოს მოკმედება ყველაზე მეტად ბნელში ნათელის წრიალია ჭაგეს, ღამის თანდათანობით გამქვიარვალებას რიერაოდ ან ბნელი ჭის ფსკერიდან შემოთკენ დაძრული ბადიას: „ნაზად შემკრთალ ბნელში ჯერ გაუცნობიერებელი, მაგრამ მტანჯველ გუმანივით წრიალდება ლეგა ბურუსი... დაბლა, ფანჯრის ქვემოთ, უჩინარი ნათურის შუქი ეფინა მიწას. მისი ოვალური, უძრავი ნათელი ლორთენ ბალახის გამქვიარვალე სიმწვანეს ეზიდებოდა ბნელი ღამის ფსკერიდან, აქვე სულ ახლოს ამოჭკნდა და იყო რაღაც მსგავსი ანგიას დადუმებულ არსებასა და ამ მიუწვდომი აზრით აღსავსე სურათს შორის — თითქოს მაეროვანი ბადია გაბერულნეულო ბნელი ჭის ფსკერზე, სადაც იყო დაიძგრებოდა, შემოთ წამოვიდოდა და ამოიგანაცა, რისი განცხადების გარდუვალობასაც სასოწარკვეთით გრძნობდა ანგა საკუთარ უძრაობაში ჩაკირულ გუშანი“.

თავად სტილი, მეტყველება მწერლისა იწვევს რიერაოს წინა ბინდბუნდის შობეგნდილებას, რაც ერთის მხრივ საკუთარ ხიბლსა და იდუმალებას ანგეს მოთხრობას, მეორეს მხრივ კი, როდესაც ბინდი ბანგრძლივდება, ბადეს ბათენების მტკივნეულ სურვილს, ნერვიულ წუოვრილს გარკვეულობასა და სიცხადეში გადაბიჯებისა, სადაც ნათქვამი უფრო მკაფიო და ხელჩასაბიდ კონტფრს შეიძენს.

პირველი ეპიზოდი, რითაც იწყება საკუთრივ მოთხრობა, ფუნდამენტური მნიშვნელობის მოვლენად იქცევა მთავარი პერსონაჟის შემდგომი სულიერი ცხოვრებისათვის: ხრაშმი გადაჩეხილი ავტობუსის 12 მგზავრიდან გადარჩენა მხოლოდ ანგი, იგი ამოფოფხლება ბნელი ხრაშიდან და ნახევრად გონდაკარგული ბრუნდება შინ. ეს გახლავთ სიკვდილის თვალებში მოულოდნელი, ელვისებური ჩახედვა, თავსდატეხილი გახსენება სიკვდილისა, რომელსაც ჩვეულებრივ ყოფაში იშორებს, ინაპირებს, ივიწყებს ადამიანი. ეს გამაყრუებელი ძალით ჩამორეკილი «memento-mori!» არსებითი შეკითხვებით აწრიალებულ ადამიანად აქცევს ანგიას, ერთიანად შემრული და შეკავკლარებული ახალი, უცხო თვალით რომ შეხედავს თავის ცხოვრებას, ძიებს თავისი ოჯახური თუ სოციალური თანაყოფიერების ფარული ძირებს.

ის აზრობრივ-ფსიქოლოგიური ფუნქციაა, რაც ენიგეცი მოთხრობაში სტაკედილის „ალერიანი ფაკტს, ეხმიანება ეკსისტენციალურ-ონტოლოგიურ წარმოდგენას სიკვდილზე. მ. ჰაიდეგერის მიხედვით საკუთარი სიკვდილის მოაზრება იმ უკანასკნელ შესაძლებლობად და მიზნად, რომელთანაც ადამიანი უნდა მივიდეს ოდესმე, ეხმაურება მას თავისი ყოფიერების გაგებაში, მის დაუფლებაში!. საკუთარი ბოლოვადობის, ხასრულობის ცოდნა ადამიანს უბიძგებს გარკვეული ინტენსიობისაკენ, დაძაბულობის ღირსიულ ხარისხში აპყავს სიცოცხლე, ადამიანის ყოფიერება, ფიქრი, რათა იგი არ დამდორდეს და არ დაჭაობდეს.

დაძაბულობის ასეთ ხარისხში ადის ანგიას ცხოვრებაც, მას შემდეგ რაც იგი შემთხვევით გადარჩება სიკვდილს. მაგრამ გარდა ამისა, რომ ხსენებული ეპიზოდი სიკვდილის მიერ საკუთარი თავის შეხსენებაა ადამიანისათვის, ხხვა მომენტიც შემრავს გადარჩენილი პერსონაჟის გონებას, შემრავს, როგორც ავტორი იტყოდა — „ბედისწერიული“ ძალით: ეს გახლავთ მისი გადარჩენის შემთხვევითობა. და ეი, ანგიას არ შეუძლია თავისი გადარჩენა უაზრო, მექანიკურ, არაგრისმაქმელ შემთხვევად აღიქვას. მას თავს ეხვევა, თანდათან იაკრობს ამ შემთხვევის ფარული, სიმბოლური აზრი, რომელსაც თავად უნებურად ანიგეს თავისი გადარჩენის ფაქტს. ეს გადარჩენა მისთვის იმის მიუწვენელი ზღვაა, რომ ბედისწერამ ის გამოარჩია, ვინასაკვაკ 11 მგზავრისაგან: გადაინახა. მაშასადამე, მის პიროვნებას განსაკუთრებული მნიშვნელობა მიაწერა. აი, სწორედ ეს გახლავთ ის თავსატეხი გამოცანა, ამოსახსნელი აზრი, რასაც ავტორი ლაპადარულად უწოდებს „მაჭიდოს თერმეტი მგზავრიდან თორმეტამდე“.

და ასეთი, უეცრად აფეთქებული შეკითხვებით შემრული ადამიანი ერთგვარად ამოწმებს თავის განვლილ და მომდინარე ცხოვრებას: ხად, სადა ჩანს მისი განსაკუთრებული მნიშვნელობა, მისი საკუთარი ღირებულება, განსხვავებულობა რისი გულისთვისაც გადარჩა? ხად არის საქმე, რისთვისაც ბედისწერამ შემოინახა? ამ მნიშვნელობას ანგია ვერსად პოულობს: უცხო თუ მახლობელ ადამიანებთან ურთიერთობაში იგი

1 გ. მარგველაშვილი „ფინალობის პრობლემა ნიკოლაი პატმანისა და მარტინ ჰაიდეგერის ონტოლოგიებში“, 1983, თბილისი, გვ. 77.

ნინარა ბელაშვილი
ტრაგიკული გრადაცია

მხოლოდ საკუთარი თავის კარგვასა და გათქვეფას აღმოჩენს, დაადგენს, იგრძნობს თავისი პიროვნული კონტურის წაშლას. მაგრამ ეს ძიება, გამტანჯველი დაუმაყოფილებლობა, საკუთარი თავის კარგვის მძაფრი განცნობიერება უკვე ნიშნავს ატროფირებული, ინერციით მიმდინარე ანუ ინეკ 8. ჰაიდეგერის ტერმინები რომ ვიხმაროთ: „არანამდვილი ყოფიერებიდან ნამდვილისაკენ“ დაძვრას.

ასე დაადგენს თვითანალიზის გზაზე შემდგარი ანგელი, რომ მას დაუკარგავს „ნიგი სიუცხოვისა“ — თავისი უმთავრესი ნიგი, სულიერი ოვისება. ეს ნიშნავს, რომ მისი პიროვნება უნდგებოდ წაშლილა ცოლ-ქმრულ, მამა-შვილურ თუ სამსახურებრივ მეგიძრო ურთიერთობათა დამდორებულ დინებაში.

„სიუცხოვის ნიგი“ პიროვნებისათვის აუცილებელი დისგანცია ნებისმიერ ურთიერთობაში, რომელსაც ეზრიდად ახლობელ, საყვარელ ადამიანებთან თანაცხოვრება უფრო ემუქრება წაშლით, ვიდრე უცხო ადამიანებთან გარეგანი კავშირი.

საკუთარი პიროვნების წაშლილი კონტურის აღდგენას ცდილობს ანგელი ცოლთან თუ შვილთან ურთიერთობაში, ეძებს იმ არანამდვილობის თამაშში, სიყალბის ძირებს, რაც თვით ყველაზე ახლობელურ ურთიერთობაშიც იმალება. მაგრამ მოთხრობის პრობლემა ცოლქმრული ურთიერთობის გარკვევა როგია. უბრალოდ, ცოლქმრობა ანგელის პიროვნების უახლოესი გარსია. ანგელს — მამაკაცის ცხოვრება პრაკტიკულად ცოლქმრულ და მამაშვილურ ურთიერთობაზეა დასული. სამსახური მეკანიკური საქმიანობის სფეროა და არა შინაგანი მოვალეობისა. ანგელს, მამაკაცის თვითგამოვლენისა და აქტივობის სხვა არავითარი ველი არა ჩანს მოთხრობაში. ამგვარად დაეწიროდენო, ოჯახურ ბუდეში ჩაწრეტილი მამაკაცის ცხოვრება, ცხადია, ავადმყოფური და არასრულფასოვნების ფარული, პიროვნების ფარულად ამდენებელი კომპლექსს გულისხმობს უცილობლად. ამიტომაა მისი განცდანი და ალმანი ან ვიწრო ველზე მიპერტროფირებულია. სხვა, დიდი, ნამდვილი ასპარეზობის უქონლობა მის არსებობას ოჯახშიაც არანამდვილს ხდის და მამაკაცური თავმოყვარეობის ავადმყოფური შელახვის წყაროდ იქცევა.

და თუ წელან ალენშნეთ, რომ უცხო ადამიანთა სიკვდილით შერაყეული ანგელს ახლადდაწყებულები, მაძიებელი ცხოვრება არანამდვილი ყოფიერებიდან ნამდვილისაკენ გადასვლის ცდა და სურვილია, ს. ჰაიკაძის მოთხრობაში მთავარი სწორედ ის ხდება, რომ ეს ნამდვილობა (სულიერი აქტივობა-ინტენსიობა) მეტისმეტად დიდი: აუტანელი და შეუძლებელი ტვირთი აღმოჩნდება სივიწროვეს მიჩეფული, საზოგადოებრივად „ეპატარა“ ადამიანის სულისათვის. ანგელს შინაგანი ძიების პროცესი ავადმყოფურ ეგზალტაციაში გადაიზრდება და ავტორიც ნიადაგ ამბობს ენის, რომ მისი პერსონაჟი „სნეულია“. ანგელს თვითჩაღრმავება, მოვლენათა არსში ჩაძირვის მეცდლობა თვითმიზნურ (მაგალითად, არ ანტერესებს რას განიცდის ცოლი, რა აკლია მას), აგზნებულ და გაზვიადებულ ხასიათს იღებს და ბოლოს აგრესიად ამოიფრქვევა ახლობელთა მიმართ (ცოლი, თანამშრომელი). ეს აგრესიაც — საკუთარი ძალისა და მნიშვნელობის წარმოჩენის, თვითდაგენის ავადმყოფური ფორმაა სოციალურად უმნიშვნელო, წაშლილი ადამიანის მხრიდან.

თვითშემეცნების, საკუთარი პიროვნების შენარჩუნების სურვილი კლინიკური ავადმყოფობის ფონზე ვითარდება, რადგანაც მანამდე პიროვნების კარგვა, ნიველირება უკვე მისული იყო ფარულ სნეულებამდე. ფარული სნეულება — აშკარა ფორმაში გადაიზარდა.

ასეთი სურათი გვეშლება თვალწინ ს. ჰაიკაძის მოთხრობაში „უკანასკნელი დუბლი“.

უახლოესი ადამიანის — მეუღლის სიკვდილი, რომელიც არაუშუალოდ უნდა უკავშირდებოდეს ანგელს აგრესიას (ყოველშემთხვევაში ერთ ემოციურ კონტეკსტში ეკითხება), წერტილს დაუსვამს ამბოხებული სულის წრიალს. ეს მეორე შემოკრა სიკვდილის სიკვდილის პირველი შემოკრით ჭეშმარიტების საძიებლად ნერვიულად აღტკინებულ სულს სრულ აპათიაში ძირავს, ეს საკუთარი დანაშაულის განმცდელი ადამიანის აპათიაა: ახლობლის სიცოცხლეს უცემ მოიპოვეს ყველფიერზე — თვით ეეშმარიტების ძიებაზეც — აღმატებული მნიშვნელობა.

და აი, დგება ანგელის ცხოვრების ხაბოლოო ეპიზოდიც: ანეტას სიკვდილიდან კარგა ხნის შემდეგ ქუჩაში იღებენ ფილმს ხათოურით „ჩაზმარი“, კერძოდ, ეპიზოდს — „მკვლელობა“. ეს ხათაურებიც სიმბოლურად მიანშნებენენ ქვეცნობიერსა და დანაშაულზე.

ანგელის მიიწვევენენ ეპიზოდურ როლში: ის პირველი უნდა გაიქცეს ქუჩის ბოლოსაკენ და იკოვოს იქ მოკლული კაცი. შემდეგ სხვა გამოკლელნიკე მიეცეგიან. მაგრამ ანგელი ვერადვერ ახერხებს ამ ელემენტარული მითითების შესრულებას — ქუჩის ბოლოსკენ გაქცევას, სადაც „მოკლული“ დგება. რადგან კინოგანათების ათასგვარი შუქი, ბავშო, ტალღა, ხვეტი, რაც მთელ ჩაბნელებულ ქუჩას აზიმიმებს, სრულად, მაგრამ ოწვევს ხის ცნობიერებაში განვლილი ცხოვრების აღდგენა-გახსენებას, არა თანმიმდევრული უკუფენით, არამედ კალეიდოსკოპურად. ყველაზე ძლიერი და პირველი ბიძგი ამ მაგიურად დატრიალებული ცნობიერების კალეიდოსკოპისა — აღმოჩნდება მანქანის ანთებული წყვილი შუქგარი რეპეტიციის დაწყებისას: ასეთივე სინათლე შეეგება მაშინ, ბნელ ხრამიდან ამოფოფხებულ ანგელს, ხრამიდან, რომლის ფსკერზეც თერთმეტი გვამი დარჩა. გულისუყრიანი მკალ-

ხველისათვის ეს განმეორებული სინათლე უკვე ბედისწერის სიგნალია: ბედისწერას უყვარს ამგვარი სიმბოლური დამთხვევები.

ამ მომენტადან იწყება სინათლის პიპნოზი, რომლის ტკვეიობაშიც ემყოფა ანგია და რომელიც განსაზღვრავს მის ფიქრსა და რეალურ მოძრაობებს: ანგია მონუსხული მიიწევს სინათლისაკენ. მისი სნეული გონება ფილმის გადაღების მთელ პროცესს რაღაც სულ სხვა სიმბოლურ-მეტაფიზიკური აზრით ტვირთავს. დიდი ხნის მეანჯველ კითხვაზე „ვინ წარმართავს, ვინ უჩინარი განაგებს ამ ცხოვრებას?" — იგი უეცარ ხუთად-პასუხს პოულობს: მოძრავ ურიკაზე შემდგარი რეჟისორი თავისი მბრძანებლური ეფექტებითა და მითითებებით მისთვის ცხოვრების უხილავ წარმმართველთან იგივეადგება.

ამავე დროს პროექტორის ბეჯეს, სულის გაფფატრავი სინათლე მბრძანებლურად უბიძგებს ამდენ ხანს ავადმყოფურ ანაბიოზში მდორედ და უშოქმედოდ მდებარე ანგიას ტკინსა და გუშანს სასწრაფოდ ჩაღრმავდნენ საკუთარ სიბნელეში, გაიხსენონ, ამოატვტივონ მომხდარი თუ შესაძლებელი, აწყარა და ფარული, მიხვდნენ მისახვედრს — დაწყებული თერთმეტი ადამიანის სიკვდილით, ვიდრე უახლოეს აწმყომდე. პროექტორების სინათლე რაღაც შეუცნობელ, კატეგორიულ, ოპტიკურად გამოსატულ ბრძანებად იქცევა: „ჯიქურ მოჰკენილი, სინათლის მოთქვეი თვალი".

რეპეტიცია დაიწყო და ჰქედან მოკიდებული ტექნიკურ-ხელოვნური სინათლის ალქმა ხულ უფრო ძლიერდება. თუ პირველი დუბლის დროს ნათქვამია „ჯიქურ მოჰკენილი სინათლის მოთქვეი თვალი", მეორე დუბლისას ვკითხულობთ „სინათლის ბასრი, მგეხლავი ბჟალი", ამავე დროს, თუ პირველი დუბლის შემდეგ სინათლე გამორთეს, მეორე და მესამე დუბლშიც ეს წამიერი შესვენება, ამოსუნთქვაც ალარ ყოფილა და ანგია მთლიანად შეშვერილი, შეტოვებული აღმოჩნდა დაუნდობელი სინათლის ბჟალს, რაშაც მას უბიძგა საკუთარი წიალის ბნელ ტეტრში ჩაძირვისაკენ. და ახე შეგნით ჩაპირქვავებულ ანგიას არ ესმის, რას ითხოვენ მისგან ფეკტიფურად. ის აკეთებს იმას, რასაც მისგან ითხოვს სინათლე; სინათლისაკენ მიიწევს ფიზიკურადაც და შინაგანადაც. ხურს განაგოს საკუთარი ბნელი წიალი, ეძებს თავისი ცხოვრების დანისლულ აზრს.

ამავე დროს რეჟისორის ბრძანების აღსრულებლობა — ანგია არ მიდის „მოკლული" კაცისაკენ — გვიმეფაგნებს მის ინტუიტურ უსურვილობას, აღიარის საკუთარი ქვეცნობიერი დანაშაული. ამიტომ, როდესაც „გამველები" წამოეწევიან, მის აქეს ბანქდა, რომ დანაშაულზე წაასწრეს.

ორი დუბლის შემდეგ ანგიას თავს ანებებენ... უბრძანებენ, გავიდეს კადრიდან, ალარ გამოჩნდეს, ალარ მიიღოს მონაწილეობა ფილმში და ეს ბრძანებაც სიმბოლურ მნიშვნელობას იღებს სნეული გმირისათვის—ის ზემოქმედია აქვეკონ-გაგაგდეს, არ არის საჭირო. მაგრამ ანგია — უკვე სინათლის მაგიის ტკვე-მანიც გადის კინოკამერის წინ და როცა შეძახილებზე „ვინ გამოოშვა ეს კაცი! გავიდეს!" გაისმის ტრეჟისორის ზენა პასუხი „იყოს"! ეხეე უმალლესი ინსტანციის წყალობად აღიქმება ანგიას მიერ. ეს „იყოს" იგივე წყალობა და გამორჩეცვა ბედისწერის მიერ, როგორც მაშინდელი გადარჩენა ანგიასი. ის საჭიროა, ის უნდა იყოს, და ალტკინებული ამ პასუხით, ანგია გარბის იმ უჩინარი წარმმართველისაკენ, ვისაც ის სჭირდება, ვინც მის არსებობას უზენეს სანქციას ადებს... ხომ ამას ეძებდა გადაწყვეტი სნეული მთელი ცხოვრება — სიყვარულის, არსებობის, აღზევების უფფლებს.

ანგია გარბის წყალობის შუქისაკენ, ზენაერული ნათლისაკენ, (რომელიც რეალურად მხოლოდ ტექნიკური განათებაა), გარბის იმ თვალისაკენ, რომელიც, როგორც ანგიას მგონია „იზეპირებს მას", რათა ის არ განკარდეს წარმავლობის ნაკადში, მტვერივით უკვალოდ არ განიბნეს. ეს ის წყალობა და ნათელია, რომლის მოპოვებას არა სჭირდება ცოდვათა და შეცდომათა გზაზე გამავალი მტანჯველი ძალისხმევა, ეს ნარჩენი შუქია — ხაბილო მისასვლელი და ნავთსაყუდელი.

ანგია ისკუპებს რეჟისორის მხრიდან გადმოღერილ-გადმოფრქვეული სინათლისაკენ — „ცალი ფეხი გავეშებით დაპკრა მიწას და იმ კაშკაშა ნათლისაკენ გადახტა!" — და უეცრად გამოვარდნილ თვალებანთებულ მანქანას შეახედა.

მომაკვდავის მიმქრალ სმენაში აღიბეჭდება „ზეციათ მრეკავი კითხვა", „ეს დუბლიც გაფუჭდა?" და „ანგია დაიძახა, სმენად იქცა სანტტრელი პასუხის მოლოდინში, მაგრამ მეტი ალარაფერი გაუგონია". რა შეიძლება ყოფილიყო ის „სანტტრელი პასუხი" თუ არა ის, რომ ანგია აღიბეჭდა ამ ფილმში როგორც აუცილებელი, მნიშვნელოვანი ნევრი, ანუ დარჩა, დარჩა მისი ბოლო ნატტამი. რეჟისორმა ბრძანა „იყოს!" და ანგიაც შერჩა სამყაროს, აღიბეჭდა სიცოცხლის უწყვეტ ფილმში.

ტექნიკური სინათლის ზემოქმედება თავისი ფაკალურობით გვახსენებს ბუნებრივი მანათობლის—მზის დამაწარეველ მოქმედებას ა. კამიუს მოთხრობაში „უცხო". ოღონდ, პროექტორის შუქს ეფექტი ხ. პაიკაძის მოთხრობაში მრავალმნიშვნელოვანია. ხოლო მზის მოქმედების შედეგი კამიუ მოთხრობაში — ერთნაშნა. კამიუს გმირის მოქმედება დანაშაულია სუბიექტურადაც (თავად გმირისათვის) და ობიექტურადაც. ხოლო

ნინო ბელაშვილი
ტრაგიკული გრადაცია

ანგიას მოკმედება —, ობიექტურად თვითმკვლელობაა ან ბრმა შემთხვევა, ხოლო სუბიექტურად თავად ანგიასათვის გახლავთ თავისი ცხოვრების ანუ განუზორციელებელ შესაძლებლობათა ჯაჭვის უკანასკნელი შესაძლებლობა: უკანასკნელი დაძაბვით განზორციელებული ტრამპლინი წყალობის შუქისაკენ, ნახტომი თავად ზენა ნათელში: წყალობას, ალიარებას, სიძლიერეს, ამაღლებას დანატრებული ადამიანის ჩახვევა მარადიულ სიკეთისა და სითბოსთან: იმ სინათლესთან, რომელსაც უყვარს, რომელიც იმასხოვრებს ეფერება მიუსაფარს და წარმავალ ადამიანს.

მთელი მოთხრობა განფენილია სამ სიკვდილს შორის: უცხო ადამიანთა სიკვდილი (11 მგზავრი), უახლოესი ადამიანის სიკვდილი (მეუღლე) და ბოლოს—საკუთარი სიკვდილი. (კიდევ ერთი სიკვდილია ნახსენები, ანგიას შორეულ ბავშვობაში რომ თრთის—პატარა, უცოდველი გოგონას —ნათიას სიკვდილი, რომელიც ბავშვის წინააღმდეგობრივი, ბინდიანი და ფორიაქა ბუნების წყალობით ნანატრი და ნახურვები სიკვდილი იყო ასევე პატარა, არსებითად უბოროტო ანგიასათვის. ამ სიკვდილმა მას პირველად მიანიშნა ცოდვისა და დანაშაულის განცდა. მაგრამ ეს, გორც ძალზე ადრეული ფაქტი, ეს სიკვდილი ანგიას ბედისწერაში მკვეთრად არ მონაწილეობს).

უცხო ადამიანთა ახლო სიკვდილი განსაზღვრავს ანგიას შემდგომდროინდელ ფსიქიკას, ამდენად ცხოვრებას და ამდენად ბედისწერასაც. რადგან ეს ბედისწერა ამ ფაქტის საფუძველზე ჩამოყალიბებული ხასიათს მოპყავ შედეგად. ეს პირველი სიკვდილი (სამოდან) ანგიას ბედისწერის ხაძირკველში ჩადებული პირველი ქვაა: იგი უბრალოდ, გასანგრძლივებული მოკმედების ნაღმი აღმოჩნდა. მაგრამ ამ პირველმა სიკვდილმა უფრო მაღალ საფეხურზე, ტრაგიკულ ხარისხში აიყვანა ანგიას საკუთარი სიკვდილი, დროებითმა გადარჩენამ მის სიკვდილს ღირებულება შეხძინა, რამეთუ ეს სიკვდილი მოგვევლინა ზენა ნათელთან ნებელობით, შემართებით, წარმოსახულ შერწყმად, უჩვეულო, ამაღლებულ ნახტომად, ულიმღამო ცხოვრებიდან მარადისობაში და მკითხველის თვალთა ეკრანზე სამუდამოდ აღიბეჭდა უცნაური ფინალი—ნახტომი პროექტორის ჭავლში — პერსონაჟის უკანასკნელი შესაძლებლობა.

elibrary.nplg.gov.ge

ზურაბ ჭავჭავაძე

დავით აღმაშენებლის აღსარება

„ჩუენ გვეცხა ადრევე, რომ ეს საგალობელი იოოვბოდა ს. პეტერბურღს, ერთს ხაკარ-ოველოს ბატონშვილის ოჯახში... უეჭველია, იქიდან იქმნება გარდმოწერილი ის ტატრადიკა, რომელიც ჩუენ გვაქუს ახლა ხელში, ხოლო ეს მიეიღეთ ჩუენ წარსულს ივლისის თვეში, გორის სობოროს დეკანოზზის პანტელეიმონ წინამძღუარეთისაგან"[1] — ეს სიტყვები აქვს წამძღვარებული დავით აღმაშენებლის დღის კარგად ცნობილი თხზულების — „გალობანი სინანულისანის" პირველ პუბლიკაციას, რომელიც 1865 წელს განხორციელდა. ძეგლის პირველ გამომცემელს, ეფრანელს რედაქტორ გიორგი ხელიძეს, იმის მტკიცებაც კი დასჭირდა, რომ „გალობანი" დავით აღმაშენებლის კალამს ეკუთვნოდა, რაც იმის მაუწყებელია, რომ XIX ს-ის შუა წლებში ქართული საზოგადოებისათვის დავითის თხზულება დაკარგულ-დავიწყებული ყოფილა.

ამ მხრივ სრულიად განსხვავებული ვითარებაა XIX საუკუნემდე. დღეს ჩვენს ხელთაა დავით აღმაშენებლის თხზულების შემცველი 14 სხვადასხვა დროის ხელნაწერი, რომელთაგან ხუთი XVIII საუკუნეშია გადაწერილი, რაც თავის მხრივ იმაზე მეტყველებს, რომ საკართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებამდე დავითის „გალობანი" კარგადაც იყო ცნობილი და საეკლესიო პრაქტიკაშიც იხმარებოდა.

ხელნაწერ S — 4947-ის შედგენილობა კარგად ახასიათებს იმას, თუ როგორ ფუძეებდნენ „გალობანს" XVIII ს-ში. ამ ხელნაწერში, რომელიც „განგება ზაირებისას" წარმოადგენს, შეტანილია ბასილი დიდის, იოანე ოქროპირის, სიმეონ მეტაფრასის, იოანე დამასკელის და დავით აღმაშენებლის ქმნილებები.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ხელნაწერი S — 149, რომელიც წარმოადგენს თეიმურაზ მეორის უბის ლოცვანს და თეიმურაზისავე ხელითაა გადაწერილი. ეს ხელნაწერი საგულისხმოა იმითაც, რომ „გალობანის" ტექსტს სათანადო რიგმეული პუნქტუაციის დაცვით აქვეა. როგორც ცნობილია, რიტმული პუნქტუაციის არსებობა XIX ს-ში სრულ დავიწყებას მიეცა და მას მხოლოდ რამდენიმე ათეული წლის წინათ მიაქცია ყურადღება პავლე ინგოროყვამ. აღნიშნული მცირე ფორმის ლოცვანი მხოლოდ ორ საგალობელს შეიცავს. მათ შორის ეკთ-ერთი „გალობანია". ხელნაწერის ანდერძში იკითხება: „მეფეთა მეფისა დავით აღმაშენებელის მიერ თქმულსა ამას მე, ტომი მისი — მეფე თეიმურაზ ვსწერ ხელითა ჩემითა. სრულ იქმნა დეკენბერსა კ[27] ქრისტეს აქეთ ჩ[ნდ]ლ" [1754].

როგორც ვხედავთ, XVIII ს-ში დავითის „გალობანი" შეაქვთ ქრისტიანობის განთქმულ მამათა თხზულებათა კრებულებში. „გალობანს" საკუთარი ხელით აწერს უბის ლოცვანში თეიმურაზ II. ეს ყოველივე კი იმის ნიშნია, რომ XVIII ს-ში „გალობანი სინანულისანი" კარგად იყო ცნობილი ქართველი საზოგადოებრივობისათვის და განათლებული ქართველობის ყოველდღიურ ხელიერ საზრდოს წარმოადგენდა.

XIX საუკუნის შუა წლებში დავითის თხზულებამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, კვლავ იხილა მზის სინათლე და მიიპყრო მკვლევართა — ისტორიკოსთა და ლტერატურათმცოდნეთა, ყურადღება. იმთავითვე წარმოიშვა აზრთა სხვადასხვაობაც.

„გალობანი სინანულისანში" დავით აღმაშენებელი იხსენებს თავის ცოდვებს და უფალს მათ მოტევებას შესთხოვს. მკვლევართა ნაწილმა „გალობანში" ჩამოთვლილი ცოდვები პირდაპირი მნიშვნელობით გაიგო.

თედო ეორდანია, იხილავს რა დავით აღმაშენებლის ანდერძის შემდეგ სიტყვებს: „უფალო, ღმერთო, დავითს მიუტევენ ბრალნი მისნი ნიერმისა და ცოომილებისანი", ასეთ თვალსაზრისს გამოთქვამს: «Вероятно тут разумеется слишком строгое отношение царя с изменниками, или может быть какия-либо крупныя недоразумения Давида с отцем его, Георгием II, вовлекшия юнаго царя в тяжкия грехи. Ужели предпологать, что воцарение Давида сопровождалось какими-либо насилиями и первенство в управлении царством исторгнуто им из рук отца вопреки воле последняго?»[2].

როგორც ვხედავთ, თ. ეორდანია ძალიან ფრთხილ ვარაუდს გამოთქვამს, — ხომ არ მო-

უვიდაო დავთის უთანხმოება მამასთან — გიორგი მეორესთან. თ. ყორდანიას ეს აზრი შემდგომში ალარ განუვითარებია, მაგრამ, სამწუხაროდ, ზოგიერთმა მკვლევარმა თ. ყორდანიას ეს ფრთხილი ვარაუდი ყოველგვარი დამატებითი არგუმენტაციის გარეშე აღიარებენ ერთ ჭეშმარიტებად აღიქვა და „გალოსანი სინანულისანში“ დავთის ახალ-ახალი ცოდვები „ამოიკითხა“: „განა შეიძლებოდა მოღალატეებთან მკაცრი მოქცევა ცოდვად ჩათვლილიყო და მოსანანებელად გახდომოდა საქართველოს მეფეს? რა თქმა უნდა, არა... დავით აღმაშენებელი თვითონ იყო აჭტური მებრძოლი საპეფო ხელისუფლების სადავეების მთლიანად ხელში აღებისა და გამორცხეული არ არის, რომ ამ სურვილების აღსრულება საკუთარი მამის მეტად მძიმე შეურაცხყოფის საფასურად მოხდა. მიგვაჩნია, რომ ეს კონფლიქტი მამასა და შვილ შორის იმდენად მწვავე იყო, რომ დავით აღმაშენებელს თავისი მოკმედება საკუთარი მამის წინაშე უდიდეს ცოდვად მიაჩნდა და იგი არაერთგზის იგონებდა მას. მოვიგონოთ მისი „გალოსანი სინანულისანი“3.

დავითის მიმართ კიდევ უფრო მკაცრი ბრალდებებიც გაისმა — იგი ერეტიკოსად გამოცხადდა: „დავითს თავისუფალი გაგება ახასიათებდა ზოგი საკითხის მიმართ, კერძოდ, მარიამის ღვთისმშობლობის დოგმის მიმართაც... შესაძლებელია, რომ დახასებულ ეთხზულება წარმოადგენდეს ერთგვარი სინანულის გამოსატყლებას იმ გაბედულ ზეხდუელებათა გამო, კერძოდ, კულტის საკითხში, რომელთა შესახებ ერთმხრივ მოწმობს რამდენიმე წყარო“4 რამდენიმე კი არა, ამგვარი ერთი „წყაროც“ არ არსებობს!!! ყოველ შემთხვევაში დღემდე იგი არავის არ უნახავს, მეტიც — დავით აღმაშენებლის შესახებ ჩვენ იმდენი რამ ვიცით, რომ მსგავსი ცნობის ოდესმე აღმოჩენა სრულიად მოულოდნელია. სამაგიეროდ, ზემოთ მოტანილი სიტყვები, როგორც ჩანს, თავად იქცა „წყაროდ“ არანაკლებ ზერელე და უსასუხისმგებელო გამონათქვამებისათვის: „როგორც ამ ქედლიდან ჩანს, დავით აღმაშენებელი დიდად ყოფილა გატაცებული აბქეკეულიური, ლაღი და თავისუფალი ცხოვრებით. იგი პირად ცხოვრებაში არსდროს არ იცავდა რელიგიურ-ასკეტურ დოგმატებს“. მისთვის დამახასიათებელი იყოო „აბქეკეულიურ ცხოვრებაში სიმდიდრით გატაცება და ყოველგვარი ხერხების გამოყენება დახასხული მიზნის მისაღწევად“5.

რაკი თქმა უნდა, „გალოსანის“ ამგვარი ინტერპრეტაცია და დავითის მიმართ ასეთი, რბილად რომ ვთქვათ, არასერიოზული დამოკიდებულება მეცნიერთა გარკვეულ წრეებში ბადებდა ერთგვარ პროტესტის გრძნობას. არამეცნიერთათვისაც ხომ კარგადაა ცნობილი, თუ როგორი შარავანდედითაა მოსილი დავით აღმაშენებლის სახელი ქართველი კაცის ცნობიერებაში. აკი ხალხურიო ლეგენდებშე დავით აღმაშენებელი იხსენიება არა მარტო როგორც ძლევამოსილი მეფეთ-მეფე, არამედ აგრეთვე როგორც თვით სამართლიანობის განსახიერება და ქვეყნიერობილთა და გაჭირვებულთა მფარველი და შემწე. აკი ხალხთველის ეკლესიის მიერ იგი წმინდანადაა შერაცხული. მაშრა კაკშირშია მასთან მამაზე ძალადობა, ერეტიკოსობა, „დახასული მიზნის მისაღწევად ყოველგვარი, მათ შორის მორალის საწინააღმდეგო საშუალებების გამოყენება“?! არაფერი ამის მსგავსი არც დავითის დროს და არც შემდგომ მის შესახებ არავის უთქვამს, მაგრამ, ამავე დროს არსებობს თვით დავითის მიერ დაწერილი „გალოსანანი“, რომელშიც ავტორი აღწერს ათასგვარ ცოდვას, თითქოსდა მის მიერ ჩადენილს. როგორ ათსნნას ეს წინააღმდეგობა? და, აი, ის მკვლევარები, რომლებიც არ ვდა ეთანხმებიან დავით აღმაშენებლის უარყოფით პიროვნებად წარმოდგენის მცდელობას, ახეთ ახსნას პოულობენ: დავითი შემოქმედია, პოეტია; თავის „გალოსანში“ იგი მორთია თავის ცოდვებს კი არ აღწერს, არამედ ქმნის იმ დროს გავრცელებულ ე. წ. „სინანულის ჟანრის“ ლიტერატურულ ნაწარმოებს. „გალოსანი“ შექმნილია მსოფლიო რანგის პოეტების — დავით ეფრემიანი მეფის, სოლომონ ბრძენის, ანდრია კრიტელის ნაწარმოებთა გავლენითა და ანალოგიით:

«Песни покаяния царя Давида Возобновителя проникнуты глубоким чувством и исполнены религиозного воодушевления. Певец, подражая псалмопевцу и мудрому Соломону, выставляет себя чрезмерным грешником и просит помилования»6.

„დავით აღმაშენებელს შეუთხზავს ანდრია კრიტელის „დიდი კანონის“ მიბაძვით გალოსანი სინანულისანი“7.

ამგვარი ახსნის არადამაჯერებლობა საკითხის არსში ჩაღრმავების გარეშეც ნათელია — დავითის „გალოსანის“ დონის ლიტერატურულ შედევრები სხვისი მიბაძვით ვერ იქმნება. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ არც ერთ ზემოთ ციტირებულ მკვლევარს დავით აღმაშენებლის თხზულება სპეციალური შესწავლის საგნად არ გაუხდია და მათი გამონათქვამები, როგორც ჩანს, ზოგადი შთაბეჭდილების ანარეკლია.

დავით აღმაშენებლის „გალოსანი სინანულისანის“ მეცნიერული შესწავლა, არსებითად, დაიწყო მკვლევარმა ლ. გრიგოლაშვილმა, რომელმაც ხელნაწერებზე დაყრდნობით გამართა ტექსტი და მრავალი ადგილის საგულისხმო ინტერპრეტაციაც მოგვცა. მეცნიერის მარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თებული დაკვირვებით: „ამგვარ ადამიანია (საუბარია დავითზე — ზ. ბ.) ბიოგრაფიაში საძიებელია არა რაიმე განსაკუთრებული და უკიდურესად მწვავე შეცოდებანი, არამედ ის ზნეობრივი სიმალლე, რომელსაც განსაზღვრავს ჩადენილი შეცდომათა შეგნების არარაციონალური უნარი... დავითი ცოდვად მიიჩნევდა არა მხოლოდ ხაკმით ჩადენილ სიბოროტეს, არამედ გონებაში გაფლებულ რაიმე უკეთურ აზრსაც"[5]. მიუხედავად ამ აბსოლუტურად ზუსტი დებულებისა, ლ. გრიგოლავიშვილის ნაშრომში შეინიშნება, ჩვენის აზრით, არასწორი ტენდენციაც — რაგ შემთხვევებში ავტორი ცდილობს იმის დამტკიცებას, რომ „გალობანში" მოხსენიებული ეს ათე ან ცოდვა არანაირად არ ეხება დავით აღმაშენებელს და ამით ლ. გრიგოლავშვილი არსებითად ალ. ხახანაშვილის და კ. კეკელიძის[6] კონცეფციას ეხმიანება (იქვე, გვ. 69-79, 102, 106).

ამგვარია დღეისათვის ჩვენი ძეგლის შესწავლის სურათი. ყოველივე ზემოთქმულის გამო ვაძლევთ თავს უფლებას, გავუშიაროთ მკითხველს ჩვენი ზოგიერთი მოსაზრება.

რას წარმოადგენს დავით აღმაშენებლის „გალობანში სინანულისანი"? როგორ შეიქმნა ქართული ლიტერატურის ეს შედევრი? რატომ არის შეუსაბამობანი დავითის თვითდასახიათებასა და მის შესახებ ხალხში გავრცელებულ შეხედულებას შორის, და საერთოდ, არსებობს კი ასეთი შეუსაბამობა — წინააღმდეგობა?! რა შემეცნებითი ღირებულება აქვს ამ ნაწარმოებს? ყველა ამ კითხვაზე პასუხის გაცემად უპირველესად უნდა გაირკვეს „გალობანის" რაობის საკითხი.

მიგმართოთ ტექსტს. უპირველესად განვიხილოთ ნაწარმოების სათაური. ირკვევა, რომ წინაადმდეგ გავრცელებული თვალსაზრისისა, „გალობანი სინანულისანი" სრულიადაც არ წარმოადგენს ნაწარმოების სათაურს, ამ სიტყვის ჩვეულებრივი მნიშვნელობით. ვისაც უურადღებით გადაუთვალიერებია ძველი ქართული ხელნაწერები, კერძოდ, „იადგარები", „ლოცვანები", „გულანები" და სხვ., უთუოდ შეამჩნევდა, რომ ამგვარ კრებულებში მრავლადაა მოთავსებული სხვადასხვა ტექსტები. რომელთა სახელწოდებაა „გალობანი", ხოლო მათ ხაკმაოდ დიდ ნაწილს „გალობანი სინანულისანი" ეწოდება. რაშია ხაკმე? ნუთუ ეს ჩვენი ძველი მწერლების ესოდენ ღარიბი ფანტაზიის ნაყოფია? ნუთუ მათ გაუკვირდათ თავიანთი თხზულებებისათვის სახელის დარქმევა?! რაკი თქმა უნდა, არა. ხაკმე ისაა, რომ „გალობანი" წარმოადგენს ისეთსავე სათაურს, როგორსაც, ვთქვათ, „რომანი", „მოთხრობა", „ნოველა" და ა. შ. შესატყვისად „გალობანი სინანულისანი" ისეთივე სათაურია, როგორც, ვთქვათ, „სათავგადასავლო რომანი", „ფანტასტიკური მოთხრობა" და მისთანანი.

„გალობანი" არის ლიტერატურული ტერმინი და აღმშენებელი მიმნოგრაფიული ნაწარმოებთა იმ გვარია, რომელიც VIII საუკუნეში ჩამოაყალიბეს უდიდესმა მიზანტიელმა მიმნოგრაფემმა იოანე დამასკელმა და კოზმა იერუსალიმელმა[3].

ისევე როგორც ტროლეტს, შაირს, ჩახრუხაულს და სხვ. მოიკოვებით საკუთარი რიტმოლრითმული სტრუქტურა და სწორედ ამ სტრუქტურის არსებობა აპირობებს მათ ტროლეტობას, შაირობას, ჩახრუხაულობას, ახლე „გალობანსაც" აქვს თავისი სტრუქტურა და სწორედ ამ სტრუქტურის არსებობა, ან არარსებობა, ნიშნავი იმისა, „გალობანი" გვაქვს, თუ სხვა რომელიმე გვარის მიმნოგრაფიული ნაწარმოები. „გალობანის" სტრუქტურული თავისებურებები ამომწურავადაა ნაჩვენები ელ. მეტრეველის ზემოთ დამოწმებულ მონოგრაფიაში, ამიტომ სიტყვას ამაზე ალარ გავაგრძელებთ.

„გალობანი" შეიძლება მიძღვნილი იყოს სხვადასხვა საეკლესიო დღესასწაულისადმი, წმინდანებისადმი და სხვ. ხოლო საყოფრივ „გალობანი სინანულისანი" ცალკეული ქარნის აღმშენელი ლიტერატურული ტერმინია — იგი ისეთი „გალობანია", რომელიც შეიცავს ავტორის აღსარებას. ამ შემთხვევაში ნაწარმოების რაობას განსაზღვრავს არა მხოლოდ რიტმული სტრუქტურა, არამედ შინაარსიც.

„გალობანს" ბერძნულად „კანონი" ეწოდება, ასევე „კანონი" ჰქვია მას რუსულადაც.* ტერმინი „გალობანი" ამგვარად უნდა შეკმნილიყო — ბერძნული „კანონი" შეიცავს 8 ან 9 „ოდა"-ს — სიმღერას, ძველქართულად. „გალობა"-ს. ჩვენს წინაპრებს „ოდის" სახელი პირდაპირ უთარგმნიათ — „გალობა", მაგრამ „კანონის" სახელად, — 8 „გალობის" ერთობლიობის სახელად — შემოუღიათ ტერმინი „გალობანი" (იგი ხომ მართლაც „გალობებისაგან", ბერძნული „ოდებისაგან" შედგება). როგორც ჩანს, ეს მიხდა კანონის, ან, თუ გნე-

---

* „გალობანი სინანულისანს" რუსულად ეწოდება «канон покаянный», როგორც ჩანს, ალ. ხახანაშვილმა „გალობანი სინანულისანი" დავით აღმშენებლის თხზულების სათაურად მიიჩნია და რუსულად თარგმნა ამგვარად — «песни покаяния» (იხ. მისი დასახ. ნაშრომი, გვ. 125); იგივე შეცდომა მოსდის ლ. გრიგოლაშვილს — ისიც თარგმნის „სასათაურს", ოღონდ განსხვავებულად — «покаянное песнопение» (იხ. მისი დასახ. ნაშრომი, გვ. 1)

ზურაბ ბაბალაძე
დავით აღმაშენებლის ალსარება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბავთ, ამ სიტყვის ქართული შესატყვისის, ზედმეტი სინონიმის გაჩენის თავიდან აცილებლადაც.

შეგაჯამოთ ზემოთქმული: „გალმანი სინანულისანი“ დავით აღმაშენებლის ნაწარმოების სათაური კი არ არის, არამედ ლიტერატურული ტერმინია და აღმშენებელია ერთგვარი პიმნოგრაფიული ნაწარმოების ფორმით დაწერილი აღსარებისა.

დავითის ქმნილების შემცველი ყველა ხელნაწერის ზედწარწერა გვაუწყებს, რომ იგი „გალმანი სინანულისანს“ წარმოადგენს. მაგრამ ეხვე რომ არ იყოს, რაკი ვიცით, თუ რა არის „გალმანი სინანულისანი“, ნაწარმოების რაობას, ცხადია, ადვილად დავადგენთ. დავით აღმაშენებლის თხზულება რომ მარტლაც „გალმანანი“, ამას საგალმანლის სტრუქტურა გვიჩვენებს, ხოლო რომ ის მართლაც „გალმანანი სინანულისანია“, თხზულების შინაარსი გვდასტურებს. ნაწარმოების პირველსავე სტროფში დავითი თავს აღსარების მთქმელს უწოდებს (ეს, რაღა თქმა უნდა, სრულიად შემთხვევითია. ახლი აღნიშნნის გარეშეც, და „ხათურხსაც“ რომ თავი დავანებოთ, თვალნათლივ ჩანს მთელი ტექსტიდან. რომ ესაა აღსარება). დავითი მიმართავს უფალს: „შეცა, სიტყუაო, აღმსარებელს, მოიხედენ!“-ო. აღმსარებელი კი ნიშნავს აღსარების მთქმელს.* მაგრამ რა არის აღსარება? აღსარება წარმოადგენს რელიგიურ ენსტაზზში მყოფი მორწმუნის მონოლოგს ღვთაების წინაშე. ამ დროს აღმსარებელი იხსენებს და ინანებს მის მიერ ჩადენილ ყველა ცოდვას, ყოველგვარ მანკიერ გულისთქმას...

ილია ჭავჭავაძემ ამგვარად განსაზღვრა ისტორიკოსის მოვალეობა: „ყველა დროს თავისი სატკივარი აქვს და გაგება ამ ტკივრისა ხვედრია მარტო ჩინებულ კაცებისა... ეს შეშმარიტი მეცნიერიე, ვითარცა გამკითხველი, ჯერ იმ დროების ქერქში უნდა ჩაჯდეს და მერე განიკითხოს თვით დროების შვილნიცა. ეხე რომ არ იყოს, კაცი ვერც საბუთს უპოვნინ, ვერც აზრს, თუნდაც მთელს ჯვარსნინთის ომებს, რომელსაც მთელნი ევროპაშ კინაღამ თავი არ შეაკლა... ეს ხომ ანბანია ისტორიის ფილოსოფიისა.“ ივანე ჯავახიშვილი ილიას ამ სიტყვებს ახეთ კომენტარს ურთავს: „ხასტორიო მეცნიერებაში ამას ისტორიული პერსპექტივის აუცილებლობა ეწოდება და მართლაც, ცხადია, რომ უამისოდ წარსულის არც ერთ შეფასებას ღირებულება არ ექნებენ“.

ისტორიკოსის მოვალეობის შესახებ ნათქვამი დიდი ილიას და დიდი ივანეს ეს სიტყვები, რაღა თქმა უნდა, თანაბრად ეხება ლიტერატურის მეისტორიესაც. დავით აღმაშენებლის „გალმანანი სინანულისანის“ გასააზრებლად სრულიად აუცილებელია დავითის მრწამსის, მისი ეპოქის მსოფლმხედველობის, მისი ეპოქის იდეოლოგიის, ანუ რაც იმდროისათვის იგივეა — ქრისტიანული მოძღვრების, ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ „ქერქში ჩაჯდომა“, უამისოდ „კაცი ვერც საბუთს უპოვნინ და ვერც აზრს“ ამ დიდებული ნაწარმოების შეკმნას. ამიტომ ჩვენც მოვალენი ვართ შეძლებისდაგვარად ჩავეწვდეთ დავით აღმაშენებლის დროების სულს, დავითის მსოფლმხედველობის განმსაზღვრელ ძირეულ მომენტებს.

დავითის დროს (და არა მხოლოდ დავითის დროს) ქრისტიანობა იყო ქართული სარწმუნოება, ქართული მსოფლმხედველობა, ქართული იდეოლოგია. დავით აღმაშენებელი ბრძანდებოდა ხელმწიფე ამ საქართველოსი, რომელიც ამ შემთხვევაში, თუ ვთქვათ, იგი ეპაექრება მაამადიანს ან სხვა რომელიმე სარწმუნოების კაცს და თავის ქრისტიანობას უსვამს ხაზს. იგივე სიტყვა სრულიად სხვაგვარად ეღერს არა თუ ღვთაებისადმი მიმართვისას, არამედ სხვა ქრისტიანთან დიალოგის დროსაც კი. ამ შემთხვევაში სიტყვა „აღმსარებელი“ სრულიად სხვაგვარ — პრეტენზიულ მნიშვნელობას იძენს. ღვთაებას ასე ვერც ერთი ჭკვთამყოფელი ქრისტიანი ვერ მიმართავს, რადგანაც უფლის წინაშე საკუთარი თავის „ყოველად უღირსად“, „უბადრუკად“, „ცოდვილად“ და ა. შ. მოხსენიება ტრადიციაა, ან მოდა კი არ არის, არამედ მორწმუნის თვითანალიზის ლოგიკური შედეგია; 3) აღმსარებელი ნიშნავს აღსარების წარმომთქმელ ადამიანს და სწორედ ამ მნიშვნელობითაა ჩვენს ძეგლში ნახმარი. მართლაცდა, მთელი შემდგომი ტექსტი ხომ დავითის აღსარების წარმოადგენს!

---

* სიტყვა აღმსარებელს ძველქართულში სამი მნიშვნელობა აქვს: 1)აღმსარებელი ეწოდება ისეთ, ეკლესიის მიერ წმიდანად შერაცხულ კაცს. რომელიც ქრისტესთვის ეწამა, მაგრამ ამ წამების დროს სიკვდილი არ ეწია. მაგ. მაქსიმე აღმსარებელი, რომელსაც მოჭკვეთეს ენა და ხელი, მაგრამ ამის შედეგად არ მომკვდარა, საქართველოში ჩამოვიდა და მხოლოდ აქ აღესრულა. ცხადია, რომ ჩვენს ტექსტში სიტყვა „აღმსარებელი“ ამ მნიშვნელობით არაა ნახმარი; 2)აღმსარებელი ეწოდება კაცს, რომელიც აღიარებს ამა თუ იმ რელიგიას, ჩვენს შემთხვევაში ქრისტიანობას. საქმეში ჩაუხედავ კაცს შეიძლება მოეჩვენოს, რომ დავითი სწორედ ამ მნიშვნელობით ხმარობს აქ ამ სიტყვას, „ღმერთო, შენს აღმსარებელს (ე. ი. მაღიარებელს) მომხედეო“, მაგრამ ასეთი ვარაუდი ისევე მიუღებელია, როგორც პირველი. ქრისტიანმა თავს მართლაც შეიძლება უწოდოს ქრისტეს აღმსარებელი, მაგ-

ლიც მოელს მასლობელ აღმოსავლეთში წარმოადგენდა დამცველსა და გამავრცელებელს ქართული იდეოლოგიისას, ქართული მსოფლმხედველობისას, ქართული სარწმუნოებისას — ქართული მართლმადიდებელი ქრისტიანობისას. არ არსებობს არავითარი ობიექტური საფუძველი იმისათვის, რომ დავითის ქრისტიანობაში, ან თუნდაც მის ღრმადმორწმუნეობაში დავეჭვდეთ. დავით აღმაშენებლის „გალობანი ნინასულისანი" არათუ არ უარყოფს დავითის პიროვნების შესახებ საისტორიო წყაროებსა და ხალხის ცნობიერებაში არსებულ წარმოდგენას, როგორც ამას ზოგიერთები ფიქრობენ, არამედ ავტორის ღრმადმორწმუნეობაზე მეტყველებს და, იმავდროულად, მისი უნატიფესი ზნეობის ბრწყინვალე დადასტურებაა. იმის გასაგებად, თუ საიდან აღმოჩნდა ჩვენს სამაგალითო მეფეს მის მიერ ჩამოთვლილი აურაცხელი ცოდვა, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, სრულიად აუცილებელია დავითის მრწამსის — ქრისტიანული მოძღვრების, გათვალისწინება.

ქრისტიანობამ ბევრ სხვა საიმედისთან ერთად კაცთა მოდგმას ახალი ზნეობრივი კოდექსიც მისცა. აი რა არის ნათქვამი „მთასა ზედა ქადაგებაში": „გესმა, რამეთუ ითქუა პირველთა მთა მიმართ: არა კაცსკლა; ხოლო რომელმან მოკლას, თანამდებ არს სასჯელისა. ხოლო მე გეტყუ თქუენ, რამეთუ რომელი განურისხნეს ძმასა თჳსსა ცუდად, თანამდებ არს სასჯელისა... გესმა, რამეთუ ითქუა: არა იმრუშო. ხოლო მე გეტყუ თქუენ, რამეთუ ყოველი, რომელი ხედვიდეს დედაკაცსა გულისთქუმად მას, მუნვე იმრუშა მის თანა გულსა შინა თჳსსა... და რომელი გთხოვდეს შენ, მიეც; და რომელსა უნდეს ხესხებად შენგან, ნუ გარემიეკცევი. გესმა, რამეთუ თქუმულ არს: შეიყუარო მოყუასი შენი და მოიძულო მტერი შენი. ხოლო მე გეტყუ თქუენ: გიყუარდეთ მტერნი თქუენნი და აკურთხევდით მწყევართა თქუენთა და კეთილსა უყოფდით მოძულთა თქუენთა და ულოცევდით მათ, რომელნი გმძღავრობდენ თქუენ და გდევნიდენ თქუენ... უკეთეუ გიყუარდეთ მოყუარენი ხოლო თქუენნი, რაჲ სახეაღიდეთ გაკუს? რამეთუ მეზუერეთაცა ეგრეთვე ყვიან. და უკეთეუ მოიკითხვიდეთ მეგობართა ხოლო თქუენთა, რასა უმეტეს იქმთ? ანუ არა მეზუერეთაცა ეგრეთვე ყვიან?" — იყვენით თქუენ სრულ, ვითარცა მამაჲ თქუენი მეცთაჲ. სრულ არს", (მ. 5,21-48). აი, როგორია მაცხოვრის მოთხოვნა. პიროვნების სრულყოფილებისათვის ის კი აღარ არის საკმარისი, რასაც ძოლეს სჯული მოითხოვდა — არა კაც-კვლა, არა მრუშება, მოყვასის შეუყვარება და მტრის შეძულება, არამედ ამ შემთხვევაში გვაქვს უკვე სრულიად სხვა დონის ზნეობრივი კატეგორიები. ის მაკსიმუმი, რასაც ძველი აღთქმა მოითხოვდა, ზეციერ პიროვნების ელემენტარული ცხოვრების წესად გამოცხადდა, ხოლო ზნეობრივი სრულყოფილების მიჯნებმა ადამიანის ყოფიდან ადამიანის ცნობიერებაში გადაინაცვლა. ქრისტიანობის თვალსაზრისით სრულყოფილი ე. ი. უცოდველია ის, ვინც სხვა ადამიანს უსამართლოდ გულშიც კი არ განრისხებია, უცსო დედაკაცის ნდომა გულშიც არ გაუვლია, ბოროტისთვის სამაგიერო გულშიაც არ გადაუხდია, ყოველი მთხოვნელისათვის ყოველივე დაუნანებლად მოუცია, მტერი შეუყვარებია, მისთვის სიკეთე უქმნია და მისთვის ულოცნია. აქედან გამომდინარე გასაგებია, თუ რაკომ არის ყოველი ადამიანი ცოდველი. განა შესაძლებელია, რომ ადამიანმა და მით უმეტეს ერისკაცმა, ახსოლუტურად დაძლიოს საკუთარი ადამიანური ბუნება — აღარც არავზე გაბრაზდეს, აღარც უფლო ჭალი მოეწონოს და აღარც გულში გადაუხდოს ბოროტს სამაგიერო?! განა შესაძლებელია, რომ სახელმწიფოს მეთაურმა ყოველ მთხოვნელს ყოველივე დაუნანებლად მისცეს, მტერი შეიყვაროს და მის დამორჩილებაზე არ იზრუნოს?! ერთი სიტყვით, იმის უარყოფა, რომ დავთის ჩ�ქრისტიანული თვალსაზრისით უამრავი ცოდვა, ბგავეა, რაც უარყოფა იმისა, რომ დავთი იყო რეალური პიროვნება, ცოცხალი ადამიანი. სხვა საქმეა, რომ ჩვენამდე მოღწეული ყველა ცნობის (იქნება ეს ქართული და უცხოური ისტორიული წყაროები, თუ ხალხის ცნობიერებაში დარჩენილი უდრმესი სიკეთილი და პატიოსნებაა) თანაბმად, დავთის უნავდ ჰქონია მიმდებელი ყველა ადამიანური ხათნოება. უფრო მეტიც, სრულიად გადაუჭარბებლად შეიძლება თქვას, რომ დავთ ადამაშენებელი ყველა დროისა და ყველა ხალხის ერთ-ერთი უდიდესი პიროვნებაა. მაგრამ ჩვენი ძველი, როგორც ზემოთაც არაერთხელ აღვნიშნეთ, ავტორის აღსარებაა და მის, თუ შეიძლება ასე თქვას, მიზნის წარმოადგენს დავითის მიერ ჩადენილ (თუ გაფიქრებულ) ცოდვათა მონანიება.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, თუ როგორი მოთხოვნენი წაუყენა ქრისტიანობამ პიროვნებას მაგრამ, მიუხედავად ამ უმკაცრესი მოთხოვნებისა, „სახარების" თანაბმად, პატიოსნი შეიძლება მიიღოს ნებისმიერმა ადამიანმა, რაგინდ ცოდვილიც არ უნდა იყოს იგი. ხოლო თუ როგორ უნდა ცოდვების მონანიება, ხატოვნადაა ნაჩვენები მეზობლისა და ფარისეველის ცნობილ იგავში: „ორნი კაცნი აღვიდოდეს ლოცვად ტაძარსა მას: ერთი ფარისეველი და ერთი მეზუერე. ფარისეველი იგი წარდგა და ამას ილოცვი-

ზურაბ ბაკმაკაძე
დავით აღმაშენებლის აღსარება

და თუსაგან: ღმერთო, გმადლობ შენ, რამეთუ არა ვარ ვითარცა სხვანი კაცნი მტაცებელნი, ცრუ და მემრეშენ, განა ვითარცა ესე მეზღურე: ვიმარხავ ორ-გზის შაბათსა შინა და ათეულსა შეავსწირავ ყოველსავეს მონაგებისა ჩემისა. ხოლო მეზღურე იგი შორს დგა და არა იკადრებ-და თუალთაცა ზე აღხილვად, არამედ იცემდა მკერდსა და იტყოდა: ღმერთო, მიელხინე მე, ცოდვილსა ამას. გეტყუ თქუენ: გარდამოვიდა ესე გამბართლებული სახად თუსა, ვიდრე ფარისეველი იგი, რამეთუ რომელმან აღიმაღლოს თავი თუსი, იგი დამდაბლდეს, და რომელმან დიმდაბლოს თავი თუსი, იგი ამაღლდეს" (ლ. 18, 10-14). ფარისეველი, რომელიც ავრიშნი ორჯერ მარხულობდა და ყოველგვარი შემოსავლის მეათედს ხალოსეველს სწირავდა, უფლის მიერ შეწყნარებულ არ იქნა, ხოლო მეზღური, რომელიც აურცხელი დანაშაულობების გამო თავის აწეკვასაც ვერ ბედავდა, „განმართლდა", რატომ?! — ამიტომ, რომ მეზღვერი თავისი ცოდვების გამო გულწრფელად ნანობდა, ხოლო ფარისეველი მონანიების ნაცვლად, საკუთარი „დამსახურებებით" იწონებდა თავს.

დავუბრუნდეთ დავით აღმაშენებლის აღსარებას. აღსარება ცოდვების მონანიებაა, ხოლო ცოდვებად რაც თვითონ და ცოდვების მონანიება როგორც ზდება, ამის შესახებ ზემოთ გკკონდა საუბარი. აღმსარებლისათვის თავისი ცოდვიანობის გასაზრებლად სხვა პოზიცია არ არსებობს, ხოლო ამ პოზიციიდან სხვაგვარი აღქმა საკუთარი ამქვეყნიური ცხოვრებისა უბრალოდ შეუძლებელია.

ჩვენგან გამომდინარე, ვფიქრობთ, ცხადი უნდა იყოს, თუ ნაიდან და როგორ აღმოჩნდა ჩვენს სახელოვან მეფეს მის მიერ მოხსენიებული ცოდვები. დავით აღმაშენებელი ადამიანი იყო და ადამიანური განცდა და ქმედება, ვნებები და შეცდომები მისთვის, ცხადია უცხო ვერ იქნებოდა. ხომ არ ნიშნავს ზემოთქმული იმას, რომ დავითის, როგორც უბრწყინვალესი პიროვნების შესახებ საკუთელთაოდ გავრცელებული შეხედულება სინამდვილეს არ შეეფერებაა?! თუკი დავითს მართლა გაიჩნდა მის მიერ ჩამოთვლილი უამრავი ცოდვა, როგორღაა ის სამაგალითო კაცი?! ხაქმე ისაა, რომ დავითის მიერ მოხსენიებული ყველა ცოდვა (ანუ, რაც იგივეა — ყველა ბიბლიური ცოდვა) ყოველი ადამიანისთვისაა მეტნაკლებად დამახასიათებელი. ზოგი მტერს კლავს, ზოგიც — გუნებაში უხდის სამაგიეროს, ზოგი სხვას ძარცვავს, ზოგიც — შურითაა ანთებული და ა. შ. ყველი ბიბლიური ცოდვის ჩამოთვლა შეუძლებელიცაა და, ვფიქრობთ, ზედმეტიც. ერთი კია, ყველი ეს ცოდვა ადამიანური ბუნებიდან მომდინარეობს და, ვიმეორებთ, ყველი ადამიანისთვისაა მეტნაკლებად დამახასიათებელი. მთავარი და არსებითი ისაა, თუ ვინ როგორ განიცდის საკუთარ სისუსტეს, თუ ვინ როგორ მოთხოვნებს უყენებს საკუთარ თავს. ამით განისაზღვრება პიროვნების ზნეობრივი დონე. როგორც დავით აღმაშენებლის აღსარებიდან ვხედავთ, ჩვენი სახელოვანი მეფე ზნეობრივი თვალსაზრისითაც კაცთა მოდგმის რჩეულთა შორის ყოფილა.

ახლა იმის შესახებ, თუ რიმელი „ცოდვები" ჰქონდა დავთის ისტორიულად. მის მიერ ჩამოთვლილი უამრავი ცოდვიდან, მაინცდამაინც ორზე გკაქვს უფლება, რომ განხორციელებულ ფაქტად ჩავთვალოთ. პირველია სხვა სახელმწიფოთა დაპყრობა, რაც ისტორიულად ცნობილია და მეორე — დავითის გატაცება ახტრონომია-ასტროლოგიით, რაც იმდენად სპეციფიური „ცოდვაა", რომ შეეძლებელია ავტორს არ ვენდოთ. ყველა სხვა ცოდვა, რომელიც კი ჩამოთვლილია აღსარებაში, ისეთი კატეგორიისაა, რომ შეიძლება ავტორს ისინი ჩადენილი კი არ ჰქონდეს, არამედ ბოლოდ გაფიქრებული. ამით ბინს კი არ გვნდა, რომ დავითს აღნიშნული ორის გარდა სხვა ცოდვა არ ჩაუდენია, არამედ იმისა, რომ ეს ჩვენი ძველი მეტის თქმის უფლებას არ გვაძლევს. შესაძლებელიცაა და საფიქრებელიც, რომ ავტორის მიერ ჩამოთვლილ ცოდვათა ნაწილი მან ფაქტიურადაც ჩადენა, მაგრამ სახელდობრ რომელნი და რა კონკრეტული სახით, ამის შესახებ დანამდვილებით ვერაფერს ვიტყვით. ის ფაქტი, რომ ავტორი ამგვარი განცდით ლაპარაკობს საკუთარ შეცოდებებზე, მხოლოდ და მხოლოდ მის სულიერ სისუტატკეზე მეტყველებს. მსოფლიო კულტურის საგანძურში ამ ჟანრის არა ერთი და ორი ნაწარმოებია შესული. დავით ფსალმუნთა ავტორი და სოლომონ ბრძენი, ნეტარი ავგუსტანე და ანდრია კრიტელი — ყველა ისინი წმინდანებად შერაცხულნნი, საკუთარ შეცოდებებზე მოთქვამენ, მაგრამ არავის მოხვლია აზრად მათ ნაწარმოებებთან „ისტორიზმის" პრინციპით მისვლა. არც ჩვენ გვმართებს ამის გაკეთება დავით აღმაშენებლის აღსარების მიმართ. გვმართებს კი იმის წარმოჩენა და გახსენება, რომ დავითი ამ მსოფლიო მოღვაწეთა რიგშია.

ჩვენს მიზანს, აბკეარად, არ შეადგენს იმის ჩვენება, თუ როგორი უზადო ტექნიკით და მაღალი პოეტური შთაგონებითაა შექმნილი დავით აღმაშენებლის აღსარება, რაც იმის მაუწყებელია, რომ ჩვენი მეფეთ-მეფე მგზანთ — მეფეც ბრძანებულია. აბკეარად ვერც იმას წარმოვაჩენთ, თუ რა ღრმა თეოლოგიურ-ფილოსოფიური აზრებია გამოთქმული ამ „გალობანის" „ღმერთის მშობლისანში", რაც, სხვათა შორის, სხვა ამ ტიპის ნაწარმოებებში ნაკლებად შეიმჩნევა და დასტურია იმისა, რომ დავით აღმაშენებელს ურთულესი თეოლოგი-

ურ-ფილოსოფიური კონცეფციები იმდენად გათავისებული ჰქონდა, რომ ისინი სულის გაშიშვლებისას წარმოჩინდნენ, მაგრამ როგორია ამ ნაწარმოების შემეცნებითი ღირებულება, რა ადგილი უკავია მას ქართული სულიერი კულტურის საგანძურში?

„გალობანი სინანულისანი“ რომ ვინმე ბერის შექმნილი იყოს, ის იქნებოდა ქართული ლიტერატურის, თუ შეიძლება ახე ითქვას, უბრალოდ ერთ-ერთი შედევრთაგანი. მაგრამ „გალობანი“ ეკუთვნის კალამს მეფისას, ვისი სიყვარულიც და ვისით სიამაყეც ყოველ ქეშმარიტ ქართველში ქვეცნობიერად არსებობს. რა არის ამის მიზეზი? დავით აღმაშენებლის ხიბლი იმით კი არ არის გამოწვეული, რომ იგი დიდი პოეტი იყო, რამეთუ მასზე დიდი პოეტი ბევრი პყოლია კაცობრობას; მისი განუმეორებლობა იმით კი არ განისაზღვრება, რომ იგი დიდი მოაზროვნე იყო, რამეთუ მასზე დიდი მოაზროვნეც ბევრი ყოფილა დედამიწის ზურგზე; მისი ხიდიადე იმით კი არ არის განპირობებული, რომ იგი ძლევამოსილი მეფეთ-მეფე იყო, მასზე დიდი მონარქიც ბევრი უნახავს ისტორიას, — არამედ იმით, რომ დავით აღმაშენებელს, ამქვეყნიური დიდების მწვერვალზე მყოფ კაცს, აღმოაჩნდა ისეთი სულიერი სინატიფე, რომელიც არა თუ მონარქებს, არამედ ბერ-მონაზვნებსაც კი ძალიან იშვიათად ჰქონია. ქრისტიანი მბრძანებელი, რომელთანაც თავშესაფრის საძიებლად მაამადიანური ქვეყნებიდან მაამადიანი პოეტები და ფილოსოფოსები მორბოდნენ, ნანობს, ვაითუ მეზობელი მაამადიანური ქვეყნების დაპყრობა ქრისტიანობის ინტერესებით კი არა, ჩემი პატივმოყვარეობით მოვიმოქმედეო; ხელმწიფე, რომელიც ქვრივ-ობოლთა და გაჭირვებულთა დახმარებლად სისტემატურად უწარმაზარ თანხებს იღებდა, დარდობს, ვაითუ, მოწყალება არასაკმარისად გავეცეო!

ასეთია დავით აღმაშენებლის ზნეობრივი სახე და „გალობანი სინანულისანის“ უპირატესი ღირებულებაც სწორედ ის გახლავთ, რომ იგი დოკუმენტური დადასტურებაა ქართველი ხალხის სათაყვანებელი გმირის ხაოცარი სულიერი სიმაღლისა.

შენიშვნები:

1. გ.ხელიძე, ჟურნალი „საქართველოს სასულიერო მახარობელი“, 1865, №8,

2. Ф. Жордания, Завещание царя Давида Возобновителя данное Шио-Мгвимской лавре в 1123 г., 1895.

3. რ. მეტრეველი, საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხი, „ცისკარი“, 1970, № 6.

4. შ. ნუცუბიძე, ქართული ფილოსოფიის ისტორია, II, თბ., 1958, გვ. 17.

5. ვ. აბაშმაძე, ნარკვევები საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან, თბ., 1969, გვ. 336.

6. А. Хаханов, Очерки по истории грузинской словесности, вып. I, 1897, М., с. 125.

7. ქ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1960, გვ. 600.

8. ლ. გრიგოლაშვილი, საკანდიდატო დისერტაცია, თბილისი, 1973, გვ. 93.

9. ელ. მეტრეველი, ალისპირნი და ღმრთისმშობლისანი, თბ., 1972, გვ. 07.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევგენი ბართაია

მაკიეგელი

ლადო მრელაშვილი თავის ახალ რომანში („ილოლები") დიდი სამამული ომისდროინდელი სოფლის ცხოვრებას ასახავს. მაგრამ, ვფიქრობ, სამამული ომის თემა არ იყო მისთვის მთავარი, არამედ ადამიანის მარადმაძიებელი სულის ჩვენება. ასეთ იდეას ფილოსოფიური გააზრება უნდოდა, ამისთვის კი საჭირო იყო მოვლენების მხატვრული მოტივირება, რომ რომანის გმირები სქემებს არ დამგავნებოდნენ.

საგანგებოდ შერჩეულმა თემამ და იდეის გადაწყვეტის ფილოსოფიურმა გააზრებამ ლ. მრელაშვილს მოვლენების მხატვრული მოტივირების და ახალი, თითქმის განუმეორებელი, საინტერესო სახეების, ტიპების შექმნის შესაძლებლობა მისცა.

რომანში ვეცნობით სხვადასხვა კატეგორიის ადამიანებს. მწერალმა ყველი მათგანს თავისი ფერი გამოუფქვნა და ის მიაგო, რაც ეკუთვნოდა. მკითხველი გმირთან პირველი შეხვედრისთანავე გრძნობს, ვინ რას წარმოადგენს, რით სუნთქავს, მაგრამ სახის, ტიპის თავიდანვე ახე შეცნობა კი არ ანელებს, არამედ კიდევ უფრო ამძაფრებს ინტერესს გმირის ბედისადმი. რაც მთავარია, რომანში მკითხველი ნათლად ხედავს ადამიანის ჩამოყალიბების, ფორმირების მეტად რთულ და საინტერესო პროცესს. ეს პროცესი აღმავალია და მხატვრულად დამაჯერებელი. მწერალმა ასეთ შედეგს რომ მიაღწიოს, მარტო ნიჭი როდი ეშარა, საჭიროა ცხოვრებისეული გამოცდილება, ადამიანის სულის ყველა ნიუანსის ზედმიწევნით ცოდნა. მისი ფიქრისა და მისწრაფების სწორად გაგება. სახედნიეროდ, ლ. მრელაშვილი ცხოვრებას კარგად იცნობს; ამის განაპირობა რომანის გამარჯვება.

მოელი რომანი თედოს გარშემო ტრიალებს. თედომ ცხოვრების მცირე მონაკვეთში, ყმაწვილკაცობის ჟამს, ბევრი რამ ნახა და იწვნია. ომის მძაფრმა ყოფამ დაანძრია და დაავაქცა იგი. მსგავსი მაგალითები მხატვრულ ლიტერატურაში იშვიათი არ არის, მაგრამ საინტერესოა, რა ელვარებას მიანიჭებს მწერალი ამ „ნაცნობ"-ს სახეს და როგორ აქცევს მას თითქმის განუმეორებელ სახედ. მისახედ მაგალითად თანამედროვე ახალგაზრდობისთვის.

თედო განზოგადებული სახეა, მაგრამ მას თან ახლავს ინდივიდუალური თვისებებიც. ეს თვისებები — წინდახედულება, თავშეკავება, ბორიტების წინააღმდეგ ბრძოლის წყურვილი, დაწყებული ხაქმის ბოლომდე მიყვანა, დაჩაგრულის მხარში ამოდგომა, მეგობრობა, სიყვარული, ბორიტების წინააღმდეგ თავდაუზოგავი ბრძოლა თედოს უხვად აქვს მინიჭებული.

მკითხველს, უდავოდ, გაუჩნდება ეკვი — როგორ მოახერხო ამდენი თვისების შესისხლხორცება ასე ახალგაზრდა კაცმა. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ გარემოსთან მის დამოკიდებულებას, ეს ეკვი უმალ გაქრება. მწერალი თედოს სულიერი და ფიზიკური აღზრდის პროცესს გვაცნობს. მისი პირველი აღმზრდელი ოჯახი იყო, მეორე — სკოლა, ხოლო მესამე — ცხოვრება, ადამიანებთან ურთიერთობა, რითაც გამოუმუშავდა კეთილის შეგრძნების უბადლო უნარი. თედო მაგნატივით იზიდავდა ყოველივე კარგს, ჯანსაღს და თავიდან იცილებდა უვარგისს, რისი შეცნობის უნარიც მას მტკიცე ნებისყოფამ და საგნებისა და მოვლენებისადმი სწორი მიდგომის ნიჭმა გამოუმუშავა. ოჯახში თედო ხედავდა შრომელ დედ-მამას, სკოლაში — საუკეთესო აღმზრდელებს, საზოგადოებაში კი მთლად ახე არ იყო, ჯერ ნეოფიტეს და უგუნურნიც, კეთილნიც და ბორიტნიც, მაგრამ თედო ერთი წუთითაც არ გადახრილა უკეთურობისაკენ. მისი ცხოვრებისეული დევიზი იყო ბორიტებასთან უკომპრომისო ბრძოლა.

მკითხველის წინაშე დგას ტიპი შესანიშნავი ახალგაზრდისა, რომელმაც იცის, რა უნდა გააკეთოს, რა არის სახარგებლო და რა — მოუღებელი და მავნე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწერალმა თედოს ალმაზრდელად საგანგებოდ „მიუნინა“ მეწოხესვილი ნიკა პაპა. საკითხისადმი ასე მიდგომა იმითაა გამართლებული, რომ ნიკა პაპა ხალხის წარმომადგენელია, სიმბოლური სახეა სიკეთისა და სიბრძნისა. ამიტომ არ აქვს ნიკა პაპას გვარი. მისი გვარია სიბრძნე. ხალხი ბრძენია. ნიკა პაპა კი ხალხის წიაღიდანაა, ხალხის სიბრძნის ზოგადიდან გამომდინარე კონკრეტული სიბრძნეა. შემთხვევით როდი ეუბნება კოლმეურნეობის თავმჯდომარე თედოს: „ეს ლა ყველაზე დიდი კლუნი წისქვილია, შვილო. ათასი ჯერისა და ათასი მილეთის ხალხი დადის წისქვილში. ზოგი იმ მთისას ამბობს, ზოგი ამ მთისას“.

ლ. მრელაშვილი, როგორც ეს ზემოთაც აღვნიშნეთ, ქმნის მკრეხის მთელ გალერეას.

მწერალი ნიკას პორტრეტს თანდათანობით ავსებს, აკანდაკებს. ნიკას ხულიერი სახე თავისთავად ჩანს მის საქციელში, ხოლო გარეგნობას ხატავს მოკლენებთან კავშირში.

ნიკა პაპას პიროვნების გასაცნობად სავსებით საკმარისია მისი გულწრფელი საუბარი თედოსთან:

„... ღმერთმა თუ განგებამ ამ ქვეყანაზე იგრე მაგწერინოგა ეულად, ადამიანს მარტო ხელის გაკნევა, ოფლის მოწურვაღა უნდა, რო კმაყოფილი იყოს. გაუმაძღრობა და სიხარბე იმთავიდანვე დაწყვეთ საკვლისაკა და საიკოთისაკა... ნამეტანი არ უნდა მოინდომოს ადამიანმა თავისთვინ, რასაც ღმერთი და თავისი ალალი ოფლი მისცემს, იმას უნდა დასჯერდეს და სიკვდილამდინ, შვილით-შვილიშვილამდინ ყველაფერი საკმარისი ექნება...“ (გვ. 98).

ნიკა პაპა მტკიცედ ჩამოყალიბებული ხასიათია.

მწერალმა ნიკას დაუპირისპირა ხაბეოს თავმჯდომარე ნოშრეკანი და ამით მეტი ელვარება მიანიჭა ნიკა პაპას სახეს.

შინაგანი და გარეგანი პორტრეტის იშვიათი მაგალითია შინსაბუოთის უფროსის — ზარიანიძის სახე. ზარიანიძე მკითხველს პირველი შეხვედრისთანავე ხვდება თვალში. მისი პორტრეტიც ნელა — თანდათანობით იკვეთება სხვადასხვა ეპიზოდში. ზარიანიძე სიტყვაძუნწია, მაგრამ როცა იტყვის და რასაც იტყვის, ის უკვე უეჭველი და, რომ იტყვიან, ბეჭედდასმულია. იგი ხულით დედაო კაცია. მისი გარეგნობაც ამ ხულის შესაფერისია. მშვენიერია მისი პორტრეტი — დასაბამსხვრეული, დაუვნეული. მწერალი არ აღწერს მის გარეგნობას, მაგრამ ძუნწი მონაცემებითაც თვალწინ წარმოგვიდგება მაღალი, კუნთმაგარი, კეთილი ადამიანის პორტრეტი, რომელსაც შესაფერისმა ჩაცმულობამაც შემატა ვეკაცური ღირი.

საინტერესო ტიპია ცალნეკი. მან არ შეიძლება არ მოგვაგონოს მართალი ადიდულაბ მ. ჯაკანიშვილის ამავე სახელწოდების ნოველიდან ცალხელაც კაცის მკვლელია, როგორც ადიდულები. ოღონდაც არც ერთი და არც მეორე ბუნებით მკვლელები არ არიან. მათ დანაშაული ჩაიდინეს მათგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო. ადიდულაბმა თვითონვე გამოუკანონა თავის თავს განაჩენი, ცალხელა კი თავის გადაწყვეტილებს ერთგული დარჩა ბოლომდინ. მიუხედავად ამისა, ორივე დადებითი პერსონაჟია.

სრულყოფილი პორტრეტის საუკეთესო ნიმუშია მეთეგზე ხოკრუას სახე. ხოკრუა არავითარ სახარგებლო შრომას არ ეწევა. იგი ალაზანზე „ყველა ოხრისათვის და მამამაღლისათვის“ წადმა-უკუღმა წყვეტს წყალს და ანადგურებს თევზს — სახალხო დოვლათს.

ხაბეოს თავმჯდომარის — ნოშრეკანის სახე, მართალია, არ არის გამორჩეული ისე, როგორც ნიკა პაპა, თედო, ზარიანიძე, ხოკრუა, ცალხელა, მაგრამ მკითხველს იმდენი ინფორმაცია აქვს მის შესახებ, რომ თედოსთან დიალოგის ერთი ეპიზოდიც კი ქმარა, მიხედეს, თუ რა ცუდი ხულის პატრონიც არის იგი. მწერალი არ ზოგავს შავ ფერებს ისეთი ადამიანის დახასატად, რომელიც, გარდა ამისა, რომ მორალურად ზნედაცემულია, ჯეკუნისა და ხალხის მტერიცაა.

მწერალმა ხასოფლო ხაბეოს თავმჯდომარეს დაუპირისპირა კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვახტანგი, კეთილი, მაგრამ ზედმეტად გულუბრყვილო კაცი, რომელიც სოფლისთვის იღვწის, მაგრამ ხშირად მოვლენებს სწორად ვერ ხედავს.

არსად არც ერთ სატყვას არ ამბობს მწერალი მეგობელ ორუჯ-ალიას გარეგნობაზე, მაგრამ თედოსთან დიალოგში, თავისებურმა კილოკავმა დასაბამსხვრეული გახადა ბისი სახე.

რომანში ყველასგან გამორჩეული, უარყოფითი პერსონაჟია ხაწყობის გამგე. ეს შავი დათვივით ბანჯგვლიანი კაცი ბოროტიც არის და ზნედაცემულიც. სარგებლობს რა თავისი თანამედროვეობით, სოფლის ახალგაზრდობას კრიჭაში უდგას და უმოწყალოდ ქელავს მათ პატიოსნებას. ამე ჩაიგდო მან ხელში უპატიოსნესი ლეონა, შემდეგ კი რიტას „დაპატრონებაც“ სცადა.

რომანში ერთ-ერთი შესანიშნავი სახეა ზეზვა ბუქურაძე. მკითხველი, მართალია, თავიდან მიინდამინც დიდი სიმპათიით არ განეწყობა ზეზვასადმი, მაგრამ ბოლოს გამოჩნდება მისი ნამდვილი სახე.

ასევე დაუვიწყარი სახეა უმშვენიერესი თუში გოგონა იამზე. იამზეს თავდაპირველ მიიქცია მკითხველის ყურადღება. აქ გამოჩნდა მწერლის მიზნისა და იდეის ერთიანობა, რომანის სახელწოდებიდან „ოლოლები“ რომ გამომდინარეობს. აქამდე თედოც და იამზეც „დაკარგულ“ ხიკვარულს ეძებდნენ. ორი წლის წინათ წყალს ეძებ-

ევგენი ბართაია
მაქციებელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და თედო ჭაში. ახლაც ეძებს და მაინც ვერ უპოვია.

„—თევ-დო-რეეე!

— უუუუ! — ამოვარდა დაგუბებული ხმა ორმოდან.

— ი-პოვ-ეეე?

— ვეე-რა, ვეე-რااااა!“

ახე მთავრდება ეპალოგი.

რომანში დამაჯერებლად არის წარმოდგენილი ომისდროინდელი ქართული სოფლის ყოფა. ლ. მრელაშვილი ომისდროინდელი ცხოვრების უშუალო მოწმეა და ამიტომ აამტკიცებს ეს ცხოვრება ნიჭიერი მხატვრის ფუნჯით.

რომანი „ოლოლები“ უდავოდ მნიშვნელოვანი შენაძენია თანამედროვე ქართული ლიტერატურისა. უეჭველია, იგი დიდ სარგებლობას მოუტანს ჩვენს ახალგაზრდობას, როგორც დიდი სამამულო ომის მხატვრული მატიანე.

ლ. მრელაშვილი დინჯი მთხრობელია. დახვეწილი ენა, წინადადება და ფრაზა მოქნილსა და ელასტიურს ხდის თხრობას, რაც მკითხველის გულამდე ადვილად აღწევს და აღწერილ სურათს მკაფიო სახეს აძლევს:

„შუბლზე წამოწეული ნაბდის ქუდიდან შავი თმის თხელი ქოჩრი ისე მოჩანდა, თითქოს შიგ მერცხალი შემძვრალა და ცალი ფრთა გარეთ დარჩენიაო. იდაყვს ზემოთამდე დამკლავებული ხელები თითქმის სულ ხველი და თიხაში მოსგრილი ჩქონდა. მიადგებოდა მარანში გამართულ დაზგაზე გათლაშული თიხას, ზელდა და ზელდა. დროდადრო შედგებოდა, სარეცნებელ თითს ნემსკავივით მოხრიდა და თიხიდან წვრილ ენებს გამოჩიჩქნიდა. მერე შეკდებოდა სკამზე, ბორბალზე ფეხებს ოსტატურად გაკრავდა: ერთს წინ, მეორეს — უკან. დაბზრიალდებოდა ჩარხი და უცებ გარდაიქმნებოდა თიხის გუნდა; ხან ყავალიანი იშლებოდა, ხან ლამპის შუშასავით იბერებოდა, ხან ალმაალა-მაალა იწყნარებოდა და მერე თანდათან თვალსა და ხელს შუა იქცეოდა კოკად, ხუროად, გოზაურად, ლიტრად, ხელადად, ცალეუურად, ტოლჩად, ჭიქადად თუ ჩარეკად...“

მთელი რომანი ასეთი მწყობრი თხრობისა და დიალოგის მონაცვლეობით ვითარდება.

რომანში ყოველთვის საკერპობისამებრ, პერსონაჟის ხასიათთან შეფარდებით არის გამოყენებული პეიზაჟური ჩანახატები:

„აკლავ დამეული ხმები მიმოიბნა თბილ ჰაერში. ჭრიჭინების ერთფეროვან ჭიანურს დროდადრო სახეთან მოახლოებული კოლის ბზუილი გაერეოდა. ხანდახან წისქვილის იქიდან სიმინდებში ირიოდ ჩავლილი ნიავწყნარა გაიშმაშურებდა. და ალაზანი, დიდი ალაზანი, კოლომტრიან კალაპოტზე ლურჯ ტოტებად დაფანტული, დრვინვა-დუდუნში შეზავებული შხიოლით მიირწეოდა კახპოისაკენ.

უეცრად ჭალიდან ოლოლმა დაიძახა:

— თევდორეეე!

— უუუ! — გამოეხმაურა მეორე.

— იპოვნე?

— ვეე-რااااა, ვეეე-رااااا!

და ბიგმა საშინელი სიმარტოვე — მიუსაფრობა იგრძნო. გულზე საოცარი ნაღველი შემოწვა“.

ოლოლის ეს ძახილი ის ფიქრი და ოცნება, რაც მიუწვდომელისაკენ ლტოლვას ნიშნავს. და თედოს სიმარტოვეც რომანტიკულია.

ამდენად, როგორც მედიტაციური ქმნილებების გმირები არ ანთავისუფლებენ მკითხველს ფიქრისა და განსჯისაგან, ისე „ოლოლებიც“ განაწყობენ გმირთა ბედზე დაფიქრებისათვის. ეს გმირებიც ხომ ეძიებენ, და ეძიებენ იმ იმედით, რომ იპოვიან.

ოთარ გიორგაძე

„ჩემი სული საქართველოს აჩქარებულ სუნთქვაშია“

ზურაბ ჯუბიანიძეს არასოდეს უდალატია პოეტური ხელოვნების მკაცრი და ამაღლებული პრინციპებისათვის; ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს მისი წიგნები; გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ მიერ დასტამბული „ერთტომეულის“ ავტორისეულ ანოტაციაში ვკითხულობთ: „ახე მგონია, რაც ამ ქვეყნად გავჩნდი, სხვა საზრუნავი არა მქონია, გარდა ამ ერთტომეულის შედგენისა. მას შემდეგ 50 წელზე მეტი გასულა. ეს წიგნი ჩემი ლექსების

რჩეულია და თუ მეთხველს ნაწილი მაინც მოხვდება გულზე — ტიციანისებურად რომ ვთქვათ, „სისა მეყოფა გამოსარჩლებად".

ვისაც ზ. კუბიანიძის ლექსები დაკვირვებით წაუკითხავს, დამეთანხმება, რომ პოეტი არ ეტანება რაღაც უჩვეულოს, გრანდიოზულს, წუთიერი ეფექტის შემცველს. მისი ყურადღების, პოეტური სმენისა და ხედვის საგანი ჩვეულებრივი, ცხოვრებისეული მოვლენები, კონკრეტული ფაქტები, ერთი სიტყვით, ყველაფერი, რაც აჩვეულნაირია, მაგრამ ბევრისთვის მაინც შეუმჩნეველი-ამოუცნობი ანდა სულ სხვაგვარად დანახული. ასეთი საგნები, ასეთი ფერები, თემები მრავალგვარი და მრავალსახოვანია ზ. კუბიანიძის პოეზიაში. ყველაფერი ეს იხე ღრმად და სიხსნლორიცეულად არის განცდილი, თანაც იხეთი ძალისანია, რომ, თუ პოეტს დავუჯერებთ, ისინი განსაზღვრავენ მისი სიმღერის კილოსა და ხასიათს.

მე რომ ვეძებ ლექსის კილოს,
მზისთვის, ცისთვის მისართმევს, —
სადღაც საქართველოშია, ჩიტს ჰკიდია
ნისკარტზე.
მტერს რომ შესძრავს სადღეგრძელო,
მამაპაპური, —
სადღაც საქართველოშია, ჭურისთავზე
დამბმული.

რასაც ვეძებ,
რასაც ვეძებ
და რითაც ვარ ენებული, —
სადღაც საქართველოშია, იას მოფარებული.
უხილავი სილამაზე, რასაც ვეძებ
ფრთაგაშლილი, —
სადღაც საქართველოშია, კალმახების
დარაწმი.
მკერდს მსუბუქად დასადები საფლავის ქვა
უხეში,
სადღაც საქართველოშია, სათაფლიის
ბუჩქებში.
ქვეყნად რომ ვიერ მიუგნია, ნატვრისთვალი
ზღაპრული,
ისიც საქართველოშია, მის მიწაზე ჩაფფული.

გულწრფელია პოეტის ამოძახილი: „ჩემი სული საქართველოს აჩქარებულ სუნთქვაშია".

სამშობლოს დღევანდელ და სამომავლო ბედზე ფიქრით მოცლილ პოეტს მხოლოდ ის აწუხებს, ვაითუ ვერ შეძლოს მშობელი მიწის ვალის გადახდა, ვაითუ შესაფერისად ვერ უგალობოს მას.

მე თეფრი ღამე თეთრად ვათევ...
თენდება... ცაზე შუქი იღერება...
მშობელო მიწავ, შენ მაპატიე,
თუ შენი ღირსი ვერ ვთქვა სიმღერა.

შესახოვს პოეტი საქართველოს ცას და მიწას, ამ თხოვნასთან ერთად იგი მშობლიურ ცას ერთ საიდუმლოსაც უმეღავნებს: „ჩუმად გაპარავ ფერებს, რომ სტარიკოსებს მერე, ბილოფიერთ დავუფინო სიცოცხლეზე". პოეტმა კარგად იცის, რომ „თუ ლექსში ფრთები არა ჰაქვს აზრებს, თუ დროის სუნთქვა არ დაფეს ჩქერებად — ახეთი ლექსი ცხოვრების გზაზე არც შრომას არგებს, არც იმღერებს".

ამიტომაც პოეტი ყოველთვის ცხოვრებისეულს, დროულს, ჩვენთან, ჩვენში მყოფს დატრიალებს თავს, ხატავს, ძერწავს, ქმნის და გამოკვეთს თავის პოზიციას.

მომავალ პოეტს დედის ნაადრევმა სიკვდილმა წაართვა მშობლის „თვალების სითბო", „ეფფარე თმები", ჩემი ალერსი, თმაში შეცურებული „მკრთალი თითები — სანთლები თაფლის". ამ თემაზე ბევრი კარგი ლექსია დაწერილი, რომელთა შორის ზ. კუბიანიძის „დედას" ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უჭირავს.

სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემაზე დაწერილ-ლექსთაგან განსაკუთრებულ უურადღებას იქცევს „ფოთლები", „ფარფატა პეპლებს ფრთის მტვერს ვპარავდი", „ბილები", „მოკვდა ხახა,-სულხან-საბას სენია", „მოკვდ-ბაბრილე, შენ გიჯეკები", „ბულისცემა", „სიბერე", „დაშინრუნე სიკვბუკე", „ბადდებული სურათები".

პოეტმა კარგად იცის, რომ ბავშვობა და სიყმაწვილე არ მეორდება, მას უძნელდება სიხეირის ზღურბლზე მდგომი ადამიანის ცქერა, ეხლადაც იგი. ასეთი ბუნების შემოქმედებისაგან სრულიადაც არ გეუცხოვება ის სევდიანი ლიღინი, რომელიც დამფიქრებელ ასაკთან მიახლოებას გამოუწვევია:

ჯერ ხომ არ ვიცი, რაა სიბერე,
თმის ვერცხლს ჯადარა მაინც არ ჰქვია...
ფარად დაუმცხალო ზზერის ვიფერებ,
ვსვამ ყვავილების ცვარ-ნამს ბანგიანს...
და ძილგამკრთალი ვეძებ იმ ფერებს,
ჭაბუკობაში რომ დამკარგია.

პოეტს ზოგჯერ ცხოვრების აზრის მიმართ დაეჭვების ფიქრიც გაუელვებს და ნაღვლიანად ამოიკვნესებს:

სადღაც კვნესის ვიოლინო პაგანინის,
სატრფოს სახლთან ღამეს ოხერით ვინღა
ათევს...
ცხოვრება კი მიდის, მიდის და ქალივით,
ვერ გაიგებ, სად და რიდის გიღალატებს.

საერთოდ, ზ. კუბიანიძის პოეზიაში ნათელი ფერები ჭარბობს, მასში ცხოვრებისეული, აქტიური „ზრუნვის" იდეებია გამოხატული. პოეტი მუდამ მოულოდნელი, შემტევი, პირდაპირი და სამართლიანია, კიცხავს და ემიჯნება იმათ, ვინც „შეფარებულნი ჩრდილს და ხეივნებს, თლიან, ჩაბმავენ სიტყვას უუნებელს". იგი გამეფდულად

ოთარ გიორგაძე
„ჩემი სული საქართველოს აჩქარებულ სუნთქვაშია"

ეროვნული ბიბლიოთეკა

აცხადებს: „ვერა და ვერა, ვერ მთავმეკინეთ — უკან ლაჩრულად დახაბრუნებელს“.

პოეტი ჩვენი ხიხლსავსე ცხოვრების, ხალხიანი დღეების, ხალხთა მეგობრობის, მშვიდობის, ადამიანის სიკეთისა და ბედნიერების მომღერალია,

რომ გამიწყრეს ერთ დღეს ღმერთი.
და შემაბან ყელზე ლოდი —
იმ სიმღერას ვიმღერებდი,
ბავშვობაში რომ ვმღეროდი...

ვენაცვალე ჩემი მიწის
მზეს, ცას, კბოდეს, ქარის სივილს,
ვენაცვალე ამ თოკს, ვიცი,
ჩვენს რჯულზეა დაგრეხილი.
ვენაცვალე იმ დღის დაისს,
რომ ჩაჩეხა ჩემი ლელო,
ვენაცვალე იმ ლოდს, რაიც
არ ამძიმებს საქართველოს.

„ჯ. კუხიანიძის „ერთტომეულს“ ინტერესით გაეცნობა ქართველი მკითხველი.

ცოტა რამ „ცისკრის“ ახალგაზრდა ავტორებზე

ზურაბ თორია დაიბადა 1948 წელს ქ. გალში. 1969 წელს დამთავრა საქართველოს სუბტროპიკული ინსტიტუტი.

„ცისკარში“ იბეჭდება 1978 წლიდან.

ზურაბ პაპავაძე დაიბადა 1958 წელს ქ. თბილისში. დამთავრა თსუ ქიმიის ფაკულტეტი 1976 წელს.

„ცისკარში“ იბეჭდება 1982 წლიდან.

ჟურნალი მისამართი: თბილისი, 380007, დადიანის ქ. № 2.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 99-85-81. მთ. რედაქტორის მოადგილე — 72-26-22, პასუხისმგებელი მდივანი 72-43-75, მდივანი — 72-44-78, განყოფილებათა გამგეები — 72-26-35, პროზის — 72-26-30, „ცისკრის“ დამატება — 72-17-01, ხაკორექტორო — 72-47-62.

ჩაბარდა ასაწყობად 1. 08. 84 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 19. 09. 84 წ., ქაღალდის ზომა 70×108, ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 11, საღრ.-საგ. თაბახი 15,85. შეკვ. № 1723. უე 08232. ტირაჟი 57.000.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

ფასი 60 კაპ.
ინდექსი 76286
ეროვნული ბიბლიოთეკა
5106/138

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ